

იორები გარენიშვილი  
უკიდ მიწა  
უსახა ხოჭარია



80 କଣ୍ଠରେ ପାଇବାରେ ମହିନେ




କୁଳମୁଖ



## სამართლის ელექტონური გადახდები

საჯანმიდამო დისტრიბუტორ დაცვის შემდეგ  
მუშაობას აგრძელებს საქართველოს  
სარამწმენებლობის სამინისტროსთვის  
არსებული ინფორმაცია და ხელმძღვანელ  
მუშაკთა კალიფიკაციის ამაღლების  
ინსტიტუტი ფილიალში მეცნიერობისა და  
ხარისხის მართვის კოოპერაციის გამგებელ. 1991-  
2008 წლებში იდიუმშაობს დოკტორის  
თანხმბოლობაზე საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის სის დამტუკებების  
საწარმოთა მიწოდებლობის და  
ტექნილოგიის კათედრაზე. 2009-2010 წლებში  
ვარნის განვითარების პროგრამის ( )  
ფარგლებში პროფესიული განათლების და  
ყადაშესაბამის სისტემის ხელშეწყობა,  
ტრენინგი (დურგალი, მქანრებელი).  
სახწავლის პროცესზე, ჟიოლოური  
უსრუნველყოფა-სახწავლით დატექნიზები  
პროფესიულ სახწავლით ცნობრებში: -  
ბათუმში, ახალციხეში, აბროლაურში, გორში,  
ჭავერში და თელავში. რაგორი წიგნის  
“ხის დასამუშავებლივ ჩარხები”, “ავჯის  
კინსტრუმენტის მეთოდოლოგია”, “ავჯის  
კინსტრუმენტის მეთოდოლოგიის  
ხიხებისტიზაცია და სრულყოფა” და “ხის  
დასამუშავებლივ საღურველი  
კომინისტებული ჩარხების” და “ავჯის  
მიმორენის და გამოყენის  
მეთოდოლოგიის” ავტორი. საქართველოს  
ხის დასამუშავებლივ და ავჯის  
მწარმეტებლივთა ასოციაციის წევრი.

בְּרִיאָה וְעַמְּלָה בְּרִיאָה וְעַמְּלָה



# አዘጋጅ ቤት መተዳደሪያዎች ና የተመዘገበ ማረጋገጫ



საქართველოს ხის დამამუშავებელთა და ავეჯის მწარმოებელთა ასოციაცია  
შპს “აბიტურე”

გიორგი ბერძენიშვილი, ნუკრი მიქია, მამუკა წოშტარია

ავეჯის მოპირკეთების და  
გამოყვანის ტექნოლოგიები

თბილისი

2016

რა ცოდნა უნდა ჰქონდეს მომპირკეთებელს  
და გამომყვანს, რათა ჩემი ბიზნესი  
წარმატებული იყოს

საქართველოს ხის დამამუშავებელთა და  
ავეჯის მფარმოვებელთა ასოციაცია



## ჩვენო კეთილო მკითხველო!

ეს წიგნი ავეჯის მოპირკეთებისა და გამოყვანის ტექნოლოგიების სრულყოფილად წარმო-ჩენის ცდაა.

**შევეცადეთ,** რათა ახალგაზრდებისთვის და არა მარტო მათთვის ახლებურად აღსაქმელი გაგვეზადა ავეჯის ხილული ნაწილების დამცავ-დეკორატიული გაფორმების უმნიშვნელოვანესი ინოვაციები, მასალები, გამოყენების სფეროები.

**მკითხველი** ვერ დარჩება გულგრილი, მას გაუჩნდება სურვილი, იმსჯელოს ავეჯის სახის გაფორმების სხვადასხვა ეტაპისათვის გამოსაყვანი და მოსაპირკეთებელი მასალების სწორ შეხა-მებაზე და განჭვრიტოს მათი გამოყენების მართებულობა.

თვითოული პარაგრაფი იწყება მასში მოცემული ძირითადი საკითხების ჩამონათვალით. ტექსტის შინაარსის უკეთ გაგებისა და დამახსოვრებისათვის თან ახლავს ნახატები და სქემები. დამატებით საჭიროდ ჩავთვალეთ ზოგიერთი საკვანძო სიტყვის და წინსართის მნიშვნელობის განმარტება. ტექსტში აღნიშნული საკვანძო სიტყვებიგამუქებულია. ამ ნიშნით გამოყოფილ ჩან-აწერებს თქვენ ხშირად შეხვდებით, მათი შინაარსობრივი განმარტები მოცემულია წიგნში მოყვანილ ტერმინოლოგიურ ლექსიკონში. იგი თქვენს სატყეო-ტექნიკურ ტერმინოლოგიათა მარაგსაც გაამდიდრებს და უფრო გასაგებს გახდის წიგნის შინაარსს, ამავდროულად დაგეხმარე-ბათ ინფორმაციის დამოუკიდებელ მოძიებაში და მის დამუშავებაში. ლექსიკონში სიტყვების ძი-რითადი ახსნა მოცემულია ქართული და რუსული ენების განმარტებითი ლექსიკონების, ვი-კიპედიის (თავისუფალი ქსელური ენციკლოპედია, რომლის რედაქტორება შეუძლია ყველას; ქართულენოვანი განყოფილება შეიქმნა 2003 წელს, რომელსაც მართავს ამერიკული ფონდი – “ვიკიპედია”) მიხედვით ან, უშუალოდ მათზე დაყრდნობით.

**ნორვეგიელი მეცნიერი ჰანს ფოგტი** წერდა: “სრულყოფილი ლექსიკონი არ არსებობს, მას ავსებენ და ამრიგად აუმჯობესებენ მის ხარისხს.”

დიდი სულხან-საბა ორბელიანის (1658-1725, მწერალი, მეცნიერი, პოლიტიკური მოღვაწე) თქმით: “სრული გვიან საპოვნელია”.

**შევეცადეთ** თქვენი დარწმუნება წიგნში მოყვანილი ტექნოლოგიების და მასალების შესწავლის აუცილებლობაში.

**გახსოვდეთ,** აქ ბევრ ახალს გაიგებთ მოპირკეთებისა და გამოყვანის მასალების შესწავლისას, რაც თქვენ დაგეხმარებათ საწარმოში პროფესიულ პრაქტიკულ საქმიანობაში.

აუცილებელია თქვენი პროფესიონალიზმი შესაბამისობაში მოღიოდეს და აღიარებას ჰქოვებდეს საერთაშორისო ასპარეზზე.

**დაიმახსოვრეთ:** ცოდნის საგანძურისაკენ სავალი გზა, განსაკუთრებით ნაკეთობის სიღა-  
მაზისა და კომუნიტულობის შესაქმნელი ტექნოლოგიების შესწავლისას, თქვენვარ თანმიმ-  
დევრულობისა და ძალისხმევას მოითხოვს.

**ვიმედოვნებთ,** რომ წიგნი უმნიშვნელოვანესი გზამკვლევი გახდება მკითხველის პროფე-  
სიული ჩამოყალიბებისათვის, ავეჯის მოპირკეთების და გამოყვანის საკითხებზე არსებულ სპე-  
ციალიზირებულ ლიტერატურაში მოცემული ზღვა ინფორმაციის ასათვისებლად.

ვისაც აღნიშნულ საკითხებზე უფრო მეტი ინფორმაციის მიღება სურს, მათთვის მოცე-  
მულია გამოყენებული ლიტერატურის, საქართველოს ეროვნული და საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკების ფონდში განთავსებული წიგნების ნუსხა.

მეთოდური თვალსაზრისით წიგნი ისეა აგებული, რომ ხელი შეუწყოს სწავლების პრო-  
გრესული მეთოდების დაჩქარებულ დანერგვასა და სასწავლო პროცესის ინტენსივობას ტე-  
ქნიგურ საშუალებათა გამოყენების გზით, რომ მან მკითხველს მისცეს დამოუკიდებელი  
სწავლების სტიმული და გაუჩინოს ტექნიკური ლიტერატურის შესწავლისადმი ინტერესი.

### **მოვმართავთ თხოვნით:**

წიგნი ქართულ ენაზე პირველად ქვეყნდება და, ცხადია, იგი უნაკლო არ იქნება. ამ-  
დენად, ყოველი შენიშვნა ავტორების მიერ მაღლიერების გრძნობით იქნება მიღებული და გაზი-  
არებული.

თქვენი შენიშვნები და მოსაზრებები მომავალში გათვალისწინებული იქნება წიგნის  
მომდევნო გამოცემებში.

საავტორო უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ილუს-  
ტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (ელექტრონული ან მექანიკური) არ  
შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა ნაშრომში, ან ხელახლა გამოიცეს გამომცემლობის ან  
ავტორების წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლების დარღვევა ისჯება კანონით.

## შინათქმა

### აქ წარმოდგენილი მასალებით თქვენ გაიხსენებთ და გაეცნობით

დაწყებული ძველი დროიდან დღემდე, ჩვენ უპირატესობას ვაძლევთ მერქანს, მიუხედავად თანამედროვე ბაზრის მიერ შემოთავაზებული ალტერნატიული მასალების სხვადასხვაობისა. მერქანი ტრადიციულად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მასალაა ავეჯის წარმოებაში, რასაც განაპირობებს მისი შესანიშნავი დეკორატიული თვისებები, ფართო გავრცელება, მოპოვებისა და დამუშავების სიადვილე, ასევე სიმტკიცის მაღალი მაჩვენებელი მცირე მოცულობითი წონის დროს.

მოწინავე ტექნოლოგიების მერქნის უნიკალურ ბუნებრივ თვისებებთან შეხამებით შესაძლებელია მერქნისაგან ხანგამძლე ავეჯის შექმნა, რომელიც ამავდროულად იქნება მომზიბლავი თავისი სილამაზითა და სრულყოფილებით.

მერქნისაკენ სიმპათიების გადახრა განპირობებულია არა მარტო მისი მრავალსაუკუნოვანი გამოყენების ტრადიციებით, არამედ მისი უდავო უპირატესობებითაც – ტექნიკური, ესთეტიკური მახასიათებლებით და განუმეორებელი ეკოლოგიურობით, რაკი ავეჯის არჩევის დროს მნიშვნელოვან არგუმენტს წარმოადგენს მისი ეკოლოგიური უსაფრთხოება, პრაქტიკულობა და მოხერხებულობა.

სამწუხაროდ, მერქანის მის მთელ რიგ უპირატესობასთან ერთად ახასიათებს ნაკლოვანებებიც, რომლებსაც მიეკუთვნება დალპობის და ანთებადობის საშიშროება, შეშრობა, გაჯირჯვება, დაბრეცა, დასკომა, აღნაგობის არაერთგვაროვნება და ა.შ.

ყველა ეს ნაკლოვანება ადვილად აღმოფხვრადია – თანამედროვე მეცნიერებამ შექმნა მერქნის ხანგრძლივი დაცვის განსხვავებული მეთოდები.

ხეზე მოუშავე ხელოსნების ტრადიციული სახელწოდებებია – დურგალი, ხურო, მკვეთელი.

**დურგალი (ინგლისურად - joiner)** ხეს ამუშავებს და მისგან ნაკეთობებს ამზადებს.

**ხურო (ინგლისურად - carpenter)** ახდენს ხე-ტყის მარტივ დამუშავებს, აკეთებს შენობის ხის ნაწილებს ან აშენებს ხის შენობას.

**მკვეთელი** ახდენს ხეზე სხვადასხვა მხატვრული ფორმის ელემენტების ამოკვეთას და მოკაზმვას.

ამერიკის კონტინენტზე და ევროპაში არსებობს დურგლის და ხუროს სხვადასხვა პროფესიული სპეციალიზაციები: მომპირკეთებელი დურგალი, Trim (ინგ. Trimming– დამშვენება, შემკობა, გაწყობა, შეჭრა) ხურო, ძვირფასი ავეჯის დურგალი, სახომალდე ხურო, სცენის ხუ-

რო, Framer (ინგ. Frame— ჩონჩხედი, კარკასი) ხურო, გიტარის ოსტატი (Euthier), ხის მეყალიბე ხურო, Miyadaiku (Shrine carpenter)— საეკლესიო ხურო, მწვანე დურგალი.

საქართველოში ხის ავეჯის და საკრავების ხელოსნებია: მეავეჯე-დურგალი, დიზაინერ-მეავეჯე, საკრავების-ოსტატი. მათი შრომითი საქმიანობაა:

**მეავეჯე-დურგალი** — სწორკუთხია კორპუსული ავეჯის დამზადება;

**დიზაინერ-მეავეჯე** — ერთმანეთისაგან მხატვრულ-კონსტრუქციული თავისებურებებით, განსხვავებული ავეჯის დამზადება;

საკრავების ოსტატი — ქართული ხალხური საკრავების შექმნა.

ავეჯის ფასადების დამზადების დროს მწარმოებლები ტრადიციულ გამოყვანასთან თანაბრად იყენებენ მოპირკეთებას.

**მოპირკეთება** (ინგ. facing, coating — შემოსვა, სამოსი, პირნაკეთობა) — ზედაპირის გაკეთილშობილება რომელიმე განსაზღვრული სახის შრის დაფარვით.

მოპირკეთება გამოიყენება ლამაზი „სახის“ შესაქმნელად. აპირკეთებენ დეტალის ფენობს და ნაწილურებს. საკუთრივ მოპირკეთება წარმოადგენს სრულფასოვან მასალას — იგი შეიძლება ავილოთ ხელში, გავტურდოთ, გავდუნოთ, გავტეხოთ.

**გამოყვანა** (ინგ. finishing — გაწყობა, მოწყობა) — ზედაპირის რომელიმე განსაზღვრული სახის მიცემა-დამუშავებით, რემონტით და ა.შ.

გამოყვანის ძირითადი ამოცანაა დაფარვას მიანიჭოს ხანგამძლეობა და სიმტკიცე. გამო-საყვანი მასალა იშვიათი გამონაკლისების გარდა არის სითხები, ხსნარები და ა.შ. სადურგლო სამუშაოებში მერქნის გამოყვანა გამოყოფილია დამოუკიდებელ საწარმოო ციკლად.

დურგლის პროფესიული საქმიანობის თეორიული საფუძვლებია: ხის სახეობები, სტრუქტურა, ტექსტურა, დახერხილი ხე-ტყე, ხის და ხის საინჟინრო მასალების ფიზიკური და მექანიკური თვისებები, ნაკეთობის ელემენტები, ავეჯის ნორმირების საფუძვლები, სადურგლო შეერთებების კონსტრუქციები, მათი საჩარხო და ხელის ინსტრუმენტებით დამზადება, ფუნქციური მოცულობების ზომები, დეტალების, ელემენტებისა და კვანძების დამზადება და მათი მორგება, ფურნიტურა, მოფანერება, სადურგლო ნაკეთობების ფორმირება, აწყობა, მოპირკეთება და გამოყვანა. მოსაპირკეთებელი/გამოსაყვანი მასალები, მასალების ხარჯი, შესრულებული სამუშაოს კონტროლი, ნახაზების, ესკიზების და ტექნიკური დოკუმენტაცია (შედგენა და წაკითხვა), დეფექტები და მათი აღმოფხვრა, ხის მასალის გაზომვა.

**ძველი ქართული ავეჯი.** ქართველმა ხალხმა ძველი ისტორიული განვითარების პროცესში შექმნა მრავალფეროვანი, მკვეთრად გამოხატული ეროვნული ნიშნის მქონე, მაღალი კულტურა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ერის შემოქმედებითი ფანტაზია და რომელიც

უპასუხებს ხალხის ესთეტიკურ მოთხოვნილებასა და გემოვნებას. ამ მაღალ კულტურულ მონაპოვარში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართულ ავეჯს, რომლის განვითარება-საც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს.

ძველი ქართული სახვითი ზელოვნების ძეგლებში (XI-XVII სს.) კარგად ჩანს ქართული ავეჯის მრავალფეროვნება. აღნაგობის, ფორმისა და დანიშნულების მიხედვით ამ პერიოდში შეიქმნა ავეჯის ნიმუშები შემდეგი ზოგადი პირობითი ტერმინებით:

1. უმისაყრდნობო საჯდომი (ნახ.1, ნახ.2, ნახ.3, ნახ.4, ნახ.5)
2. მისაყრდნობიანი საჯდომი (ნახ.6, ნახ.7, ნახ.8, ნახ.9, ნახ.10, ნახ.11, ნახ.12)
3. ნატი (ნახ.13)
4. საწერი მაგიდა პიუპიტრიანი (ნახ. 14, ნახ. 15)
5. სამუშაო კათედრა პიუპიტრიანი (ნახ. 16)
6. კიდობანი (ნახ. 17)
7. ხონჩა (ნახ. 18)
8. ბავშვის საწოლი – აკვანი (ნახ. 19)
9. დაბალი სამფეხა სკამი – ჯორკო (ნახ. 20).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართულ ავეჯში ხის ჩუქურთმის გამოყენება. უძველესი ქართული ავეჯის მორთულობა ხასიათდებოდა დეკორატიული კომპოზიციების შექმნით, რთული ორნამენტების გაერთმთლიანობით, დეკორატიულ-მოცულობითი აურული დეროების შესრულებით, რელიეფურ-მოცულობით იზოლირებულ ქანდაკებათა ფიგურების და სიუჟეტური კომპოზიციების გამოყენებით. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოძიებულ უძველეს ავეჯის ნაკეთობათა ნიმუშებში კარგად ჩანს შუა საუკუნეთა (X-XI სს.) ქართული ხის ჩუქურთმის სიუხვე (ნახ.21, ნახ.22, ნახ.23, ნახ.24, ნახ.25, ნახ.26, ნახ.27, ნახ.28, ნახ.29, ნახ.30, ნახ.31, ნახ.32, ნახ.33, ნახ.34, ნახ.35, ნახ.36).

თანამედროვე ავეჯის ასორტიმენტის შედარებით გამოიკვეთა დიზაინი, რომელიც მიან-იშნებს – ერთის მხრივ თანამედროვე მტკიცე (გამბლე) მასალებზე, ხოლო მეორეს მხრივ მასიური ხისაგან ძალიან მაღალი ხარისხის მიმზიდველ ნაკეთობებზე. ზოგჯერ ამ ორი ტიპის ავეჯს აერთიანებენ კონტრასტისათვის.

ახლო მომავალში ყველაზე დიდი პრობლემა ლაქსალებავი მასალების მწარმოე-ბლებისათვის იქნება ნედლეულის რესურსების, ხოლო ავეჯის, სამზარეულოს, კარების, პარკეტ-ის და ფანჯრების მწარმოებლებისათვის კი – მერქნის რესურსების შეზღუდვა. ასევე აუცილე-ბლად გასათვალისწინებელია ლაქსალებავ მასალების ნედლეულზე ფასების მეტისმეტი ზრდა, ენერგიის და მერქნის მასალების ღირებულებები.

ავეჯის ინდუსტრიაში სულ უფრო დიდ ინტერესს იწვევს ისეთი მასალების გამოყენება, როგორიც არის ფარების კონსტრუქციები ფიჭისებრი შემსებით, მერქან-პოლიმერული კომპოზიციური მასალები (WPC) პოლიეთილენთან და პოლიპროპილენთან კომბინაციაში, ლამინატის (შრეული პლასტიკის) პანელები დეკორატიული ბეჭდებით, იაფი ალტერნატიული პროდუქტის სახით – ქაღალდის პოლიმერული ფირი დადებული ბეჭვდით და ფინიშური გამოყვანით, იატაკისათვის ლამინატის პანელები.

თანამედროვე ავეჯის კონსტრუირება უნდა ითვალისწინებდეს წარმოების პროცესში დეკორატიული დაფარვის დანახარჯებზე ეკონომიკის მიღების შესაძლებლობას. სულ უფრო ხშირად იყენებენ ბრტყელ დეტალებს, რომლის დაფარვა ლაქსალებავი მასალით ხდება ვალცური მეთოდით გამყარებული ულტრაისფერიგამოსხვივებით.

ლაქსალებავი მასალების ხარჯის ობიექტური შედარებისათვის გამოიყენება შეღებილი ზედაპირის გაზომვის სტანდარტული ერთეული „ხარჯი/ $m^2$ “. ამასთან ერთად აუცილებელია გათვალისწინებული იყოს ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები, როგორიცაა 1 კგ. ლაქსალებავი მასალის მიწოდების ფასი, მისი დადების მეთოდის ეკონომიკურობა, ხარჯი დადების დროს და „მშრალი ნარჩენი“ (არააქროლადი ნივთიერებების ნაწილი). ლაქსალებავი მასალის ხარჯის ნაწილი, საერთო დანახარჯში ავეჯის ელემენტების დამზადებაზე და მის დამცავ-დეკორატიულ გამოყვანაზე შეადგენს მხოლოდ 8-20%.

დღეისათვის ბავშვთა სხვადასხვა დაავადებების გამოჩენამ გამოიწვია საინჟინრო მასალებზე (მაგალითად, MDF - (Medium-density fibreboard) ეკოლოგიურად სრულფასოვანი ფხვნილოვანი დაფარვის სისტემების დამუშავება.

ლაქსალებავ წარმოებაში ნანოტექნოლოგია (იხ. წინსართონანო) წარმოადგენს ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიას უბადლო შედეგების მიღწევისათვის: სისუფთავის ხანგრძლივობა, მაქსიმალური დაცვა ატმოსფერული ზემოქმედებისაგან, ხანგამძლეობა და მაღალი მდგრადობა, ხანგრძლივი პიდროფობური დაცვა გარემოს აგრესიული გავლენისაგან, ლაქსალებავ დაფარვაზე დადების დროს გამორჩეული მბზინვარების და განსაკუთრებული გლუვი ზედაპირის წარმოქმნა, რაც უზრუნველყოფს ზედაპირიდან ჭუჭყის ადვილად მოცილებას. ნანო-ლაქი— ეს ჭუჭყისაგან და ნაკაწრებისაგან სამძლო დაცვაა. ის ლაქსალებავ დაფარვას უნარჩუნებს სიახლისა და მოვლილ სახეს. ნანოტექნიკას ასევე შეუძლია ლაქსალებავ მასალებს მიანიჭოს განსაზღვრული ფუნქციები, მაგალითად ანტიბაქტერიული მოქმედება ან ფოტოკატალიზური თვისება (იხ. წინსართო - ფოტო). ნანო პროდუქტების მოქმედებით, გარე მოხმარების მერქნის დამუშავებულ ზედაპირიდან განიზიდება წვიმის წყალი. ამ დროს წყლის ორთქლმა შეიძლება თავისუფლად

შეაღწიოს მერქნის ფორებში (“მერქანი სუნთქავს”), ხოლო მერქანი განიცდის ტენიანობის ბევრად უფრო მცირე რყევებს.

მეცნიერები და ტექნოლოგები ინტენსიურად მუშაობენ ადამიანის ჯანმრთელობაზე ავეჯის შეღებილი ელემენტებიდან გამოყოფილი (ნარჩენი ემისია) დაბალი მოლეკულური ნაერთების შესაძლო ზემოქმედებაზე. ტროპიკული მერქნის მტკიცე (სიმტკიცე) სახეობების მოცულობები აღემატება მათ ბუნებრივ აღწარმოებას, რამაც მომავალში შეიძლება გამოიწვიოს მათი დიდი დეფიციტი. ამიტომ მიმდინარეობს სამუშაოები მერქნის ხანგამძლეობის ასამაღლებლად ჩვეულებრივი (სწრაფად ზრდადი) ხის სახეობებისაგან სპეციალური ქიმიური (დაცუტილების მეთოდი ან „Belmadur“) ან დამატებითი თერმული დამუშავების (თერმომერქანი) გზით. მერქნისაგან და მისგან დამზადებული ნაკეთობების, განსაკუთრებით კი ავეჯის, ლაქსალებავი მასალით დაფარვას აქვს არა მარტო მერქნის დაცვის დანიშნულება, არამედ – განსაკუთრებული რეპრეზენტატიული როლიც ხელოვნების ნაწარმოებამდე (იხ. განმარტება).

ევროპაში ავეჯის ლაქსალებავით დეკორატიული დაფარვა მოდის XV საუკუნიდან. გალაქვის და ლაქის დადების ისტორია მიმდინარეობდა ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მიმართულებით. პირველი არის უფრო ძველი განვითარების მიმართულება – ჩინეთის გალაქვის ხელოვნება, რომელიც წარმოიქმნა 6-7 ათასი წლის წინათ. მხოლოდ 1543 წელს პორტუგალიელების იაპონიაში გადმოსხმის წყალობით გალაქვის ხელოვნება შემოდის ევროპაში. ლაქის სახით იყენებდნენ იაპონიის ლაქის ხის (*Rhus verniciflua*, რომელსაც ასევე უწოდებდნენ *Rhuslak*), ქერქიდან რძისებრ წვენს. ამ პერიოდისათვის მერქნისაგან ავეჯის, ჭურჭლის და სხვა მასალების გალაქვის და მხატვრული გაფორმების სხვადასხვა ტექნიკური ხერხები უკვე მაღალ პროფესიონალ დონეზეიყო. XVI საუკუნეში გალაქვის ტექნიკური ხერხები გადაეცემოდა მისიონერებით. ლაქზე მზარდი მოთხოვნის გამო ევროპაში ინტენსიურად დაიწყეს ლაქის ტექნოლოგიების განვითარება. რადგანაც მათ არ გააჩნდათ აზიური ნედლეული, ისინი დიდი წარმატებით იყენებდნენ ცნობილ აღილობრივ ფისებს შრობად ზეთებთან კომბინაციაში.

ევროპაში მეორე დამოუკიდებელი მიმართულება ცნობილი იყო აღმოსავლეთაზიური ლაქების ტექნიკამდე (იხ. სიტყვა „Lakh“) დიდი ხნით ადრე. ის ჩაისახა ევროპულ-მუსულმანურ კულტურულ სივრცეში. უკვე ძველ დროში, შელაკის გამოჩენამდე, ევროპაში ჰქონდათ გამხსნელები სელის ზეთში, აგრეთვე ოლიფად წოდებული, რომელსაც იყენებენ შეღებილი ობიექტების დამცავ შრედ.

XIX საუკუნემდე მერქნის ნაკეთობებზე გამჭვირვალე დაფარვას ან ოლიფის დადებას არსებითი როლი არ ჰქონდა. მაგრამ დამუშავების თანამედროვე ხერხების განვითარებისათვის სწორედ ეს იყო მნიშვნელოვანი ამოსავალი წერტილი. ამ დროისათვის ცნობილი რეცეპტურები

ბაზირებული იყო ისეთ მასალებზე, როგორიც არის შლაკი, ქარვა, ცვილი, მასტიკა, დამარა, ბენზოლი, კალიტრისი და კოპალი (ფისი), აგრეთვე შრობად ზეთებზე, როგორიც სელის ზეთია, მას იყენებდნენ არა მარტო გამხსნელად. ღვინის სპირტი (ეთანოლი) და სკიპიდარი გამხსნელების მაგივრობას ასრულებდნენ. ბუნებრივი ფისების და ზეთების შრობის პროცესს მარტივი ქიმიური რეაქციის გზითაჩქარებდნენ. ფისების, კოპალის და გლიცერინის ეთერი-ფიგაციის პროცესი ათვისებული იყო ჯერ კიდევ 1884 წელს.

ნიჭროცელულოზის ლაქების გამოყენება ავეჯის წარმოებაში დაიწყო 1925 წლიდან. მეოცე საუკუნის დაწყებამდე ავეჯის ინდუსტრიაში სარკისებრი ბზინვარე ავეჯის დასამზადებლად იყენებდნენ პოლიტურას ტამპონებით გალაქვისათვის. მხოლოდ მეოცე საუკუნის 30-იან წლებში ავეჯის ინდუსტრიაში თანდათანობით ინერგებლად და ფართო გამოყენება ნახა გაფრქვევით შეღებვის ტექნიკამ.

მერქნის და მერქნული ნაკეთობების ლაქსალებავი მასალებით დაფარვის თანამედროვე მეთოდების შეფასება უფრო მეტად ხდება პრაქტიკული და არა მხატვრული თვალსაზრისით.

ამიტომ ზედაპირის შესაბამისი დამუშავების მიმართ მთავარი მოთხოვნებია:

- ქიმიური და მექანიკური ზემოქმედებისაგან დაცვა,
- მისთვის დეკორატიული თვისებების მინიჭება,
- სამომხმარებლო ლირებულებების გაზრდა (მატერიალურ და არამატერიალურ შეფარდებაში),
- მერქნის ნაკეთობების ზედაპირების ფიზიკური და ქიმიური დაცვა მათი გარე პირობებში გამოყენების დროს.

# პირველი პარტი

## თავი I. მერქანი და მერქანული მასალები

### 1.1. მერქნის მაკრო-და მიკრო-სტრუქტურები

ზე შედგება ვარჯისაგან (დამ. იხ. კრონი), ტანისაგან და ფესვებისაგან. ასხვავებენ ორ ცნებას: „ზე“ და „მერქნი“.

ზე –მრავალწლოვანი მცენარეებისზოგადი სახელია, ხოლო მერქანი წარმოადგენს მცენარის ქსოვილს, შედგენილი უჯრედებისაგან გამერქნებული კედლებით, რომელიც ატარებს წყალს და მასში გახსნილ მარილებს. შეიარაღებული თვალით მერქნის ტანის ხილვად აღნაგობას უწოდებენ მერქნის მაკროსტრუქტურას. მისი უკეთ წარმოდგენისათვის მერქნის მაკროსტრუქტურას განიხილავენ სამ ძირითად განახერხში (ნახ. 37):

- 1 – გრძივი – გადის ტანის გულგულზე,
- 2 – ტანგენციული – გადის ტანის სიგრძივ, მაგრამ გულგულიდან დაშორებული,
- 3 – განივი – გადის ტანის ღერძის პერპენდიკულარულად და წარმოქმნის ტორსულ ზედაპირს.

მერქნის მაკროსტრუქტურის ძირითადი ერთეულებია:

**ქერქი** – მერქნის ტანის დამცავი საფარი, შედგენილი გარეგანი საკორპე და შინაგანი ლაფანის შრეებისაგან, თავისებური მერქნის ტყავი, იცავს გარემოს ზემოქმედებისაგან, მონაწილეობს სუნთქვის რეგულაციაში.

მერქნის ქერქი წარმოიქმნება კამბიუმის ქსოვილისაგან, კამბიუმის რგოლის დაყოფის დროს, თანაბრად ქსილემის (მერქნის) უჯრედების წარმოქმნით. კამბიუმის რგოლის გარე გვერდიდან ფორმირდება ლაფანის უჯრედები (ფლოემა) (ნახ. 1), რომლებიც დიფერენცირდება სამ ტიპად: გამტარი, სამარაგო და მექანიკური დამცავი.

**ლაფანი** – კამბიუმს უშუალოდ მიკედლებული ქერქის შიდა შრე (ფლოემა), შედგენილი ძირითადად ცოცხალი უჯრედებისაგან, ასრულებს ხის ორტ (გერ. - ადგილი) კრონის გამტარ ფუნქციას, ხის ფესვის სისტემისაკენ.

**კამბიუმი (ლათ. „ცვლა“ საკვები ნივთიერებების)** – ცოცხალი უჯრედების ერთუჯრედიანი შრე, განთავსებული ნაქურთებს და ლაფანს შორის, უზრუნველყოფს მერქნის ზრდას სისქეში.

**წლიური რგოლები** – მერქნის განივ განახერხში შეიძლება ნაზარდის კონცენტრირებული შრეების გარჩევა, მათგან ხის ზედაპირისაკენ უფრო ღია ფერის ნაწილს ეწოდება ნაქურთენი, მუქს – გული.

**ერთწლიანი რგოლი** – ერთ წელიწადში წარმოქმნილი მერქნის შრე. გრძივ განახერხში წლიურ რგოლებს აქვთ პარალელური სწორი ზოლების სახე, ტანგენციურ ჭრილში – კლაკნილი კონუსისებრი ხაზები (ნახ. 37). წლიური რგოლების გადათვლით შეიძლება დადგინდეს ხის სიცოცხლის ხანგრძლივობა.

**ნაქურთენი** – როგორც ტანის უფრო ახალგაზრდა ნაწილი, ნაკლებად მდგრადია გაჭუჭყიანებისადმი, ვიღრე გული, მაგრამ უფრო ელასტიურია. ნაქურთენის სიგანის ცვალებადობა დამოკიდებულია ხის სახეობაზე, ამოსვლის პირობებზე და სხვა ფაქტორებზე. მერქნის ერთ სახეობას გული შეიძლება ჩამოუყალიბდეს მესამე წელს, მეორეს 30-35 წელს (ფიჭვი). ამიტომ ურთხელის ნაქურთენი ვიწროა, ფიჭვის ფართე.

**საკორპე შრე** – წარმოადგენს ქერქის გამომხმარ ნაწილს.

**გული** – წარმოიქმნება ცოცხალი უჯრედების კვდომის ხარჯზე, წყალგამტარი გზების დაცობით, მთრიმლავი (იხ. სათრიმლავი ნივთიერებები) და მღებავი ნივთიერებების, ფისების, მარილების დალექვით, ამიტომ ბირთვი ნაქურთენზე ჩვეულებრივ უფრო მუქია. ამის შედეგად იცვლება მერქნის ფერი, მისი მასა და მექანიკური თვისებები. გული მერქნის ბევრ სახეობასუ-ფრო მუქ ფერშიაქვსშეფერილი, ის წარმოადგენს ყველაზე ღირებულ და მტკიცე ნაწილს.

**გულისებრი სხივები** – მერქნის ზოგიერთი სახეობის განივ განაჭერში შეუიარაღებული თვალით კარგად ჩანს ნათელი, ხშირად კაშკაშა, გულიდან ქერქისაკენ მიმართული ხაზები – გულისებრი სხივები. გულისებრი სხივები აქვს ყველა სახეობის მერქანს, მაგრამ ეტყობა რამდენიმეს, განსაკუთრებით კარგად ჩანს მუხის, წიფლის, ჭადრის განივ განაჭერში. გულისებრი სხივები ემსახურებატანში განივი მიმართულებით, წყლის, ჰაერის და მერქანით გამომუშავებული ორგანული ნივთიერებების გატარებას.

**გულგული** – იმყოფება პირველი წლიური რგოლის შიგნით, ტანის ცენტრში და გადის მთელ მის სიგრძეზე. ის წარმოადგენს ფხვიერ ქსოვილს, რომელიც ადვილად ირღვევა ცოცხალი ორგანიზმებით, შედგება ძირითადად ცოცხალი უჯრედებისაგან, რომლებიც წარმოიქმნება ქსოვილის მწვერვალის წარმოქმნელი უჯრედების დაყოფის ხარჯზე, ხის სიმაღლეში ზრდის დროს.

დახერხილ მერქანს სხვადასხვა მიმართულებით აქვს განსხვავებული ტექსტურა (ნახატი) და გამოირჩევა თავისი თვისებებით და ხარისხით.

თუ მიკროსკოპის ქვეშ დავაკვირდებით მერქნის თხელ განახერხს, დავინახავთ, რომ ის შედგება ქსოვილებისაგან, რომლებიც წარმოქმნილია უჯრედებით (ნაზ. 38). სწორედ კედლის უჯრედული აღნაგობის წყალობით, მერქანს აქვს ისეთი თვისებები, როგორებიცაა სიმტკიცე და ლუნგადობა (მოქნილობა). მერქნის სიმტკიცე და ლრეკადობა განპირობებულია მისი კედლების უჯრედული აღნაგობით.

მერქანი უპირატესად შედგება რთული ორგანული ნივთიერებებისაგან. ორგანული ნივთიერებები შეიძლება წარმოვადგინოდ ოთხი ძირითადი ჯგუფით:

- ცელულოზა
- ჰემიცელულოზა
- ლიგნინი
- ექსტრაქტოვანი ნივთიერებები

ექტრაქტოვანი ნივთიერებების რაოდენობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სახეობაზე და არათანაბრად ნაქურთენზე და გულიან მერქანზე.

მერქნის მინერალური ნივთიერებების (ნაცრიანობის) შემცველობა ჩვეულებრივ მნიშვნელოვნად ნაკლებიაერთ პროცენტზე. მინერალური ნივთიერებები უმთავრესად წარმოდგენილი არიან კალციუმის და მაგნიუმის მარილებით.

უჯრედის კედელს აქვს ბადისებრი სტრუქტურა ცელულოზის ურთიერთშეკავშირებული გრძელჯაჭვიანი მოლეკულებისაგან ავსებული სხვა ნახშირბადებით (ჰემიცელულოზებით), ასევე ლიგნინით და სხვადასხვა ექსტრაქტოვანი ნივთიერებებით.

თუ მერქანს შევადარებთ არმატურიან ბეტონს, მაშინ მერქანში არმატურის ფუნქციის შემსრულებელია ცელულოზა და ჰემიცელულოზა, ხოლო შემკვრელ (მაკავშირებელ) ნივთიერებას წარმოადგენს ლიგნინი.

მერქნის ყველა სახეობის ელემენტარული ქიმიური შედგენილობა პრაქტიკულად ერთნაირია. აბსოლუტურად მშრალი მერქნის ორგანული ნაწილი შეიცავს საშუალოდ 45-50% ნახშირბადს, 43-44% უანგბადს, დაახლოებით 6% წყალბადსა და 0,1-0,3% აზოტს. მერქნის დაწვის დროს რჩება მისი არაორგანული ნაწილი – ნაცარი. ნაცრის შედგენილობაში შედის კალციუმი, ნატრიუმი, მცირე რაოდენობით ფოსფორი, გოგირდი და სხვა ელემენტები. ისინი წარმოქმნიან მინერალურ ნივთიერებებს, რომელთა უდიდესი ნაწილი (75-90%) წყალში უხსნადია. ხსნად ნივთიერებებს შორის ჭარბობენ კალციუმის და ნატრიუმის კარბონატები.

მერქნის თვისებები ძალიან არის დამოკიდებული მის ქიმიურ შედგენილობაზე, წიწვოვანი მერქნის სახეობები განსხვავდებიან ფოთლოვანებისაგან რამდენადმე მეტი ლიგნინის შემცველობით. ფოთლოვანი მერქნის სახეობების ჰემიცელულოზებს შორის ჭარბობს პენტოზანები. მხოლოდ

წიწვოვანი მერქნის ექსტრაქტოვანი ნივთიერებების შემადგენლობაშია გაფისული მჟავები. წლიური შრის ადრეულ ზონაში ნაკლებია ცელულოზა, ვიდრე გულში.

ზოგიერთი ფოთლოვანი სახეობის (იფანი, მუხა) გულში ცელულოზის შემცველობა მეტია, ვიდრე ნაქურთენში. ტოტების მერქანში ცელულოზის შემცველობა 3-10 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე ტანში. ქერქი ელემენტარული ქიმიური შედგენილობით ცოტათი განსხვავდება მერქნისაგან, მაგრამ მინერალური ნივთიერებები მასში მეტია, ვიდრე მერქანში. ქერქში ძირითად ორგანულ ნივთიერებებს შორის თანაფარდობა აგრეთვე სხვანაირია, ვიდრე მერქანში, აյ მნიშვნელოვნად ნაკლებია ცელულოზა (განსაკუთრებით ქერქში).

მერქანს სხვა მასალების საპირისპიროდ, აქვს სპეციფიკური თვისებები, რომლებიც გავლენას ახდენს ზედაპირის დამუშავებაზე და მათი ცოდნა აუცილებელია მერქნისათვის დაფარვის რეცეპტურების დამუშავების დროს, მექანიკური დამუშავების მეთოდებით დამუშავების დროს და ა.შ.

ხის ფოროვანი სტრუქტურა ხელს უწყობს, ერთის მხრივ სითხეების კარგ შეღწევას, მაგალითად, ლაქსალებავი მასალების მერქნის ზედაპირში შეწოვას, მეორეს მხრივ, ითხოვს სპეციალურ მიდგომას, მაგალითად, მსხვილფოროვან ზედაპირზე დაფარვის დადების დროს. წიწვოვანი სახეობების ისტორიული განვითარება დაიწყო უფრო ადრე, ვიდრე ფოთლოვანის, და მათი სტრუქტურაც უფრო მარტივია.

ფოთლოვანი ხის სახეობების წიწვოვანისაგან გარჩევა შეიძლება მათი არათანაბარი და სხვადასხვანაირი სტრუქტურის მიხედვით.ფოთლოვან მერქანს აქვს ჭურჭლები (ძარღვები), რომლებიც მიკროსკოპულ სურათზე გამოიყურება, როგორც ფორები. დაახლოებით ხის ტანის ღერძის სიგრძივ ორიენტირებულ ჭურჭლებს შეუძლიათ წარმოქმნან სიგრძით რამდენიმე მეტრის მილაკები, ნაღარები. განივი მიმართულებით გადაჭრილი ჭურჭლები მეტ-ნაკლებად შეიძლება გაირჩეს მკაფიოდ, როგორც აღნიშნული ნაღარები ფორებისაგან. ამასთან ასხვავებენ რგოლებჭურჭლოვან, გაბნეულჭურჭლოვან და ნახევრად რგოლებჭურჭლოვან მერქანს.

მერქნის ფორიანობას დიდი მნიშვნელობა აქვს მისი გადამუშავების და გამოყენების ბევრი პროცესებისათვის, როგორიცაა პლასტიფიკაცია, დაფარვის დადება, შეწებება, გაუღენთა. მეტისმეტად ძლიერფორებიანი მერქანი ხასიათდება უმნიშვნელო სიმტკიცით კუმშვაზე და გაჭიმვაზე, და ამიტომ დეფორმირდება წნეხვის, ხეხვის და გაპრიალების დროს. ასევე აქვს მიდრეკილება დასკდომისადმი იქ, სადაც დიდი ჭურჭლები მიახლოებულია ზედაპირთან.

დასერილი ჭურჭლები (ფორები) მათი ვიწრო განივი კვეთის და მათში განთავსებული ჰაერის შედეგად, არასდროს არ ივსება თვითნებურად ლაქსალებავი მასალით, ეს კი იწვევს დაფარვის სპეციფიკურ დეფექტებს. თუ მერქანი მუქი ფერისაა (ალუბლის ხე ან წითელი ხე),

მაშინ ფორის კედელი მეტად უნდა შეიძებოს, გარდა ამისა, გალაქვის შემდეგ ის გამოშუქდება რუხ-ვერცხლისფერად. ასევე შეუმჩნეველ რუხ ნათებას გამოააშკარავებს გადიდებულფორებიანი ზედაპირები. ამ შემთხვევაში ლაქის და მერქნის ზედაპირებს შორის არის ჰაერის ბუშტი. ირიბად დაცემული სინათლე აირეკლება ლაქ-ჰაერის ზედაპირის საზღვრიდან, და ამ დროს ფორები მოჩვენებითი ნაცრისფერია.

## 1.2. მერქნის ფიზიკური და ტექნოლოგიური თვისებები

მერქანი გამარტივებულად ხასიათდება როგორც მასალა, რომელიც ძირითადად შედგება ბოჭკოებისაგან, რომელთა სიგრძე მხოლოდ რამდენიმე მილიმეტრია და შემკვრელი ნივთიერებებისაგან. ერთმანეთთან შეწებებული ბოჭკოები მერქანს ანიჭებს არაჩვეულებრივ სიმაგრეს, ამიტომ მერქანი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მიხედვით შეესაბამება თანამედროვე მრავალფაზიან კომპოზიციურ მასალას და აქვს მისთვის დამახასიათებელი ანიზოტროპია. ანიზოტროპია წარმოიქმნება მერქნის ბოჭკოების პარალელური განლაგების გამო, ორიენტირებული ხის ზრდის მიმართულებით.

მერქანს აქვს განსხვავებული თვისებები სამ ძირითად განახერხში: განივში, ტანგენ-ციალურში და გრძივში (ნახ. 37).თითოეული მერქნისსახეობის მნიშვნელოვანი სპეციფიკური პარამეტრია მოცულობითი (მორცენებითი) **სიმკვრივე**, რომელიც, რა თქმა უნდა, ძლიერ გავლენას ახდენს ავეჯის ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებზე. მერქნის მოცულობითი სიმკვრივე შეიძლება იცვლებოდეს  $0,1\text{გ}/\text{მ}^3$ -დან  $1,3 \text{ გ}/\text{მ}^3$ -მდე. მერქნის მოცულობითი სიმკვრივე იზრდება ბოჭკოს კედლების სისქის ზრდასთან ერთად და უკუპროპორციულია მერქნისსახეობის ფორის მოცულობისა.

მერქნისსახეობის ფორის რადიუსის გაზრდით იზრდება ფორში ლაქსალებავი მასალის შეღწევის ფარდობითი სიღრმე. ფორის მოცულობა არის მრავალი ტექნოლოგიური თვისებების მახასიათებელი სიდიდე, რომელიც განსაზღვრავს მერქნისსახეობის სამომხმარებლო თვისებებს. მათ მიეკუთვნება:

- გაჯირჯვების და გაშრობის ხარისხი;
- მერქნის ტენით გაუღენთის და გაჯერების უნარი;
- სიმტკიცე ცვეთაზე (სიმაგრეზე, ცვეთამედეგობაზე);
- დრეკად-მექანიკური თვისებები.

### 1.3. მერქნის აღნაგობის და თვისებების გავლენა დამუშავების ტექნოლოგიზე

დურგალს სახარატო და სხვა სახის დამუშავების პრაქტიკაში უფრო ხშირად საქმე აქვს ტანგენციალურ და განივ სიბრტყეებში მოჭრილნამზადებთან (ნახ. 37). ნამზადის განივ ჭრილში შეიძლება გამოიკვეთოს ან გული ან ტანის ნაქურთენი, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ერთდროულად ერთიც და მეორეც. ბუნებრივია, რომ წაწყდები არაჭეშმარიტ გულსაც და ორფა ნაქურთენსაც. სხვადასხვა შრეულობის გამო ნამზადს აქვს სხვადასხვა ფერის და სიმაგრის ადგილები. ამის შედეგად მიიღება „ჭრელი“ დეტალი დამუშავების სხვადასხვა ხარისხით. სახარატო საქმიანობისათვის აუცილებელია ამ გარემოების გათვალისწინება და მასალის გულმოდგინედ შერჩევა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა ერთი ნაკეთობისათვის რამდენიმე ერთნაირი დეტალის დამუშავება. ყველაზე კარგ შედეგს იძლევა უშუალოდ ცაცხვი, ნაძვი და ნაქურთენიანი (ნეკერჩხალი, არყი) მერქნისსახეობა, რომელსაც აქვთ ერთგვაროვანი სიმკვრივე და სიმაგრე განივი ჭრილის მთელ სიბრტყეში. თითქმის ყველა სახის მერქანს აქვს ე.წ. ხვეულობა (ნახ. 39). წყვეტილით ნაჩვენებია ნამზადის ორიენტაცია. ხვეული მერქნის დამუშავება უკეთესიაგან ხორციელდეს დახერხვით, რომლის დროს შეიძლება დანაწევრიანების დამატებითი კორექტირება, ბოჭკოს გაშვებით ნამზადის გასწვრივ.

**ტერნიანობა** – მერქნის ფიზიკური თვისება, რომელიც ახასიათებს მასში ტერნის შემცველობას. მერქნის პიდროსკოპულობის თვისება იწვევს ორ ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენას – **შეშრობას და გაჯირჯვებას**. მერქნის შრეული აღნაგობის გამო მისი შეშრობა და გაჯირჯვება იწვევს ორი სხვადასხვა მიმართულებით ზომების არათანაბარ ცვლილებას: გრძივი მიმართულებით 3-5 პროცენტამდე, ტანგენციალური მიმართულებით 6-10 პროცენტამდე, ბოჭკოების გასწვრივ 0,1-0,3 პროცენტს.

მერქნის შეშრობის და გაჯირჯვების არათანაბრობა იწვევს მის დასკდომას, გამრუდებას, დეტალის დეფორმაციას. დაბრეცვის პროცესის თავიდან აცილების მიზნით ზოგიერთ დეტალებს (მაგალითად, ბაგეტს) ამზადებენ რამდენიმე ლარტყის პარალელურად შეწებილი ნაკრები ნამზადიდან. იმისათვის, რომ არ მოხდეს ნაკეთობის გადაბრეცვა არსებობს მთელი რიგი ხერხები (კერძოდ, მერქნისგაუდენთა ზეთებით, გამდნარი ცვილით და ა.შ.).

მერქნის ბოჭკოების მიკროსტრუქტურა ისეთია, რომ მერქანში ტერნის შეღწევის ყველაზე უფრო ხელსაყრელი გზა გადის ტორსზე, განსაკუთრებით მკვრივ სახეობებში. ამიტომ სახსრული შეერთების და ხრახნების გაანგარიშების და დამზადების დროს, აუცილებელია მუშალრეჩოების დატოვება დეტალების გაფართოების კომპენსაციისათვის. ტერნის მოქმედების ქვეშ მერქნის გაჯირჯვება შეიძლება დადებითად გამოიყენო. მაგალითად, მერქნის სამართულზე

ჩარხვის დროს მისი ზედაპირი იძლევა მსუბუქ ჩაჯდომას და დეტალი იწყებს თავისუფლად მობრუნებას. ამ შემთხვევაში დეტალის დაყენების სიმკრივის აღდგენა ხდება სამართულის დატენანებით.

მექანიკურ თვისებებს შორის მერქნის ხარისხის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია – სიმტკიცე. ერთი და იგივე სახეობის მერქანი უკეთესად იტანს ძალების მოქმედებას ბოჭკოების გასწვრივ, ბოჭკოების განივი მიმართულებით ძალების მოქმედების დროს მერქნის სიმტკიცე მკვეთრად მცირდება. მერქნის უნარი გახლეჩვისადმი მცირე დატვირთვების დროსაც კი გასათვალისწინებელია დამუშავების ყველა ეტაპზე, დაწყებული ნამზადიდან, რომელიც კარგად უნდა შემოწმდეს ბზარების უქონლობაზე, დამთავრებული აწყობით, როდესაც შეიძლება მოხდეს ერთი დეტალის გახლეჩვა მეორესთან მისი მეტისმეტად მკვრივად შეერთების დროს.

მერქნის სიმტკიცის სხვადასხვა მაჩვენებლები წინასწარ განსაზღვრავენ დამუშავების რეჟიმებს. ასევე მერქნის სიმაგრეც არ არის ერთნაირი: ტანის ქვედა ნაწილში ის მეტია, ვიდრე ზედა ნაწილში. წლიური რგოლების აღნაგობის განსაკუთრებული განსხვავების გამო უკიდურესად ძნელია მათი ხელის იარაღებით დამუშავება. გარდა რგოლებისა, მერქანის აქვს უფრო მაგარი სტრუქტურა ფესვურაში, როკში, კორძში. მერქნის მაგარი უბნების ხელით დამუშავება ძალიან ძნელია, მაგრამ მექანიკური დამუშავება – უფრო ადვილი და ეფექტური. მაგარი სტრუქტურის მერქნის დეკორატიული ნაკეთობა უფრო მტკიცეა, კარგად იტანს თხელკედლიან დეტალირებას, შესანიშნავად იხეხება და პრიალდება.

ნებისმიერი მერქნის ტორსული სიმაგრე გვერდითზე ბევრად უფრო მაღალია. ეს გარემოება გავლენას ახდენს დეტალების დამაგრების და მათი დამუშავების ხერხების შერჩევაზე, ნაკეთობაში მასალების ორიენტაციაზე და მერქნისაგან დამზადებულ აღჭურვილობაზე.

წლიურ რგოლებს თავის სხვადასხვა შრეებში ასევე აქვთ სხვადასხვა სიმაგრე. მრგვალი დეტალების ჩარხვის დროს ზედაპირზე შეიძლება გამოვიდეს წლიური რგოლების მაგარი ნაწილი. წარმოიქმნება „მაგარი“ და „რბილი“ რკალები, რომლებსაც საჭრისით გაჩარხვისას ჯერ კიდევ ექნებათ წრეწირის მოხაზულობა, მაგრამ ხერხვის შედეგად დეტალის სიმრგვალე შეიძლება დაირღვეს. ასეთ შემთხვევებში ხერხვას ახორციელებენ ძალიან ფრთხილად და შემოიფარგლებიან მხოლოდ ხაოს მოცილებით.

მერქნის სხვადასხვა ტექსტურა განსაზღვრავს დამუშავების, განსაკუთრებით კი გამოყვანის ოპერაციების სპეციფიკას. სახარატო და სხვა დეკორატიული საქმიანობისათვის უკეთესია მერქნის გამოყენება უფერული გამომხატველი წვრილი სტრუქტურით. სწორედ მერქნის შრეებს შორის ფერითი კონტრასტის არარსებობა ხელს უწყობს გამოჩარხული ნაკეთობის ერთიან აღქმას. ავეჯის ლავგარდანის მერქნის სტრუქტურა შეიძლება იყოს კონ-

ტრასტული და მსხვილი, მაგრამ ბაგეტისთვის მერქანს უნდა ჰქონდეს ზომიერი და ერთგვა-როვანი ელფერი. ღეკორატიულ ნაკეთობებში ხშირად ხდება სხვადასხვა ზის სახეობისაგან დე-ტალების შეერთება სხვადასხვა ტექსტურით და ფერით, რაც მთელ ნაკეთობას აძლევს თავისე-ბურ და განუმეორებელ სახეს.

რთული კონფიგურაციის დეტალებს ამუშავებენ რიცხვითი პროგრამული მართვის (რამ) დასამუშავებელ ცენტრებზე ფორმატურმოქმნის 3, 4 ან 5 სამართავი ღერძით. დასამუშავებელი ცენტრი არის პროგრამული მართვით მრავალოპერაციული ჩარხის გავრცელებული სახელწო-დება.

ამ მაღალმწარმოებლური ცენტრებით შესაძლებელია მერქნის დამუშავების ყველა სახის ოპერაციების ავტომატურ რეჟიმში შესრულება – ამისათვის საკმარისია პროგრამის ერთხელ შეყვანა და ცენტრი დაიწყებს შეკვეთილი ოპერაციების შესრულებას. გარდა ამისა, ცენტრი დაკომპლექტებულია ინსტრუმენტების ავტომატური გამოცვლის სისტემით. რიცხვითი პროგრამ-ული მართვის ცენტრებით ხის დასამუშავებელი ჩარხები გამოირჩევან პოზიციურობის გან-საკუთრებული სიზუსტით, ჭრის მაღალი სიჩქარით და მწარმოებლობით, რასაც განაპირობებს პირველი კლასის ელექტრული და მექანიკური მაკომპლექტებელი ნაწილები.

დასამუშავებელი ცენტრები გამოიყენება შემდეგი მასალების დასამუშავებლად: მერქანი, ფანერი, მერქანბურბუშელოვანი ფილა, მერქანბოჭკოვანი ფილა MDF, ფერადი ლითონები, ალუ-მინის შენადნობი, პლასტმასები, პლასტიკები.

დასამუშავებელი ცენტრები უზრუნველყოფენ მაღალ სიზუსტეს და მოქნილობას შემდეგი ოპერაციების შესრულების დროს: ფრეზვა სიბრტყეზე (2D) და სამგანზომილებიან სივრცეში (3D), მოცულობითი დეკორი (3D გრავირება), პროფილების ღარვა, კონტურზეფრეზვა, ბურღვა (გამჭოლი და ღრუ ნახვრეტების), ნახვრეტების მონიშვნა, მასალის სწორხაზოვანი და მრუდხა-ზოვანი დანაწევრება, კილოების ამოღება.

დასამუშავებელი ცენტრებზე შეიძლება როგორც სადურგლო ნაკეთობების (ფანჯარა, კა-რები, კიბე), ასევე ავეჯის დეტალების (ფასადები, ლირსები, მაგიდის თავსახურები) დამზადება.

რიცხვითი პროგრამული მართვის ჩარხებისათვის მიღებულია კოორდინატების აღნიშვნის ერთიანი სისტემა რეკომენდირებული ISO-ს (**International Organization for Standardization – სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია**) მიერ.

ყველა სახის წრფივი გადაადგილება განიხილება სამ განზომილებიან დეკარტის X, Y, Z კოორდინატთა სისტემაში. ბრუნვა თითოეული „ძირითადი“ ღერძის ირგვლივ აღინიშნება A, B, C (A – ბრუნვა X ირგვლივ, B – Y ირგვლივ, C – Z ირგვლივ). (ნახ. 40).

ძირითად ღერძებზე X, Y, Z გადაადგილების გარდა, შესაძლებელია გადაადგილება პარალელურ ან „მეორეულ“ ღერძებზე (U, V, W) და მესამეულ ღერძებზე (P, Q, R).

ჩარხის კოორდინატების განლაგების სქემაზე, თუ როგორ ხორციელდება ინსტრუმენტის ან ნამზადის გადაადგილება – მიღებულია შემდეგი:

- ინსტრუმენტის გადაადგილება აღინიშნება X, Y, Z და A, B, C
- ნამზადის გადაადგილებისათვის გამოიყენება იგივე ასოები, მაგრამ შტრიხით X□, Y□, Z□ და A□, B□, C□.

მაგალითად, ინსტრუმენტის გადაადგილება X ღერძის ირგვლივ მრუდწირული კონტურის შემოვლის დრო აღინიშნება A, ნამზადის მობრუნება საბრუნ სამარჯვეში დამუშავების დროს – A□. შესაბამისად, Y ღერძის ირგვლივ გადაადგილებისათვის გამოიყენება აღნიშვნები B და B□, Z ღერძის ირგვლივ C და C□.

დასამუშავებელი ცენტრების ძირითადი უპირატესობებია – მათი საიმედობა, მწარმოებლობა, დეტალების კომპლექსური დამუშავების შესაძლებლობა, დამუშავების პროცესის მნიშვნელოვანი დაჩქარება, ნარჩენების რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება, მზა პროდუქციის ხარისხის ამაღლება, შეძენის ხარჯების სწრაფუად ანაზღაურება, წარმოების ვადების შემცირება, ეწ. „ადამიანური ფაქტორის“ პრაქტიკულად გამორიცხვა.

მცირე და საშუალო ბიზნესისათვის მინი-ფაბრიკის **online** პროგრამაში დამუშავების ყველა სახის პროცესების ურთიერთკავშირი ასახულია ერთ საწარმოო უბანზე: ხერხვა, ნაწილურების მოპირკეთება, ბურღვა, ფრეზვა, ხეხვა და აწყობა. ინფორმაციის მატარებელის სახით გამოიყენება ეტიკეტი შტრიხ-კოდით. ის იხსნება დეტალის სპეციფიკის მითითებით მისი ხერხით გამოჭრის შემდეგ. პროგრამული ნომერის შეყვანის ან სკანერით შტრიხ-კოდების ათვლის წყალობით შეიძლება ჩარხებზე დამუშავების შემდეგი სახის დაწყება.

რიცხვითი პროგრამული მართვის ცენტრებზე დეტალის დამუშავება ნესტინგის (დანაწევრების ოპტიმიზაცია, ინგ. **Nesting**, „ჩადება“) ტექნოლოგიის მეთოდით სრულფორმატიანი ფილიდან ნამზადების სრული ფორმატირების საშუალებას იძლევა ერთ სამუშაო ციკლში, მათ რიცხვშია ფურნიტურისათვის ნახვრეტების ბურღვაც. შექმნილია ახალი კომბინაცია „ნესტინგი“ და საწყობი, რომელიც იძლევა საშუალებას მცირე საწარმოს პირობებში განახორციელოს დეტალის ავტომატური ჩართვა შემდგომი ტექნოლოგიური პროცესისათვის.

ერთი და იგივე ტექნოლოგიური ოპერაცია, დაკავშირებული მერქნის ჭრით დამუშავებასთან, შეიძლება განვახორციელოთ სხვადასხვა მუშაობის რეჟიმის პირობებში. ჭრის დროს პროცესის განმსაზღვრელი პირობებია: საჭრისის კუთხური პარამეტრები, ჭრის სიჩქარე და მიწოდების სიჩქარე. ჭრის სიჩქარე ყოველთვის მნიშვნელოვნად აღემატება მიწოდების სიჩქარეს.

ზედაპირის საბოლოო ხარისხი მიწოდების სიდიდეზეა დამოკიდებული. როგორც დიდი, ისე მცირე მიწოდება არახელსაყრელ შედეგს იძლევა. განსაკუთრებით დიდი მიწოდება ზედაპირის ტალღოვნების და უსწორობის მიზეზია, ხოლო მეტად მცირე მიწოდების დროს ინსტრუმენტის მჭრელი წახნაგები ხეხვის ეფექტის შედეგად ბლაგვდება.

#### 1.4. მერქნის მახასიათებელი ტენის მიმართ

ერქნის სუბმიკროსკოპული სტრუქტურა არის იმის მიზეზი, რომ მისი ტენიანობა განისაზღვრება გარემოს ჰაერის ტენიანობით, რომ ის ჰიგროსკოპიულია.

მერქნის ტენიანობა პირველ რიგში გავლენას ახდენს მერქნის ზედაპირის უნარზე გაისულებოს ლაქსალებავი მასალით, ასევე სიმაგრეზე, დრეკადობაზე, მდგრადობაზე მწერებისა და სოკოების მიმართ.

**წყლის სორბციული თვისებები და კაპილარული შთანთქვა**

ასხვავებენ სისტემის „მერქანი-წყალი“ სამ სასაზღვრო მდგომარეობას:

- **აბსოლუტურად მშრალი**

აბსორბციული არე იწყება ე.წ. აბსოლუტური მშრალი მდგომარეობის დროს, როდესაც ტენიანობა ნული პროცენტია. ამ მდგომარეობას აღწევენ ტექნიკური საშუალებებით ტენის გამოორთქვლით და მერქნის გაშრობით მუდმივ მასამდე  $103^0$  C-დან  $105^0$  C ტემპერატურის დროს.

- **ბოჭკოების გაჯერება**

ბოჭკოების ტენიანობის გაჯერების მიღწევის დროს უჯრედოვანი გარსი გაჯერებულია წყლით, ხოლო უჯრედების ღრმულები ჯერ კიდევ არ შეიცავს წყლის წვეთებს. გაჯერებული ბოჭკოების სასაზღვრო მდგომარეობა არის თვით წყლის ბმულების ყველაზე მაღალი შემცველობის არე. ბოჭკოების გაჯერების არეს მიღწევის დროს, არ ხდება შემდგომი გაჯირჯვება და მასთან დაკავშირებული ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შეცვლა.

- **გაჯერება წყლით**

მერქნის მიკრო და მაკროსისტემები მაქსიმალურად ავსებულია წყლით. მერქნის წყლით გაჯერების დროს მისი ტენიანობა დამოკიდებულია მერქნის სიმკვრივეზე.

მერქანს აქვს დიდი ხელდროიდი შიდა ზედაპირი (მაგალითად, ნაძვისათვის ის შეადგენს  $220 \text{ mm}^2/\text{g}$ ). მას აქვს წყლის და წყლის ორთქლის შთანთქმის და შთანთქმული ტენის გაცემის უნარი. ტენის შემცვლელობისაგან და გარეშემომყოფი ჰაერის ტემპერატურისაგან დამოკიდებულებით ხდება განსაზღვრული წონასწორული ტენიანობის დადგენა. კლიმატური ზო-

ნისაგან დამოკიდებულებით გარე გამოყენების მერქნის ნაკეთობები შეიცავენ ტენს საშუალოდ 12-21%, საცხოვრებელ შენობაში ეს მაჩვენებელი შეადგენს დაახლოებით 8-10%.

მერქნის წონასწორული ტენიანობა შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს წინასწარი თერმული და ჰიდროთერმული (მაგალითად, მაღალტემპერატურიანი შრობა) დამუშავებით. მერქნის ტენიანობა მნიშვნელოვნად მცირდება  $200^{\circ}\text{C}$  დროს. სითბოთი და დაწნევით დამუშავება ამცირებს ჰემიცელულოზის (მერქნის შემადგენლის) შემცველობას, რაც იწვევს მერქნის ტენიანობის შემცირებას და აუმჯობესებს ნაკეთობის ფორმის მდგრადობას.

$180-240^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზეთერმული დამუშავების დროს მცირდება წონასწორული ტენიანობა და ხდება 50 პროცენტამდეშეშრობა. მერქნის დააცეტილირებით დამუშავება ამგვარადვე იძლევა წონასწორული ტენიანობის მნიშვნელოვან შემცირებას და აუმჯობესებს დეფორმაციის მიმართ მდგრადობას.

წყლის შთანთქმა დროის ერთეულში მნიშვნელოვნად უფრო მაღალიაბოჭკოების გასწვრივ, ვიდრე გრძივი და ტანგენციალური მიმართულებით. ეს გამონათქვამი სამართლიანია ჰაერიდან ტენის შთანთქმის შემთხვევაშიც. დიდი განივი კვეთის დროს (მაგალითად, ზე-ტყის მასალისაგანშეწყვილი ფიცრები) წონასწორული ტენიანობა მთელ კვეთაში მიიღწევა ხანგრძლივი დროის განმავლობაშიდავარგებით.

ბოჭკოების გაჯერების მდგომარეობამდე მერქნით წყლის შთანთქმა ხორციელდება დიფუზიის ან კაპილარული ძალებით შეწოვის გზით. მერქნის სიმკვრივის გაზრდა ამცირებს წყლის შთანთქმის სიჩქარეს. მერქნის მეტისმეტად ტენიანი ან მეტისმეტად მშრალი დამუშავება გარემო პირობებში ტენიანობის გათანაბრების დროს იწვევს ძაბვებს (მექანიკურ) და მერქანში წარმოქმნის ნაპრალებს (ნახეოქებს) და, შესაბამისად, ლაქსალებავ დაფარვაშიც.

მთლიანობაში ლაქსალებავი მასალებით მუშაობის დროს მერქნის ტენიანობა უნდა იყოს  $<12\%$  გარე სამუშაოების დროს და  $<10\%$  შენობის შიგნით მუშაობის დროს.

## 1.5. მერქნის გაჯირჯვება, შეშრობა და სიმაგრე

მერქნის მოლეკულურ სტრუქტურაში შთანთქმული და განაცემი წყლის მოლეკულები ტენის შთანთქმის დროს გაჯირჯვდება და შრება მისი წასვლით. მერქნის ანიზოტროპულობის გამო შეშრობის და გაჯირჯვების სიდიდეები განსხვავებულია სამი მთავარი მიმართულებით:

- წლიური შრების მიმართულებით – თითქმის 10%;
- გულგულის სხივების მიმართულებით – თითქმის 5%;
- ბოჭკოების გასწვრივ – დაახლოებით 0,1%.

ამასთან ერთად შეშრობა და გაჯირჯვება მიმდინარეობს მერქნის ტენიანობის პროპორციულად. მერქნის და მერქნული მასალების გაჯირჯვებას და შეშრობას აქვს, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა ლაქსალებავი მასალებით დაფარვისათვის, რადგანაც დაფარვამ უნდა შეინარჩუნოს სიმტკიცის შეჭიდულობა (ადჰეზია) და პლასტიკურობა (დასკდომის გამორიცხვა) მერქნის ზომების ცვლილების დროს.

ლაქსალებავი სისტემების შრობაზე და გამყარებაზე მოქმედი ფაქტორები მოცემულია (ნახ.41).

მერქნის შემდეგი მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური თვისებაა მისი სიმაგრე. სიმაგრის განსაზღვრაზე გავლენას ახდენს მოცულობითი სიმკვრივე, ბოჭკოების მიმართულება, აღრეული და საგვიანო მერქნის წილი, ლიგნინი და ფისი, ასევე ტენიანობა. სიმაგრეს და მასთან ერთადმერქნის შერჩევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იატაკის და პარკეტის ლაქსალებავით დაფარვის დროს მერქნის სიმკვრივე განისაზღვრება ბრინჯლის მეთოდით ტენის 12%-მდე შეცველობის დროს.

## თავი II. მერქნის ქიმია და შედგენილობა

### 2.1. მერქნის შემადგენელი ნაწილები

მორფოლოგიასთან ერთად მერქნის ქიმია დიდ გავლენას ახდენს ლაქსალებავი მასალით დაფარვის შედეგზე. ყველა სახეობის მერქნი ძირითადად შედგება ცელულოზისაგან (40-50%), ლიგნინისაგან (20-30% - ფრანგი მეცნიერის ჯორჯ მოლერის მიერ მინიჭებული სახელი) და ჰემიცელულოზისაგან (15-25%) (ნახ. 38). მერქნის შემადგენლობის სხვა შემცველებია – ფისები, ზეთები, ცვილები, ალკალიოდები, საღებარები, მთრიმლავი ნივთიერებები (იხ. სათრიმლავი ნივთიერებები), არაორგანული და ორგანული მჟავები რაოდენობებით 1-30 პროცენტამდე, რომლებიც სახეობისა და რაოდენობისაგან დამოკიდებულებით სხვადასხვა გავლენას ახდენს მერქნის შენახვაზე, თვისებებზე და მის პრაქტიკულ ღირებულებაზე.

ლიგნინი წარმოადგენს გამერქნებული მცენარეული ქსოვილის ჩონჩხისებრ შემადგენელ ნაწილს. მერქნისახეობისაგან დამოკიდებულებით განსხვავებულია ლიგნინის შემცველობა, ასე მაგალითად, წიწვოვან სახეობების ის შეადგენს 25-32%, ხოლო ფოთლოვანში 18-32%. წყალში უხსნადი ლიგნინი ულტრაიისფერი დასხივების მოქმედების ქვეშ ფოტოლიზით დანაფოტდება წყალში ხსნად პროდუქტებად. ეს არის მერქნის ფერის გამუქების ან ელფერის შეცვლის მიზეზი, რუხი (ნაცრისფერი) შეფერილობის გამოჩენა გამჭვირვალე დაფარვის დადების დროს და ქაღალდის შეყვითლება, რომელიც შეიცავს მერქნის მასას. ცელულოზას და პოლიოზებს (ჰემი-

ცელულოზა) ასევე შეუძლიათ ხელი შეუწყონ ფერის შეცვლას ულტრაიისფერი დასხივების მოქმედების ქვეშ. ფერის შეცვლა შეიძლება სუსტად იყოს გამოსახული და გამოვლინდეს ხანგრძლივი დროის შემდეგ. ცელულოზის ფოტოქიმიური დესტრუქცია ხელს უწყობს მექანიკური დატვირთულობის სიმტკიცის შემცირებას. ატმოსფერული ზემოქმედების ქვეშ სწორედ მერქნის გარე ნაწილებში ხდება ცელულოზის და პოლიოზის (ჰემიცელულოზის) დაშლა (იხ. ეს საინტერესოა).

მერქნის შემადგენელი ნაწილების ქვეშ, ასევე წოდებული აქცესორული (მეორეხარისხონი), იგულისხმება მერქნის ყველა შემადგენელი ნივთიერება, რომელიც არ მიეკუთვნება სტრუქტურულ ელემენტებს. მათ შეუძლიათ სხვათა თანაფარდობით გავლენა იქონიონ მერქნის თვისებებზე და სამომხმარებლო ღირებულებაზე, პასუხს აგებენ მერქნის სუნზე და ფერზე, ასევე ხშირად არიან ფერის შეცვლის მიზეზიც. ამ ნივთიერებების შემცველობა დამოკიდებულია მერქნისახეობაზე და მისი ზრდის ადგილზე. რაც უფრო თბილია მერქნის ზრდის ზონა, მით უფრო მეტი ინგრედიენტია მასში. ამის გამო იზრდება მერქნის მდგრადობა სოკოების და მწერების მიმართ. ამ სახეობისმერქნისათვის დამახასიათებელია ლიგნინის მაღალი შემადგენლობა და უფრო მაღალი სიმაგრე და სიმკვრივე.

მერქნის შემადგენელი ნაწილები დაიყოფა:

- არაორგანული კომპონენტები, ე.წ. ნაცარი;
- ცხიმები და ექსტრაქტოვანი ნივთიერებები;
- ბუნებრივი ფისები.

არაორგანულ კომპონენტებს მიეკუთვნება კალციუმის, კალიუმის და მაგნიუმის ნაერთები, ასევე მიკროელემენტები, როგორიცაა არიან-კატიანები რკინის, ბორის, მაგნიუმის (შავი ქვის) და ა.შ. არაორგანული ინგრედიენტების შემცველობა მერქნის ზრდის ზომიერ ზონაში შეადგენს 0,2-1%, ტროპიკულ მხარეში – ნაწილობრივ 5%-ზე მეტს.

ცხიმებს და ექსტრაქტოვან ნივთიერებებს მიეკუთვნება მერქნის ყველა დაბალმოლეკულური ჰიდროფობული ნაერთები. მერქნის ინჰიბიტორულ კომპონენტებს, მაგალითად პოლიფენოლებს შეუძლიათ გამყარების შენელება (დაყოვნება) უკერი პოლიეთერული მასალების და შედგენილობების გამყარებული ულტრაიისფერი დასხივებით. ასევე შეუძლიათ გამოიწვიონ ფერის შეცვლა, თუ ისინი შედიან რეაქციაში, დაფარვიდან გამოყოფილ საღებრებთან. თრიმლ-მჟავა, მაგალითად მუხის მასალისაგან, სხვა კომპონენტებთან კონტაქტის დროს, როგორიც არიან ლითონები, შეუძლია გამოიწვიოს ფერის ლაქოვანი ცვლილება. განსაკუთრებით ეს ხშირად შეიმჩნევა წყალში ხსნადი ლაქების და ბეიცების [გერმ. Beize] გამოყენების შემთხვევაში, რადგანაც მერქნის მღებავი კომპონენტების უმრავლესობა წყალშიხსნადია. ასევე საფრთხილოა,

მაგალითად სილურჯის გამოჩენა მუხაზე და მერქნის სხვა სახეობებზე, რომლებიც მდიდარი-ამთრიმლავი ნივთიერებებით (იხ. სათრიმლავი ნივთიერება). ამასთან ფერის შეცვლის მიზეზს წარმოადგენს, არა მერქნის კომპონენტები, არამედ გაჭუჭყიანება რკინის საინსტრუმენტო მტვერით (ლითონის ნახერზი და ხერხვის ნარჩენები) ან წყლის გამოყენებით, რკინის შემცველობით.

ბუნებრივი ფისები თავის მხრივ წარმოადგენენ გაფისული მუავების (რეზინოლური მუავები), გაფისული სპირტების (რეზინოლუბი), გაფისული მუავების და სპირტების, რთული ეთერების (ესტერების), ფენოლის წარმოებულის მთრიმლავი ნივთიერებების თვისებებით და ნაწილობრივ უჯერი უანგბადშემცველი შეერთებებისნარევს. ტერპენტინი წარმოადგენს ექსტრაქტოვანი ნივთიერებების ნარევს, რომელიც გვხვდება ფისთან (კანიფოლთან) ერთად. ის ასრულებს გამხსნელის როლს, რომლის ამოცანაა ფისის შემადგენლობის განზავება და გახდეს ის დენადი, რადგან ტერპენტინის შემადგენელი ნაწილები ადვილ აქროლადებია და მათი რაოდენობა მცირდება მერქნის შენახვის ვადისაგან დამოკიდებულებით.

წყალბადის მაჩვენებელს  $pH$  აქვს დიდიმნიშვნელობა მერქნის პრაქტიკული გამოყენების დროს. მერქანთან კონტაქტში მყოფი ლითონი შეიძლება იყოს კოროზირებული. წებოს ადჰეზიის უნარიანობა დამოკიდებულია  $pH$ . მისი მნიშვნელობა გავლენას აზდენს დამცავი საშუალებების ფიქსირებაზე. ერქნის  $pH$  მიმართ ყურადღება დაკავშირებულია ცელულოზის ხარშვასთან, მერქანბოჭკოვანი და მერქანბურბუშელოვანი ფილების წარმოებასთან, მერქნის პლასტიფიცირებასთან.

დამუშავებულია მერქნის  $pH$  მნიშვნელობის განსაზღვრის მთელი რიგი მეთოდები, რადგანაც ამ მაჩვენებლის პირდაპირი გაზომვა ტენის შემცველობის დროს ბოჭკოს გაჯერების წერტილის ზევით იძლევა გაურკვეველ შედეგს. წყლის განსაზღვრული რაოდენობებით ექსტრა-ჰირება გამოიყენება მხოლოდ შედარებითი შეფასებისათვის.

ასოლუტური გაზომვისათვის ძირითადად გამოიყენება ორი მეთოდი: პირველი – ტენის  $pH$  განსაზღვრა განტოლების გზით, მუავის ან ტუტის ხსნარის  $pH$ -ის დაწვრილმანებული მერქნის წყლიანი სუსპენზიის  $pH$ -თან, მეორე – გრაფიკული მეთოდით (მრუდების მიმართ მხების გადაკვეთის წერტილების დადგენა) მერქნის  $pH$  შეფასება გაზომვებით მისი მარილმუავას და ნატრიუმჰიდროქსიდის ხსნარში ჩაძირვის შემდეგ. აგრეთვე გამოიყენება სითხის  $pH$  გაზომვის პირდაპირი მეთოდი გამოდენილი ორთქლით დამუშავებული მერქნის წნებვის დროს. მერქნის მუავა რეაქცია მეტწილად განპირობებულია თავისუფალი და ადვილ ახლეჩადი მუავებით, უპირატესად ძმარმუავით. განსაზღვრული შედეგი შეიძლება მოგვცეს სხვა მუავებმაც, მეტადრე ტროპიკული სახეობის მერქანში.

ნაქურთენიანი და გულიანი მერქნის **pH** განსხვავება უმნიშვნელოა, **pH** სუსტ გავლენას ახდენს მერქნის ჭრაც. მერქნის ზრდასთან ერთად, ასევე ნოტიო პირობებში შენახვის დროს იზრდება მისი მუავიანობა.

გარემოს მუავური გაჭუჭყიანება იწვევს ქერქის შემუავებას. ტუტიანი გაჭუჭყიანების დროს, რომელსაც მიეკუთვნება კირიანი მტვერი, ნაცარი, იზრდება ქერქის **pH**. ატმოსფეროში მუავების გამოდევნა ზრდის ქერქის მუავიანობას.

მერქნის ქერქი შეიძლება იყოს გამოყენებული, როგორც გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების დამგროვებელი, დაკავშირებული მცენარის სწრაფი ზრდის პრობლემებთან. მერქნის ქერქის **pH** წარმოადგენს ბიონდიკაციის აკუმულირების კარგ მეთოდს. მოზრდილი მერქნის ქერქის გარე ნაწილი ძირითადად შედგება გამხმარი ქსოვილებისაგან, ამიტომ მათ არ აქვთ ფიზიოლოგიური აქტივობა.

წყალბადის მაჩვენებელი **pH** იანგარიშება როგორც წყალბადის იონების კონცენტრაციის უარყოფითი ათობითი ლოგარითმი გამოსახული მოლებით ლიტრაზე:

$$pH = -\lg[H^+].$$

**pH** გამოისახება პირობით ერთეულებში. მისი დიაპაზონი იცვლება 0-დან (ძალიან მუავიანი) 14-მდე (ძალიან ტუტიანი), ხოლო 7 ნეიტრალური გარემოა.

ზის ქერქი შეიძლება იყოს მინერალური და მკვებავი ნივთიერებებითღარიბი ან მდიდარი. ღარიბ ქერქს, როგორც წესი აქვს უფრო დაბალი **pH** მაჩვენებელი და, პირიქით, მდიდარს – უფრო მაღალი. ზის სახეობებს, ნაძვს, არყის ხეს, მურყანს (თხმელას), მუხას აქვთ მუავე ქერქი **pH=3.1-3.4**. მდიდარ ქერქს (კიდევ უწოდებენ სუბნეიტრალურს) აქვს **pH=4.7-7.1** და შეინიშნება ისეთ სახეობებში, როგორიცაა ნეკერჩხალი, თელა, იფანი (კოპიტი), ცაცხვი. ერთი და იგივესახეობის ქერქის თვისება შეიძლება იცვლებოდეს საერთო გეოქიმიური ფონისაგან.

**pH** მნიშვნელობა გავლენას ახდენს ლაქსალებავი დაფარვის გამყარებაზე, ფერის შეცვლაზე დამერქნის შეწებებაზე. ზოგიერთი შემკვრელი ნივთიერებების (წებოების) **pH** დაბალი მნიშვნელობა იწვევს გამყარების დაჩქარებას და ამოკლებს წებოიანი ნაკერის „ღია დროს“.

ზოგიერთი ზის სახეობების დაბალი **pH** მნიშვნელობები და მათი გავლენა დაფარვაზე მოცემულია ცხრილში (1).

მერქნის დაცვის ქვეშ იგულისხმება ყველა ის ღონისძიება (მეთოდი), რომლებიც მერქანს და მერქნის მასალებს თავიდან ააცილებს ან შეანელებს მათ რღვევას და შესაბამისად მათი ღირებულების დაკარგვას.

მერქნის ნაკლოვანებებია:

- ადვილად ექვემდებარება დესტრუქციას და შეუძლია სოკოებისაგან, მწერებისაგან და მიკროორგანიზმებისაგანრღვევა;
- აქვს ჰიგროსკუპულობა (ტენის შთანთქმის ან მისი გაცემის უნარი და ამის გამო გაჯირჯვდეს და გამოშრეს);
- აქვს წვადობა.

ზოგიერთი ხის სახეობების pHმნიშვნელობები და დაფარვაზე მათი კომპონენტების გავლენა

### ცხრილი 1

მერქნისახეობები	pHმნიშვნელობა	ტიპი და დაფარვაზე ინგრედიენტის მოქმედება
<b>ფოთლოვანი</b>		
აფროზია (Afrormosia)	4,5	გამყარების შენელება, დაფარვის გაუფერულება, ლითონის კოროზია მერქანთან კონტაქტის დროს
აფზელია (Afzelia)	4,9	გამყარების შენელება, დაფარვის გაუფერულება
იროკო	6,4	კომპონენტები, რომლებიც აზიანებენ პოლიეთერულ ლაქებს
ნეკერჩხალი	5,1	დაფარვის გაუფერულების საშიშროება
არყი, არყის ხე	4,8	არააქტიური ზედაპირული შრის წარმოქმნა ცნიმოვანი ნივთიერებების ხარჯზე
წიფელი	5,4	კარგი უნარი საჟლენისი გამოყვანისადმი და გალაქვისად-მი
მუხა	3,8	შეიცავს თრიმლმჟავას, გაუფერულების მოქმედება, ლურჯი შეფერილობა ლითონთან კონტაქტის დროს
ფრამირა	4,1	შეიცავს თრიმლმჟავას, გაუფერულების მოქმედება, გამუქე-ბა ლითონთან კონტაქტის დროს
მერბაუ	4,3	დაფარვის გაუფერულება
მანსონია	4,3-6,2	შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც ინპიბირებენ პოლიეთე-რული ლაქების გამყარებას
სიპო	6	გამყარების შენელება, დაფარვის გაუფერულება
ტექსტონა	5,1	ხშირად დაფარვაზე მქრქალი ნადების წარმოქმნა
<b>წიწვოვანი</b>		
ფიჭვი	5,1	ფისის გამოყოფის რისკი ტემპერატურის მომატების დროს მაღალი ფისოვნების გამო
ნაძვი	5,3	შესაძლებელია ფისის უმნიშვნელო გამოყოფა
ლარიქსი	4,3	ფისის გამოყოფის რისკი მაღალი ფისოვნების გამო, ზოგჯერ დაფარვის გაუფერულება
დუგლასია	3,5	ფისის გამოყოფის რისკი, დაფარვის გაუფერულება
ფისიანი ფიჭვი	3,5	ფისის გამოყოფის რისკი მაღალი ფისოვნების გამო

მერქნის არასაკმარისი ბუნებრივი მდგრადობის გამო (იხ. მერქნის ბუნებრივი მდგრადობა) მისი გარე გამოყენების დროს ის დაცული უნდა იყოს კონსტრუქციულად (იხ. მერქნის კონ-სტრუქციული (სამშენებლო) დაცვა). დამატებით შეიძლება საჭირო გახდეს მერქნის დაცვა ატ-მოსფერული ზემოქმედებისაგან დამფარავი შრების ხარჯზე (მერქნის ფიზიკური დაცვა) ან

ქიმიური დაცვა სპეციალური ლაქსალებავი მასალების (ლსმ) საშუალებით (იხ. მერქნის დამცავი საშუალებები).

მერქნის ქიმიური დაცვისათვის გამოიყენება:

- ღრმა დამუშავება (გაუღენთა წნევის ქვეშ);
- ჩაძირვა (ზედაპირული დამუშავების ხერხები).

წნევის ქვეშ გაუღენთის დროს ხდება მერქნის ნაქურთენში ქიმიური დაცვის საშუალებების სრული შეღწევა (სრული დაცვა). ჩაძირვის მეთოდის დროს (ხანგრძლივი ჩაძირვა) ხის სახეობები მთლიანად უნდა იყოს ჩაძირული ხანგრძლივი დროის განმავლობაში (24 საათი-დან რამდენიმე დღემდე). მერქნის სახეობებისაგან დამოკიდებულებით ამ მეთოდით შეღწევის სიღრმე აღწევს რამდენიმე მიკრონიდან რამდენიმე მილიმეტრამდე.

## 2.2. მერქნის ქიმიური და თერმული მოდიფიკაცია

მერქნის ქიმიური და თერმული დამუშავება მერქნის დაცვის საშუალებების გამოყენების გარეშე მერქნის სახეობებს ხდის ზომების ცვლილებისადმი უფრო მდგრადს და მტკიცეს. საუბარია იმაზე, რომ ნაკლებად ძვირფასი (ფასეული) მერქნის სახეობების ხარისხის გაუმჯობესების გზით შესაძლებელია ხის მასალებისათვის მაღალხარისხოვანი და ერთგვაროვანი დაფარვის მიღება. მერქნის სიმტკიცის ამაღლებასთან ერთად მისი მოდიფიკაციის დროს შეიძლება ნაწილობრივ მიღწეული იყოს ხარისხის ამაღლება და ზოგიერთი თვისებების გაუმჯობესება, მაგალითად:

- ზომების სტაბილურობა (გაჯირჯვების-შეშრობის შემცირება);
- მდგრადობა ატმოსფერულ პირობებისადმი და მათ რიცხვში ულტრაისფერ-იგამოსხივებისადმი;
- დაწებების სიმტკიცე;
- თერმული სტაბილურობა.

მერქნის დააცეტილირების მეთოდით დამუშავების დროს ცელულოზის და ლიგნინის ჰიდროფიზიკური ურთიერთმოქმედებენ ძმარმჟავის ანჰიდრიდთან. ჰიდროფიზილის ჯგუფის ეთერიფიკაციის შედეგად ხდება მერქნის ჰიდროფობულობა. მერქნის დააცეტილირება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მის მედეგობას, ზომების სტაბილურობას და ამაღლებს ულტრაისფერი დასხივების მდგრადობას. მერქნის სახეობებისაგან დამოკიდებულებით დააცეტილირების პროცესის დროს ხდება მერქნის ფერის ელფერის შეცვლა, მერქანში რჩება ძმარმჟავის უმნიშვნელო რაოდენობა, რომელიც შეიგრძნობა სუნით.

მერქნის მელამინის ფისებით ქიმიური მოდიფიკაციის გზით ფისების მერქნის პიდროქსილის ჯგუფებთან რეაქციის შედეგად (პოლიკონდენსაცია) მის ზედაპირზე წარმოიქმნება პოლიმერული ბადე. მელამინის ფისებით ხარისხის გაუმჯობესება იძლევა მერქნის ზომების უფრო მეტ სტაბილურობას, მეტ სიმაგრეს, იგი აუმჯობესებს დაცვას გაფუჭებისაგან. მელამინის ფისებით დამუშავებულ მერქნის სახეობებს ასევე უწოდებენ პოლიმერქანულს.

ბოლო წლებში ფართო პრაქტიკული გამოყენება პპოვაჟანგბადის შემცირებული შემცველობით (თერმომერქანი) მერქნის თერმული დამუშავების ტექნოლოგიამ. ეს საშუალებას იძლევა მივიღოთ მერქანი უფრო სტაბილური ზომებით და გადიდებული სანგამდლეობით. მერქნის  $150\text{--}240^{\circ}\text{C}$  ზევით გახურების დროს ჰემიცელულოზა, ცელულოზა და ლიგნინი თანმიმდევრულად იცვლება და სახელებული სახელწოდებების შესაბამისად. ცვლილება მთლიანად ხდება განივჭრილში.

მეთოდიკისაგან დამოკიდებულებით გახურება შეიძლება წარმოებდეს ცხელი ჰაერის წყლიანი ორთქლის ატმოსფეროში, ჟანგბადისაგან თავისუფალ აზოტის ატმოსფეროში ან ზეთის აბაზანაში.

დამუშავების ინტენსიურობის გაზრდით მცირდება მერქნის სიმკვრივე და სიმაგრე. ასე მაგალითად, მერქნის თერმული მოდიფიკაციის დროს სიმკვრივის მაჩვენებელმა შეიძლება მიაღწიოს 10-30%, ხოლო სიმაგრეშ დარტყმის დროს 30-60%. გადიდებული ინტენსივობით თერმულად დამუშავებული მერქანი, მაგალითად, ტყვის წიფელი, მუქდება.

თერმულად დამუშავებული მერქნის წონასწორული ტენიანობა ნორმალური კლიმატური პირობების დროს აშკარად კლებულობს.

თერმულად დამუშავებულ მერქანთან ფოლადის საკონტაქტო შემაერთებელი ელემენტების კოროზია, უფრო მძაფრია ვიდრე დაუმუშავებელთან. ივარაუდება, რომ ამის მიზეზი არის მერქანში ძმარმჟავის და ჭიანჭველმჟავის არსებობა, რომლებიც წარმოიქმნებიან დამუშავების პროცესში.

სინთეზური კომპოზიციური მასალები ნატურალური ბოჭკოებით დაარმატურებული – დღეისათვის ეს არის ბაზრის მეტი გაფართოება განვითარების მაღალი ტემპებით. ასეთი მასალების დამზადების წამყვანი რეგიონია ჩრდილოეთ ამერიკა.

კომპოზიციური მასალები მერქნისაგან და პლასტიკისაგან WPC (Wood-Plastic-Composites – სისტემა „მერქანი-სინთეზური მასალა<sup>+</sup>კომპოზიციური მასალა“) არის თერმოპლასტიკური გადამუშავებული კომპოზიციური მრავალშრიანი მასალა „სენდვიჩი-კონსტრუქცია“. თერმოპლასტიკური სინთეზური მასალების გადამუშავება შეიძლება სხვადასხვა ხერხით, მაგრამ უპი-

რატესობას ანიჭებენ ექსტრუზიას. ასეთი მასალები გამოიყენება სივრცითი, დაუმაგრებელი, სტა-ბილური ფორმის ობიექტების დასამზადებლად.

დღეისათვის ყველაზე ცნობილი WPC მასალების შედგენილობაშია:

- მერქანი (მერქნის ფქვილი) – არა უმცირეს 50% (შემცვები);
- თერმოპლასტიკური სინთეზური მასალები, როგორიც არის პოლიეთილენი, პოლიპროპილენი და პოლივინილჰქლორიდი (შემკვრელი);
- დანამატები, მაგალითად პიგმენტები და შუქის სტაბილიზატორები.

WPC სამშენებლო ელემენტებს დღემდე იყენებენ ზედაპირის დამატებითი დამუშავების გარეშე (შეღებვა ან გაპრიალება). WPC კონსტრუქციის მოუპირკეთებელი, ან გაუპირკეთებელი ელემენტები ცვეთის და ნაკაწრის მიმართარ არიან მედევი, ამიტომაც ავეჯის წარმოებაში ამ მასალების მიმართ ნაკლები მოთხოვნაა. ბაზარზე WPC-მასალები შედარებით ახალია და ბევრ საკითხს, როგორიც არის ატმოსფერული ზემოქმედების მიმართ მდგრადობა, ხარისხის სტაბილურობა, ადჰეზიის სიმტკიცე და ა.შ. პრაქტიკაში არ გაუვლიათ საკმარისი შემოწმება. ავეჯის წარმოებაში მიღებულია პირველი სკამები WPC-მასალებისაგან.

დღეისათვის მიმდინარეობს აქტიური სამუშაოები WPC ზედაპირების სინთეზური მასალებით გამოყვანისათვის ან ფხვნილოვანი და თხევადი ლაქსალებავი მასალებითშეღებვით. თერმოპლასტიკის წილის გადიდებით WPC-მასალის ზედაპირის დაბალი დაჭიმულობის გამო ის უფრო ძნელად იღებება, ვიდრე კლასიკური მერქნის მასალები. ამის გამო, WPC დადაფარვას შორის ხშირად იქმნება ადჰეზიური შეჭიდულობის სიმკვრივის პრობლემები. ამიტომ ბევრ შემთხვევაში აუცილებელი ხდება წინასწარ დამატებითი დამუშავება (დამუშავება ალით) ან, ადჰეზიის გასაუმჯობესებლად, სპეციალური ზედაპირული აპეტის გამოყენება.

## 2.3. ხის სახეობები, გამოყენებული დეკორატიული დამუშავებისათვის

მერქნის, როგორც საკონსტრუქციო და მოსაპირკეთებელი მასალის ღირებულებებია: მცირემოცულობიანი მასა, შედარებით მაღალი სიმტკიცე, დამუშავების სიადვილე, ნაკეთობაში მისი გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესების სხვადასხვაობა (ჭრა, შეწებება, მოფანერება, ღუნვა, წნეხა, შტამპვა), მის საფუძველზე გამოშვებული საკონსტრუქციო მასალების ფართო ასორტიმენტი (დახერხილი ხე-ტყე, ნამზადები, ფურცლოვანი და სივრცითი მასალები შრეული და დაწვრილმანებული მერქნის ფუძეზე), ლამაზი ზედაპირული აგებულება, თბილი, ფერადი გამა. მერქანი კარგად იღებება, ილაქება და პრიალდება. ამასთან ერთად, მერქანს აქვს ნაკლოვანებებიც, კერძოდ, გარემოს ზემოქმედებით ზომის და ფორმის ცვალებადობა, ბოჭკოების მიმართულებებზე დამოკიდებულებით – **ანიზოტროპია**.

მერქნის სახეობის მიხედვით განასხვავებენ სადურგლო სამუშაოებს: წიწვოვანი სახეობის ხეზე (ფიჭვი, კედარი, ნაძვი, სოჭი, ლარიქსი) და ფოთლოვანი სახეობის ხეზე (მუხა, რცხილა, არყი, წიფელი, ვერხვი, მურყანი, ცაცხვი და ა.შ.). თავის მხრივ, სიმაგრის მიხედვით მერქნის სახეობები იყოფა: რბილ (ფიჭვი, ნაძვი, კედარი, ცაცხვი, ვერხვი, მურყანი), მაგარ (ლარიქსი, არყი, წიფელი, თელა, თელამუში, ნეკერჩხალი, ვაშლი, იფანი) და ძალიან მაგარ (ცრუაკაცია, ხერკინა, არყი, რცხილა, ასკილი, ბზა, ურთხელი) სახეობებად. მუხის მერქანს აქვს მაღალი სიმკვრივე, სიბლანტე, ლამაზი ტექსტურა, ლპობამედეგობა. ხეზე კვეთილობისათვის გამოიყენება: ბზა, კაკალი, წაბლი, კედარი, ვერხვი.

ცნობილია, რომ ხის ყველა სახეობა გარკვეული თვისებებით გამოირჩევა. ხის სახეობის გათვალისწინება ჭურჭლის დამზადებისას გულისხმობს: ჭურჭლისათვის, რომლის ფუნქცია საკვების დამზადება-შენახვასთანაა დაკავშირებული, ძირითადად განმსაზღვრელია ხის შინაგანი თვისება – „გემო“. ამის მიხედვით არჩევენ „ტებილსა“ (ცაცხვი, თელა, არყი) და „მწარე“ (ფიჭვი, ვერხვი) ხეებს. სიმწარე ხის სიმაგრის და სიტყბო კი სირბილის მანიშნებელია.

ეთნოგრაფიული მასალიდან ირკვევა, რომ ხის ჭურჭლის სახეების უმრავლესობის და-სამზადებლად ცაცხვს იყენებდნენ, რომელსაც სხვა დადგებით თვისებებთან ერთად (გასათლელად რბილია, არ სკდება), აქვს ერთგვარი „სიტყბო“, რომელიც პროდუქტზე კეთილგავლენას ახდენს: არ ამწარებს, არც სუნს აძლევს და დამზადების პროცესსაც აჩქარებს. გურიის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ცაცხვისაგან გაკეთებული საწნახელი თითქოს ღვინის დუღილის დროს აიწევს და დაიწევს, სირბილის გამო.

ხის სახეობების თავისებურების გათვალისწინებით მზადდება: ცაცხვისაგან – კოდი, სადღვებელი, კასრი; თელასაგან – ხონი, ხონჩა, ტაბაკი; ნეკერჩხელისაგან, ლეგისაგან – კოვზები; არყისაგან – სასმელები; ცომის საზელი ვარცლი და გობი ცაცხვის, წიფელის და თელასაგან კეთდებოდა, როგორც მსუბუქი და „სუფთა“ ხეები, ამასთან ეს სახეობა ცომის ამოსვლას უწყობს ხელს. ხის ჭურჭელი ფიჭვისა და ვერხვისაგან ითლებოდა, რადგან ეს სახეობები წყალს ცივად ინახავს. ფიჭვს ასევე იყენებდნენ ლუდის გასაწური ნავის დასამზადებლად.

ერთ ხეში გათლილი ჭურჭელი დამზადების ტექნოლოგიის მიხედვით დაყოფილია ორ ჯგუფად: 1. ჭურჭელი, რომელსაც ფსკერი აქვს ჩასმული (კოდი, კასრი, სადღვებელი), 2. ერთ ხეში ამოთლილი, მთლიანი (ვარცლი, ხონჩა, ხონი, სანაყი, კოვზები, სასმისები).

კასრი, ჯერ კიდევ XVI-XVII საუკუნეებში იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქართლ-კახეთშიმარცვლეულის და ღვინის სარწყაო ჭურჭელი იყო.

XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოში ღვინის ჭურჭელთან ერთად, კასრი იყო მარცვლეულის ასაწონი ერთეული და კოდის 1/2 ან 16,5 (17) კილოგრამს უდრიდა.

წნული ნაწარმის დამზადება საქართველოში საკმაოდ განვითარებული ყოფილა. წნული ნაწარმი განსაკუთრებით მდიდრადაა წარმოდგენილი იმ რეგიონებში, სადაც მევენახეობა და მეხილეობა ინტენსიურადაა განვითარებული (ქართლ-კახეთი, რაჭა-ლეჩხუმი, გურია, სამეგრელო, იმერეთი, მესხეთი).

წნული ჭურჭლის ზოგადი ტერმინი ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეს არ შემოუნახავს. სულხან-საბა ორბელიანის (ქართული ლექსიკონი, თბ., 1928) ჭურჭლის ცნობილ კლასიფიკაციაში წნული ჭრურჭლის ზოგადი ტერმინია: სფირიდი და შარაგული. სფირიდი აერთიანებს წნულის იმ სახეს, რომლებიც მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეებისაგან (ჭილი, ბაია) უსაყრდენოდ მზადდება. შარაგულის ჯგუფში გაერთიანებულია წნელისაგან დამზადებული ნაწარმი, რომელიც საყრდენის საშუალებით სრულდება.

ქართული ხალხური საკრავები – ცნობილია უძველესი დროიდან, როგორც წესი, სიმღერის ან ცეკვის თანხლების ფუნქციით. უძველესი არქეოლოგიური ცნობა ქართული საკრავის შესახებ, მიეკუთვნება ძვ.წ.-ით XV ს. ძველ ქართულ ლიტერატურულ წყაროებში საკრავთა 100-ზე მეტი დასახელებაა შემონახული.

საქართველოში ხალხური საკრავების სამი ჯგუფია ცნობილი:

1. ჩასაბერი საკრავები – სალამური (უენო და ენიანი), გუდასტვირი (აჭარაში - ჭიბონი), სოინარი (ლარჭემი);
2. სიმებიანი: ჩამოსაკრავი – ფანდური, ჩონგური, ჩანგი; ხემიანი – ჭუნირი, ჭიანური;
3. დასარტყამი: დოლი, დიპლიპიტო, დაირა;
4. პნევმატურ-კლავიშიანი: ქართული გარმონი.

საქართველოში ასევე გავრცელებული იყო სხვა ხალხთა საკრავები: ქამანჩა, საზი, თარი, ზურნა, დუდუკი და სხვ.

ქართული ხალხური საკრავების დასამზადებლად გამოიყენება ხის შემდეგი სახეობები: ფიჭვი, ბჟოლა (ჩონგურის გული, ტანი); ფიჭვი, ნაძვი სოჭი (ფანდური, ჭურინი), ლერწამი, ლელი (ენიანი სალამური, გუდასტვირი-ჭიბონი, ლარჭემ-სოინარი); ჭერამი, დუდგულა (უენო სალამური); ჭერამი, ბჟოლა, ბზა (დუდუკი); გარგალი, კაკალი, ჭერამი (ზურნა).

საქართველოში არ ყოფილა ისეთი რაიონი, რომლის მოსახლეობას მცირე ან დიდი მასშტაბით არ ეწარმოებინა ხის დამუშავება.

მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალებით დადგენილია ძველი ქართული ხის დასამუშავებელ იარაღთა სახეები: ცული, ნაჯახი, საორხელო ხელეჩო (ფეხეჩო), ხელეჩო, ჩულუხი,

ხერხი, ხოწი (პატარა, დიდი), საორნელო დანა (შალაშინი), ჭოპოსანი; გარდა ამისა ძველი ქართული ხელსაბრუნი სახარატო ჩარხები და ხის დასამუშავებელი საშუალებები: კეტი, ჩეკი, თოკი, ფარგალი, ხის სოლები, სატეხი, საჭრეთელი, სახრე, არშინი და სხვ.

**სულხან-საბა ორბელიანი** იარაღების ჩამონათვალით და აღწერით კი არ კმაყოფილდება, არამედ დამატებით მიუთითებს იარაღის თითოეული სახის ფუნქციურ დანიშნულებაზე. მაგალითად: „ერო – ხის სათლელი“, „შალაფი – ფიცრის სახვრეტი“, „ხოწი – მოკაკული სათლელი“, „წალდი – ფიჩხთ საჭერი“, „ჭოპოსანი – ძვალთ საფხეკი ქლიბივით“ და სხვ.

ჩვენამდე მოღწეული ხის ნივთები, რომლებიც სახარატო ჩარხებზეა დამუშავებული, მაღალი ოსტატობით და დიდი გემოგნებით არის შესრულებული. სახარატო ჩარხების გამოყენება საქართველოში მეორე ათასწლეულის პირველი ნახევრიდან იწყება.

სახარატო ჩარხებზე (**სულხან-საბას** მიხედვით, „ხარატი – ხის ჭურჭლის მხვეწელი“) ხდებოდა ჯამების, როდინების, გობების, სამარილეების და სხვათა გათლა-მოხვეწა.

**ბზა.** მერქანი ღია-ყავისფერის, წვრილშრეული, ძალიან მკვრივი, მაგარი და მტკიცე. ბზისაგან შეიძლება დამზადდეს დეტალები თხელი კონსტრუქციებით და მსხვილი კანტებით. ბზის მერქანი კარგად იჭერს მოჭრილ ხრახნს, შესანიშნავად იხერხება და პრიალდება. გამოიყენება მცირე ზომის დეკორატიული ნაკეთობების – კოლოფის, ლარნაკის, სათამბაქოის, ჩიბუხის, ჭადრაკის ფიგურების დასამზადებლად.

**მსხალი და ვაშლი.** აქვთ მსგავსი შიდა აგებულება და მექანიკური თვისებები. მერქანი წვრილშრეული, მაგარი, მტკიცე, ერთგვაროვანი სიმკერივისაა, არ იძრიცება, ჩინქბულად მუშავდება და პრიალდება. კარგად ითვისებს ღებვას და იღებს შავი ხის იმიტაციას. ორივე სახეობის ჯავარიანობა ფართოდ გამოიყენება სახარატო საქმიანობისათვის.

**ნეკერჩალი.** მერქანი წვრილშრეული, მოთეთრო-ყვითელი, ზოგჯერ მოწითალო. მძიმე, მაგარი, ძალიან ღრეული, ადვილად პრიალდება. ფართოდ გამოიყენება სახარატო საქმიანობისათვის. გამოიყენება ბევრი ნაკეთობების, როგორც დეკორატიული, ასევე ჩვეულებრივის (კერძოდ, ინსტრუმენტების სახელურების) დასამზადებლად.

**ნეკერჩალის ნაირსახეობა:** მთის ბოკვი (მთის ნეკერჩალი) – ფიგურული და ჭავლური; გამოიყენება როგორც სანაკეთო მასალა; შაქრიანი ნეკერჩალი, ფრიად ღირებულია სახარატო საქმიანობისათვის, აქვს ძალიან ლამაზი ბოჭკოვანი სახე, ე.წ. „ჩიტის თვალი“.

**ჭადარი.** მერქანი მსუბუქი, მაგრამ მკვრივი და მაგარი, აქვს ლამაზი ტექსტურა. გამოიყენება სახარატო საქმიანობისათვის.

**არყის ხე.** მერქანი საკმაოდ მაგარი, ღრეული, ერთგვაროვანი აღნაგობით. ადვილად იჩარხება, თხელი დეტალები კარგად იჭერენ ფორმას. სახარატო საქმიანობისათვის გან-

საკუთრებით კარგად ფასდება ჯავარიანი ნაწილი. განსაკუთრებით ღირებულია კარელის არყის მერქანი და არყის თიაები და კაპიები. აქვს ლამაზი ტექსტურა, მაღალი სიმაგრე და მედეგობა დეფორმაციისადმი და დასკდომისადმი, წარმოადგენს საუცხოო მასალას სახარატო საქმიანობისათვის და სხვა დეკორატიული სამუშაოებისათვის.

**რცხილა.** მერქანი ძალიან მაგარი, თეთრი ფრის. იჩარხება ადვილად. ფართოდ გამოიყენება მუქი ელფერის სახეობებთან შეხამებაში დეკორატიული საქმიანობისათვის და სადურგლო ინსტრუმენტების დეტალების დამზადებისათვის (მათ რიცხვში დიდი ჭახრაკის ხრახნის). რცხილის სახელურები სწრაფად პრიალდება და არ ტოვებს კოურებს. უარყოფითი მხარეა – მაღალი ჰიგროსკოპულობა.

**წითელი წიფელი.** მერქანი წვრილლაქიანი, მძიმე, მკვრივი, მაგარი. წყლისადმი ნაკლებად მგძნობიარე, ვიდრე რცხილა, ნორმალური ტენიანობის დროს ძალიან მტკიცე. ფართოდ გამოიყენება დეკორატიული და სხვა ნაკეთობების, ასევე სხვადასხვა ინსტრუმენტების და სამარჯვების დეტალების დასამზადებლად. შესანიშნავად იღებება სხვადასხვა ფერით და კარგად იხეხება. საუცხოო შედეგებს იძლევა პასტების გამოყენებითმექანიკური გაპრიალება.

**მუხა.** წლოვანებისაგან დამოკიდებულებით მერქანი ყვითელი, ღია ყავისფერი ან უფერო ნაცრისფერი, მაგარი და მტკიცე. გამოიყენება მარტივი პროფილის სახარატო ნაკეთობებისათვის, თხელი დეტალების გარეშე. კარგად ამოიჭმევა, იღებება და ილაქება. ძლიერი ფორიანობის გამო უკეთესია მუხის ნაკეთობების ზედაპირების გამოყვანა ცვილის მასტიკით.

**ცაცხვა.** მერქანი მკრივი, მაგრამ შსუბუქი და ძალიან რბილი, თეთრი და მკრთალი – ყვითელი ფერის (პაერზე მუქდება) სუსტად შესამჩნევი წლიური რგოლებით. ძალიან მახვილი ინსტრუმენტით სუფთად და ადგილად იჩარხება, ილაქება და დამაკმაყოფილებლად პრიალდება.

**თხმელა, მურყანი.** მერქანი გამოშრობილი სახით მკრთალი ყავისფერი, ძალიან რბილი და შსუბუქი. სიმყიფის გამო სახარატო საქმიანობისათვის ნაკლებად გამოსადევი, მაგრამ შესანიშნავად იჭერს პროფილს რთული გრძივი ფრეზვის დროს, თხმელის გამოყვანის დროს გამოიყენება როგორც გამჭვირვალე, ასევე გაუმჭვირი დაფარვა.

**ფიჭვი.** მერქანს აქვს კაშკაშა წრფივი გამოხატული ტექსტურა. ადვილად იჩარხება, მაგრამ შრეული აგებულობის გამო შესაძლებელია ხშირი ჩამონახეთქები. დეტალის დიდი ბრუნთა სიხშირის და ძალიან მახვილი მჭრელი იარაღის პატარა მიწოდების დროს მიიღება ძალიან სუფთა ზედაპირი. ფიჭვისაგან შეიძლება მარტივი ფორმის დეტალების და ნაკეთობების გაჩარხვა. გამოსაყვანი დაფარვით დაუცავი ფიჭვის მერქანი დროთა განმავლობაში მუქდება და ღებულობს ნაცრის ფერს. ცხელი ცვილით ან პარაფინით გაუღენთილ ფიჭვის ნაკეთობებს აქვთ

მშვენიერი სახე. ამასთანავე მერქანი ღებულობს კაშკაშა ფერს და მისი სტრუქტურაც უფრო კარგად კლინდება.

ზემოთ ჩამოთვლილი მერქნის სახეობები განლაგებულია სახარატო საქმეში მათი ვარგის-იანობის ხარისხის მიხედვით. მაგრამ, სხვა სახის დამუშავებისათვის ეს თანმიმდევრობა არასწორი იქნება. თვითოული კონკრეტული შემთხვევისათვის მასალა უნდა შეირჩეს ჭი-პის და რეჟიმების, ნაკეთობის დანიშნულების, მისი კონსტრუქციის და ხმარების სიხშირის შესაბამისად.

# მეორე პარი მოპირკეთება

## თავი III. ფერი და მისი შემაღება

### 3.1. სინათლის და ფერის ფიზიკური არსი

ხილულ ელექტრომაგნიტურ რხევებს უწოდებენ სინათლეს ან სინათლის გამოსხივებას. სინათლის გამოსხივება დაყოფილია როტულ და მარტივ გამოსხივებად. მზის თეთრი ფერი – როტული გამოსხივებაა, რომელიც შედგება მარტივი ფერადი შემადგენელით – მონოქრომატული (ერთფეროვანი) გამოსხივებისაგან. მონოქრომატული გამოსხივების ფერებს უწოდებენ სპექტრულს.

თუ თეთრი ფერის სხივს პრიზმის საშუალებით დავშელით სპექტრად, შეიძლება დავინახოთ ფერების უწყვეტი ცვლის რიგი: მუქი ლურჯი, ლურჯი, ცისფერი, ლურჯ-მწვანე, ყვითელ-მწვანე, ყვითელი, ნარინჯისფერი, წითელი. გამოსხივების ფერი განისაზღვრება ტალღის სიგრძით. გამოსხივების მთელი ხილული სპექტრი მოთავსებულია ტალღების სიგრძის დიაპაზონში 380-დან 720 ნანომეტრამდე (იხ. წინსართული).

ფერების გამოსხივების სპექტრის ხილული ნაწილი და მათი შესაბამისი ტალღის სიგრძეები მოცემულია (ნახ. 42).

სპექტრის მთელი ხილული ნაწილი დაიყოფა სამ ზონად. გამოსხივებას ტალღის სიგრძით 380-დან 490 ნანომეტრამდე ეწოდება სპექტრის ლურჯი ზონა; 490-დან 570 ნანომეტრამდე – მწვანე; 580-დან 720 ნანომეტრამდე – წითელი. ადამიანი სხვადასხვა საგნებს ხედავს სხვადასხვანაირ ფერშიშეღებილს, რადგანაც მათგან მონოქრომატული გამოსხივება სხვადასხვაგვარად აირეკლება. სხვადასხვა თანაფარდობით ყველა ფერი დაიყოფა აქრომატულ და ქრომატულ ფერად. აქრომატული (უფერო) – ეს არის ნაცრისფერები სხვადასხვა სინათლოვნებით. ყველა დანარჩენი ფერები არის ქრომატული (ფერადი): ლურჯი, მწვანე, ყვითელი და ა.შ. ქრომატული ფერები ხასიათდებიან ფერით, ტონებით, სინათლოვნებით და ნაჯერობით.

ფერები იყოფა აგრეთვე ორ ჯგუფად: თბილი (წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, მე-წამული-წითელი) და ცივი (იისფერი, ლურჯი, ცისფერი, მეწამული-იისფერი). ფერთა ეს ჯგუფები სხვადასხვანაირად მოქმედებს ადამიანის ფსიქიკასა და მხედველობაზე: ა) ცივი ფერების ჯგუფების მხედველობითი აღქმა ხდება შორს, თბილისა – ახლოს; ბ) თბილი ფერები აღაგზნებს და ამაღლებს განწყობილებას, ცივი კი ამშვიდებს და თრგუნავს კიდეც; გ) თბილი ფერები ამცირებს სმენით მგრძნობელობას, ცივი – ზრდის; დ) თბილ ფერთა გარემოცვაში კუნ-

თოვანი შრომისუნარიანობა უფრო მაღალია, ვიდრე ცივის დროს; ე) ცივი ფერები აადვილებს მაღალი ტემპერატურების გადატანას, თბილი კი – აძნელებს.

**ფერის ტონი** – ეს ფერის სუბიექტური მახასიათებელია, რომელიც დამოკიდებულია არა მარტო დამკვირვებელის თვალში მოხვედრილი გამოსხივებული სპექტრის შედგენილობაზე, არა-მედ ინდივიდუალური აღქმის ფსიქოლოგიურ თავისებურებაზე.

ადამიანზე ფერთა ზემოქმედება დამოკიდებულია ფერთა ტონზე, კერძოდ: ა) მუქი ფერები ფსიქიკაზე დამთრგუნველად მოქმედებს, ღია ფერები კი ამაღლებს განწყობილებას; ბ) მუქი ფერები უფრო მძიმეა, ღია – მსუბუქი; გ) ღია ფერები ადიდებს საგნების ზომებს, ხოლო მუქი ფერები – ამცირებს.

ერთი ფერის (ან მსგავსი ფერების ჯგუფების) ხანგრძლივი აღქმა გადაღლას იწვევს. ნაკლებად დამღლელია ყვითელი-მწვანე, მწვანე და ღია აქრომატული ფერები. რამდენიმე შეხა-მებული ფერის ზემოქმედება ადამიანზე უფრო რთულია, ვიდრე ცალკეული ფერის და დაკავში-რებულია ფერთა ჰარმონიის თეორიასთან.

სინათლოვნება განსაზღვრავს სინათლის ძალას, გამოსხივებული ან არეკლილი ერთეული ზედაპირიდან მისდამი პერპენდიკულარული მიმართულებით (სიკაშკაშის ერთეულია – კანდელა მეტრზე, კდ/მ). ნაჯერობა სუბიექტურად ახასიათებს ფერის ტონის შეგრძნების ინტენსივობას. რადგანაც ფერის მხედველობითი შეგრძნების წარმოშობაში მონაწილეობს არა მარტო გამ-ოსხივების წყარო და შეღებილი საგანი, არამედ დამკვირველების თვალიც და ტვინიც, ამიტომ საჭიროა ფერის მხედველობის პროცესის ფიზიკური არსის განხილვა (ნახ.43).

ცნობილია, რომ თვალი თავისი მოწყობით წარმოადგენს ფოტოაპარატს, რომელშიც ბა-დურა ასრულებს შუქმრძნობიარე შრის როლს. სხვადასხვა სპექტრის შედგენილობის გამ-ოსხივების რეგისტრაცია ხდება ბადურის ნერვების უჯრედებით, რომლებსაც რეცეპტორები ეწოდება. რეცეპტორები უზრუნველყოფენ ფერის მხედველობას და დაიყოფა სამ ტიპად. რეცეპ-ტორის თვითონეული ტიპი სხვადასხვაგვარად შთანთქავენ სპექტრის სამ ძირითად ზონას – ლურჯს, მწვანეს და წითელს, ე.ი. აქვთ სხვადასხვა სპექტრალური მგრძნობიარობა. თუ თვალის ბადურაზე მოხვდება ლურჯი ზონის გამოსხივება, მაშინ ის აღქმული იქნება მხოლოდ რეცეპ-ტორების ერთი ტიპით, რომლებიც გადასცემენ ინფორმაციას ამ გამოსხივების სიმძლავრეზე დამკვირვებლის ტვინში. ამის შედეგად წარმოიქნება ლურჯი ფერის შეგრძნება. ანალოგიურად წარიმართება პროცესი იმ შემთხვევაშიც, როდესაც ბადურაზე მოხვდება სპექტრის მწვანე და წითელი ზონების გამოსხივება. ერთდროულად ორი ან სამი რეცეპტორის აგზნების დროს წარ-მოიქმნება ფერის შეგრძნობა, რომელიც დამოკიდებულია სპექტრის სხვადასხვა ზონის გამ-ოსხივების სიმძლავრის თანაფარდობაზე.

რეცეპტორების ერთდროული აგზების დროს, რომლებიც არეგისტრირებენ გამოსხივებას, (მაგალითად, სპექტრის ლურჯ და მწვანე ზონებს), შეიძლება წარმოიქმნას სინათლის შეგრძება, მუქი ლურჯიდან ყვითელ-მწვანემდე.

ლურჯი ელფერის მაღალი ხარისხით შეგრძება წარმოიქმნება სპექტრის ლურჯი ზონის გამოსხივების მაღალი სიმძლავრის შემთხვევაში, ხოლო მწვანე ელფერის – სპექტრის მწვანე ზონის გამოსხივების მაღალი სიმძლავრის შემთხვევაში. სიმძლავრით თანაბარი ლურჯი და მწვანე ზონების გამოსხივება გამოიწვევს ცისფერი ფერის შეგრძნებას, მწვანე და წითელი ზონები – ყვითელი ფერის შეგრძნებას, წითელი და ლურჯი ზონები – მეწამული ფერების შეგრძნებას. ამის გამო ლურჯს, მეწამულს და ყვითელ ფერებს უწოდებენ ორზონალურს. სპექტრის სამივე ზონის თანაბარი სიმძლავრის გამოსხივება წარმოქმნის ნაცრისფერის შეგრძნობას სხვადასხვა სინათლოვნებით, რომელიც გარდაიქმნება თეთრ ფერში გამოსხივების საკმარისი სიმძლავრის დროს.

მნიშვნელოვანია ფერისა და სინათლის ურთიერთზემოქმედება. ეს ორი მოვლენა მჭიდრო-დაა დაკავშირებული ერთმანეთთან. სინათლის კონა შეიძლება წარმოიქმნას ბუნებრივი წყ-აროსაგან – მზის სხივისგან, ან ხელოვნური განათებით – გავარვარებული ან ცივი ნათების ნა-თურით. ხარისხობრივად ახალი სინათლის კონა იძლევა ფერთა ახალ გაშლას. მაგალითად, გა-ვარვარებული ნათურით განათებისას ლურჯი და ისფერი სხივები არ მიიღება, წითელი უფრო სუფთა ხდება, ნარინჯისფერი წითლდება, ცისფერი მწვანდება, ლურჯი და ისფერი წითლდება და ა.შ.

ავეჯისთვის ფერს და ნაკეთობის ზედაპირის დამუშავების მასალებს მხატვარ-კონსტრუქტორი შეარჩევს ნაკეთობისადმი ფუნქციური მოთხოვნების, ნაკეთობის დანიშნულების და ინტერიერისა და ექსტერიერში მისი განლაგების ღრმა შესწავლის საფუძველზე – ტექნოლო-გიური და საექსპლუატაციო თვისებების გათვალისწინებით.

სხვადასხვა სახეობის მერქანი შეღებილია მრავალრიცხოვან ფერთა ტონებად და ელფერის ქრომატულ ფერებად. მერქნის ფერი მუდმივი არ არის და იცვლება მზის სხივების ზემოქმედებით. ზოგიერთი სახეობა (ნაძვი, ფიჭვი, სოჭი, ცაცხვი) მუქდება, ზოგიერთი კი (მუხა, წიფელი, არყის ხე, ვერხვი) უფრო ღიავდება.

გამჭვირვალე მოსაპირკეთებელი აფსკების ზემოქმედებით მნიშვნელოვნად იცვლება მერქნის ფერთა მახასიათებლები: ფერის ტონი უმნიშვნელოდ იცვლება, ნაჯერობა და სინათ-ლოვნება კი მატულობს.

ტექსტურა განისაზღვრება მერქნის ანატომიური აგებულებით.

ფერს აქვს უნარი დაამძიმოს ან შეამსუბუქოს კონსტუქციები. ამის გათვალისწინებით ავეჯის ის კონსტრუქციული ელემენტები, რომლებიც მეტად არის დატვირთული, უნდა დამზადეს უფრო მუქი ფერის (მაგალითად, ავეჯის საფუძველი), ხოლო ნაკლები დატვირთვის – უფრო ღია ფერის (მაგალითად, კარები).

(იხ. გამოსხივების კვანტები და ფოტონები, გამოსხივების თვისება, სინათლის სხივი, სინათლის დისპერსია, სინათლისათვის, სარკული არეალი, თეთრი სინათლე, დიფუზიური არეალი, აქრომატული მხედველობა, თეთრი ფერი).

### 3.2. ფერის ადიტიური სინთეზი

ეს არის სხვადასხვა ფერის მიღების პროცესი, სპექტრის სამივე ძირითადი ზონის – ლურჯის, მწვანის და წითელის გამოსხივების შერევის (შეკრების) ხარჯზე (ნახ.44). ამ ფერებს უწოდებენ ადიტიური სინთეზის ძირითად ან პირველად გამოსხივებას.

განსაზღვრული თანაფარდობით სამი ძირითადი ფერის შერევით, შეიძლება ადამიანის აღქმული უმრავლესი ფერების აღწარმოება.

ადამიანის თვალის ბადურა შეიცავს სამი ტიპის კოლბოჩეკს, რომლებიც აღიქვამენ ისფერ-ლურჯს, მწვანე-ყვითელ და ყვითელ-წითელ ფერებს. ადიტიური ფერების სტანდარტს წარმოადგენს ფერის სივრცის მოდელი RGB (Red, Green, Blue).

სხვადასხვა ფერის მიღებაშეიძლება, მაგალითად, თეთრ ეკრანზე სამი პროექტორის შუქფილტრების – ლურჯი (Blue), მწვანე (Green) და წითელი (Red) ფერების საშუალებით. სხვადასხვა პროექტორებიდან ერთდროულად განათებულ ეკრანის უბნებზე შეიძლება ნებისმიერი ფერის მიღება. ფერის შეცვლა მიღწევა ძირითადი გამოსხივების სიმძლავრეების თანაფარდობების ცვლილებით. ეს ადიტიური სინთეზის ერთი ნაირსახეობაა, როდესაც გამოსხივების შეკრება ხდება დამკვირვებლის თვალის გარეთ.

ადიტიური სინთეზის კიდევ ერთი ნაირსახეობაა სივრცითი გადანაცვლება. სივრცითი გადანაცვლების დროს თვალი ვერ ასხვავებს ცალკე განლაგებულ გამოსახულების სხვადსხვაფერისწვრილ ელემენტებს, მაგალითად, რასტრის წერტილებს. მაგრამ, ამასთან ერთად გამოსხივების წვრილი ელემენტები გადაადგილებიან თვალის ბადურაზე, ამიტომ ერთ და იმავე რეცეპტორზე თანმიმდევრულად ზემოქმედებს განსხვავებული გამოსხივების სხვადასხვა ფერში შეღებილი მეზობელი რასტრის წერტილები. იმის გამო რომ თვალი ვერ ასხვავებს გამოსხივების სწრაფ ცვლილებას, ის მათ აღიქვამს როგორც ნარევის ფერს.

### 3.3. ფერის სუბტრაქტული სინთეზი

ეს არის ფერების მიღების პროცესი თეთრი ფერიდან გამოსხივების შთანთქმის (გამოკლების) ხარჯზე. სუბტრაქტულ სინთეზი ახალი ფერი მიღება ფერადი შრეების ცისფერის (Cyan), მეწამურის (Magenta) და ყვითელის (Yellow) საშუალებით (ნახ.45). ეს სუბტრაქტული სინთეზის ძირითადი ან პირველადი ფერებია. ცისფერი ფერი შთანთქავს (თეთრიდან გამოაკლებს) წითელ გამოსხივებას, მეწამული – მწვანეს, ხოლო მწვანე – ლურჯს.

იმისათვის რომ სუბტრაქტული ხერხით მივიღოთ, მაგალითად, წითელი ფერი, საჭიროა თეთრი გამოსხივების გზაზე მოთავსდეს ყვითელი და მეწამული შუქფილტრები. ისინი შთანთქავენ (გამოაკლებენ) შესაბამისად ლურჯ და მწვანე გამოსხივებას. ასეთივე შედეგი მიღება თეთრ ქაღალდზე ყვითელი და მეწამული ფერების დადებით. მაშინ, თეთრ ქაღალდზე მიგა მხოლოდ წითელი გამოსხივება, რომელიც მისგან აირეკლება და მოხვდება დამკვირვებლის თვალში.

**ადიტიური** სინთეზის ძირითადი ფერები – ლურჯი, მწვანე და წითელი დასუბტრაქტული სინთეზის ძირითადი ფერები – ყვითელი, მეწამული და ცისფერი წარმოქმნიან დამატებით წყვილ ფერებს. დამატებით ფერებს უწოდებენ ორი გამოსხივების ან ორი ფერის ნარევით წარმოქმნილ აქრომატულ (იხ. აქრომატული მხედველობა) ფერებს: ყვითელი+ლურჯი, მეწამული+მწვანე, ცისფერი+წითელი.

ადიტიური სინთეზის დროს დამატებით ფერებს იძლევიან ნაცრისფერი და თეთრი ფერები, რადგან ჯამში წარმოადგენენ სპექტრის მთელი ხილული ნაწილის გამოსხივებას, ხოლო სუბტრაქტული სინთეზის დროს აღნიშნული ფერების ნარევი იძლევა ნაცრისფერ და შავ ფერებს იმ სახით, რასაც ამ ფერების შრეები შთანთქავენ სპექტრის ყველა ზონის გამოსხივებას. ფერების წარმოქმნის განხილული პრინციპები საფუძვლად უდევს პოლიგრაფიაში ფერადი გამოსახულების მიღებას. პოლიგრაფიული ფერადი გამოსახულების მიღებისათვის გამოიყენება ე.წ. საბეჭდი საღებავების ტრიადა: ცისფერი, მეწამული და ყვითელი. ეს არის გამჭვირვალე საღებავები და თითოეული მათგანი სპექტრის ერთი ზონიდან გამოაკლებს გამოსხივებას. ქაღალდზე ბეჭდვის დროს ძირითადი ფერების წარმოქმნის სქემა ტრიადის საღებავებით მოცემულია (ნახ.46). რადგანსუბტრაქტული კომპონენტები არარის იდეალური, ამიტომ საბეჭდი პროდუქტის დამზადების დროს გამოიყენება მეოთხე დამატებითი შავი საღებავი.

როგორც ამ სქემიდან ჩანს თეთრ ქაღალდზე სხვადასხვა შეხამებით ტრიადის საღებავების დადების დროს შეიძლება ყველა ძირითადი (პირველადი) ფერების მიღება როგორც ადიტიური სინთეზისათვის, ასევე სუბტრაქტული სინთეზისათვის. ეს ვითარება ამტკიცებს ტრი-

ადის საღებავით ფერების მიღების შესაძლებლობას მეტად საჭირო მახასიათებლებით ფერადი პოლიგრაფიული პროდუქციის დამზადების დროს.

წარმოებული ფერების მახასიათებლების ცვლილება წარმოებს სხვადასხვანაირად და დამოკიდებულია ბეჭდვის ხერხზე. ღრმა ბეჭდვის დროს გამოსახულების გადასვლა ღრმა ფერის უბნებიდან მუქისაკენ ხორციელდება საღებავი სისქის შრის ცვლილებით, რაც იძლევა აღწარმოებული ფერის ძირითადი მახასიათებლების რეგულირების საშუალებას. ღრმა ბეჭდვის დროს ფერების წარმოქმნა წარმოებს სუბტრაქტულად.

მაღალი და ოფსეტური ბეჭდვის დროს გამოსახულების სხვადასხვა უბნების ფერები გადაიცემა სხვადასხვა ფართის რასტრის ელემენტებით. აქ აღწარმოებული ფერების მახასიათებლების რეგულირება ხდება სხვადასხვა ფერის რასტრის ელემენტების ზომებით. ამ შემთხვევაში ფერები წარმოიქმნება ადიტიური სინთეზით – მცირე ფერადი ელემენტების სივრცითი შერევით. მაგრამ იქ, სადაც ხდება სხვადასხვა ფერის რასტრის წერტილების ერთმანეთთან თანამთხვევა წარმოიქმნება სუბტრაქტული სინთეზი.

### 3.4. ფერის შეფასება

ფერის გაზომვისათვის, გადაცემისათვის და ინფორმაციის შენახვისათვის საჭიროა გაზომვის ერთიანი სტანდარტული სისტემა. ადამიანის მხედველობა შეიძლება ჩაითვალოს ყველაზე უფრო ზუსტ საზომ ხელსაწყოდ, მაგრამ მას არ შეუძლია ფერებს მიანიჭოს გარკვეული რიცხვითი მნიშვნელობა და არც მათი ზუსტი დამახსოვრება შეუძლია. ადამიანთა უმრავლესობა ვერ აცნობიერებს რამდენად მნიშვნელოვანია ფერების ზემოქმედება მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში. თავის მხრივ, ფერი პოლოგრაფიაში არის მუშაობის სერიოზული ობიექტი. როდესაც საქმე მიდის მრავალგზის აღწარმოებამდე, ფერი ერთი ადამიანისათვის მოჩვენებული „წითლად“, მეორესათვის აღიქმება როგორც „მოწითალო-ნარინჯისფერი“. სწორედ ამიტომ წამოიჭრა რიცხვითი სატანდარტების დამუშავების აუცილებლობა ფერის გადაცემის ხერხების სისტემატიზაციასთან ერთად. მეთოდებს, რომლებითაც ხორციელდება ფერის ობიექტური რაოდენობრივი დახასიათება და ფერის განსხვავება ეწოდება კოლორიმეტრიულიმეთოდი. (სპექტრომეტრია – არეკვლის და გატარების კოეფიციენტის გაზომვა, სამფერი კოლორიმეტრი – ფერის კოორდინატების გაზომვა, დენსომეტრი – სიმკვრივის საზომი).

მხედველობის სამფერი თეორია იძლევა ფერის სხვადასხვა ტონის შეგრძნების წარმოქმნის, სინათლოვნების და ნაჯერობის ახსნის საშუალებას. ფერის მხედველობის სამი ნერვის ცენტრის სპექტრალური მგრძნობიარობის მრუდები გამოიყენება შუქფილტრების შერჩევის დროს

რეპროდუქციული კვლავწარმოქმნის (აღდგენის) პროცესებისათვის და ბეჭდვის საღებავებისათვის.

გასაზომი ფერის რაოდენობა ხასიათდება სამი რიცხვით, რომელიც გვიჩვენებს გამოსხივების შერევის ფარდობით რაოდენობას. ამ რიცხვებს უწოდებენ ფერის კოორდინატებს. ყველა კოლორიმეტრული მეთოდი დაფუძნებულია სამ განზომილებაზე, ე.რ. ფერის მოცულობითობაზე.

ეს მეთოდები იძლევა ფერის საიმედო რაოდენობრივ მახასიათებელს, როგორც, მაგალითად, ტემპერატურის და ტენიანობის გაზომვა. განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ მახასიათებელი მნიშვნელობების რაოდენობაში და მათ ურთიერთკავშირებში. სამი ძირითადი ფერადი კოორდინატის ეს ურთიერთკავშირი გამოისახება შეთანხმებულ ცვლილებაში განათების ფერის გაზომვის დროს. ამიტომ სამგანზომილებიანი გაზომვა ხორციელდება მკაცრად განსაღვრულ პირობებში სტანდარტიზირებული თეთრი ფერის დროს.

ამგვარად, ფერი კოლორიმეტრულ გაგებაში ერთმნიშვნელოვნად განისაზღვრება გასაზომი გამოსხივების სპექტრის შედგენილობით, ფერის შეგრძება კი არაერთმნიშვნელოვნად განისაზღვრება გამოსხივების სპექტრის შედგენილობით და დამოკიდებულია დაკვირვების პირობებსა და განათების ფერზე.

თანამედროვე პოლიგრაფიული წარმოება ითვალისწინებს ფერების ფიზიკური ეტალონების სისტემებითმუშაობას. მსგავსი ეტალონის როლს შეიძლება ასრულებდეს ბეჭდვის ნაბეჭდი, მოცხებული საღებავი ან ფერის Pantone სისტემა, რომელიც წარმატებით გამოიყენება ბევრ შემთხვევაში. მაგრამ, როდესაც წარმოების უბნები ერთმანეთისაგან დაშორებულია მნიშვნელოვან მანძილზე, მაშინ ფერის ფიზიკური ეტალონების სისტემების გამოყენება გაძნელებულია. შემკვეთს, დიზაინერს, მხატვარს, სკანერის ოპერატორს, მბეჭდავს და ა.შ. –ყველა მათგანს აქვს ფერების ფიზიკური ეტალონების დამუშავების და ერთმანეთისათვის გადაცემის სირთულეები. თვითონულ ეტაპზე მიღება სუბიექტური გადაწყვეტილება, რომელიც დამოკიდებულია ინდივიდუალურ აღქმაზედა განსაზღვრული ფერებისათვისდაშვებებზე. ამ მიზეზის გამო წარმოებები, სადაც ამზადებენ ფერად პროდუქციას, უკვე დიდი ხანია აცნობიერებენ ფერების ვიზუალური აღქმის შეფასების უფრო ობიექტური მეთოდების დამუშავების საჭიროებას.

ობიექტიდან გამომავალი ტალღების სიგრძეების შეხამება – ეს სპექტრის მონაცემებია, რომლებიც მიღება საგნიდან არეკლილი ყველა ტალღის ანალიზის საფუძველზე. ასეთი ანალიზის დროს განისაზღვრება თვითონული ტალღის სიგრძის პროცენტული შემცველობა. ამ ტიპის გაზომვები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სპექტროფოტომეტრის საშუალებით, რომლებიც, თავის მხრივ, უნდა მანიპულირებდეს ობიექტიური მაჩვენებლებით.

### 3.5. ფერების სივრცე

1931 წელს განათების საერთაშორისო კომისიის CIE (Comission Internationale de L'Eclairage) მიერ შემოთავაზებული იყო მათემატიკურად გაანგარიშებული ფერის სივრცე XYZ, რომლის შიგნით ჩადებულია ადამიანის თვალით ხილული მთელი სპექტრი. საბაზო სახით შერჩეული იყო ფერების რეალური სისტემა (წითელი, მწვანე და ლურჯი), ხოლო ერთი კოორდინატის მეორეში თავისუფალი გადათვლა იძლევა სხვადასხვა სახის გაზომვების შესრულების საშუალებას. შემოთავაზებული სივრცის ნაკლია არათანაბარი კონტრასტულობა და სისტემის არასაკმარისი სრულყოფილება. ამან გამოიწვია CIE-ს 1976 წელს მიეღო ახალი თანაბარ-კონტრასტული სისტემა სივრცეებით Luv და Lab, რომელიც ბაზირებულია იმავე XYZ.

ფერების ეს სივრცეები მიღებულია დამოუკიდებელი კოლორიმეტრული სისტემის CIELuv და CIELab საფუძვლად. ითვლება, რომ პირველი სისტემა უფრო მეტად პასუხობს ადიტიური სინთეზის, ხოლო მეორე კი – სუბტრაქტული სინთეზის პირობებს.

ამჟამად ფერის სივრცე CIELab (CIE-76) არის ფერებთან მუშაობის საერთაშორისო სტანდარტი. სივრცის ძირითადი უპირატესობაა – ფერების მონიტორებზე აღწარმოების, ასევე ინფორმაციის შეყვანის და გამოყვანის მოწყობილობებისაგან დამოუკიდებლობა. ეს პოლიგრაფიულ საქმიანობაში უდავოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგანაც ის იძლევა ფერების სხვაობის შეფასების საშუალებას არა მარტო ფერების ერთეულებში, არამედ ნებისმიერი სიკაშკაშის ფერებშიც, რომელსაც აღიქვავს ადამიანის თვალი. CIE სტანდარტის საშუალებით შეიძლება აღწერილი იყოს ყველა ფერი, რომელსაც აღიქვამს ადამიანის თვალი.

ასეთი სივრცე წარმოდგენილია ნახ. 47-ზე.

ზოგიერთ შემთხვევაში გამოსახულების კრიტიკულ ელემენტებს წარმოადგენს ლოგოს ტიპის ფერი ან სამახსოვრო ფერების ზუსტი აღწარმოება. ადამიანის თვალი ამჩნევს ფერის შეცვლას მხოლოდ ე.წ. ფერის ზღურბლის შემთხვევაში. თანამედროვე სპექტრომეტრებში გამოყენებული ტექნოლოგიებით შეიძლება აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინება და ორიგინალიდან ფერის გადახრის სიდიდის განსაზღვრა, რომელსაც ეწოდება ფერის განსხვავების მაჩვნებელი  $\Delta E$ :

$$\Delta E = \sqrt{(\mathbf{L} - \mathbf{L}')^2 + (\mathbf{a} - \mathbf{a}')^2 + (\mathbf{b} - \mathbf{b}')^2},$$

სადაც  $L$ ,  $a$ ,  $b$  – ორიგინალის ფერის კორდინატებია, ხოლო  $L'$ ,  $a'$ ,  $b'$  – გაზომვის დროს რეალურად მიღებული ფერის სინჯის, ბეჭდვის ანაბეჭდის და ა.შ.

ეს გაზომვა იძლევა ოპერატორად და ზუსტად განისაზღვროს ბეჭდვის ტექნოლოგიური რეჟიმების შესაძლო კორექტირების შესაძლებლობა, მაგალითად მიწოდება საღებავის,

დატენიანებული ხსნარის, წნევა საბეჭდ წყვილში ან ცნობიერების წინასწარი შეტანა კერ კიდევ ბეჭდვის მომზადების სტადიაზე, მაგალითად, ფერის კორექცია.

წარმოდგენა, როგორ მუშაობს ინტერფეისი LCH, შეიძლება გამარტივებული მოდელით ფერის სივრცეში CIELab წარმოდგენილია ნახ. 49, 50, 51. სიკაშკაში იცვლება ქვემოდან ზევით, ე. მატულობს ცილინდრის ფუძიდან ზედა ნაწილისაკენ (ნახ. 48).

ეს ნიშნავს, რომ შეიძლება სიკაშკაშის კორექტირება, სხვა პარამეტრების ნაჯერობის და ფერის ტონის შეუცვლელად. ნაჯერობა მატულობს ცენტრიდან წრეწირისაკენ (ნახ. 49). ტონის მნიშვნელობა იცვლება წრეზე (ნახ. 50).

ადამიანის თვალი განსხვავებს ფერის დიდ ცვლილებას სინათლოვნების კოორდინატის მიხედვით, ვიდრე ფერის ტონის ან ნაჯერობის კოორდინატებით. ფერის გაზომვის შემდეგ, მათემატიკურად გაიანგარიშება ელიფსი სტანდარტული ფერის ირგვლივ ფერის ტონის, ნაჯერობის და სინათლოვნების განსაზღვრული კოორდინატებით (ნახ. 51). ელიფსი თავის მხრივ წარმოადგენს უამრავ მისაწვდომ ფერებს და ავტომატურად ვარირებს ზომებით და ფორმით სინათლის სივრცეში განლაგებასთან დამოკიდებულებით. (ნახ. 52) მოცემულია ფერის სივრცეზე Lab ელიფსების ვარიაცია. როგორც ნახაზიდან ჩანს, ელიფსები სინათლის სივრცის ნარინჯისფერ ნაწილში უფრო გრძელია ვიდრე მწვანეში, ხოლო ელიფსის ზომები იცვლება ნაჯერობის და სინათლოვნების ცვლილებასთან დამოკიდებულებით.

ფერის ტონების განსხვავების განსაზღვრის ახალი მეთოდი (1989 წ., CIE) დაფუძნებულია „ელიფსურ აღწერაზე“. მომხმარებელს ეძლევა პარამეტრული მაჩვენებლების თავისუფალი არჩევა სინათლოვნებისათვის ან სიკაშკაშისათვის (KL), ნაჯერობისათვის (KC) და ფერის ტონისათვის (KH). როდესაც ეს პარამეტრები თანატოლია შეიძლება ჩაითვალოს, რომ შედარების ან გაზომვის პირობები არის „ძირითადი“.

2000 წლის დასაწყისში შემოთავაზებული ფერების განსხვავების CIE2000 ახალი შეფასება ამყარებს არა მარტო სინათლოვნების, ნაჯერობის და ფერის ტონების თანაფარდობას, არამედ მათ ერთმანეთზე ურთიერთ გავლენას სინათლის სივრცეში განლაგებაზე დამოკიდებულებით.

ამჟამად, პრაქტიკაში გაზომვის ერთეულის, ფერის სივრცის და ფერის სხვაობის მნიშვნელობების არჩევა დამკვიდრებულია ბილმაიერის ხუთ ძირითად წესზე, რომელიც ჩამოყალიბდა სამოცდაათიან წლებში მისი სამეცნიერო კვლევების შედეგად:

- გაზომვის ერთიანი მეთოდის არჩევა და მისი მუდმივი გამოყენება;
- ყოველთვის გაზომვის ჩატარების პირობების ზუსტი ცოდნა;

- მიზანშეწონილი არ არის სხვა საანგარიშო ფორმულებით მიღებული ფერის გან-  
სხვავების კონვერტირება;
- მხოლოდ ფერების განსხვავების გამოყენება, როგორც პირველი მიახლოება დად-  
გენილ განსხვავებასთან, სანამ ისინი არ იქნებიან დადასტურებული ვიზუალუ-  
რად;
- ყოველთვის საჭიროა დამახსოვრება, რომ შემკვეთი ფერს არ ღებულობს ან  
ფერს იწუნებს ციფრებით – მისთვის მთავარია მხედველობითი აღქმა.

## თავი IV. მოცულობითი ზედაპირის მოპირკეთება

### 4.1. მოპირკეთების 3D-ტექნოლოგიები

თანამედროვე ავეჯის ხარისხის ამაღლების მუდმივი მოთხოვნა, მისი გარე სახის და ეს-  
თეტიკის გაუმჯობესება ითხოვს ავეჯის დიზაინში სხვადასხვა მოცულობითი ელემენტების სულ  
უფრო ფართოდ გამოყენებას. ხარისხიანი მაგარი ლარიქსის (რბილწილვანის) და ტროპიკული  
სახეობების დეფიციტმა, ასევე მათზე ფასების ზრდამ გამოიწვია ავეჯის წარმოებაში სხვადასხვა  
ფილოვანი მასალების და ზედაპირების გამოყვანის ახალი ხერხების გამოყენება.

მოცულობითი ფრეზვის განვითარებამ და ციფრული პროგრამული მართვით საფრეზი  
ჩარხების გავრცელებამ საგრძნობლად გააადვილა მერქნის ფილებისაგან (MDF – მერქან-  
ბოჭკოვანი საშუალო სიმკვრივის, მერქანბურბუშელოვანი, მასიური მერქნის შეწებილი ფარი)  
დამზადებული ფარის ნამზადების ფენობზე და ნაწიბურზე რელიეფის ფორმირება.

მაგრამ ერთდროულად ავეჯის დეტალებისადმი გაზრდილმა მოთხოვნებმა გამოავლინა  
სიძნელები, რომლებიც თან ახლავს ლაქსალებავი მასალებით ზედაპირების გამოყვანის  
ტრადიციულ მეთოდებს. ხშირად ისინი ვერ პასუხობენ ვერც მომხმარებლების და ვერც წარ-  
მოების თანამედროვე ტექნოლოგიებისმოთხოვნებს.

რელიეფური ზედაპირების გალაქვის და შეღებვის ყველა ცნობილ მეთოდს აქვს მრავალი  
მნიშვნელოვანი ნაკლი.

პირველ რიგში, ეს სიძნელეები დაკავშირებულია დაფარვის დადების თანაბარ-  
ზომიერებასთან, მერქნის მასალების ცალკეულ ზედაპირზე მერქნის ტექსტურის იმიტაციის შე-  
ქმნის უტყუარობასთან და ა.შ. მნიშვნელოვან ნაკლს წარმოადგენს აგრეთვე ის, რომ დაფარვა  
არ არის ხანგრძლივი. დროთა განმავლობაში ლაქები ბნელდება, ხოლო ემალები ხუნდება, გან-  
საკუთრებით ულტრაინისფერი დასხივების სპექტრის შემადგენლის – დღის სინათლის  
ზემოქმედების ქვეშ. ამასთან რელიეფურ ზედაპირზე ლაქსალებავი მასალების დადება და-

კავშირებულია ატმოსფეროში სხვადასხვა აქროლადი ნივთიერებების გამოყოფასთან და ლაქის ან ემალის ნაწილაკების გაფრქვევასთან.

ნაკეთობის ხანგრძლივი ექსპლუატაციის დროს ტენიანობის ცვლილების და ფუძე შრის არათანაბარი ჩაჯდომის გამო დაფარვა სკდება კრაკელური ბადის წარმოქმნით, დაფარვა ნაწილურებზე და პირაპირებზე შეიძლება აშრევდეს, მათზე აუცილებლად გამოჩნდება ანახლეჩები. ეს დეფექტები პრაქტიკულად გარდაუვალია, ისინი დროთა განმავლობაში შეიმჩნევა ყველა გალაქულ და შეღებილ ზედაპირებზე, რამაც განსაზღვრა მათი ღირებულება – წარმოიშვა ისეთი ცნებები, როგორიც არის სიძველის ნადები ან ჟანგარო. მაგრამ ავეჯზე ასეთი ნადების მიღება საგარანტო ვადის დამთავრების შემდეგ(უკვე მისი ერთი-ორი წლის ექსპლუატაციის შემდეგ) მომხმარებლისათვის არც თუ ისე მისაღებია.

რელიეფური ზედაპირების გამოყვანის ხერხი მერქნის ტექსტურის იმიტაციით სხვადასხვა პლასტმასის ფუძეზე თერმოპლასტიკური აფსკებით\*მათი მოპირკეთების გზით იძლევა უმრავლესი ასეთი ნაკლოვანებების თავიდან აცილების საშუალებას. ეს ხერხი პირველად დამუშავებული იყო გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების ბოლოს.

ბოლო წლებში მიღწეულია მერქნის ტექსტურის და ფაქტურის აფსკების იმიტაციის ისეთი მაღალი ხარისხი, რომ პირველი შეხედვით ისინი არც კი გამოირჩევა მერქნის გალაქული ზედაპირებიდან. მათი სიმტკიცე უფრო ადრე გამოყენებულ აფსკებთან შედარებით მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. ამან საგრძნობლად აამაღლა მათი წინააღმდევობა ცვეთისადმი და ნაკარგების წარმოქმნისადმი.

თანამედროვე პოლიმერულ აფსკებს ბრტყელი და რელიეფური ზედაპირების მოპირკეთებისათვის აქვთ ფერის მაღალი სტაბილურობა და მდგრადობა ტემპერატურის ზემოქმედებისადმი, მაგალითად, ზედაპირის ანთებულ სიგარეტთან კონტაქტის დროს, ზედაპირის ქიმიური მედეგობა მასზე მოხვედრილი საყოფაცხოვრებო გამსსნელების და სხვა მსგავსი სითხეების ზემოქმედებისადმი. ადრეული პერიოდისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებები დღეს უფრო ნაკლებადვლინდება და მათ მიერ წარმოქმნილი დაფარვები არა მარტო ტოლფასია ლაქსაღებავ დაფარვასთან სიმტკიცით, არამედ მათხშირადაც აღემატება.

ლაქსაღებავი მასაღების დადების და შრობის (გამყარების) ხერხებისაგან დამოუკიდებლად, ლაქსაღებავი მასაღები ყოველთვის წარმოადგენენ ხანძრის და აფეთქების წყაროს, რომელიც უფრო მაღალია ვიდრე წებოს დადების დროს, რაც აუცილებელია ზედაპირების აფსკებით მოპირკეთებისათვის.

\*აფსკი-იგივეა რაც გამოსაყვანი ფირი

შეუდარებლად მარტივია თვით იმიტაციის ტექნოლოგია – მთლიანად გამორიცხულია ისეთი ოპერაციები, როგორიც არის ლაქის და ემალის დადება, მათი შრობა, ლაქის შუალედური ხეხვა და ა.შ. ეს კი იძლევა ენერგორესურსების ძალიან დიდ ეკონომიას.

დღეს ბაზარზე შემოთავაზებული მოსაპირკეთებელი ფირების ასორტიმენტი და მათი ქიმიურ-ფიზიკური თვისებები გამუდმებით უმჯობესდება. ავეჯის დეტალების არაპრტყელი და რელიეფური ზედაპირების მოპირკეთების ტექნოლოგიას ევროპაში უწოდებენ 3D-მოპირკეთებას (3 Dimension— სამკოორდინატიანი, მოცულობითი).

ამ ტექნოლოგიის მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს დეტალის ზედაპირზე პრაქტიკულად ნებისმიერი ნახატის მიღების შესაძლებლობა, რაც ზშირად გამორიცხულია მერქნის მასალების ზედაპირების ფინიშური გამოყვანის ან გამჭვირვალე ლაქების დადების დროს. ფირის სწორედ ეს შესაძლებლობა იძლევა საშუალებას პრაქტიკულად ერთი ოპერაციით მერქნის ნებისმიერი მასალის ნამზადს, რომელსაც არ აქვს ლამაზი ტექსტურა მისცეს სასურველი გარე სახე.

სწორედ ამიტომ ხდება ასეთი მიმზიდველი მოპირკეთების 3D-ტექნოლოგიები. მაღალი ხარისხის ავეჯის ყველა თანამედროვე მწარმოებლებისათვის მოპირკეთების 3D ტექნოლოგიებში გამოიყენება ვაკუუმური მოწყობილობები, მემბრანული და უმემბრანო წნევები.

მოპირკეთების 3D ტექნოლოგიის ოპერაციებია – ნამზადზე წებოს დადება, მისი შრობა, დასაწნეხი პაკეტის აწყობა, ფირის და წებოს გახურება, ნამზადის რელიეფურ ზედაპირზე გახურებული ფირის მიჰყერა, დაყოვნება, წნევის მოხსნა, ფირის გაჭრა (დეტალების დაცალებება) და კიდულების შემოჭრა. მიუხედავად მოჩვენებითი სიმარტივისა, ამ ტექნოლოგიის რეალობაში არსებობს უამრავი ისეთი წვრილმანი, რომელიც განსაზღვრავს გამოყენებული მოწყობილობის კონკრეტულ აღჭურვილობას, ასევე მოპირკეთების დროს გამოყენებულ ხერხებს.

მარტივი ვაკუუმური მოწყობილობების ან მათ საფუძველზე ე.წ. „წნევების“ გამოყენება, რომლებშიც განმუხტვა წარმოიქმნება მხოლოდ ფირის ქვეშ მასზე დამატებითი წნევის გამოყენების გარეშე ფრიად შეზღუდულია. ამის მიზეზი არის ძალიან პატარა სხვაობა ბუნებრივ ატმოსფერულ წნევასა და ვაკუუმური ტუმბოთი წარმოქმნილ განმუხტვის სიდიდეს შორის, რაც როგორც წესი არ არის საკმარისი მოსაპირკეთებელი მასალით რელიეფის ღრმა ფორმების გამეორებისათვის და დაწებების დროს ფუძეშრესთან მისი სამედო მიჭრისათვის. ეს იწვევს ღრუების წარმოქმნის რისკებს მოსაპირკეთებელ მასალასა და რელიეფის შეზნექილი მონაკვეთების შრებს შორის. ღრუების არსებობა იწვევს გაგლეჯვებს და უხარისხო დაწებებას, რაც წარმოქმნის მოპირკეთების აშრევებას, განსაკუთრებით დეტალის წიბოებზე.

ამიტომ მაღალხარისხიანი ავეჯის წარმოებისათვის სულ უფრო ფართოდ გამოიყენება მემბრანული და უმემბრანო წნეხები, რომლებშიც მაღალი წნევა წარმოიქმნება ნამზადის ზემოთ, რაც მოპირკეთების დროს უზრუნველყოფს დეტალთან ფირის უკეთ მიჭერას და შესაბამისად მისი უფრო მტკიცედ მიწებებას.

უმემბრანო წნეხები უმთავრესად გამოიყენება რელიეფის მოპირკეთებისათვის შედარებით მცირე სიღრმისპროფილით. საქმე იმაშია, რომ რელიეფის დიდი სიღრმის დროს გახურებული თერმოპლასტიკური ფირის **სიმტკიცე** ხშირად არასაკმარისია ფირის გაჭიმვისათვის. ფირის ქვეშ გაკუუმის მომატებული სხვაობის და მის თავზე წნევის ზემოქმედებით ფირისარასაკმარისი გახურების დროს მოსაპირკეთებელი ნამზადის ნაპირებზე და ნაღუნების ზონებში ის ხშირად განიცდის წყვეტას, რაც მნიშვნელოვნად სახიფათოა მცირე სისქის ფირებისათვის.

რელიეფის მოპირკეთების დროს მემბრანა იკავებს ფირის მისი ფორმის შეცვლის დროს და უზრუნველყოფს ფირთან სითბოს თანაზომიერ მიყვანას, რაც საშუალებას იძლევა სხვა თანაბარი პირობების შემთხვევაში გამოყენებული იყოს მცირე სისქის უფრო იაფი ფირი.

დღეისათვის მოპირკეთების 3D ტექნოლოგიის უკანასკნელ მიღწევას წარმოადგენს ე.წ. სამგანზომილებიანი მემბრანული წნეხების დამუშავება. ამ წნეხის პირველ კამერას წარმოადგენს არე ნამზადს და ფირს შორის, მეორე – ფირს და მემბრანას შორის, მესამე – ზონა მემბრანას და წნეხის ზედა ფილას შორის, აღჭურვილი გამახურებლებით.

სამივე კამერაში წნევის და ტემპერატურის დამოუკიდებელი მართვის შესაძლებლობა იძლევა ადრე მიუღწეველი შედეგების მიღების საშუალებას. თავისებურება იმაშია, რომ ნამზადის და ფირი თვისებებზე დამოკიდებულებით შეიძლება წინასწარ განხორციელდეს ფირი მემბრანასთან მიჭერა და მისი კონტაქტური გახურება, რის შემდეგ ფირი რჩება რა მემბრანასთან მჭიდროდ მიჭერილი, მასთან ერთად ეკვრის ნამზადს და იძლევა განსაკუთრებით ღრმა პროფილების მოპირკეთების საშუალებას ან მემბრანას და ფირს შორის ჰაერის მიწოდების ხარჯზე ხდება მათი დაცალკევება უშუალოდ ნამზადის ზედაპირთან შეხების წინ.

მეორე შემთხვევაში ფირის მიჭერა პირველ კამერაში ხდება ვაკუმის შექმნის ხარჯზე, რომელსაც მთელ თავის ზედაპირზე აქვს თანაბრად განაწილებული ზუსტი ტემპერატურა. ამ პროცესს უწოდებენ წნეხვას სინქრონული დაწოლით, მიუხედავად იმისა, რომ ის გვაგონებს უმემბრანო წნეხვას, მიღება პრინციპულად სხვაგვარი შედეგი – უზრუნველყოფილი იქნება მოპირკეთებული დაფარვის მაღალი სტაბილურობა და სრულად გამოირიცხება წუნი ფირის გაწყვეტის მიზეზით.

სხვადასხვა ფილოვანი მასალების გამოყენების შესაძლებლობა იქ, სადაც ადრე იყენებდნენ მხოლოდ ნატურალურ მერქანს, მზა დეტალების ზედაპირების მაღალი ხარისხი, მოპირ-

კეთებულია თანამედროვე ფირებით, და ავტომატიზაციის პროცესის მაღალი დონე, ნამზადების განლაგების ოპტიმალური ოპტოელექტრონული ინტელექტუალური და რიცხვითი პროგრამული მართვის სისტემების გამოყენების ჩართვა, წინასწარ ოპტიმიზირებული პროგრამ- „რეცეპტორების“ ანაწყობით, საერთო ტექნოლოგიურობა და ფირის ფართო არჩევანი – ერთი ტონის ან სხვადასხვა ტექსტურით – ყველაფერი ამით მოპირკეთების 3D ტექნოლოგია ავეჯის არაბრტყელი და რელიეფურიელემენტების ლაქსალებავი მასალებით გამოყვანის ხერხების მიმართ უკონკურენტოა.

ახალი ობიექტების შესაქმნელად 4D ბეჭდვა გულისხმობს არა მარტო სამი განზომილების გამოყენებას, არამედ დროის ფაქტორსაც – მეოთხე განზომილება (ნახ. 53).

#### 4.2. ტექნოლოგიები და მასალები 3D პანელების დამზადებისათვის

დღეს კედლის სამგანზომილებიანი გამოსახულების იდეის განსახიერება ხდება თანამედროვე მასალებში. თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით გაჩნდა ყველაზე რთული და უნიკალური მოცულობითი გამოსახულებების შექმნის შესაძლებლობა. 3D პანელები (ნახ. 54) წარმოქმნიან მყუდრო ატმოსფეროს ოთახებში, სახლებში, სასტუმროებში, მაღაზიებში, ბარებში, ოფისებში, რესტორნებში. ისინი ადვილად მონტაჟდებიან ხის შემონაკერზე და არ საჭიროებენ სპეციალურად შენობის კედლების და ჭერის გასწორებას.

პანელების ქვეშ დამატებით შეიძლება დამონტაჟდეს თერმოიზოლაცია, დაიმალოს ელექტროგაყვანილობა, კაბელები, სავენტილაციო სისტემები.

3D პანელების ძირითადი ღირებულებებია:

- განუმეორებელი გარე სახე და უნიკალური დიზაინი;
- მასალების, ნახატების, ფერების შეხამების, ფაქტურის დიდი ასორტიმენტი;
- ნაკეთობების სხვადასხვანაირი ფორმების გამოდგომა ნებისმიერი ინტერიერისათვის;
- ნებისმიერ დროს შეიძლება შეიცვალოს პანელის ფერი, აგრეთვე შეიძლებელია პანელების მოოქვრა;
- პანელებს 3D ეფექტითამზადებენ მხოლოდ სუფთა ეკოლოგიური მასალებისაგან;
- პანელების წარმოების დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მათ ხანძარსაშიშროებას;
- ისინი არ შეიწოვენ გარემოდან სუნს;
- მათ კარგად იცავენ მექანიკური დაზიანებისაგან.

3D პანელების დამზადების ტექნოლოგია შედგება სამი ეტაპისაგან:

- პირველ ეტაპზე მუშავდება რელიეფის გამოსახულება, ესკიზი და კომპიუტერული მოდელი;
- მეორე ეტაპზე მასალაზე დიზაინის იდეების გადატანა და დამუშავდება მოცემული პარამეტრებით;
- მესამე, საბოლოო, ეტაპზე მზა პანელების გამოყვანა.

3D პანელების საბოლოო დაფარვისათვის გამოიყენება: საღებავი, ემალი, ტყავი, პოლივინილქლორიდის (პვე) ფირი, ძვირფასი ხის სახეობების შპონი, წიფელი, ებონის ხე, მუხა, კაკალი, ვავონის ფესვები (ადგილსამყოფელი აშშ. ვავონის ხე, ყოფილი სეკვოია, იზრდება მარიპოსას (Mariposa Grove) ჭალაში, იოსემიტის ნაციონალურ პარკში (Yosemite National Park, აშშ).

ყველა ჩამოთვლილი დაფარვა არის ძალიან მტკიცე, ხანგამძლე, აქვთ ხანძარ-საწინააღმდეგო გაუძლენთა და ეკოლოგიურად სუფთა მასალა. ემალით დაფარულ პანელზე შეიძლება ლუმინესცენციური შრის დადება. თვით დაფარვა სრულიად უსაფრთხოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ასეთი პანელი დღისით 6-8 სთ. განმავლობაში აგროვებს სინათლის ენერგიას, ღამე კი იწყებს ნათებას. ასეთი დამუხტვა უწყვეტი ნათებისათვის სამყოფია ათი საათის განმავლობაში.

პვე ფირის საშუალებით ხდება ნატურალური დაფარვის იმიტაცია კაკლის, ტყავის და ემალის მსგავსად.

3D პანელების დამზადება შეიძლება ნებისმიერი მასალისაგან, რომლისაგან ფორმირდება ჩვეულებრივი პანელები: ალუმინი, პოლივინილქლორიდი (პვე), MDF, მერქანბოჭკოვანი ფილა, ნატურალური ხე, თაბაშირი.

**ალუმინისაგან დამზადებული 3D პანელები (ნახ. 55)** ყველაზე უფრო ფართოდ არის გავრცელებული. ნახატის დადება ხდება პერფორაციით, შემდეგ ნახატი იფარება ლაქით. ამ პანელების ღირებულებებია: მცირე წონა, ადვილად დამუშავებადია, ხანძარუსაფრთხო, ტენმედეგი, ძალიან მტკიცე, აქვს ექსპლუატაციის დიდი ვადა, არ განიცდის კოროზიას.

**3D პანელების დამზადებისათვის პოლივინილქლორიდი (პვე) (ნახ. 56)** პოპულარობით მეორე მასალაა. ეს პანელები ხასიათდებიან ისეთივე ღირებულებით, როგორითაც ალუმინის პანელები, მაგრამ აქვთ მნიშვნელოვნად დაბალი ღირებულება. პვე-საგან ამზადებენ შემდეგი სახის 3D პანელებს: სარკული, გლუვი, ტექსტურული, პერფორირებული.

პანელის თვითონეულ სახეს აქვს თავისი დანიშნულება. პერფორირებული პანელები წარმატებით გამოიყენება გათბობის ბატარეების მორთვისათვის. ბრტყელი და სარკული პანელების გამოყენება შეიძლება კედლების, ტიხრების, კარების და ა.შ. გამოყვანისათვის. პლასტიკის პან-

ელებს აქვთ განსაკუთრებით მცირე წონა და მაღალი სიმტკიცე. ეს მნიშვნელოვნად ამსუბუქებს სამონტაჟო საშუალებს.

#### **მერქნბოჭკოვანი ფილა MDF (Medium Density Fibreboards – საშუალო სიმკვრივის)**

**3D პანელების** (ნახ. 57) დამზადებისათვის ერთ-ერთი ძვირი მასალაა. ეს მასალა მიიღება ძალიან წვრილი ხის ნახერხისაგან მაღალ ტემპერატურაზემშრალი წნებვით. ეკოლოგიურად სუფთა, შემკვრელი ნივთიერება თვით მერქანში შემავალი ლიგნინია.

მცენარეში ლიგნინიასრულებს ორმაგ როლს: ქსოვილის მექანიკური გამაგრება და უჯრედის დაცვა ქიმიური, ფიზიკური და ბიოლოგიური ზემოქმედებისაგან.

ყოველი ახალი პანელის სერიისათვის საჭიროა საკუთრივ პრეს-ფორმების დამზადება, რაც აისახება მზა ნამზადის ღირებულებაზე. MDF-ის 3D პანელის ზედაპირის რელიეფი შეიძლება გაკეთდეს პეტინი, მქრქალი, ისეთიც, რომელიც სიბნელეში ანათებს, ხოლო ფერების არჩევა საერთოდ შეუზღუდავია. კედლის 3D პანელები ადვილად მონტაჟდება. ისინი არ საჭიროებს განსაკუთრებულ მოვლას, გამოირჩევა მაღალი სიმტკიცით, ტენმედეგობით და ბგერთაიზოლაციით. MDF პანელები თავისი უსაფრთხოების და ეკოლოგიურობის წყალობით გამოსადეგია საცხოვრებელი შენობების, მათ რიცხვში საძიბენლების და საბავშვო ოთახების გაფორმებისათვის.

**მერქანბოჭკოვანო ფილა (ნახ. 58)** უწინ არ ითვლებოდა ეკოლოგიურად სუფთა მასალად, რადგანაც მისი წარმოების დროს გამოიყენებოდა მავნებელი ფენოლფორმალდეპიდის ფისები. ამჟამად მათ სულ უფრო ხშირად ანაცვლებენლიგნინით. ეს ნატურალური შემკვრელი ნივთიერება მერქნიდან გამოიყოფა წნევის და მაღალი ტემპერატურის ზემოქმედების ქვეშ. პანელებს ამზადებენ მერქნის ბოჭკოებიდან ხალიჩის სახით ფორმირებული მასისაგან ცხლად წნებვის პროცესში. ის საკმაოდ კარგად იტანს გადიდებულ ტენიანობას, მაგრამ ვერ უძლებს წყლის პირდაპირ მოხვედრას. ასეთი პანელები არ ითხოვენ განსაკუთრებულ მოვლას, საკმარისია ზოგჯერ მათი გაწმენდა სუფთა წყლით. კიდევ ერთი მასალა, რომლისაგან ამზადებენ **3D პანელებს** – მერქანბურბუშელოვანი ფილაა (ნახ. 59), რომელიცზადდება საწარმოო ნარჩენებით (ნახერხი, ბურბუშელა) გაუდენთილი შემკვრელი ნივთიერებისაგან. ასეთი ფილების საშუალებით შეიძლება მრავალფეროვანი კომპოზიციების აღწარმოება.

საკმაოდ დიდია დამცავი ფირით დაფარული პანელების გამოყენების ვადა, ვერ უძლებენ მაღალტენიანობას, ტემპერატურის მკვეთრ ვარდნას, არ შეიძლება მათი გამოყენება კოჭების და სააბაზანო ოთახების მოპირკეთებისათვის, აქვთ უფრო მცირე სიმტკიცე, ვიდრე მერქანს, დამუშავების დროს იფხვნება, ძალიან მოუხერხებელია მონტაჟის დროს.

შიდა კედლების გამოყვანისათვის ერთ-ერთი ძალიან ძვირი მასალაა – **ნატურალური ზისაგან დამზადებული 3D პანელები** (ნახ. 60). ასეთი პანელების დამზადებისათვის ყველაზე უფრო ხშირად გამოიყენება ზის შემდეგი სახეობები: თხმელა, მუხა, ნეკერჩალი, კედარი. კედლის ზის პანელები შენობას აძლევს დარბასულ სახეს. ეს პანელები არ საჭიროებს განსაკუთრებულ მოვლას. ზის 3D პანელების ვარგისიანობის გახანგრძლივებისათვის საჭიროა პერიოდულად მათი ცვილით გაპრიალება ან გაუღენთა სპეციალური შედგენილობით. ცვილი პანელის ზედაპირზე აბრკოლებს ბზარების გაჩენას. მაღალი ტენიანობის შენობებში ზის პანელსა და კედელს შორის საჭიროა სავენტილაციო ღრიფოს არსებობა. მერქნის 3D პანელების მთავარ ღირებულებას წარმოადგენს მისი ეკოლოგიური სისუფთავე, რაც სასიკეთოდ მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

შენობის გამოყვანაში ახალი მიმართულებაა **თაბაშირის პანელები 3D ეფექტით** (ნახ. 61). კედლების მორთვა თაბაშირისგან დამზადებული სამგანზომილებიანი გამოსახულებებით დაიწყეს ჯერ კიდევ ბევრ ეგვიპტეში ახალ წელთაღრიცხვამდე.

თავისი გასაოცარი ესთეტიკურობის და ნახატის მრავალფეროვნების წყალობით, ასევე განუსაზღვრელი ფერების გამით, თაბაშირისგან დამზადებული პანელების დახმარებით შენობის გამოყვანის დროს შეიძლება ნებისმიერი სტილის განსახიერება: რეტრო, კლასიკური, ეგზოტიკური. თაბაშირის პანელების დამონტაჟება შეიძლება ნებისმიერ ზედაპირზე. ერთადერთი პირობაა – ზედაპირი უნდა იყოს თანაბარი. ამ პანელებზე არ მოქმედებს ტენი, ამიტომ შეიძლება მათი გამოყენება ნებისმიერ შენობაში.

თაბაშირის პანელებს აქვს მაღალი ზანძარსაშიშროება. ფინიშური გამოყვანის შემდეგ პანელებს არ ესაჭიროება განსაკუთრებული მოვლა, მარტივია მათი დამონტაჟება, ასევე დამატებით წარმოქმნიან ბგერების და სითბოს იზოლაციას.

**3D ნაწიბური წარმოადგენს** ახალი თაობის ნაწიბურს, დამზადებულია გამჭვირვალე აკრილისაგან (პოლიმეთილმეტაკრილატი), ხანგრძლივია მისი შენახვის ვადა. აკრილის გამჭვირვალობა მეტია მინის გამჭვირვალობაზე. განსაკუთრებული სამგანზომილებიანი ეფექტი მიიღება დეკორატიული შრის ნაწიბურის შიდა ზედაპირზე დადების ხარჯზე. იმის გამო, რომ დეკორი ნაწიბურის შიდა ზედაპირზეა, ის მთლიანად დაცულია რადიუსული ფრეზვის დროს და ნაკეთობას აძლევს ერთგვაროვან სახეს. ამრიგად, გამოირიცხება ჩარჩოსებრი ეფექტი და იქმნება ფილის ნაწიბურში ნაკერის გადასვლის ეფექტი. ნაწიბურის აბრეშუმისებრი მქრქალი ზედაპირი დაიყვანება ნებისმიერ აუცილებელ ბრწყინვალებამდე. ნაწიბურის შიდა ზედაპირზე დეკორის განთავსების გამო თვით დეკორი მაღალი დატვირთვების დროსაც არ იცვითება და არ ზიანდება. მექანიკური დატვირთვები, როგორიც არის ნაკარტები ან ანაბეჭდები, ადვილად სწორდება მოპრიალებით.

ნაწიბური 3D და ნაწიბური ABS (აკრილონიტრილბუტადიენსტიროლი), გამოიყენება პან-ელების, MDF-UV ფასადების, ასევე MDF პანელების დამუშავებისათვის. აკრილის ნაწიბური ადვილად მაგრდება ზედაპირზე. ნაწიბური ABS შექმნილია გაუმჯობესებული ტექნოლოგით, ოდნავ სქელია აკრილის ნაწიბურზე და აქვს უფრო ნაჯერი ფერი. ნაწიბურის ფერების ფართო ასორტიმენტი (21 ფერი) იძლევა მისი ფერების, პანელის და ფილების მასალების ფერებთან მშვენიერად შეხამების საშუალებას.

#### **ტრადიციული შპონის მიმართ ინოვაციური მიღებობა.**

სპეციალურ წერხებში როგორც ლითონისა და პლასტიკი მასისათვის შესაძლებელია 3D ფორმის მინიჭება, ასევე შესაძლებელი გახდა ღრმა ფორმების მინიჭება შპონისათვის. ეს ტექნოლოგიები შესაძლებელს ხდის შპონისგან დამზადდეს ძალიან მოხერხებული სკამები და სავარძლები, ასევე ავტომობილის ინტერიერისათვის ძალზე რთული ფორმები და სხვა 3D ნაკეთობები.

შპონის ზედაპირის დამუშავების სახეები:

1. **Rough/wave** შპონი (შპონის ზედაპირს ამუშავებენ ფიგურული დანებით, რის შედეგადაც ზედაპირი ღებულობს უჩვეულო ფორმას);
2. 3D მხატვრული შპონი (**Rough/wave** შპონის ზედაპირზე ხდება სპეციალური საღებავის დადება, შემდეგ, სახეს ჩარხზე ნაწილი საღებავის აძრობა, ზედაპირის ღრმულებში მისი ჩატოვება);
3. **Cracked** პანელი;
4. **Pur** შპონი (შპონის ახდა ასაკოვანი წის ტანიდან ან მორიდან);
5. სატორსო შპონი;
6. **Sun Wood** შპონი (შპონის ზედაპირზე ნახატის აღნიშვნა).
7. შპონი **fine-line** – ნატურალური წისაგან რეკონსტრუირებული შპონია.

### **4.3. 3D და 2D პოლივინილქლორიდისფირები ზედაპირების მოპირ-კეთებისათვის**

- ფირი პროფილური გრძივი ნაკეთობის გადაკვრისათვის (ლამინაცია) ან 2D ფირი. ფირის მოცემული კატეგორია გამოიყენება ნებისმიერი მასალის, როგორიც არის მერქანი, პლასტიკი (პოლივინილქლორიდი) ან ლითონი (ალუმინი), გრძივი ნაკეთობების გადაკვრისათვის. პროფილის მოპირკეთება ზორციელდება მოსაპირკეთებელ დანადგარზე

(ჩარხი გრძივი პროფილური ნაკეთობის გადაკვრისათვის). გადაკვრისათვის გამოიყენება თხელი ფირები (1,2-დან – 0,25 მილიმეტრამდე).

- ფირი, გლუვი ზედაპირების კაშირებისათვის ან 2D ფირის ეს სახე გამოიყენება სწორი ზედაპირების მოპირკეთებისათვის, როგორიც არის: პანელები (პვე და MDF), ფილები (MDF და მერქანბურბუშელოვანი), კორპუსული ავეჯის კედლები, კარების ბრტყელები, კაშირების დანადგარებით (კაშირება – გერმ. **Kaschieren** – გადაკვრა, დუბლირება, ლამინირება). აქვე დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ პოლიმერული ფირების გამოყენება ერთობ შეზღუდულია მერქანბურბუშელოვანი ფილების მოპირკეთებისათვის, მიღებული დაფარვის დაბალი ფიზიკო-მექანიკური მახასიათებლების და დაბალი თბომედეგობის გამო. ამ მიზნებისათვის გამოიყენება უფრო თხელი ფირები 0,25 მილიმეტრამდე, უფრო ხშირად 0,1; 0,15; 0,17 მმ.

- **ფირი ფანჯრების პროფილების ლამინირებისათვის.**

ფანჯრების/კარების პროფილების ლამინირებისათვის გამოიყენება ორშრიანი პვე ფირები სისქით 0,2 მმ. აკრილის ზედა შრით ულტრაიისფერი გამოსხივებისგან დასაცავად.

დეკორატიული პვე ფირების კატეგორიები ზედაპირების მოპირკეთებისათვის მოცემულია ცხრილში 2.

## ცხრილი 2

ფირის ტიპი	კატეგორია	მასალა	ძირითადი ნაკეთობები	მოწყობილობა
3D	მოცულობითი დაფრეზილი დეტალების მოპირკეთება (3D ტექნოლოგია)	MDF, მერქანბურბუშელოვანი ფილა	<ul style="list-style-type: none"> <li>• ავეჯის ფასადები</li> <li>• საწოლის საზურგები</li> <li>• კარების ზესადებები</li> <li>• ავეჯის დეკორატიული ელემენტები</li> </ul>	მეგბრანულ-ვაჭუმური წნები
2D	გრძივი პროფილური ნაკეთობების მოპირკეთება	პვე, AL, MDF, ხე	<ul style="list-style-type: none"> <li>• ჩარჩოსებრი პროფილი</li> <li>• კარის პროფილი</li> <li>• პლინთუსი, ლაგვარდანი</li> <li>• გამოსაყვანი პროფილი</li> </ul>	დანადგარი გრძივი ნაკეთობების გადაკვრისათვის (მოსაპირკეთებელი ჩარხი)
2D	გლუვი ზედაპირების კაშირება	მერქანბურბუშელოვანი ფილა, MDF, პვე, ლითონი	<ul style="list-style-type: none"> <li>• ფანჯრის რაფები</li> <li>• პანელები</li> <li>• ავეჯის შიდა კედლები</li> </ul>	კაშირების დანადგარები
2D	კონსტრუქციული პროფილის ლამინირება	პვე, ხე	<ul style="list-style-type: none"> <li>• ფანჯარა</li> <li>• შესავალი კარი</li> </ul>	პროფილის ლამინირების დანადგარი

#### 4.4. 3D – ბეჭდვა მერქნის მასალების გამოყენებით

ჩვეულებრივ 3D-ბეჭდვის დროს გამოყენებული მასალებიდან პირველ რიგში გვახსენებდა პლასტიკები, ფირები ან ლითონები. მაგრამ ამჟამად 3D-ბეჭდვისათვის მიზანშეწონილად მიაჩნიათ მერქანი – ნატურალური მასალა უნიკალური ესთეტიკური თვისებებით. 3D ტექნოლოგია ინფორმაციის საშუალებით არის სწრაფი, მარტივი და თვალსაჩინო.

**კომპანია Voxeljet**, რომელიც დაკავებულია მსხვილგაბარიტიანი ობიექტების ბეჭდვისათვის დიდისიჩქარიანი 3D-პრინტერების შექმნით, ამუშავებს ახალ მასალებს ქვიშის, კერამიკის, ცემენტის და მერქნის ნახერხის გამოყენებით. **Voxeljet** პრინტერებში გამოიყენება საბეჭდი მასალების ცემენტირების ქიმიური ტექნოლოგია. მაგრამ, თუ რატომაა საჭირო მერქნის ფუძეზე ბეჭდვის მასალების დამუშავება, ამის პასუხია მერქნისაგან სამგანზომილებიანი მოდელების პოტენციური ფართო ბაზარი.

ზისაგან ხელით დამზადებული ავეჯი თავისი ესთეტიურობიდან გამომდინარე სარგებლობს ფართო მოთხოვნილებით. მაგრამ ასეთი ავეჯი ყოველთვის იყო ძვირად ღირებული მერქანზე მაღალი ფასის, გამოცდილი სპეციალისტ-დურგლის მომსახურებისა და მაღალი საბაზრო მოთხოვნილების გამო.

**კომპანია 4AXYZ** საქმიანობა ორიენტირებულია ავეჯის ბაზარზე და ეყრდნობა მერქნის სამგანზომილებიანი ბეჭდვის იდეას. ეს ახალი, ფარული ბიზნესი გეგმავს გამოიყენოს ავეჯის წარმოებისათვის სამგანზომილებიანი ბეჭდვა ზელმისაწვდომი დიზაინით.

**გამომგონებელმა კაი პარტმა შექმნა** მერქნის პირველი მასალა – შემვსები მაგიდის 3D პრინტერისათვის **LAYWOO-D3** (ნახ. 62) სახელწოდებით. მასალა შედგება 40 პროცენტამდე გადამუშავებული მერქნის ბოჭკოსაგან პოლიმერულ შემკვრელ აგენტთან კომბინაციაში. შენაჯამი პროდუქტი გამოდგება დნობისათვის და ექსტრუდირებისათვის (იხ. ექსტრუზია) და არც თუ ისე მიუღებელია სხვა ნებისმიერი კომერციულად ზელმისაწვდომ მასალაზე სამგანზომილებიანი ბეჭდვისათვის.

მტკიცდება, რომ ნატურალურ გარე შესახედაობასთან ერთად, ობიექტები მოცემული მასალისაგან მდგრადია დეფორმაციისადმი სინოტივის ზემოქმედების ქვეშ, ამასთან ერთად ემორჩილება შეღებვას, ზეხვას და ჭრას ისევე, როგორც ნატურალური მერქანი. მასალის სახით მერქნის შემვსებების საბაზრო შესაძლებლობები აშკარაა ავეჯის მწარმოებლებისათვის.

**ColorFabb კომპანიის WoodFill შემვსებები** უკვე ზელმისაწვდომია ჩვეულებრივი კოჭის ძაფის სახით დიამეტრით 2,85 მმ. და 1,75 მმ. (ნახ. 63) გადამუშავებულ მერქანში 20 პროცენტი არის შერეული პოლიმერული მაცემენტირებელი დანამატი.

ჩინეთის მწარმოებლის – **PopBit** შემვსები **PopWood** წარმოადგენს კომპოზიციურ მასალას, რომელშიც გამოყენებულია ალვის ხის ნახერზი, დაწვრილმანებული მტვერის კონსისტენციამდე. უნდა აღინიშნოს, რომ ექტრუდირების დროს ეს შემვსები ღებულობს განსაზღვრულ ყავისფერ იერს. **Design for Craft** ჯგუფმა საკუთრივ შექმნა შემვსები **Stik** მერქნის პულპის ფუძეზე სამგანზომილებიანი ბეჭდვისათვის. მზა ობიექტი გამოიყურება როგორც მერქნის მოდელი (ნახ. 64), მაგრამ ხასიათდება პლასტიკის მდგრადობით. მოდელი ვარგისია ხეხვისათვის, შეღებვისათვის, გაპრიალებისათვის როგორც ნებისმიერი მერქნის მასალა.

3D-ბეჭდვის ეგზოტიკური გამოყენების სპექტრი გამუდმებით იზრდება, მაგრამ ბეჭდვას მერქნის გამოყენებით უკავია განსაკუთრებით მიმზიდველი ნიშა თავისი ორგანული და ეკოლოგიური თვისებების წყალობით. მსოფლიოში საყოველთაო პლასტიკურ სამგანზომილებიან ბეჭდვაში მაღლ შეიძლება მოხდეს მერქნის რევოლუცია.

#### **4.5. ბეჭდვის 4D ტექნოლოგია – საფუძველი „პროგრამირებული ნივთიერების“ შექმნისათვის**

პროგრესული ტექნოლოგია 4D-ბეჭდვა პროგრამირებული მატერიის (Programmable matter, PM) კონცეფციის საფუძველზე 3D-ბეჭდვის ტექნოლოგიის ლოგიკური გაგრძელებაა.

სწორედ მატერია და „არა მასალები“ – ასე შეიძლება მისი აღქმა, რადგანაც შეიმჩნევა გადასვლა ფილოსოფიური კატეგორიის არეში. 3D-პრინტერით მუშაობის დროს შეიძლება ობიექტის სიგრძის, სიგანის და სიღრმის მიცემა, რაც საჭიროა მისი დამუშავებისათვის.

4D-ბეჭდვას აქვს უნარი აიყვანოს 3D-ბეჭდვა სრულიად ახალ დონეზე. ბეჭდვის წინ შეყავთ მეოთხე თვითორგანიზაციის განზომილება – დრო, თანაც საუბარი არ არის ბეჭდვის დროზე. ახალი დინამიკური პარამეტრი უნდა გახდეს მოცემული დრო, როდესაც დაბეჭდილი ნაკეთობა მიიღებს საჭირო ფორმას. მხედველობაში მიღებული დამატებითი ფაქტორი (გარდა სიგრძის, სიგანის და სიმაღლის) გახდა საფუძველი იმისა, რომ ტექნოლოგიას დაერქვას 4D-ბეჭდვა.

არები, რომლებშიც დეტალი დაიკეცება, გაიჭიმება, დაიგრიხება ან გაიღუნება, „გააქტიურდება“ წყლის, სითბოს ან მექანიკური წნევის ზემოქმედებით. ზემოქმედების ტიპისგან დამოკიდებულებით 4D-ობიექტს შეუძლია სხვადასხვანაირად შეიცვალოს ფორმა.

პროგრამირებული მატერია – არის მეცნიერების და ტექნოლოგიების გაერთიანება ახალი მასალების შექმნის საქმიანობაში, რომლებიც შეიძენ არნახულ თვისებებს – ფორმის და/ან თვისებების (გამტარობა, სიმკვრივე, დრეკადობის მოდული, ფერი და ა.შ.) შეცვლა მიზანმიმარ-

თული ხერხით. ჯერჯერობით პროგრამირებული მატერიის დამუშავება მიღის ორი მიმართულებით:

1. ნაკეთობების დამზადება 4D-ბეჭდვის მეთოდით – ნამზადების ბეჭდვა 3D-პრინტერებზე, შემდეგ მათი თვითტრანსფორმაცია მოცემული ფაქტორების მოქმედების ქვეშ, მაგალითად, ტენის, სითბოს, წნევის, დენის, ულტრაინფორმაციის სინათლის ან ენერგიის წყაროებით;
2. „ვოკსელების“ (სიტყვა-სიტყვით – „მოცულობითი პიკსელების“) დამზადება 3D-პრინტერებზე, რომლებსაც შეუძლიათ შეერთება და გათიშვა უფრო მსხვილი პროგრამირებული სტრუქტურების ფორმირებისათვის.

პიკსელი არის ობიექტის ვირტუალური (**იხ. ვირტუალური სამყარო**) გამოსახულების ელემენტარული ერთეული, ხოლო ვოკსელი შეიძლება იყოს მატერიალურ სამყაროში თვით ობიექტის მატერიალური ერთეული. ორივე თავის თავში ატარებს ამინომჟავების ანალოგიას. მატერიის ელემენტარული ელემენტი შეიძლება იყოს ბევრად უფრო მეტი თავისი შედგენილობით, სტრუქტურით, ზომებით.

ვოკსელი შეიძლება იყოს ციფრული ან ფიზიკური. ციფრული ვოკსელი გამოიყენება 3D-მოდელის ვირტუალური წარმოდგენისათვის. ფიზიკური ვოკსელის ქვეშ იგულისხმება ერთგვაროვანი მასალების ან მრავალკომპონენტიანი ნარევის ელემენტარული მოცულობები, ნანომასალები, ინტეგრალური სქემები, ბიოლოგიური მასალები, მიკრორობოლტები და ბევრი სხვა.

მხოლოდ ორი ტიპის – ხისტი და რბილი ვოკსელების გამოყენებით შეიძლება სხვადასხვა მასალების შექმნა.

4D-ბეჭდვის მარტივი მაგალითი: ბრტყელი ზედაპირი, რომელიც დამოუკიდებლად დაიკეცება დაზურულ კუბში (**ნახ. 65**).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 4D-ბეჭდვის კონცეფცია შემოთავაზებული იყო სკაილერი ტიმბისონის მიერ მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტიდან.

მეცნიერებმა პროფესორ ხ. ჯერრი კის ხელმძღვანელობით დაამუშავეს „4D-პროცესი“, რომელიც შედგება ნამზადის ბეჭდვით პოლიმერულ ბოჭკოებისაგან „მეხსიერების“ ფორმით. მასტიმულირებელი ზემოქმედების შემდეგ დამზადებული ნახევარფაბრიკატი დეფორმირდება მოცემულ ადგილებში, საჭირო ფორმის მიღებით.

იმისათვის, რომ გასაგები გახდეს პროგრამული მატერიის მუშაობის პრინციპი, საკმარისია წარმოიდგინოთ, თუ რა წარმოიქმნება მერქნის თხელი ზოლის ერთი მხრიდან დასველების შემთხვევაში.

ზოლი დაიწყებს დეფორმირებას მერქნის არაერთგვაროვანი სტრუქტურის გამო (ნახ. 66). მერქნის ქაოსური სტრუქტურის გამო, მნელია წინასწარ ივარაუდო თუ რა სახის დეფორმაცია წარმოიქმნება. დეფორმაცია განისაზღვრება მრავალი ფაქტორებით, ისეთებით როგორიც არის მერქნის სტრუქტურის „მარცვლების“ სიდიდე, მერქნის ბოჭკოების ტიპი, მერქნის შიგნით წყლის შეღწევის ადგილების მდებარეობა და ა.შ.

მიუხედავად ამისა, ყოველთვის რჩება შესაძლებლობა საკმაოდ ზუსტად იწანასწარ-მეტყველო მასალის დეფორმაცია და მისცე მას სასურველი ფორმა, მასალის დასკელებით ზუსტად განსაზღვრულ ადგილებში.

სამწუხაოდ, მსგავსი ტრიუკების რეალიზაცია პრაქტიკულად შეუძლებელია ბუნებრივი წარმოშობის მერქანში, მაგრამ 4D-ბეჭდვის ტექნოლოგიის საშუალებით შეიძლება ხელოვნური მერქნის მიღება, რომელსაც ექნება ნებისმიერი დასახული სტრუქტურა სხვადასხვა სისქის შრეების მონაცვლეობის გამო და განსაზღვრული მარცვლოვნების ადგილები, რომლებიც „მართული“ დეფორმაციის შედეგად ღებულობენ მკაცრად დასახულ ფორმას.

ნივთის დამზადება, რომელიც თვითონ რეაგირებს გარემოს ცვლილებაზე და არ საჭიროებს რთულ და ძვირ ელექტრულ მოწყობილობებს, მასიურ და რთულ მექანიკას, არის პროგრამირებული მასალების უდიდესი უპირატესობა.

#### მაღალტექნოლოგიური, ატმოსფერომედევნი დაფარვა

**4D-ტექნოლოგია** – ეს არის უნიკალური ფირის გამოყენება, რომლის შემადგენლობაში შედის ფისების და სპეციალური მღებავი ნივთიერებების ისეთი კონცენტრაცია, რომლებიც უზრუნველყოფენ ულტრაიისფერი სხივების, ნალექების, ტემპერატურის ვარდნის და ტენიანობის ზემოქმედებისადმი მდგრადობას.

მოცემული ფირის ლითონზე დადების პროცესია: კარების ზედაპირზე ფირის დაწებება, ღუმელში მაღალი ტემპერატურის ქვეშ ნამზადის თერმოდამუშავება, რის შედეგადაც ლითონზე წარმოიქმნება დაფარვა, რომლებზედაც იმიტირებულია ძვირფასი ხის სახეობების სტრუქტურა ტექსტურის მკვეთრი გამოსახულებით.

# მესამე პარი

## გამოყვანა

### თავი V. ლაქსალებავი დაფარვის სისტემები

#### 5.1. შიდა დანიშნულების მერქნის ნაკეთობების შეღებვა

დანიშნულებისაგან დამოკიდებულებით ასხვავებენ ორი ტიპის ლაქსალებავ მასალებს (ლსმ) – შიდა და გარე სამუშაოებისათვის.

ლსმ დანაწილებულია შემდეგ ჯგუფებად:

- საღებავი (დანიშნულება – შეღებვა);
- მინანქარი, ემალი (დანიშნულება – დამინანქრება, მერქნის ზედაპირზე ბზინვა, პრიალა გაუმჭვირი დაფარვის შექმნა);
- ლაქი (დანიშნულება – გალაქვა, მერქნის ზედაპირზე დამცავ-დეკორატიული დაფარვის შექმნა);
- საგრუნტო (დანიშნულება – დაგრუნტვა, პირველი შრის შექმნა მერქანთან მომდევნო დაფარვის უფრო მტკიცე შეჭიდულობის უზრუნველსაყოფად);
- საფითხნი (დანიშნულება – შეფითხვნა, გაუთანაბრებელი ნაკლოვანებების შენატყლებების, ნაკაწრების, ჩაღრმავებების, ამონაგლეჯების და ა.შ. აღმოფხვრა);
- ანტისეპტიკი (დანიშნულება – მერქნის ლპობისადმი ხანგამძლეობის და მდგრადობის მისანიჭებლად მერქნის ზედაპირს ამუშავებენ სპეციალური პრეპარატებით. ისინი მიკროორგანიზმებს და მწერიმჭამიებს არ აძლევენ განვითარების საშუალებას, ამით უზრუნველყოფენ კონსტრუქციების სიმთელეს.(მერქანზე ანტისეპტიკის დადება ზდება დაზერხილი ხე-ტყის ან მზა ნაკეთობის ზედაპირზე. მათი საშუალებით მერქანი მავნებლებისათვის შხამი-ანიხდება).
- ანტისეპტიკი მერქნისათვის. დამცავი შედგენილობები დაიყოფა სამ ჯგუფად:
  1. წყალშიხსნადი ანტისეპტიკები შეიწოვება მერქნის ზედა შრეში, ტოვებს მას ჰაერშეღწევადს, მაგრამ ანიჭებს წყალუკუმბიძგებელ თვისებას. ეს ყველაზე კარგი საშუალებაა კონსტრუქციებისათვის, რომლებსაც სინოტივესთან არ აქვთ ხანგრძლივი დროითკონტაქტი.
  2. შედგენილობები ზეთის ფუძეზე, მერქნის ზედაპირზე წარმოქმნიან წყლისთვის და ჰაერისთვის მკვრივ, აბსოლუტურად შეუღწევად აფსკს. ასეთი ანტისეპ-

ტიკები გამოიყენება მაღალი სინოტივის პირობებში, მაგალითად აბანოების და სხვა ნაგებობების შშენებლობის დროს.

3. შედგენილობები აქროლად ორგანულ გამხსნელებზე გამოიყენება შიდა და გარე კონსტრუქციებისათვის.

მოქმედების ხერხის მიხედვით ასხვავებენანტისეპტიკურ გაუღენთას და გარედაფარვას.

- ანტისეპტიკური გაუღენთა

გაუღენთა აღწევს მერქნის სილრმეში და ქმნის დაახლოებით ერთ სანტიმეტრიან შრეს. ანტისეპტიკი ხშირად მერქნის ანტიმიკრობული დამუშავების გარდა გამოიყენება დეკორის სახით ნაკეთობის ნატურალური ფერის შესაცვლელად.

- დაფარვა ან იახტის ლაქი

დაფარვა მერქანში პრაქტიკულად ღრმად ვერ აღწევს: დამცავი თვისებები აქვს მის ზედაპირზე თხელ, მაგრამ მტკიცე აფსეს. ამის გამოკვეთილი მაგალითია იახტის ლაქი, რომლის წყალობით მერქანი იძენს საუცხოო ტენმდგრადობას. გარდა ანტიმიკრობული თვისებებისა იახტის ლაქს აქვს სხვა ღირებულებებიც: ამ ლაქით წარმოქმნილი დაფარვა სავსებით უსაფრთხოა ადამიანისათვის, არ არის ტოქსიკური და შეესაბამება თანამედროვე ეკოლოგიურ მოთხოვნებს (იხ. დამატება).

მერქანი ლითონისგან განსხვავებით „ცოცხალი“ მასალაა. ამიტომ დაფარვის ხანგამლეობის და სარისხის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ნაკეთობის შეღებვის დროს მისი ზედაპირის გულმოდგინედ მოშზადება დაფარვის შერჩეული ტექნილოგიის გათვალისწინებით.

ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს დაფარვის ხარისხზე:

- მერქნის ან ფანერის სახე;
- მერქნის შედგენილობა;
- წებოს ტიპი (პგა – (პოლივინილაცეტატი) შარდოვან-ფორმალდეპიდის ან ფენოლფორმალდეპიდის ფისები);
- ფანერის დაწნეხვის ხერხი და სახე – ცხელი ან ცივი დაწნეხვა;
- ექსპლუატაციაში მერქნის ტენიანობის ცვლილება, განსაკუთრებით მასიური ობიექტებისათვის;
- მერქნის ზედაპირის ხეხვა: სახეზი მარცვლის მასალა და ზომა, ასევე ხეხვის მიმართულება ბოჭკოების მიმართ (განივი და გრძივი);
- შესაღებ კამერაში და, ასევე შრობის პროცესშიპაერის ტენიანობა და ტემპერატურა;

- შეღებვის პარამეტრები, როგორიც არის სიბლანტე, ტემპერატურა, დასაფარი ნივთიერების რაოდენობა, შრობის და გამყარების პირობები.

ყველაზე გავრცელებული ლსმ ტიპები:

1. ორგანული გამხსნელებში წსნადი ლსმ:

- ნიტროცელულოზის მასალები;
- მუაგაგამყარების მასალები;
- ორკომპონენტიანი პოლიურეთანული (2კ-პურ) სისტემები;
- უჯერი პოლიეთერული სისტემები;
- ლაქსალებავი სისტემები, გამყარების ულტრაიისფერი ან ელექტრონული გამოს-ზივებით (დასზივებით);
- ბეიცები (საკალასეები);
- ზეთები და ცვილები.

2. წყალში წსნადი ლსმ:

- საღებავები წყლის ფუძეზე (ერთ ან ორკომპონენტიანი ლაქსალებავი სისტემები).

მერქნის დამცავ-დეკორატიული შეღებვისათვის ლსმ შესარჩევად აუცილებელია შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინება:

- მერქნის იზოლაციის უზრუნველყოფა, აგრესიული ნივთიერების ზემოქმედებისა-გან;
- მერქნის ფორების კარგი დასველებადობა;
- მერქნის ზედაპირის უმნიშვნელო სიმქისე, მომზადებული შეღებვისათვის;
- დაფარვის კარგი ელასტიურობა დასკდომის თავიდან ასაცილებლად;
- დაფარვის კარგი მექანიკური თვისებები, გაცვეთის მიმართ მდგრადობის უზრუნ-ველსაყოფად (პარკეტისათვის და იატაკის დაფარვისათვის).

სხვადასხვა მოთხოვნების და ლაქსალებავი დაფარვის თვისებების საფუძველზე შიდა დანიშნულების მერქნის ნაკეთობები დაყოფილია შესაღები პროდუქციის ფუნქციური დანიშნულების მიხედვით: საოჯახო და საოფისე ავეჯი, სამზარეულოს და აბაზანის ოთახის ავეჯი, სკამები, კარებები, მუსიკალური ინსტრუმენტები, პარკეტი, ლამინატის იატაკები, პანელები, სურათების ჩარჩოები და ბევრი სხვა.

ითვლება, რომ ზედაპირის დამუშავება იძლევა მერქნის სტრუქტურის, ბუნებრივი სილა-მაზის, განსაკუთრებული თავისებურების და კოლორიტის გამოვლინებას. ამასთან გამოყენებული მასალების სახეობაზე დამოკიდებულებით შეიძლება სხვადასხვა დეკორატიული ეფექტების მიღე-ბა: გამჭვირვალე ლაქებით ზედაპირების შეღებვის დროს, ამოჭმის (ფერჭერის) შემთხვევაში,

ფერადი ნახევრად გამჭვირვალე ლსმ ან მთლიანად პიგმენტირებული სისტემების გამოყენების დროს.

### დამატება. ლარიქსის ნაკეთობების შეღებვა

უსწორმასწორო (უთანაბრო) ზედაპირის წარმოქმნა ან ლსმ დასკდომაც განპირობებულია ლარიქსის მერქნის განსაკუთრებული თვისებებით. ახალგაზრდა მერქნის ზრდის პროცესში წარმოშობილი ლარიქსის ბოჭკოების სტრუქტურის მნიშვნელოვანი ცვლილებები არსებითად იწვევს სიმკვრივის რხევებს, რაც თავის მხრივ შეიძლება იყოს ლაქსალებავი დაფარვის დეფექტების წარმოქმნის მიზეზი.

ყველაზე უფრო გავრცელებულ დეფექტს წარმოადგენს ჰაერის ბუშტები, დაფარვის არათანაბრობა და ლრმა ბზარები. ლარიქსის მერქნის კიდევ ერთ განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს *pH*დაბალი მნიშვნელობა, ასევე მის სტრუქტურაში წყალში ხსნადი ფენილის ნაერთის არსებობა. უკანასკნელი ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს დაფარვის აფსეწარმოქმნაზე და ამცირებს მის სტაბილურობას. ვერტიკალური ზედაპირების შეღებვის დროს ლაქსალებავ დაფარვაზე შეიძლება წარმოიქმნას ბზარები და დანაკარგები. აღნიშნული პრობლემის თავიდან აცილების ერთადერთ სწორ ხერხს წარმოადგენს სპეციალური საგრუნტოების გამოყენება. მაგალითად, სპეციალურად ლარიქსისათვის კომპანია TEKHOC მიერ დამუშავებული წყლის ფუძეზე ორკომპონენტიანი საგრუნტო GORI 644. საგრუნტოს დადება ხდება ფინიშური დაფარვის დროს. ის ზედაპირზე ავსებს ყველა უსწორობას, ამასთან ხდება მის სტრუქტურაში განსხვავების აღმოფხვრა და არ აქვს დიფუზიური ბარიერი. GORI 644 დადებისათვის გამოიყენება ამოვლების, შესხურების და გადავლების ტექნოლოგიები.

## 5.2. ბეიცები

უძველესი დროიდან ბეიცებს იყენებდნენ მერქნის დამუშავების და მისი შეღებვის დროს. მერქნის შეღებვის (colouring) პროცესის სიახლოები ქსოვილის შეღებვის პროცესთან შესაძლებელი გახადა ერთნაირი ნედლეულის და მსგავსი ტექნოლოგიური პროცესების გამოყენება. ფერჭერის ამოცანაა ნედლი მერქნის გაკეთილშობილება და შეღებვა. ამასთან არ ხდება მერქნის ტექსტურის წაშლა, არამედ უფრო მისი გამომჟღავნება. თანამედროვე ბეიცებით მიიღება კარგი შედეგი – ნატურალური მერქნის ელფერის მინიჭებიდან ძლიერ ხასხასა ფერამდე.

სპეციალური ფერჭერები საშუალებას იძლევა, მაგალითად განსაკუთრებულად აღნიშნოს მერქნის წლიური რგოლების სურათი (პოზიტიური ეფექტი), მერქნის ფორები (რუსტიკის ეფექტი) ან გაათანაბროს ელფერი. ეს არის ბეიცების გამოყენების ძირითადი მიმართულება ავეჯის, სამზარეულოს ავეჯის, პარკეტის და კარების სამრეწველო წარმოებაში.

## **დამატება. მერქნის დაკალასება**

**საკალასე** (აგრეთვე ბეიცი) – სპეციალური მასალა მწვავე სითხის სახით. დაკალასების პროცესის დროს ხდება საკალასეს დადება დამუშავებულ მერქანზე მისთვის განსაზღვრული ფერის მისაცემად, როგორც წესი, სხვა მერქნის ფერის. საკალასის შედგენილობა მერქნის ზედაპირზე არ წარმოქმნის აფსკს, მაგრამ აღწევს რაღაც სიღრმეზე, ღებავს მერქანს, რის ხარჯზეც მერქნის სტრუქტურა რჩება უფრო ხილვადი საღებავისგან ან ლაქისგან განსხვავებით. წყლის საკალასების არ აქვთ მერქნის დამცავი თვისებები, მაშინ როდესაც საკალასები გამხსნელების და სპირტების ფუძეზე პრაქტიკულად ყოველთვის მუდამ იცავენ მერქანს.

უფერულ საკალასების, რომლებიც არ ღებავენ მერქანს, აქვთ განსაკუთრებით მერქანდამცავი და საგრუნტო თვისებები.

საკალასეს დადების ტექნოლოგია:

- გაქნა;
- დაფრქვევა;
- გათითხნა ჭამპონით და ლილვაკით;
- ფუნჯით დადება.

საკალასები შეიძლება იყოს წყლის ფუძეზე (წყალგანზავებადი), გამხსნელის ფუძეზე (ნიტროსაკალასები), ცვილის ფუძეზე, სპირტის ფუძეზე. სხვადასხვა მწარმოებელი მომხმარებელს საკალასების აწვდის თხევადი კონცენტრატის, მზა ხსნარის ან ფხვნილის სახით. მერქნისათვის კლასიკური დაფარვის საფუძველს წარმოადგენს აფსკწარმომქმნელი ნივთიერება. ბეიცების რეცეპტურებში ნედლეულის უდიდეს ნაწილს წარმოადგენს მერქნისათვის ჩვეულებრივი ლსმ კომპონენტები. რეცეპტურის ძირითადი კომპონენტებია **საღებრები და/ან პიგ-მენტები**.

მერქნის სამრეწველო ფერჭერისათვის ძირითადად გამოიყენება სინთეზური ორგანული საღებრები. საღებრები კლასიფიცირებულია მათი გამოიყენების ხერხის (საფეიქრო მრეწველობა) ან საღებრების ქიმიური სტრუქტურის მიხედვით. ბეიცების რეცეპტურებში გამოიყენება **საღებრების შემდეგი ჯგუფები**: მჟავური (ანიონური), ლითონკომპლექსური, **სუბსტანციური** (პირ-დაპირი), აქტიური.

დანიშნულების და მოსალოდნელი შედეგისგან დამოკიდებულებით გამოიყენება ორგანული და/ან არაორგანული **პიგმენტები**. მერქნისათვის გამოიყენება მხოლოდ საულენთი პიგმენტური შედგენილობები. საღებრისაგან განსხვავებით, პიგმენტებს ძირითადად აქვთ უკეთესი შუქმედეგობა და ქიმიური მდგრადობა.

კლასიკურ პიგმენტებს, საღებრებთან შედარებით, აქვთ ნაკლები გამჭვირვალობა და მერქნის ტექსტურაც უფრო ფარულია, ე.ი. შენიღბვადია. ამიტომაც უკვე ბევრი წელია მიმდინარეობს სპეციალური საულენთი შედგენილობების დამუშავება, რომლებსაც მაღალ გამჭვირვალობასთან ერთდროულად ექნებად მაღალი შუქმედეგობა.

გამოყენებული გამხსნელების შედგენილობა განისაზღვრება დაფარვის დადების ტექნოლოგით და გამოყენებული აფსკრამომქნელის საღებრების ან პიგმენტების შედგენილობით. საღებრების სახით გამოიყენება ეთერები, გლიკოლები და გლიკოლის ეთერები, სპირტები, ასევე წყალი.

ბეიცების რეცეპტურაში შეიძლება გამოყენებული იყოს ზის დამუშავებაში ლაქსალებავი სისტემებისათვის ყველა ცნობილი აფსკრამომქმნელები, მაგალითად ალკიდის და აკრილატური ფისები, ცელულოზის ნიტრატი, ცელულოზის აცებუტირატი.

აფსკრამომქმნელები ბეიცების რეცეპტურაში ასრულებენ მთელ რიგ ფუნქციებს:

- პიგმენტების შედგენილობის სტაბილიზაცია სედიმენტაციის (დალექვის) შეტკირებისათვის და კასრში ფსკერული ნალექის წარმოქმნის თავიდან აცილება;
- გავლენა თვისებაზე, აუცილებელი გადამუშავების და დადების დროს, მაგალითად, ვალცებიანი მანქანის ჩატვირთვის ან პიგმენტების დაფქვის დროს;
- დეკორატიული ეფექტების ფორმირება, მაგალითად, რუსტიკი;
- სამომხმარებლო თვისებების გაუმჯობესება, მაგალითად ზედაპირის მომატებული სიმკვრივე, ადჰეზიური სიმკვრივე ლაქით დაფარვის სისტემებში.

დამატებები შეირჩევა იმავე კრიტერიუმებით, როგორც მერქნისათვის ლაქსალებავი სისტემები. ამ დროს საუბარია ქაფჩამქრობზე, სველებად აგენტებზე და დისპერგატორებზე.

დღეისთვის არ არსებობს ბეიცების კლასიფიკაციის ერთიანი სისტემა. მერქნის ფერჭერისთვის (ამოჭმისთვის) არსებობს სხვადასხვა მასალების მრავალი ყოველდღიური სახელწოდება. უმთავრესად ეს არის სხვადასხვა მწარმოებლების მიერ დამზადებული პროდუქტების სასაქონლო სახელწოდება.

სამრეწველო მიზნებისათვის ყველაზე უფრო ხშირად იყენებენ ბეიცების რამდენიმე თვისებას და მათი გამოყენების პირობებს.

პირველი ასეთი გრადაცია არის ბეიცების დაყოფა ორგანული და წყლის გამოყენებული გამხსნელების ტიპების მიხედვით. სხვა კვალიფიკაციას წარმოადგენს მერქნის დამუშავებულ ზედაპირზე დაფარვის დადების ხერხები, მაგალითად გაფრქვევა, ჩაბირვა, ვალცვა. დაბოლოს გარკვეული ბეიცები შეიძლება კვალიფიცირებული იყოს იმ დეკორატიული ეფექტების მიხედვით, რომლებიც წარმოიქმნება დამუშვებულ ზედაპირზე, კერძო:

- ორგანულ გამხსნელში ზსნადი ბეიცი რუსტიკის ეფექტით ვალცებით დადებისათვის;
- ერთკომპონენტიანი პოზიტიური ბეიცი, წყალში ზსნადი, გაფრქვევისათვის.

### 5.3. ძირითადი მოთხოვნები ბეიცების რეცეპტურებისადმი

ბეიცების სპეციალური რეცეპტების დამუშავების დროს აუცილებელია გათვალისწინებული იყოს:

- ფერის გადაწყვეტა;
- მისაღები ზედაპირული ეფექტის სასურველი სახე;
- დაფარვის დადების ხერხი (მაგალითად, ვალცვა, გათანაბრება ფუნჯით ან მის გარეშე) და ტექნოლოგიური პარამეტრები (მაგალითად, შრობის პირობები, ტემპერატურა);
- გამოსაყენებელი მასალები და ტექნოლოგიები დაფარვის ძირითად და დამფარავ შრისათვის (მაგალითად, ულტრაიისფერი დასხივებით გამყარებული უჯერი პოლიეტერული ან წყალში ზსნადი ლაქსალებავი სისტემები);
- მერქნის ტიპი და ზედაპირის მომზადება (მაგალითად, ხეხვა).

მნიშვნელოვან ზედაპირულ ეფექტებს წარმოადგენს პოზიტიური ეფექტი წიწვოვანი მერქნისათვის და რუსტიკის ეფექტი მსხვილფორიანი მერქნისათვის.

პოზიტიური ეფექტის ქვეშ იგულისხმება ზედაპირის ისეთი დამუშავება, როდესაც მერქნის ადრეული უბნები რჩება ღია (ნათელი), ხოლო მერქნის გვიანი (ზაფხულის) უბნები კი მუქი. ეს მიიღწევა სპეციალური სილიციუმმჟავის და/ან აქტიური საღებრებით გაცვილვის (გასანთვლის) კომბინირებული გამოყენებით.

**რუსტიკის ეფექტი** განსაკუთრებით ფასეულია მსხვილფორიანი მერქნისათვის, როგორიც არის მუხა და იფანი (კოპიტი), და ასევე შეუძლია იმოქმედოს რეცეპტურის დამზადებაზე. წვრილფორიან მერქნისათვის (ნეკერჩხალი, არყი, წიფელი) მსგავსი ეფექტი, როგორც წესი, არასასურველია.

ღია ელფერით (ტონით) მერქნის შესაღები რეცეპტურების შედგენის დროს პიგმენტების შედგენილობამ უნდა უზრუნველყოს მაღალი შუქმედეგობა, ასევე მერქნის შეღებვაში სხვაობის კორექტირება. პირიქით, მუქი ფერებისათვის დამუშავებულია რეცეპტურები, რომლებიც შეიცავენ ორგანულ საღებარებს და პიგმენტებს ელფერის (ტონირების) ინტენსიურობის მიღწევის და შეღებვის სიკაშკაშის ამაღლების მიზნით.

ბეიცების ყველაზე მნიშვნელოვან ოპტიმალურ თვისებას წარმოადგენს მდგრადობა ულტრაიისფერი ამოსნივების მიმართ, ე.წ. შუქმედეგობა. ბეიცების შემადგენლობაში შემავალი საღებარების და პიგმენტების შერჩევა, უნდა იყოს ძალიან ზუსტი. ერთდროულად შედგენილობა და ელფერზე (ტონისაგან) დამოკიდებულებით, ბეიცმა უნდა აარიდოს ან შეამციროს დაუმუშავებელი მერქნის ფერის წინასწარი შეცვლა.

რეცეპტურების შემადგენელი ნაწილების შერჩევა ხორციელდება დასამუშავებელი მერქნის ტიპის და მისი შემადგენელი ნივთიერებების გათვალისწინებით. მერქნის გრადიენტები შეიძლება იყოს ფერის შეცვლის მიზეზი ან მათ იქონიოს გავლენა ბეიცებით ზედაპირის დასველებადობაზე. მერქნის ზედაპირის ბეიცით შეღებვის თანაზომიერებაზე და ინტენსივობაზე, და, მაშასადამე, ბეიცების რეცეპტურაზე ძლიერ გავლენას ახდენს მერქნის ხეხვის ტექნოლოგიური პროცესი.

დაფარვის დადების პროცესი და შრობის პირობები მნიშვნელოვნად განისაზღვრება აფსკრარმომქნელის, გამხსნელის და დანამატის შერჩევის ხარისხით. ვალცვის პროცესის დროს რეზინის ვალცვის სიმაგრეზეა დამოკიდებული დაფარვის შემადგენლობის რაოდენობა და ფერის ეფექტი. შემადგენლობის სიბლანტის კორექტირებით შეიძლება დაფარვის რაოდენობის რეგულირება.

ცვილის შემადგენლობის გარდა, ყველა ბეიცი მისი დადების და შრობის შემდეგ იფარება ე.წ. დამცავი გამჭვირვალე ლაქით. მერქნის დაფარვისათვის გამოყენებული ლაქსალებავი სისტემები, გავლენას ახდენენ საღებავის ტონის აღქმაზე და ზედაპირულ ეფექტებზე. საჭიროა ვიცოდეთ, რომ არსებობს ლაქები, რომლებიც ფუძეშრეს „შენათებს“ ან „ცეცხლს უკიდებს“. წყალში ხსნად ლაქებს აქვთ უფრო მეტი მიღრეკილება „ქვენათების“ ეფექტისაკენ, მაგრამ ხსნადები ორგანულ გამხსნელებში საფუძველს „ცეცხლს უკიდებს“. ამის გათვალისწინება აუცილებელია ბეიცების რეცეპტურების დამუშავების დროს. ბეიცების შერჩევა უნდა ხორციელდებოდეს ერთდროულად მომხმარებლის მიერ გამოყენებულ ლაქთან.

დაფარვის ქვეშ გამოყენებული ბეიცები უჯერი პოლიეთერების ფუძეზე შეცველი სტიროლის და ჰიდროზეუანგის, ასევე ულტრაიისფერი დასხივებით გამყარებული ლაქსალებავი სისტემები, საჭიროებს ბეიცების სპეციალურ შედგენილობებს, რომლებიც უზრუნველყოფნ შეღებვის და ადჰეზიის სტაბილურობას.

## 5.4. მერქნისათვის სამრეწველო ბეიცების გამოყენება

ავეჯის წარმოებაში წყალში ხსნადი ბეიცები ჩაძირვით შეღებისათვის უმთავრესად გამოიყენება სკამების ნაწილებისათვის, მაგიდის ფეხებისათვის და ზოგჯერ მთლიანად სკამისათვის. ამ შემთხვევაში ძირითადად გამოიყენება წიფელი, მაგრამ ასევე შეიძლება მუხის და იფანის (კოპიტის) მერქნის გამოყენება. როგორც წესი საუბარია წყალში ხსნად ბეიცებზე. წარსულში უმთავრესად ეს იყო სუფთა მდებავი ფერმჭერები შემკვრელის დამატების გარეშე. ჩაძირვის პროცესისათვის თანამედროვე ბეიცები წინანდებურად იქმნება წყლის ფუძეზე, მაგრამ ხშირად ერთდროულად იღებება პიგმენტების ნარევით საღებარის უმნიშვნელო წილით. ისინი, თავის მხრივ, წარმოადგენენ წყლის დისპერსიას, რომელიც კარგად შეიწოვება და ზედაპირზე წარმოქმნის აფსკრარმოქმნელ შრეს. ამრიგად რეგულირდება რუსტიკის ეფექტის ინტენსიურობის ხარისხი, გამოირიცხება ნაღვენთები, ხდება სხვადასხვა სახეობის მერქნის შეწოვადობის გათანაბრება, ასევე მარტივდება შესაღები ზედაპირის წინასწარი დამუშავება, მაგალითად ხეხვა. დეკორატიულ ეფექტზე ასევე გავლენას ახდენს ბეიცების რეცეპტურაში სხვადასხვა დანამატები, მაგალითად სველებადი საშუალება და ორგანული გამხსნელების მცირე რაოდენობა. ბეიცის შრობის შემდეგ შეიძლება განხორციელდეს მომდევნო დაგრუნტვა წყლის შედგენილობით ნაღვენთების წარმოუქმნელად აგზში ჩაძირვის გზით. ბეიცის აფსკრარმოქმნელი წილის წყალობით მცირდება დამფარავი ლაქის დაღების რაოდენობა.

მერქნის სამრეწველო ფერჭერა ჩაძირვის მეთოდით ხორციელდება როგორც ხელით, ასევე ავტომატურად. ჩაძირვისათვის ტევადობაში ყოფნის ხანგრძლივობა შეადგენს 30-60 წამს, საღებავის ტონზე და საჭირო ეფექტზე დამოკიდებულებით. მომდევნო შრობას ახორციელებენ ოთახის ტემპერატურაზე ( $23^{\circ}\text{C}/50\%$  ჰაერის ფარდობითი ტენიანობა) რამოდენიმე საათიდან 15-60 წუთამდე შრობის დაჩქარებულ ვარიანტში, ე.წ. საშრობში ჰაერის ცირკულაციით.

მრეწველობაში ბეიცების დადება (დაფრქვევა), გამხსნელების შემცველობით, ხორციელდება როგორც ხელით, ასევე ბრტყელი ან ლარტყული ავტომატების საშუალებით.

წვრილფორიანი მერქნის (მაგალითად, ნეკერჩალი, წიფელი, არყის ხე) ფერჭერას ახორციელებენ ბეიცებით, რომლის დადება ხდება მშრალად ან ნისლისმაგვარად. ეს მიიღწევა რეცეპტურაში ძალიან სწრაფად აორთქლებადი გამსხნელების შეყვანით, რითაც აღწევენ წვრილფორიანი მერქნის თანაბარ დაფარვას ფორების (რუსტიკის) გამოვლინების გარეშე.

აფსკრარმოქმნელების მცირე დამატების და ნელა აორთქლებადი გამხსნელების საშუალებით, ავტომატებით ბეიცის დადების დროს შესაძლებელია დაფარვის თანაბარზომიერების და ზედაპირზე საშუალების თავიდან აცილების მიღწევა. მსხვილფორიანი მერქნისთვის ბეიცების რეცეპტურები შეიცავენ ცოტა აქროლად ორგანულ გამხსნელების მნიშვნელოვან ნაწილს, რათა

უზრუნველყოფილ იყოს ფორების სამედო დასველება. მსხვილფორიანი მერქნის (მაგალითად, მუხა, იფანი), ფერჭერა ხორციელდება ნედლი მასალის დიდი რაოდენობის (ნამეტის) დადებით, წვრილფორიან მერქანთან შედარებით. ბევრ შემთხვევაში დაფარვის შემდეგ ხდება ზედმეტი ბეიცის მოცილება. სკამების საწარმოო დამზადების დროს გაფრქვევისათვის კლასიკურ ბეიცებს წარმოადგენს შემდები ბეიცები აფსკწარმოქმნელის დანამატების გარეშე. მერქნის სახით, როგორც წესი გამოიყენება წიფელი და წიფელისაგან შეწებებული მერქანი. ამ რეცეპტურით დამზადებული ბეიცები (აფსკწარმომქნელის გარეშე) შეიძლება დაიდოს ნამეტით (ნედლი დასადები მასალის) და აუცილებლობის შემთხვევაში მოხდეს მისი ადვილად მოცილება. შრობის შემდეგ (2 სთ ტემპერატურის  $23^0\text{C}/50\%$  ჰაერის ფარდობითი ტენიანობის ან  $10-15$  წთ. დაჩქარებული შრობის  $30-50^0\text{C}$  ტემპერატურის დროს), ამგვარად დამუშავებული სკამები შეიძლება დაიგრუნტოს ან შეიღებოს დამფარავი ლაქით, როგორც წყალში ხსნადი სისტემების გამოყენებით, ასევე ლაქსალებავი მასალებით (**ლსმ**) ორგანული გამხსნელების ფუძეზე.

კლასიკური საღებარების გარდა, ასევე გამოიყენება პიგმენტური შემადგენლობები, აფსკწარმოქმნელები, ორგანული გამხსნელები და ადიტივები. პოზიტიური ეფექტით რბილი მერქნის (ნაძვი, ფიჭვი) ბეიცებით დამუშავების დროს ნედლი დასადები ნივთიერების რაოდენობა უნდა შეადგენდეს  $60-80$  გრ./მ<sup>3</sup>, ხოლო ეფექტის გამოვლინებას უზრუნველყოს შრობის პარამეტრები. ინტენსიური შრობის დროს ( $30-50^0\text{C}$ ) არ არის საჭირო დასაშრობი არხის ძლიერი განიავება, რადგანაც ბეიცების ნესტიან ზედაპირზე აგრიგალების შედეგად შეიძლება წარმოიქმნას დაფარვის ტალღისებრი სურათი.

სამრეწველო წარმოებაში ბრტყელი ზედაპირების დაფარვა ხდება ვალცებიანი აგრეგატებით. ამ დროს ბეიცების დადება ხდება რეზინის ფორიანი ვალცებით და გათანაბრება კი ეწ. „გამასწორებელი ჯაგრისით“ ბოჭკოების მიმართულებით. პრაქტიკაში გამოიყენება რეზინის ტიპის ვალცები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან ფორიანობის ხარისხით. უმთავრესად გამოიყენება ვალცები ფორიანობით 1, 2 და 3. ნუმერაციის ზრდასთან მატულობს რეზინის ტევადობა და შესაბამისად იზრდება ნაკეთობის ზედაპირზე დასადები ნივთიერების რაოდენობაც. პრაქტიკაში განსაკუთრებით ხშირად ფორიანი და გლუვი ვალცების შეხამება გამოიყენება გაუღენისთვის მუქი ეფექტის წარმოსაქმნელად. როგორც წესი ზედაპირზე უნდა დაიდოს დაახლოებით  $10$ -დან  $40$ -მდე გრ./მ<sup>2</sup> ნედლი ნივთიერება.

კომბინირებული ბეიცებისთვის (წყლის და ორგანული ნარევის ფუძეზე), რომლის დადება წიფელის ან იფანის (კოპიტის) მერქანზე ხდება ფორიანი ვალცების საშუალებით, ორგანული გამხსნელების წილი შეადგენს  $60\%-მდე$ , იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იყოს კარგი

დასველებადობა. წყლის შემადგენელი დასამუშავებელ ზედაპირს ანიჭებს მცირე სიმქისეს, რაც პირველ რიგში წარმოქმნის მუქ ელფერს და ზრდის აღპეზიურ სიმტკიცეს.

ბეიცების დადება მტკიცე გლუვი რეზინის ვალცებით უმთავრესად გამოიყენება წვრილ-ფორიანი მერქნის შესაღებად. ფერადი ტონის დასადები ნივთიერების რაოდენობასა და შრობის პარამეტრებზე დამოკიდებულებით ბეიცებს აშრობენ ჰაერის ცირკულაციით ჩაკეტილ სისტე-მაში 20-დან 60 წამამდე 60-70°C-ზე. ჩვეულებრივ შრობისათვის გამოიყენება ე.წ. ორთქლ-ჰაერიანი მფრქვევანა საშრობი 15-დან 20გ/წმ-მდე ჰაერის ნაკადის სიჩქარით.

განსაკუთრებული გამჭვირვალე ფერადი ტონების მიღება ხდება სპეციალური ბეიცების დადებით ულტრაიისფერი დასხივებით გამყარებული საგრუნტოსშემდგომი ხეხვით.

## თავი VI. ნიტროცელულოზური ლაქსალებავი გასაღები

ნიტროცელულოზურ (ნც) დაფარვას კვლავ წამყვანი ადგილი უკავია მერქნის და მერქნული მასალების შეღებვაში. მსოფლიო მასშტაბით ნც დაფარვის ბაზარი წელიწადში იზრდება 2-3%-ით. ამასთან მერქნის შესაღებად მათი გამოყენების ტემპები მნიშვნელოვნად გან-სხვავდება რეგიონების მიხედვით. დღეისათვის ევროპის და აზიის აღმოსავლეთ ქვეყნებში შეიმჩნევა ავეჯის წარმოების აქტიური განვითარება და ნც ლიმ-ის გამოყენება. მარტო ჩინეთში ნც მასალების წარმოება წელიწადში იზრდება 5%-ით, დასავლეთ ევროპაში კი საწინააღმდეგო ტენდენციაა მცირდება ნც მასალების ბაზარი, ამის მიზეზი კი ევროპის კანონმდებლობაა.

ლაქსალებავი სისტემებისათვის (ლსს) აფსკრარმომქნელის სახით ცელულოზის ნიტრატის გამოყენება იწყება XIX საუკუნის შუა წანიდან, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ცელუ-ლოზისაგან და აზოტმჟავისაგან ასაფეთქებელი ნივთიერების მიღების ექსპერიმენტებთან.

ლაქსალებავ მასალებში (ლსმ) ცელულოზის ნიტრატის ტექნიკური გამოყენება პირველად მოიხსენება 1880 წ., როდესაც ნიტროცელულოზის რეცეპტურაში პლასტიფიკატორის სახით გამოყენებული იყო აბუსალათინის ზეთი. განვითარების შემდგომი ეტაპია – პირველი მსოფლიო ომის დასასრული, ხოლო 1918 წლიდან იწყება ნც ლიმ ტრიუმფალური სვლა.

განვითარებას შემდგომი ბიძგი მისცა დაბალსიბლანტიანი კოლოქსილინის (იხ. ცელუ-ლოზის ნიტრატი) მიღებამ, რომელიც ბევრად უფრო უკეთესად უდგებოდა დაფარვის რეცე-პტურებს, ვიდრე მანამდე გამოყენებული ცელულოზის ნიტრატი აფსკრარმომქნელის სახით.

ნიტროცელულოზური ლსმ განვითარება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქიმიური მრეწველობის მიერ წარმოებული ახალი გამხსნელების გამოყენების შესაძლებლობასთან. ნც ლსმ მიღებაც და მიღების შემდეგ მისი უშუალოდ გამოყენებაცმარტივი იყო. ამის გამო წარ-

მოიქმნა ნც ლსმ სწრაფი განვითარების პირობები. ნც დაფარვა შრება რამდენიმე საათის განმავლობაში, მაშინ როდესაც ზეთის საღებავების სისტემებს სჭირდებათ რამდენიმე დღე.

ალკიდის ფისების, ბუნებრივი ცხიმოვანი ზეთებისგან ფისების და პოლიეთერული ფისების მოდიფიცირების ხარჯზე გაჩნდა ნც ლსმ თვისებების გაუმჯობესების და მათი გამოყენების სფეროს გაფართოების შესაძლებლობა. დღეისათვის სხვადასხვა ტიპის ფისების მოდიფიცირების მრავალი ვარიანტი საშუალებას იძლევა ნც დაფარვისათვის მოინახოს სულ უფრო ახალი გამოყენების სფეროები.

## 6.1. ნიტროცელულოზური მასალების შედგენილობა

ნც მასალის რეცეპტურის ძირითად ნაწილს შეადგენს ცელულოზის ნიტრატი – ძირითადი აფსკრარმომქნელი, რომელსაც შეუძლია სხვა ფისებთან კომბინირება.

ნიტროცელულოზის ძირითად ნედლეულს წარმოადგენს პოლისაქარიდის ცელულოზა (იხ. საქარიდი) – მერქნის და უმრავლესი ყველა სხვა მცენარის შედგენილობის ძირითადი ნივთიერება.

ცელულოზის მოლეკულაშიმონომერული რგოლები (გლუკოზის მოლეკულები) ერთ-მანეთთან შეერთებულნი არიან წრფივად. წყალბადის ბმების დიდი რაოდენობის წყალობით ცელულოზას აქვს ხისტი სტრუქტურა. დაუმუშავებელი ნატურალური ცელულოზა უხსნადია და არ წარმოადგენს აფსკრარმომქნელს.

დღეისათვის ნიტროცელულოზის მისაღებად ყველაზე უფრო მეტად გამოიყენება წიწვოვანი მერქნისაგან მიღებული ცელულოზა.

ნიტრირება ხორციელდება მანიტრირებული ნარევით, რომელიც შედგება აზოტმჟავის და გოგირდმჟავის სხვადასხვა თანაფარდობით ნარევისაგან. ამ დროს ხდება აზოტმჟავით ცელულოზის თავისუფალი ჰიდროქსილის ჯგუფების ეთერიფიკაციის რეაქცია, რის შედეგად წარმოიქმნება აზოტმჟავის ეთერები, რომელსაც უწოდებენ ნიტრატებს. ამიტომ სახელწოდება „ნიტროცელულოზა“ მცდარია (იხ. ნიტროორგანული ნაერთი).

ეთერიფიკაციის ხარისხი დამოკიდებულია მანიტრირებულ ნაერთში წყლის ნაწილით. რაც უფრო მეტია წყლის შემცველობა, მით უფრო დაბალია ეთერიფიკაციის ხარისხი.

ნიტრირების პროცესში კატალიზირებული მჟავებით ხდება პოლიმერის მოლეკულების გახლება და სიბლანტის დაკლება. შემდეგი დამუშავებას ე.ი. წყალთან ადულების დრო მაღალ წნევაზე შესაძლებელია მიღებული იყოს სიბლანტის შემდგომი დაკლება. ამრიგად მიღებული ცელულოზის ნიტრატი ხასიათდება შემდეგი პარამეტრებით:

- აზოტის შემცველობა (ეთერიფიკაციის ხარისხი);

- სიბლანტე;
- ხსნადობა.

თეორიულად ცელულოზის ყველა თავისუფალი ჰიდროქსილის ჯგუფები შეიძლება იყოს ეთერიფიცირებული. ცელულოზის ნიტრატი აზოტის 12,6% მეტი შემცველობით გამოიყენება როგორც ასაფეთქებელი ნივთიერება. ლაქებისათვის და პოლიგრაფიული საღებავებისათვის გამოიყენება ცელულოზის ნიტრატი 10,7-დან 12,2%-მდეაზოტის შემცველობით. ეთერიფიკაციის ხარისხის (აზოტისშემცველობა) შემცირებით იზრდება ნიტროცელულოზის ხსნადობა სპირტებში, ხოლო მომატებით კი ხსნადობა იზრდება არაპოლარულ გამხსნელებში როგორც ეთერებია.

ხსნადობისაგან დამოკიდებულით ასხვავებენ ნიტროცელულოზის შემდეგ ტიპებს (იხ.აღნიშვნები).

**ტიპი E** – ნიტროცელულოზის სტანდარტული ტიპი, ხსნადი ეთერებში, კეტონებში, გლიკოლის ეთერებში და გამოიყენება მერქნის და ტყავის გამოსაყვანად. აქვს კარგი შეთავსება სხვადასხვა აფსკრარმოქნელებთან.

ნიტროცელულოზის სხვა ტიპებთან შედარებით ტიპი E განსხვავდება მტკიცე აფსკის წარმოქმნით, სპირტის და არომატული ნახშირწყლების კარგი განზავებით, გამხსნელების სწრაფი უკუცემით. ეს ტიპი ამჟღავნებს კარგ მექანიკურ თვისებებს.

**ტიპი A** – ნიტროცელულოზის ტიპი ეთერიფიკაციის დაბალი ხარისხით, ხსნადია სპირტებში, ეთერებში, კეტონებში, გლიკოლის ეთერებში და თავისი თერმოპლასტიკური თვისებების გამო გამოიყენება დაფარვისათვის ფოლგაზე თერმოდნობით (კერძოდ, ალუმინის ფოლგაზე).

**ტიპი AM** – ნიტროცელულოზის ტიპი თავისი ხსნადობით უკავია საშუალო მდგომარეობა.

ნიტროცელულოზის ხსნადობის ხასიათის მიხედვით ასხვავებენ სამი სახის გამხსნელებს:

1. **ჭეშმარიტი (საკუთარი)** ნიტროცელულოზის გამხსნელები, რომლებიც არ საჭიროებს სხვა დანამატებს, - ეთერები, კეტონები, გლიკოლის ეთერები, გლიკოლის ეთერის ნაწარმი, აცეტატები.
2. **საფრენი (ფარული)** გამხსნელები, ნიტროცელულოზის გასახსნელად საჭიროებს ჭეშმარიტი გამხსნელების დამატებას. ისინი ადიდებენ ჭეშმარიტი გამხსნელების ხსნადობის უნარს. მათ მიეკუთვნება უმაღლესი სპირტები (მაგრამ, მეთანოლი და ეთანოლი მიეკუთვნება ჭეშმარიტ გამხსნელებს).

3. ნივთიერებები, რომლებიც არ წარმოადგენ გამხსნელებს, მაგრამ ადიდებენ ჭეშმარიტი გამხსნელების ზსნადობის უნარს. მათ მიეკუთვნება არომატული და ალიფატურინახშირწყალბადები.

გამხსნელებს უკავია მნიშვნელოვანი როლი და შეირჩევა მათი ტექნოლოგიური, ეკოლოგიური და ეკონომიური პარამეტრების შესაბამისად. ისინი აუცილებელია ლსმ წარმოებაშიც, მათი დადების პროცესშიც, თხევადი აფსკიდან გამხსნელის აორთქლების პროცესშიც და დაფარვის ფორმირების დროსაც. გამხსნელი კარგია თუ განისაზღვრული კონცენტრაციის ნიტროცელულოზის ხსნას აქვს მცირე სიბლანტე. ჭეშმარიტი გამხსნელის ეფექტურობა განისაზღვრება უხსნად კომპონენტთან მისი შერევის თანაფარდობით.

ჭეშმარიტი გამხსნელის განზავება განისაზღვრება თანაფარდობით: რაოდენობა/ჭეშმარიტი გამხსნელის რაოდენობა.

აფსკის წარმოქმნაში გამხსნელებს უკავიათ მნიშვნელოვანი როლი და გავლენას ახდენს დაფარვის მექანიკურ თვისებებზე. ლსს გამხსნელების ტიპი და რაოდენობა შეთანხმებული უნდა იყოს გამოყენებული განმზავებელის თვისებებთან.

ნც ლსმ რეცეპტურების მნიშვნელოვან პარამეტრს და მათ ტექნოლოგიურ თვისებებს წარმოადგენს სიბლანტე. ის განისაზღვრება ცელულოზის ნიტრატის ტიპით და დამოკიდებულია ნიტროცელულოზის მოლეკულების ჯაჭვის სიგრძეზე.

პრაქტიკაში ნიტროცელულოზის ტიპები კლასიფიცირებულია მათი ხსნარების სიბლანტით.

**სიბლანტესთან** ერთად, ნიტროცელულოზის ხსნარის მნიშვნელოვან პარამეტრს ასევე წარმოადგენს მშრალი ნარჩენი (არაქროლადი შემცველობა) და **სიბლანტისაგან** დამოუკიდებელი ფიზიკურ-მექანიკური თვისებები.

ნიტროცელულოზის მაღალსიბლანტიანი ტიპები წარმოქმნიან მოქნილ აფსკს, მაშინ როდესაც დაბალსიბლანტიანები იძლევიან მყიფე დაფარვას. მაღალსიბლანტიანი და დაბალსიბლანტიანი ტიპების შერევა საშუალო სიბლანტის ცელულოზის ნიტრატის მისაღებად არ არის რეკომენდებული, რადგანაც ასეთი ნარევის აფსკები უფრო ხშირად თავისი მექანიკური თვისებებით უარესია, ვიდრე ერთგვაროვანი ნიტროცელულოზის აფსკი.

დაფარვისათვის მერქნის შეღებვის დროს უფრო ხშირად გამოიყენება საშუალო სიბლანტის ნიტროცელულოზის ტიპები. დამატება – **პლასტიფიკატორის** გამოყენების ხარჯზე შესაძლებელია დაბალმოლებულური ნიტროცელულოზის ტიპის მექანიკური თვისებების გაუმჯობესება ისე, რომ ფარდობითი წაგრძელება და **სიმტკიცე** გაჭიმვის დროს შეიძლება განდეს ისეთივე, როგორიც აქვს საშუალო სიბლანტის ტიპებს.

პლასტიფიკატორები გამოიყენება აფსკის მოქნილობის (ღუნვადობის) და ელასტიურობის ასამაღლებლად. ისინი მოქმედებენ გამხსნელების ანალოგიურად, მაგრამ მათთან შედარებით აქვთ არსებითად ნაკლები ორთქლის წნევა და რჩებიან აფსკში.

ასხვავებენ მაჟელირებელ და არამაჟელირებელ პლასტიფიკატორებს (იხ. ულე).

მაჟელირებელი პლასტიფიკატორი ნიტროცელულოზის აფსკთან ერთად წარმოქმნის მაგარ ხსნარს, ამასთან მიიღება დაფარვის ერთიანი ელასტიფიცირებული სტრუქტურა. ამ შემთხვევაში დაფარვიდან პლასტიფიკატორის გამოფიტვა ან გამოყოფა არ ხდება. არამაჟელირებელი პლასტიფიკატორები არ წარმოქმნიან ჰომოგენურ სისტემას და აქვთ გახურების დროს აფსკიდან გამოყოფის („გამოჟონვის“) მიღრეკილება. ამის გამო აფსკი კარგავს ელასტიკურობას. იმისათვის რომ გამოირიცხოს პლასტიფიკატორის გამოჟონვა, ახორციელებენ მაჟელირებელი და არამაჟელირებელი პლასტიფიკატორების კომბინირებას.

პლასტიფიკატორები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ კრიტერიუმებს:

- ფიზიოლოგიური უსაფრთხოება;
- აფსკწარმომქმნელებთან და გამხსნელებთან კარგი თავსებადობა;
- შუქმედება;
- მიგრაციული მდგრადობა;
- სუნის უქონლობა;
- კარგი მაპლასტიფიცირებელი მოქმედება.

პლასტიფიკატორები ქიმიური შედეგნილობის თვალსაზრისით დაყოფილია შემდეგნაირად:

- ეთერული პლასტიფიკატორები;
- ლითონმჟავის ეთერები;
- ფოსფორმჟავის ეთერები სპირტებთან გრძელი ნახშირწყალბადის ჯაჭვით;
- ბენზომჟავის ეთერები ორატომიან სპირტებთან;
- ცხიმოვანი მჟავის ეთერები ალიფატურ სპირტებთან (იხ. ალიფატური ნაერთი);
- რთული ორმაგი ეთერები პოლიეთილენგლიკოლის მარტივ ეთერებთან;
- პლასტიფიკატორები ეპოქსიდირებული ცხიმოვანი მჟავების ან ზეთების ბაზაზე;
- ნახშირწყალბადიანი პლასტიფიკატორები;
- დაქლორილი პლასტიფიკატორები.

ნიტროცელულოზური დაფარვის ჩვეულებრივ რეცეპტურებში მაჟელირებელის სახით შეჰყავთ ეთერული პლასტიკატები. მათი რაოდენობა ცელულოზის ნიტრატის მიმართ შეადგენს 1:2.

აფსკწარმოქმნელის ერთადერთი სახით ნიტროცელულოზის გამოყენების დროს ღებულობენ ძალიან შშრალ ხისტ აფსკს. ამიტომ ნიტროცელულოზას შეუთავსებენ აფსკწარმოქმნელებს ან პლასტიფიკატორებს.

მერქნის დაფარვის დროს პირველ რიგში ხდება ცელულოზის ნიტრატის შეთავსება ალკიდის ფისებთან (ე.წ. ნიტროკომბილაქები).

ნატურალური ფისები როგორიც, მაგალითად, დამარი, შელაკი ან კოლოფონი, დღეისათვის ნაკლებად გამოიყენება ნიტროცელულოზის დაფარვის რეცეპტურებში. ცელულოზის ნიტრატზე მაპლასტიფიცირებულ მოქმედებას ახდენს ნაკლებად ან საშუალო ცხიმოვანი ალკიდის ფისები ნაჯერი ცხიმოვანი მჟავების ბაზაზე, როგორიც არის სინთეზური ცხიმოვანი მჟავები ან ქოქოსის ზეთის ცხიმოვანი მჟავები.

ბრწყინვალების და ავსების კორექტირებისათვის, ასევე მაგარი ნივთიერების წილის გაზრდისათვის შეჰქავთ მაღალ ტემპერატურაზედობადიფისები. ნიტროცელულოზო-ალკიდური ლსმ სისტემები შეიძლება აგებული იყოს სახვადასხვაგვარად. ზოგიერთ შემთხვევაში რეცეპტურა შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ ნიტროცელულოზისაგან და ალკიდის ფისისაგან განზავებული შესაფერისი გამხსნელის ნარევით. ამ შემთხვევაში პლასტიფიკატორი საჭირო არ არის, თუ გამოიყენება მაღალსიბლანტიანი ნიტროცელულოზა, ხოლო ალკიდის ფისი უზრუნველყოფს საკმარის პლასტიკურობას.

ნიტროცელულოზის ლსმ პრინციპულად შეიძლება გამოყენებული იყოს ნებისმიერი არაორგანული და ორგანული პიგმენტები, რომლებიც გამოსაღებია შენობის შიგნით სხვადასხვა სამუშაოებისათვის.

ყველა ცნობილი შემვსებები როგორიც არის კალციუმკარბონატი, ბარიუმსულფატი, კაოლინი, ტალკი, ქარსი, ალუმინის სილიკატი და ა.შ. უნივერსალურებია გამოყენების შესაბამისად.

რეცეპტურებში დანამატების სახით, პირველ რიგში, გამოიყენება დამქრქალებელი ნივთიერებები, ცვილები, ქაფჩამქრობები, დამხმარე სახები საშუალებები და განღვრის გასაუმჯობესებელი კომპონენტები.

ნც ლაქი უკვე მრავალი ათწლეულია წარმოადგენს კლასიკას ავეჯის კუსტარული და სამრეწველო წარმოებისათვის. ის ფართოდ გამოიყენება ლსმ საცხოვრებელი, საძინებელი და საბავშვო ოთახების ავეჯის, ასევე პატარა საგნების შესაღებად. სხვა ფისებთან ფართო თავსებადობა ხელს უწყობს მის მრავალფეროვან გამოყენებას. ნიტროცელულოზის ლსმ ცნობილია გამოყენების სიმარტივით, გაფრქვევის და დასხმის მეთოდებით მათი დადების დროს, ასევე სწრაფი გაშრობით და ძალიან კარგი აალებადობით. ნიტროცელულოზის შესაფერ მოდი-

ფიკატორებთან (იხ. მოდიფიკაცია) შეხამებით მიიღება ელასტიკური დამცავი და დეკორატიული აფსები. რადგანაც ნც ლაქებს აქვთ დაახლოებით 15-დან 25%-მდე (ნც არაპიგმენტირებული ლაქი) მაგარი ნივთიერებების შემცველობა, ამიტომ ისინი ოპტიმალურებია ღია ფორებიანი მერქნისაგან, მაგალითად მუხა, ავეჯის შესაღებად.

ნც ლაქები თავისი სიმარტივის წყალობით გამოიყენება როგორც მრავალშრიანი დაფარვა, ისინი ვარგისი როგორც საგრუნტო, ასე გამოსაყვანი სამუშაოებისათვის, ხოლო გამხსნელებში კარგი გაჯირვების ხარჯზე ადვილად ექვემდებარება ქვეგანზავებას და რემონტს.

ნც სისტემების მნიშვნელოვან ნაკლს წარმოადგენს გამხსნელების მაღალი შემცველობა, განსაკუთრებით დამფარავი ლაქებისათვის. გარდა ამისა მათ აქვთ მიღრეკილება გაყვითლებისაკენ ულტრაიისფერი სინათლის მოქმედების ქვეშ, თუ არ გამოიყენება საშუალებები, რომლებიც აარიდებენ ნიტროცელულოზის პოლიმერულ მოლეკულებს რღვევას და მერქნის ელფერის (ტონის) შეცვლას. ნც დაფარვის კიდევ ერთ პრობლემას, რომელიც ხშირად გვხვდება, წარმოადგენს დაფარვიდან პლასტიფიკატორის მიგრაცია. ეს პრობლემა უმეტესად წარმოიქმნება კარების შემჭიდროებისათვის პოლივინილქლორიდის პლასტიკის გამოყენების დროს, როდესაც ისინი კონტაქტში შედიან ნც დაფარვასთან.

ნიტროცელულოზის საგრუნტო მასალებს წარმოადგენენ, მაგალითად, საგრუნტოები თხელი (ფინიშური) ხეხვისათვის, უფერო საჟღნო, ამავსებელი, საშუალებელი, იგრუნტება უშუალოდ მერქნის ზედაპირი ან ზედაპირი, რომელიც დამუშავებულია ბეიცებით. საგრუნტო ავსებს და ასველებს საფუძველს, სწრაფად შრება და კარგად იხეხება. ბზინვარების სხვადასხვა ხარისხით ნც მაგარ ლაქებს მიეკუთვნება საგრუნტო, მრავალშრიანი და დამფარავიმასალები.

ნიტროცელულოზის და პაერის უანგაბადის ხარჯზე გამამყარებული შემადგენლობების დადება ერთ გამფრქვევ კამერაში არ შეიძლება, რადგანაც წარმოქმნილი ზეჟანგი მძაფრად რეაგირებს ნიტროცელულოზასთან. გამხსნელ ტარაში არ უნდა დარჩეს არავითარი ნარჩენი, რადგანაც ინერტული შემვსებები ორთქლდებიან, ხოლო მშრალი კოლოქსილი ადვილად აალდება. ტარა უნდა იყოს სწორად მონიშნული, რათა თანაბრად განაწილდეს ანტიდეტონაციური დანამატები.

ნც ლსმ-ში გამოიყენება გამხსნელები დაბალი ანთებადობის ტემპერატურით და მაღალი აორთქლებადობით. ეს გავლენას ახდენს გაფრქვევის პროცესზე, რადგანაც წარმოქმნილი წვეთები ძალიან ცივდებიან და მათზე შეიძლება მოხდეს წყლის კონდენსირება (იხ. კონდენსაცია). ზოგიერთ შემთხვევაში ეს იწვევს თეთრი მქრქალი ლაქების და შეუხედავი დაფარვის (თეთრი ნაფიფექის) წარმოქმნას. ამ დეფექტის შესამცირებლად ლსმ-ს ამატებენ ბეთანოლს ან გლიკოლის ეთერს. წყალი ამ ნივთიერებებთან წარმოქმნის აზეოტოპიულ ნარევს და ადვილია

მისი სისტემიდან მოცილება ამ ნარევის გამოორთქვლით. ასეთი სისტემის მაგალითი შეიძლება იყოს წყლისეთანოლთან ნარევი, რომელიც შეიცავს 4% წყალს. ის დუღს 78°C ტემპერატურაზე კომპონენტების თანაფარდობის შეუცვლელად.

## თავი VII. მუნიციპალიტეტის დასაღებავი მასალები

მუნიციპალიტეტის დაფარვა უკვე რამოდენიმე წელია წარმატებით გამოიყენება ავეჯის წარმოებაში ინგლისში, ჩრდილოეთ ამერიკაში და სკანდინავიის ქვეყნებში. თავისი განსაკუთრებული ტექნოლოგიური ხარისხის წყალობით ეს მასალები უკვე 25 წელია დიდალი რაოდენობით გამოიყენება ავეჯის, კარების, პანელების, იატაკების, ინტერიერის დატალების შესაღებად, ასევე შიდა გამოყვანისათვის.

მუნიციპალიტეტის დაფარვის სისტემებით დაფარვის ღირებული თვისებებია:

- ხანგამძლეობა შენახვის დროს;
- სწრაფი გაშრობა;
- შეღებილი ნაკეთობების შტაბელებში შენახვის შესაძლებლობა;
- მაღალი სიმაგრე;
- კარგი მდგრადობა ქიმიური ნივთიერების ზემოქმედებისადმი;
- კარგი მდგრადობა ცვეთისადმი და მექანიკური დაზიანებისადმი.

ამასთან ერთად კლასიკური მუნიციპალიტეტის ლს-ები შეიცავენ ბევრ ორგანულ გამხსნელებს, ხოლო დაფარვას აქვს მიღრეკილება გამყიფებისაკენ და ზედაპირზე ნაპრალების (ნახეთქების) წარმოშობისაკენ მათი სქლად დაგრუნტვის დროს. ამიტომ ავეჯის წარმოებაში ცდილობენ ჯერ კიდევ ხმარებაში მყოფი მუნიციპალიტეტი მასალები შეცვალონ ეკოლოგიურად უფრო უსაფრთხო მასალებით.

### 7.1. მუნიციპალიტეტის მასალების შედგენილობა

მუნიციპალიტეტის გამჭვირვალე ლაქების და პიგმენტირებული ლსმ-ების რეცეპტურები ჩვეულებრივ შეიცავენ 50-დან 80 პროცენტამდე, ორგანულ გამხსნელებს. კლასიკური გამჭვირვალე ლაქის რეცეპტურაშედგება: ალკიდის, კარბამიდის ან მელამინის ფისების ნარევისაგან, ფიზიკურად შრობადი (იხ. შრობა) აფსერმანელისაგან (როგორიც არის ნიტროცელულზა), ორგანული გამხსნელებისაგან, ადიტივისაგან და შესაბამისი სილიციუმმუნავისაგან (დამქრქალებელი/დანამატი) ბზინგარების ხარისხის რეგულირებისათვის. ჩვეულებრივ ეს არის ორკომპნენტიანი სისტემა, რომელიც მყარდება პოლიკონდენსაციის რეაქციით მუნიციპალიტების დროს.

მუავაგამყარებული შემადგენლობები აფსკრარმომქნელის სახით პირველ რიგში შეიცავენ კარბამიდულ ფისებს. აქ საუბარია შარდოვანას ოლიგომერის და პოლიმერისალდეპიდებთან, უპირატესად ფორმალდეპიდითგამყარებაზე. ტექნოლოგიური პირობების თანახმად ამინის ფისები ნაწილობრივ ან მთლიანად შეიძლება იყოს ეთერიფიცირებული, ამასთან ეთერიფიკაციისათვის ძირითადად გამოიყენება ერთატომიანი სპირტები – ბუტანოლი და იზუბუტანოლი.

მუავაგამყარებული ლსმ-ების პირველი თაობის რეცეპტურები აფსკრარმომქნელის სახით შეიცავდა მხოლოდ არაპლასტიფიცირებულ კარბამიდულ ფისებს (ის ხის დამუშავების მრეწველობაში პირველ რიგში ფართო გავრცელებას ნახულობს პოლიმერის წებოს სახით).

სუფთა კარბამიდული შემადგენლობების გამოყენება მათი სიმყიფის გამო იწვევს ბზარებს და მერქნიდან დაფარვის აშრევებას. დაფარვის სიმყიფე შეიძლება შემცირდეს რეცეპტურაში პლასტიფიკატორის დამატებით. მაგრამ აფსკში დაუმაგრებელი პლასტიფიკატორები დროთა განმავლობაში მისგან მიგრირებენ და ხელს უწყობენ ბზარების მხოლოდ შენელებულ წარმოქმნას.

მყიფე კარბამიდულ ფისებს პლასტიფიცირებულებთან შედარებით შეუძლიათ უკეთ შეუთავსდნენ ბევრ ალკიდის ფისებს. ამიტომაც ბევრ შემთხვევაში ხდება სწორედ მათი გამოყენება. მელამინური ფისის 10-დან 20%-დან დამატება კარბამიდულის მიმართ ზრდის მუავაგამყარებული ლსმ-ის სიცოცხლისუნარიანობას. ამის წყალობით შეიძლება გაიზარდოს არააქროლადი ნივთიერებების შემცველობა, ბზინვარება, შრობის დრო, რაღვანაც მუავაგამყარებული კარბამიდული ფისის რეაქციულუნარიანობა მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე მელამინურების.

მუავაგამყარებული მასალების რეცეპტურაში უმთავრესად გამოიყენება ალკიდის ფისები ნახევარშრობადი და არაშრობადი ზეთებით და ცხიმოვანი მუავებით. უპირატესობა ენიჭება ქოქოსის, კასტორის და არაქისის (მიწის თხილი) ზეთის ფუძეზე 55%-დან ცხიმოვნებით და 25-დან 34-მდე მუავიანობის რიცხვის მქონე ალკიდებს. ნარევში კარბამიდის და ალკიდის ფისებს შორის თანაფარდობის ვარირება დაფარვის მოთხოვნილ თვისებებზე დამოკიდებულებით შეიძლება იყოს 7:3-დან 3:7-მდე.

ალკიდის შემადგენლის შემცირება იწვევს დაფარვის სიმყიფის გაზრდას და ნაპრალების წარმოქმნას. ალკიდის ფისის ნაწილის გაზრდა ამცირებს დაფარვის სიმაგრეს. მრავალი მნიშვნელოვანი თვისებების გაუმჯობესება, როგორიც არის შტაბელებად დაწყობის საშუალება, გაშრობის დრო, ფორთავსება, ქიმიური და წყალმედევობა, მიღება კარბამიდის და ალკიდის ფისების ქიმიური ურთიერთქმედების შედეგად.

მუავაგამყარებული ნც რეცეპტურებში მასალების და პლასტიფიცირებული დანამატების გამოყენება საშუალებას იძლევა მივიღოთ სწრაფად შრობადი მასალები დიდი ავსებადუნარიანო-

ბით. ამასთან, რაც უფრო დიდია ნც წილი კარბამიდ-ალკიდის კომპოზიციაში, მით უფრო მაღალია დაფარვის სიმქრქალე, მით უფრო სწრაფად მიღის შრობა და მით უფრო მკეთრია მერქნის ტექსტურა. ამასთან ნც წილის გადიდებით, მცირდება აფსეის მდგრადობა და საჭირო ხდება მეტი ორგანული გამზნელები. თუ ალკიდ-კარბამიდული კომპოზიციის ნც-თან თანაფარდობა ახლოსაა 1:1, მაშინ შესაძლებელია ერთკომპონენტიანი მჟავაგამყარებული მასალის მიღება. ასეთ სისტემაში მჟავური კატალიზატორია მონობუტილფოსფორმჟავა.

მჟავაგამყარებული მასალების დიდი ნაწილი წარმოადგენს ტიპიურ ორკომპონენტიან სისტემებს. გამამყარებელი კომპონენტი შეიძლება იყოს როგორც მინერალური მჟავები – მარილიანი ან ფოსფორიანი და მათი ეთერები, ასევე ორგანული. მაგრამ მარილოვანი მჟავის გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს მერქნის ფერის შეცვლა, მაგალითად წიფელის ან ფიჭვის. მარილოვანი მჟავის სხვა უარყოფითი თვისებაა მისი კოროზიული აქტიურობა. ამრიგად მჟავაგა-მყარებულ სისტემებში უპირატესობა ეძლევა ორგანულ გამმყარებლებს.

ფოსფორმჟავისაგან და მისი ეთერებისაგან შეიძლება ერთკომპონენტიანი კომპოზიციების მიღება, რომელთა სიცოცხლის უნარიანობა არის 2-დან 12 თვემდე. გამყარებელის დოზის გადა-ჭარბებამ ტენიანობის მოქმედების ქვეშ შეიძლება გამოიწვიოს დაფარვის კარბამიდული ფისის ჰიდროლიზი და ამით გაუარესოს შეღებილი ზედაპირის ხარისხი. გარდა ამისა, გამმყარებელის დიდი რაოდენობა ამაღლებს ზედაპირის სიმყიფეს.

მჟავაგამყარებულ მასალებში არააქროლადი ნივთიერებების (მაგარი ნარჩენი) შემცველობა ორგანული გამზნელების ფუძეზე შეადგენს 30-დან 50%-მდე. გამზნელის საჭირო რაოდენობა და შედგენილობა განისაზღვრება მათი ხსნადობის უნარით და აორთქლების სიჩქარით აფ-სკრამოქმნის პროცესში. სისტემებში, რომლებიც არ შეიცავენ ნც, შეიძლება სპირტების, არო-მატული ნახშირწყალბადების და გლიკოლის ეთერების გამოყენება. ამასთან არომატული ნახშირწყალბადების და პირველადი სპირტების შემცველობა ზრდის სისტემის სიცოცხლისუ-ნარიანობას.

მთელი ნედლეული, რომელიც გამოიყენება ნც ლსმ უნდა იყოს მჟავაგამბლე. მჟავაგა-მყარებული დაგრუნტვის ხეხვის უნარიანობის გაუმჯობესება შეიძლება სისტემაში 2% ამიდის ცვილის დამატებით, ხოლო დამქრქალებელი ნივთიერებების სახით ჩვეულებრივ გამოიყენება სილიციუმმჟავა.

მჟავაგამყარებული მასალები, როგორც ყველა ორკომპონენტიანი სისტემა, საჭიროა გამ-ოყენებული იყოს დროის განსაზღვრულ პერიოდში, მანამდე, სანამ გაიზრდება სიბლანტე და დაიწყება გელი-წარმოქმნის რეაქცია (შეზღუდული სიცოცხლისუნარიანობა, გამძლეობა) (დამატებით იხ. გელი).

მუსიკამ და მუსიკურის განვითარების სამსახური აფეთქებული დაფარვა ხასიათდება ფიზიკურად საკმაოდ სწრაფი აფეთქებული და მდგრადობით. ასევე კარგი ქიმიური მედიებით. მათი დადება უმთავრესად ხორციელდება ჩაძირვის და გაფრქვევის მეთოდით.

## თავი VIII. ორკომპონენტიანი პოლიურეთანული სისტემები

ხის დამუშავების ბევრ სფეროში უკანასკნელ წლებში ორკომპონენტიანი პოლიურეთანული (2კ-პუ) მასალები სულ უფრო ხშირად ცვლიან მუსიკამ და ნიტროცელულოზის (ნც) დაფარვას. ორკომპონენტიანი მასალების დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს მისი ორი რეაქციის უნარიანი კომპონენტი, ფუძე და გამყარებელი, რომლებიც ერთმანეთში უნდა აირიოს უშუალოდ გამოყენების წინ. ზოგადად 2კ-პუ სისტემებში ხდება, ჰიდროქსილის ჯგუფის შემცველ აფეთქებული გამყარებების წარმოქმნით. აქ საუბარია პოლიმერთების (პოლი..., მრავალ..., რთული სიტყვის პირველი ნაწილი) რეაქციაზე, რის შედეგად კომპონენტების მაღალი ფუნქციურობის გამო წარმოიქმნება **სამგანზომილებიანი – 3D სტრუქტურა**. პოლიურეთანულის ტექნიკური გამოყენება ლაქსალებავ სისტემებში დაიწყო გასული საუკუნის 50-იან წლებში.

რადგანაც 2კ-პუ სისტემებში ფუძე და გამმყარებელი ერთმანეთთან რეაგირებენ უკვე ოთახის ტემპერატურის დროს, ამიტომ მათი გამოყენების დრო შეზღუდულია, ამას უწოდებენ სიცოხლისუნარიანობას (ინგლისურად Potlife).

### 8.1. ორკომპონენტიანი პოლიურეთანული მასალების შედგენილობა

2კ-პუ მასალებში გარდა აფეთქებული (პოლიოლი) ჰიდროქსილშემცველი ჯგუფებისა, ასევე შედიან გამხსნელები, პიგმენტები, შემვსებები, ადიტივები, შესაძლო კომბინირებული აფეთქებული და კატალიზატორები.

არსებობს ჰიდროქსილშემცველი აფეთქებულების დიდი რიცხვი, რომლებიც წარმოქმნან ბადისებრ სტრუქტურებს პოლიზოციანატებთან, მაგალითად:

- ნაჯერი პოლიეთერები (დამატებით იხ. ეთერი);
- ალკიდის ფისები;
- პოლიაკრილატის ფისები;
- პოლიეთერები;
- ეპოქსიდური ფისები და ეპოქსიეთერები;

- პოლივინილქლორიდის თანაპოლიმერები;
- პოლივინილაცეტილები.

პოლიაკრილატის ფისები, რომლებიც შეიცავენ ჰიდროქსილის ჯგუფებს (პოლიაკრილატ-პოლიოლი) გამოიყენება 2კ-პუ მასალების ქიმიური და ატმოსფერომედეგი რეცეპტურებისათვის.

2კ-პუ მასალებისათვის მნიშვნელოვან აფსკრამოქმნელებს წარმოადგენს ჰიდროქსილ-შემცველი პოლიეთერები (პოლიეთერპოლიოლი), რომლებიც მიიღებან მრავალატომიანი სპირტების და მჟავების ზემოქმედებით. პოლიეთერების მჟავურ ნაწილს ჩვეულებრივ წარმოადგენს ორფუძიანი კარბონმჟავები. სხვადასხვაგვარ პოლიურეთანებთან სხვადასხვა პოლიეთერპოლიოლების შეხამებით შეიძლება ნებისმიერი სიმაგრის და ელასტიურობის აფსკების მიღება.

ალკიდის ფისები, რომლებიც გამოიყენება 2კ-პოლიურეთანული სისტემებისათვის, უპირატესად წარმოადგენებ ნაჯერი ცხიმოვანი მჟავის ფუძეზე საკმარისად მაღალი ჰიდროქსილის და დაბალი მჟავური რიცხვების მქონემწირ ფისებს, მაგალითად, სხვადასხვაგვარი ფისები აბუს-ალათინის, ქოქოსის და სოიოს ზეთების ფუძეზე. კარგი პიგმენტური თვისებების და დასველების უნარის ხარჯზე, ისინი გამოსადეგია ბზინვარების მაღალი ხარისხისპიგმენტური გამოსაყვანი მასალების მისაღებად.

2კ-პუ დაფარვის დენადობის (ჩამოსხმის) გასაუმჯობესებლად და ბუნებრივი გაშრობის რეგულირებისათვის სხვა აფსკრამომქნელებთან ერთად გამოიყენება ჰიდროქსილ-შემცველი პოლიმერები. ასე, ფუძეში შეიძლება 0,2-დან-10%-მდე აცეტობუტირატის ან ნც შეყვანა. ნც აუმჯობესებს პიგმენტების დასველებადობას, მაგრამ არ შეიძლება მისი გამოყენება სისტემებში არომატულ იზოციანატებთან ერთად. დაფარვის შემდგომი შესაძლო ძლიერი გაყვითლების გამო, რაც განსაკუთრებით შეიმჩნევა გამჭვირვალე ლაქებში.

ჰიდროქსილ-შემცველ აფსკრამომქნელებს შეუძლიათ დი- (იხ. წინსართები) და პოლიიზოციანატების დიდი რიცხვით ურთიერთქმედება. დი- და პოლიიზოციანატები დაყოფილია ტიპებად: ალიფატური და არომატული.

არომატული ტიპის პოლიიზოციანატებისკომპოზიციებს ალიფატურებთან შედარებით აქვთ მნიშვნელოვნად ამაღლებული რეაქციის უნარი, მაგრამ მათი დაფარვის სისტემებისათვის დამახასიათებელია გაყვითლება და დაქვეითებული ატმოსფერმედეგობა.

გამხსნელის სახით ძირითადად გამოიყენება ეთერები და კეტონები, გამზავებლებად ასევე შეიძლება იყოს არომატული ნახშირწყალბადები და ბენზინი. გამხსნელები ან გამხსნელების ნარევები შეძლებისდაგვარად უნდა იყოს გაუწყლოებული (წყალგაცლილი), წყლის შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 0,5%. პიგმენტები და შემვსებები არ უნდა შეიცავდნენ დიდი ოდენობით

ტენს, ასევე არ უნდა მონაწილეობდნენ არასასურველ გარე რეაქციებში. ასე მაგალითად, ცინკის ჟანგს და ზოგიერთ მურს შეუძლია გამოიწვიოს დაფარვის ვადების შემცირება. დატენიანების ასარიდებლად ფუძეში ან გამამყარებელ ხსნარში ამატებენ შესაფერის (სათანადო) ტენ-შთანთქმელებს.

## 8.2. ორკომპონენტიანი პოლიურეთანული მასალების გამოყენების ტექნოლოგიები

2კ-პუ მასალები გამოირჩევიან შეზღუდული სიცოცხლისუნარიანობით. ტექნიკურ დოკუ-მენტაციაში ჩვეულებრივ აღნიშნავენ მასალის გამოყენების დროს დაფარვის ხარისხის დარღვევის გარეშე. მასალის სიცოცხლის უნარიანობის განსაზღვრა ხდება მუშა სიბლანტის კონტროლის საშუალებით.

სისტემა ითვლება სიცოცხლისუნარიანი, ვიდრე მუშა სიბლანტე არ გაიზრდება მაქსიმუმ ორჯერ. იდეალურ შემთხვევაში სიცოცხლისუნარიანობა უნდა შეადგენდეს 8 სთ. (ერთი სამუშაო ცვლა). ფუძის და გამყარებელი კომპონენტების შერევა ხდება უშუალოდ დადების წინ. შეიძლება შესარევი ძირითადი და გამყარებული კომპონენტების თანაფარდობის ვარირება 100:5-დან 100:100-მდე.

აფსკრარმომქნელის ტიპზე დამოკიდებულებით მშრალი ნარჩენი გამჭვირვალე ან პეტიანი დამფარავი ლაქებისათვის შეადგენს 20-დან-50%-მდე.

2კ-პუ მასალები გამოიყენება იქ, სადაც მექანიკური და ქიმიური მდგრადობის მიმართ წაყენებულია ამაღლებული მოთხოვნები.

2კ-პუ მასალების ნიშანდობლივი თავისებურებებია:

- გამოყენების უნივერსალურობა; მათ აქვთ მერქნიდან (ტექტონა, პოლისანდრა, ფიჭვი, მუხა) ფისების და სხვა ნივთიერებების გამოყოფის საპირისპირო განსხვავებული საიზოლაციო თვისებები;
- გამორჩეული მედეგობა, სამზარეულოს და ჩვეულებრივი ავეჯისათვის;
- კარგი შუქმედეგობა 2კ-პუ მასალის ფუძის და გამყარებელის შედგენილობებისა-გან დამოკიდებულებით;
- მაგარი და ელასტიკური ზედაპირის მიღების შესაძლებლობა რეცეპტურებზე დამოკიდებულებით;
- როგორც წესი, ძნელად ააღებადობა;
- საკმარისი პლასტიკურობა და გამოყენების შესაძლებლობა პოლივინილქლორის მაგარ პლასტიკებში;

- მდგრადობის ხარისხის ვარირება ნაკაწრისადმი და აბრაზიული მედევობისადმი რეცეპტურის შეცვლის ხარჯზე;
- განსაკუთრებული შესაძლებლობები დატვირთული გარე კიბის საფეხურების ან ტენიანობის და ტემპერატურის მკვეთრად ცვალებადი ნესტიანი შენობების შეღებისათვის.

2კ-პუ მასალების დადება ძირითადად ხდება გაფრქვევის მეთოდით. ამასთან გამოიყენება ნებისმიერი ტექნოლოგიები – გაფრქვევა შეკუმშული ჰაერით, უჰაერო, შერეული, ელექტროსტატიკური. მცირე სიცოცხლისუნარიანი მასალების დადებისათვის გამოიყენება დანადგარები, რომლებშიც საფუძველის ფუძის და გამმყარებელის შერევა ხდება უშუალოდ გამფრქვევი მოწყობილობის თავში. 2კ-პუ ლაქები გამოიყენება როგორც საგრუნტო, ასევე ლაქით გამოსაყვანი დაფარვისათვის.

პოლიურეთანულ საგრუნტო შედგენილობებს აქვთ დასამუშავებელი ზედაპირის მაღალი გათანაბრების უნარი (მაღალი შევსების უნარიანობა), რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ხეხვის კარგ შესაძლებლობებს. გამოსაყვანი შეღებვისათვის გამოიყენება გამჭვირვალე დამფარავი ლაქები, რომლებიც ზედაპირს ანიჭებს მბზინვარებასას და ელეგანტურობას. გარანტირებული მაღალი ადჰეზიის მისაღებად საგრუნტო დაფარვის ხეხვისა და ლაქის შრის დადების ოპერაციებს შორის დროში წყვეტა არ უნდა აღემატებოდეს 24 საათს. დაფარვის დაბინდულობის და მერქნის ფორების ნაცრისფერიანობის ასარიდებლად ხეხვის ყოველი ოპერაციის შემდეგ აუცილებელია ხეხვის მტვრის საგულდაგულო მოცილება.

ავეჯის და სამზარეულოს მაღალპეტიანი ფასადების მაღალი ხარისხით წარმოებისათვის გამოიყენება არა მარტო გამჭვირვალე 2კ-პუ ლაქები, არამედ დამფარავის პიგმენტირებული ლსმ. უმთავრესად მათი დადება ხდება საშუალო სიმკვრივის მერქანბოჭკოვან MDF (Medium Density Fibreboards) ფილაზე. პირველ რიგში მერქანბოჭკოვანი ფილის სიბრტყეს და კანტს ფარავენ სტიროლშემცველ 2კ-საფითხნით უჯერი პოლიეთერების (თეთრი პიგმენტით) ფუძეზე. მათი დადება ხდება რამდენიმეჯერ თვითონეული შრის გახეხვით. მაღალპეტიანი სამზარეულოს ფასადები სტიროლშემცველი საფითხნით, გამოირჩევა ძალიან მაღალი პეტით. სტიროლშემცველი საფითხნების ალტერნატივაა 2კ-პუ საფითხნები.MDF-ფილის ხარისხისა და სტრუქტურაზე დამოკიდებულებით 2კ-პუ საფითხნის დადება ხდება ერთ ან ორ შრედ.

არის შემთხვევები, როდესაც ფილის გახეხილ უბნებს (კანტი და გარე პროფილი) ფარავენ სპეციალური სამხოლოებელი (საიზოლაციო) გამჭვირვალე 2კ-პუ ლაქით. ასეთი განმხოლოების ამოცანა ფრეზვის დროს მერქნის დაზიანებული და აწეული ბოჭკოების შეწეპება და

ამით კანტის უბნებში და გარე პროფილებში ნესტის ზემოქმედების არიდება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს დაფარვის დასკდომა.

## თავი IX. უჯერი პოლიეთერული მასალები

უჯერი პოლიეთერული (პე) დაფარვა, ეწ. პე-სისტემები, რომლებიც გამოიყენება მერქნის დასამუშავებლად, უმთავრესად შედგება უჯერი პე ფისებისაგან აქტიურ განმზავებელ – სტიროლშიგანზავებული. ინიციატორების (ორგანული ზეჟანგის) და დამჩქარებლების (მაგალითად, კობალტის მარილის) თანადასწრებით ისინი ერთმანეთს შორის რეაგირებენ.

**ორმაგი ბმებით უჯერი პე სტიროლის ურთიერთქმედება მიმდინარეობს თანაპოლიმერიზაციის მექანიზმის რეაქციით.**

გასული საუკუნის სამოციან წლებში ავეჯის წარმოების ყველა სფეროში მაღალპეტიანი დაფარვის მისაღებად სწრაფად ინერგება პე მასალები. იმავე პერიოდში იწყება ახალი პროდუქტების (პარაფინშემცველი პე) აქტიური გამოყენება ავეჯის კორპუსების და პიანინოს წარმოებაში, ასევე ტელე-და რადიოპარატურაში. შემდეგ ავეჯისათვის პიგმენტირებულ დაფარვაზე წარმოქმნილმა მოდამ („თეთრი ტალღა“) გამოიწვია პიგმენტირებული და გალაქული პარაფინშემცველი გამოსაყვანი პე დაფარვის დამუშავება და მისი შემდგომი დანერგვა. დღეისათვის უჯერი პე დაფარვა გამოიყენება მხოლოდ სპეციალურ შემთხვევებში, როგორიც არის დაფარვა კლავიშებიანი და ექსკლუზიური მუსიკალური ინსტრუმენტებისათვის, ავეჯის საგნებისათვის, „ლუქსის“ კლასის იახტების და თვითმფრინავების შიდა გამოყვანისათვის, ასევე ძვირფასი ავტომანქანების ხის პანელების გამოყვანისათვის. სამზარეულოს ავეჯისათვის დღესაც ფასობს და გამოიყენება ფორის შემვსები თეთრი პე საგრუნტო, რომლებიც სწრაფად მყარდება და აქვს ფასის და ხარისხის კარგი თანაფარდობა.

უარყოფით მომენტს წარმოადგენს დაფარვაში არაპროეაგირებული სტიროლის ნარჩენის თანადასწრება, რომლის გამომულავნება შეიძლება ექსტრაქციის დროს.

### 9.1. უჯერი პოლიეთერული მასალების შედგენილობა

უჯერი პოლიეთერული (პე) სისტემები თითქმის 100 % შედგება არააქროლადი ნივთიერებებისაგან და ითვლება ავეჯისათვის პირველი ლსმ მცირე აქროლადი ორგანული ნაერთის შემცველობით.

უჯერი პე მასალები ძირითადად შედგება უჯერი პოლიეთერის ფისებისაგან, რომლებიც წარმოადგენენ ნაჯერი და უჯერი ორფუძიანი მჟავების და სპირტების ურთიერთქმედების პროდუქტებს-ეს, როგორც თანაპოლიმერიზაციის (პოლიკონდენსაციის) წრფივი ხსნადი პროდუ-

ქტებია, რადიკალური პოლიმერიზაცია ძლიერად ინჰიბიტორდება ჰაერის უანგბადით და პირობებზე დამოკიდებულებით შეიძლება გახდეს სრულიად შეუძლებელი. ამ მიზების გამო პირველი უჯერი პე ფისების („პარაფინი-პოლიეთერი“) რეცეპტურები შეიცავდნენ დანამატების სახით პარაფინს, რომელიც მოქმედებდა როგორც ამომატივტივებელი დანამატი, და აფერზებდა მასალის ჰაერის უანგბადთან ურთიერთქმედებას.

დღეისათვის გამოსაყენებელი უჯერი პე ფისები მიიღება პოლიკონდენსაციის რეაქციით მრავალფუძიანი სპირტების (პოლიოლების) და ორფუძიანი კარბონმჟავების  $150\text{-}200^{\circ}\text{C}$  შელხობის დროს, რათა გელი-წარმოქმნა ნაადრევად იყოს თავიდან აცილებული (**იხ. გელი**).

სინთეზის დროს სრულიად შეუძლებელია ჰაერის უანგბადის თანადასწრება არა მარტო გამორიცხოს, არამედ მისმა კვალმა შეიძლება გამოიწვიოს გელი-წარმოქმნა. გარდა ამისა, ამან შეიძლება გამოიწვიოს ფერის არასასურველი შეცვლაც. პე-ფისების სინთეზის დროს უელატინიზაციის თავიდან ასაცილებლად რეცეპტურაში ამატებენ მცირე რაოდენობით ე.წ. ინჰიბიტორ-სტაბილიზატორს. ეთერიფიკაციის რეაქციის დროს წარმოქმნილი წყალი განიდევნება ან უშუალოდ, ან შესაბამისი გამხსნელებითაზეოთობობის (**იხ. აზეოტორობიული**) სახით.

ჩაკეტილ ციკლში ფისის სტრუქტურაში თვითმჟანგავი ჯგუფების ჩაშენებით, შეიძლება უარის თქმა პარაფინის დანამატებზე. ამ ფისებს ხშირად უწოდებენ პეტიანს, რადგანაც ქიმიური გამყარების შემდეგ ისინი წარმოქმნიან მბზინვარე არაწებოვან დაფარვას. მერქნის დაფარვის სფეროში გამოიყენება ორი ან სამი რადიკალით ჩანაცვლებული ფისების მოდიფიკაციები.

გამოსაყენებელ მონომერებს უწოდებენ აქტიურ განმზავებლებს, რადგანაც პე მასალების რეცეპტურაში ისინი განსაზღვრავენ არა მარტო სიბლანტის რეგულირებას, არამედ მონაწილეობენ კიდეც უჯერი პე თანაბოლიმერიზაციაში (**იხ. პოლიმერიზაცია**). დღემდე უჯერი პე ფისებისათვის ყველაზე მნიშვნელოვან განმზავებელ წარმოადგენს სტიროლი. დადგენილია სამუშაო შენობებში სტიროლის მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაცია  $85 \text{ მგ/მ}^3$ . სტიროლს წინადებურად აქვს დიდი მნიშვნელობა როგორც რეაგენტი უჯერი პე. მერქნისათვის დაფარვაში აქტიური განმზავებლების სახით გარდა სტიროლისა გამოიყენება ვინილტოლუოლი, ვინილის ეთერი ან მეტაკრილატი. უჯერი პე ფისები გაყიდვაში შემოდის სტიროლში ან ორგანულ გამხსნელებშიხსნარების სახით. სტიროლის წილი ჩვეულებრივ შეადგენს 30-დან-35%-მდე.

ზოგადად პოლიმერიზაციის დაწყების ინიციატორებს წარმოადგენს ორგანული ზეჟანგი, რომელიც იშლება რადიკალებად და იწვევს ჯაჭვურ რეაქციას.

მერქნისათვის პე დაფარვაში მეთიოლკეტონის ზეჟანგს აქვს უდიდესი მნიშვნელობა როგორც ინიციატორს.

ლითონის მარილები (კობალტის ან მარგანეცის)ჩვეულებრივი დამჩქარებლებია,რომლებსაც იყენებენ განცალკევებით ან ერთდროულად. დაფარვაში მერქნისათვის და მერქნის მასალებისთვის უმჯობესია გამოყენებული იყოს კობალტის საპონი. კობალტის საპონი გამოიყენება სიკატივის სახით ალკიდის ფისების ჟანგვით გამყარებისათვის. დაბალი ტემპერატურის დროს ( $150^{\circ}\text{C}$  ნაკლები)კობალტის დამჩქარებლის რეაქციის უნარი მკვეთრად კლებულობს. გამყარებული დაფარვა დიდხანს რჩება რბილი და თუ მასალა პიგმენტირებულია დაფარვის გახეხვა არ შეიძლება. ავსებულ სისტემებში ასევე შესაძლებელია კობალტის მარილის აქტიურობის დადაბლება შემვსებზე ან პიგმენტის ზედაპირზე ადსორბციის ხარჯზე.

პე სისტემებში კობალტის სიკატივის ჩანაცვლება ძალიან ძნელია. ჩვეულებრივ რეცეპტურებში ზეჟანგი ინერტულ სითხეში შეჰქავთ ხსნარის სახით (მაგალითად, პლასტიკატორში 50 პროცენტიანი ზაჟანგის ხსნარით) ანგარიშით ფისის მასაზე 5-დან 10%-მდე ოდენობით.

პე მასალებში გამოყენებული პიგმენტები და შემვსებები ზეჟანგთან შემთავსებლობის გარდა, უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- პე-სისტემების შენახვის დროს არ უნდა დაირღვეს **მდგრადობა**;
- დამჩქარებლები არ უნდა **ადსორბცირდებოდენ** პიგმენტებთან და შემვსებებთან (იხ. ადსორბცია);
- პიგმენტები და შემვსებები კომპოზიციის მიმართ არ უნდა იყვნენ ქიმიურად ინერტულები და არ უნდა გახდნენ რეაქციის საბაბი.

ძირითადად შემვსებს წარმოადგენენ კალციუმკარბონატი, ბარიუმსულფატი, ტალკი და კაოლინი. შემვსების საშუალებით პირველ რიგში შეიძლება თავიდან აცილებული იყოს ჩაჯ-დომა, რომელიც წარმოიქმნება ფისის მონომერთან პოლიმერიზაციის დროს.

შესაფერისი პარაფინების შერჩევა პარაფინშემცველი სისტემებისათვის ხდება მათი დნობის ტემპერატურის გათვალისწინებით, რადგანაც პარაფინს შეუძლია გამოკრისტალება პოლიმერიზაციის შემდეგ გაცივების დროს.

მასალის მდგრადობის გასაუმჯობესებლად, მისი შენახვის და გამოყენების დროის (ხანის) გახანგრძლივებისათვის რეცეპტურებში ამატებენ ინჰიბიტორებს, მაგალითად, ჰიდროქინონს გრა-მის მეათასედი ნაწილის ოდენობით.

## 9.2. უჯერი პოლიეთერული მასალების დადება

პე მასალების დადება ხორციელდება შესხურებით და გადავლებით. შესხურება შეიძლება განხორციელდეს პაერის პისტოლეტით ან ორკომპონენტიანი სისტემის გამფრქვევი მოწყობილობით, რადგანაც მასალების შეზღუდული სიცოცხლისუნარიანობა – რამდენიმე წუთიდან ერთ საათამდე – ითხოვს ზედაპირის სწრაფ დამუშავებას. ორკომპონენტიანი შესხურების დროს ფუძე და გამჭერი აგენტი ცალცალკე შეპყავთ გამრფორქვევ პაერის პისტოლეტში და მათი შერევა უშუალოდ ხდება დიუზიდან (საშეფერო) გამოსვლის წინ. პე-მასალების დადების სხვა გამოცდილ მეთოდს წარმოადგენს მასალის დადება დასხმით. არსებობს ამ მეთოდის სხვადასხვა გარიანტები, როგორიც არის კონტაქტური, ორთავიანი და სენდვიჩური.

პე-დაფარვისთვის ვარგისია მერქნის თითქმის ყველა სახეობა, გამონაკლისს წარმოადგენს მერქანი, რომელშიც არსებობს უჯერი პე-გამყარების შემაფერხებელი ნივთიერება. ასეთ მერქანს მიეკუთვნება იროკო, პალისანდრი, მაკასარის ებონი, მანსონია, ტექტონი და ა.შ.

პე-დაფარვის დადების წინ საჭიროა ამგვარი სახეობის მერქნის იზოლირება.

იზოლაცია ხორციელდება დაბალსიბლანტის ორკომპონენტიანი (2კ) პოლიურეთანული ლაქებით. ზის სახეობისაგან დამოკიდებულებით საიზოლაციო შრის დადება შეიძლება ხდებოდეს რამდენიმეჯერ შრების შუალედური გაშრობით.

პე-ლაქით დაფარული ძვირფასი სახეობის მერქნისაგან ამზადებენ დეკორატიულ ბაგეტს, კონსოლს, საჭის თვალს, სიჩქარეების გადამრთველ სახელურებს. დაფარვისათვის ფუძის სახით გამოიყენება შრედაშრე დაწებებული ძვირფასი მერქნით მოფანერებული წნეხილი დეტალები.

მაღალპეტიანი ზედაპირის დამუშავებისათვის საჭირო სიღრმის მისაღწევად დეტალის ზედაპირებს ამუშავებენ რამდენიმეჯერ.

გამყრების შესაბამისი ფაზის შემდეგ სახეზი ქაღალდით ხდება დეტალების გაპრიალება მარცვლის ზომების თანდათანობით შემცირებით. გაპრიალება ითვლება, რომ ყველაზე კარგია, თუ ზედაპირის გალაქვის და გაზეზვის შემდეგ პროფილის უსწორობათა სიმაღლე შეადგენს 1,5 მიკრომეტრს.

ამისათვის, როგორც წესი, გამოიყენება ორსაფეხურიანი ხეხვა. ამასთან ხეხვის მეორე სტადიაზე სახეზი ქაღალდის მარცვლის ზომა – 600-ია. ხეხვის ბოლო სტადიაზე ხეხვა უნდა შესრულდეს წინა ხეხვის მიმართულების გარდიგარდმო. მაშინ მომდევნო გაპრიალება შეიძლება განხორციელდეს სწრაფად და უმნიშვნელო მიმჭერი ძალით. გაპრიალება პეტის მაღალ ხარის-ხამდე სრულდება სპეციალურ საპრიალებელ მანქანაზე, რომელიც აღჭურვილია ქეჩის ლენტით. აქ იყენებენ სპეციალურ საპრიალებელ პასტებს და ცვილებს. ცვილის ნარჩენების მოცილება ხდება სპეციალური სახეზი საშუალებით. გაპრიალების დროს მინიმუმამდე უნდა იყოს

დაყვანილი დაფარვის ძლიერი გახურება, რადგანაც ამან შემდგომში შეიძლება გამოიწვიოს ე.წ. „ფორთოხლის ქერქის“ ტიპის დეფექტი.

პე-მასალების გამოყენების დროს საჭიროა შემდეგი ტექნოლოგიური რეკომენდაციების გათვალისწინება:

- დადების ოპტიმალური ტემპერატურა –  $23-28^{\circ}\text{C}$ ;
- ძლიერ გაცივებული ლსმ წინასწარი გახურება ხდება  $30$  გრადუსამდე, შემდეგ გაცივება  $22-23\text{ C}$  გრადუსამდე, მერე მისი სწრაფი გამოყენება;
- აუცილებლად გასათვალისწინებელია პარაფინის ხსნარების შენახვის დროს მათი მიღრეკილება კრისტალიზაციისაკენ. პარაფინის ხსნარებს ახურებენ (წყლის აბაზანაში  $30$ -დან  $45\text{ C}$  გრადუსამდე ტემპერატურის დროს) ამორფით სრულ გახსნამდე.
- საჭიროა მკაცრად იყოს დაცული შესარევი კომპონენტების საფუძვლის, გამმყარებლის და დამაჩქრებლის თანაფარდობა;
- მასალების გამოყენების დრო კომპონენტების შერევის შემდეგ (გელი-წარმოქმნისდრო) შეიძლება გაიზარდოს ერთ საათამდე შემანებლების გამოყენებით; პაერის მაღალი ტემპერატურა და დაბალი ფარდობითი ტენიანობა ამცირებს გელი-წარმოქმნის დროს;
- საჭირო დასადები ნივთიერების ნედლი მასის მიწოდების პირობების დაცვა. დასადები ნივთიერების მასის გაზრდამ შესხურების დროს შეიძლება გამოიწვიოს პაერის ჩანართების წარმოქმნა და, გარკვეული პირობების დროს ნაცრისფერი ელფერის გამოჩენა. მასის შემცირება იწვევს სწრაფ გაშრობას და ამცირებს გელი-წარმოქმნის დროს, ხოლო პარაფინშემცველ სისტემებში აკავებს პარაფინის ამოტივტივებას;
- დასხმა ცხელ ზედაპირზე იწვევს პარაფინშემცველი დაფარვის დეფექტებს (ნაჯაოს, დასკდომას, მიკვრას);
- ოპტიმალური მაღალპეტიანი შედეგის მისაღებად გაპრიალება უნდა განხორციელდეს გამყარების მერე  $50-70$  საათის შემდეგ.

## თავი X. რადიაციით გამყარებული ლაქსალებავი მასალები

რადიაციული გამყარების ქვეშ იგულისხმება მასალების გამყარება (პოლიმერიზაცია) ელექტრონული ან ულტრაიისფერი გამოსხივებით. მრეწველობაში მერქანზე დაფარვისათვის ძი-

რითადად გამოიყენება რადიკალური ულტრაიისფერი გამოსხივების (დასხივების უდ) ტექნოლოგიები.

ისინი უკვე მრავალი წელია წარმატებით გამოიყენება ხის იატაკების, კარების, ავეჯის, კედლის შემონაკერის, ხის შემცველი მასალებიდანნაკეთობების, დაფარული ქაღალდის დეკორატიული ფირით და საცობების შესაღებად.

**ელექტრონული გამოსხივების (ეგ)** ტექნოლოგიები გამოიყენება მხოლოდ სპეციალურ დარგებში.

პირველი ჯაჭვური პოლიმერიზაცია, ინიცირებული ულტრაიისფერი სინათლით განხორციელებული იყო ჯერ კიდევ ძველ დროში ეგვიპტის მუმიებზე.

უკვე 1960 წლის დასაწყისში ავეჯის წარმოებაში იყენებდნენ ორკომპონენტიან პოლიეთერულ ლაქებს მაგარი ფაზის (100 პროცენტამდე არააქროლადი ნივთიერება) მაღალი შემცველობით. პოლიეთერული სისტემებისათვის პირველად გახდა შესაძლებელი ნაკადური მეთოდით ავეჯის რაციონალური შეღებვის წარმოება. ამ პერიოდში მნიშვნელოვანი პროდუქტი იყო გამოსაყვანი ლაქები, 20 წუთის გაშრობის შემდეგ უკვე შეიძლებოდა მათი დაშტაბელება.

1960 წლიდან ლსმ-სათვის ლაქების და ნედლეულის წარმოებაში უდ-გამყარებამ დაიძყრო ევროპა. სამრეწველო მასშტაბით უჯერი პოლიეთერული მასალების უდ-გამყარების უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ შესაძლებელი გახდა გამყარების დროის მკვეთრი შემცირება.

უჯერი პოლიეთერული ფისებისათვის ნედლეულის გამოყენებით, პირველი ფოტონიციატორების დაწერებით და უდ-ნათურების დამზადებით შესაძლებელი გახდა ევროპაში სამრეწველო მასშტაბით უდ-გამყარებული მასალების გამოყენება. უდ-გამყარების საწყის ეტაპზე გამჭვირვალე ლაქებისათვის ფოტონიციატორებად იყენებდნენ ბენზოლის ეთერებს, მიუხედავად მათი მკაფიოდ გამოხატული მიღრეკილებისაგაყვითლებისაკენ. ამასთან ერთად თავდაპირველად უდ-გამყარებული საფიტხნების გამოყენებისგან თავს იკავებდნენ ბურბუშელოვან ფილაზე დაფარვის ტალღისებრი დასკდომის სახით დეფექტების გაჩენის გამო. დასკდომის წარმოქმნის მიზეზი იყო ამ მასალის რეცეპტურებში შემვსებების არასწორი დოზირება.

პირველი უდ-გამყარებული საფიტხნების და საგრუნტოების დადება ხდებოდა ვალცვის მეთოდით. დამფარავი ლაქის დადება ესთეტიკური თვალსაზრისით ხორციელდებოდა დასასხამ მანქანაზე დაფარვის მჟავაგამყარებული სისტემების გამოყენებით.

სტიროლში განზავებულ პოლიეთერული ფისების უდ-გამყარებას ხელს უშლის ჰაერის ჟანგბადი. დასაწყისში ეს შესამჩნევად ვლინდებოდა ზედაპირის წებოვნებაში. ამის თავიდან ასცილებლად უჯერ პოლიეთერულ ფისებში ამატებდნენ მცირე რაოდენობით პარაფინს.

პოლიურეთანული დაფარვის (წინაგელირება) ლუმინესცენციური ნათურით (დაბალი წნევის ვერცხლისწყლის ნათურით) დასხივების დროს (იხ. გელი) ნათურის დაბალი სიმძლავრის გამო პოლიმერიზაცია მიმდინარეობს მნიშვნელონად ნელა.

მაღალი წნევის ვერცხლისწყლის ნათურის პირდაპირი ზემოქმედების შედეგად, პოლიმერიზაცია მიმდენარეობს იმდენად სწრაფად, რომ დამცავი პარაფინის აფსკი ვერ ასწრებს წარმოქმნას. ამიტომ მაღალი სიმძლავრის ვერცხლის წყლის ნათურით გამყარებას ახორციელებენ სწრაფად წინაგელირების სტადიის შემდეგ, რომელიც მიმდინარეობდა ლუმინისცენციური ნათურა ზემოქმედების ქვეშ.

უდ-გამყარების დროს წინაგელირების პოზიციაში იმყოფება მცირე სიმძლავრის ბევრი ლუმინისცენციური ნათურა, იმისათვის რომ პარაფინშემცველი მასალის ზედაპირზე მოესწროს პარაფინის დამცავი შრის (პარაფინის სარკის) წარმოქმნა. ერთდროულად პარაფინის შრით ხდება სტიროლის ზედმეტი აორთქლება და ზედაპირის დაცვა ჰაერის უანგბადის ზემოქმედებისაგან გამყარების დამთავრების დროს.

გასული საუკუნის 70-იან წლებში ავეჯის მრეწველობაში და მერქნის ფილების წარმოებაში გამყარების რადიაციულმა მეთოდმა სწრაფად განიცადა გავრცელება, რადგანაც პოლიეტერული ლაქების გამყარების კლასიკურ სქემასთან შედარებით ის იყო უფრო იაფი და რაციონალური, ამასთან გაჩნდა ზეუანგით გამყარებაზე უარის თქმის შესაძლებლობა.

უდ-გამყარების პროცესის მიზანს წარმოადგენს დაფარვის სწრაფი და ეფექტური ფორმირება და ლაქის თვისებების გაუმჯობესება, როგორიც არის ადპეზია, დრეკალობა, გაყვითლების შემცირება და ოპტიმიზაციის სტაბილურობა მზა რეცეპტურების შენახვის დროს. ასეთმა მოთხოვნებმა გამოიწვია პოლიაკრილატური და ეპოქსიდური ფისების გამოყენება. 1980 წლის დასაწყისში კარების წარმოებაში დანერგილი იყო პირველი უდ-სისტემა დაბალმოლექულარული მონომების (განმზავებლების) გარეშე. თუმცა გამოყენებული დამფარავი ლაქები შეიცავდნენ 15-დან 25 პროცენტამდე ორგანულ გამზსნელებს, რომლებიც საჭიროა სიბლანტის რეგულირებისთვის. ავეჯის წარმოებაში გარღვევად ითვლება მღებავი ბეიცების შექმნა, რომლებიც დაფარვის უდ-პოლიმერიზაციის პროცესის სიჩქარეზე გავლენას არ ახდენენ, ე.ი. ამ პროცესს არ ინჰიბიტორებს (იხ. ინჰიბიტორი).

ეიფორია, რომელიც წარმოიქმნა 1967 წელს პოლიეტერების უდ-გამყარების დანერგვის პირველ სტადიაზე, მოგვიანებით ცოტათი განელდა იმის გამო, რომ იმ პერიოდში გამოყენებული ფოტოინიციანორები და უდ-ნათურები არ იძლეოდნენ ღრმა შრების გამყარებას.

ნედლეულის და ლიმ მსხვილი ევროპელი მწარმოებლები 1970 წლის დასაწყისში ცდილობენ მიეღოთ თეთრი პიგმენტირებული უდ-გამყარებული მასალები, კომპოზიციაში მასა-

ლის მიზანმიმართული შეუთავსებლობის ხარჯზე, ე.ი. არაპომოგენური გარემოს ხარჯზე (იხ. პომოგენური).

1980 წლის დასაწყისისთვის თეთრი პიგმენტების სახით დაიწყეს თუთიის სულფიდის და ტიტანის მაგნიუმის გამოყენება (იხ. თეთრი ფერი, თეთრი პიგმენტი, თეთრი სინათლე, ფერის ადიტიური სინთეზი, ტიტანის ფერადი პიგმენტი, ტიტანის პიგმენტური ორჟანვი, ტიტანის დოოქსიდი (ტიტანის ნანოდის ოქსიდის ჩათვლით), ტიტანის დოოქსიდი, გოგირდოვანი თუთა). მაღალპეტიანი დაფარვის დადებისათვის უნივერსალური ვალცების და დასხმის მანქანებს ამონტაჟებდნენ ჭარბი წნევის კამერაშიმტვრის მოხვედრის ასარიდებლად. გამხსნელების და წინამელირების მოსაცილებლად იყენებენ ლენტიან ტრანსპორტიორს, რაზეც ხდება შეშრობაც და წინაგელირებაც. ტრანსპორტიორის გაგრძელებაზე განლაგებულ უდ-არხში ხორციელდება უდგამყარება.

ევროპაში 1990 წლის დასაწყისში ინტენსიურად ინერგება პიგმენტირებული დაფარვის კომბინირებული სისტემები ვალცვით ლსმ დადებისთვის პანელების, ავეჯის და კარების წარმოების დროს. მაღალი ქიმიური მედეგობით ეკონომიური თეთრი დაფარვის მისაღებად იყენებენ სხვადასხვა შესაღები ტექნოლოგიების და მასალების შეთავსებას (წყალში წსნადი პიგმენტირებული ერთკომპონენტიანი დაგრუნტვა, პიგმენტირებული უდ-დაგრუნტვა, გამჭვირვალე უდ-დამფარავი ლაქი).

ერთდროულად ავეჯის მრეწველობაში ინტენსიურად სწავლობენ ელექტრონულ-რადიაციულ გამყარებას. გამოირკვა, რომ ელექტრონულ გამოსხივებას უდ-გამყარებისგან განსხვავებით აქვს პიგმენტირებული შედგენილობების მთლიანად გამყარების უნარი.

ელექტრონული გამოსხივებით (ეგ) გამყარებული დაფარვის ტექნოლოგიური შესაძლებლობებია:

- ლსმ ხარჯიმცირდება 30 პროცენტით;
- მოიხსნა ორგანული გამხსნელების ემისიის პრობლემა, რადგანაც ეგ გამყარებული მასალები, 100 პროცენტით შედგებიან არააქროლადი ნივთიერებებისგან (იხ. ემისიის ტიპები; ემისია);
- გასამკედა დროის ერთეულში შეღებილი პროდუქციის რაოდენობა;
- მუავაგამამყარებელი დაფარვისათვის ეგ-დაფარვის გამოყენებით, 80 პროცენტამდემცირდებაკონვექციური შრობით დაკავებული ფართები;
- გაკაწვრისადმი მედეგობის და დაფარვის სიმაგრის გამო 50 პროცენტით მცირდება ტრანსპორტირების შედეგად წარმოქმნილი დაზიანებების აღდგენითი სამუშაოების წილი.

დღეისათვის მერქნის ნაკეთობების შეღებვის დროს ეგ-გამყარებას აქვს მხოლოდ შეზღუდული გამოყენება მოწყობილობების მაღალი ფასის და ტექნოლოგიური თავისებურებების გამო, როგორიცაა მაგალითად, ინერტული გარემოს შექმნის აუცილებლობა და დაფარვის პერის დაბალი ხარისხი.

## 10.1. ულტრაიისფერი დასხივებით გამყარებული ლაქსალებავი მასალების შედგენილობა

მერქნის შეღებისათვის გამოსხივებით გამყარებული მასალები აგებულია ისევე, როგორც ჩვეულებრივი ლსმ. მთავარ განსხვავებას წარმოადგენს აფსკრარმოქმნელ შედგენილობაში ფუნქციური ჯგუფების არსებობა, რომლებიც შედიან პოლიმერიზაციის რეაქციაში ულტრაიისფერი დასხივების (უდ) ან ელექტრონული გამოსხივების (ეგ) ზემოქმედების ქვეშ. ამასთან წარმოიქმნება სამგანზომილებიანი (3D) უხსნადი პოლიმერული სტრუქტურა.

უდ-გამყარების თავისებურებას წარმოადგენს სპეციალური დანამატების თანადასწრება, რომლებსაც ფოტოინიციატორებს უწოდებენ. უდ-ინიცირებულ სისტემებში ასხვავებენ პოლიმერიზაციის ორ ტიპს – რადიკალურს და იონურს. მერქნის დამუშავებისათვის გამოიყენება მხოლოდ პოლიმერიზაციის რადიკალური ტიპის სისტემები. ეგ-გამყარების დროს ინიციატორები არ არის საჭირო, რადგანაც ეგ მაღალი ენერგიის ზემოქმედებით წარმოიქმნება პოლიმერიზაციის განვითარებისათვის საკმარისად ბევრი რადიკალი.

ეგ და უდ-სისტემები ასევე განსხვავდებიან აგზნების მექანიზმით და ენერგიის წყაროთ.

გამოსხივებით გამყარებული დაფარვის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს აფსკრარმოქმნელი. ეს არის აფსკრარმომქმნელი ნივთიერება, რომელიც შეიცავს ჩაშენებულ ორმაგ კავშირებს. ამ კავშირების არსებობა განსაზღვრავს აფსკის გამყარების ძირითად თვისებებს, როგორიც არის მდგრადობა ცვეთის მიმართ, ქიმიური მედეგობა, ელასტიურობა, სიმტკიცე ღუნვაზე და გაჭიმვაზე. აფსკრარმომქმნელის მოლეკულური წონა შეადგენს 500-დან 2500 გრ/მოლს (იხ. ძოლულური მასა (ფარდობითი). მოლეკულური მასის შემდგომი გადიდება იწვევს სიბლანტის მომატებას, რომელიც, როგორც წესი არასასურველია გადამუშავების დროს.

მერქნის დაფარვის სფეროში რადიკალური პოლიმერიზაციისათვის მნიშვნელოვან უდ-აფსკრარმომქმნელებს წარმოადგენს:

- უკერი პოლიეთერები;
- ეპოქსიაკრილატები;;
- როული პოლიეთერული აკრილატები;
- მარტივი პოლიეთერული აკრილატები;

- ურეთან-აკრილატები;
- ამინომოდიფიცირებული პოლიეთერული აკრილატები.

ყველა ჩამოთვლილი აფსკრარმომქმნელი, გარდა უჯერი პოლიეთერების, რომლებიც არ შეიცავენ აკრილატის ფრაგმენტებს, კლასიფიცირებულია როგორც ევრომერული აკრილატები (ბერძ. „ევრო“ - ბევრი და „მერის“ - ნაწილი). ეს არის ფისები მაღალი მოლექულური მასით და გაფართოებული მოლექულური მასის განაწილებით.

ხის დასამუშავებელ მრეწველობაში გამოყენებული აკრილის ეთერების 70 პროცენტზე მეტს ღებულობენ აკრილმჟავის სპირტებთან ეთერიფიკაციის შედეგად. რეაქციის კატალიზატორებს ძირითადად წარმოადგენენ ძლიერი მჟავები. მიღების და გამოყოფის პროცესში ნაადრევი პოლიმერიზაციის ასარიდებლად იყენებენ სტაბილიზატორებს. წყლის გამოყოფის გასაუმჯობესებლად გამოიყენება გამყოფი აგენტი. რეაქციის დამთავრების შემდეგ ხდება კატალიზატორის და რეაქციის გარეშე დარჩენილი აკრილმჟავის მოსაცილებლად პოლიკონდენსაციის პროდუქტის მვირად დირებული დამუშავება. დამუშავების შემდეგ აკრილის ეთერი არ არის საშიში კანზე ზემოქმედების და გამაღიზიანებელი მოქმედების თვალსაზრისით.

ფისებს ძირითადად აქვთ ნეიტრალური სუნი. კატალიზატორების მოცილება ან ნეიტრალიზაცია ამცირებს მერქანზე გამყარებული დაფარვის შესაძლო ზემოქმედებას, მაგალითად, ფერის შეცვლას.

დღემდე ერთ-ერთ მნიშვნელოვან აფსკრარმომქმნელ კლასს წარმოადგენენ უჯერი პოლიეთერები მალეინმჟავის ბაზაზე. უჯერი პოლიეთერები – ეს გამოსხივებით გამყარებული აფსკრარმომქმნელებია, რომლებმაც სტიროლთან შეხამებაში აქტიური გამხსნელების და ფოტოინიციატორების სახით მერქნის დამუშავების მრეწველობაში ნახეს ფართო გამოყენება. ულტრაინისფერი დასხივების დროს მათ აქვთ რეაქციის პატარა სიჩქარე, რითაც ხდება მათი გამოყენების ლიმიტირება.

მერქნის მასალებისთვის უჯერი პოლიეთერების რეცეპტურები სტიროლთან ერთად შეიცავდნენ აქტიურ გამხსნელებს, ასევე გამოიყენებოდა უსტიროლო შემადგენლობები. დღეისათვის უდ-გამყარებული უჯერი პერიანი პოლიეთერული ფისების კიდევ ერთ მნიშვნელოვან კლასს წარმოადგენს პერიანი პოლიეთერები.

უდ-გამყარებული რეაქციის უნარიანი აფსკრარმომქმნელების დამუშავებამ გამოიწვია ახალი პრეპოლიმერების შექმნა ცნობილი აფსკრარმომქმნელი კლასების ბაზაზე. ეს ფისები შეიცავენ აკრილმჟავის ორმაგ კავშირებს. აკრილის ორმაგი კავშირები მინიმუმ 10-ჯერ უფრო სწრაფად რეაგირებენ ულტრაინისფერი დასხივების დროს, ვიდრე კლასიკური პოლიეთერული

სისტემების ორმაგი კავშირები. ფისების სინთეზის დროს კომპონენტების მიზანმიმართული შერჩევა საშუალებას იძლევა მივიღოთ აფსქარმომქმნელები განსაზღვრული თვისებებით.

ეპოქსიაკრილატები ძირითადად მიიღება თხევადი ეპოქსიდური ფისების აკრილმჟავასთან ქმედების დროს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მაღალი რეაქციის უნარიან აფსქარმომქმნელთან, რომლის საფუძველზე ღებულობენ მაგარ და ქიმიურად მედეგ დაფარვას. თავისუფალი ჰი-დროქსილის ჯგუფების არსებობის წყალობით ფისებს აქვთ პიგმენტების მიმართ კარგი დასველებადობის უნარი, მაგალითად, ტიტანის ორჟანგის მიმართ.

გარდა ამისა, ეპოქსიაკრილატებს აქვთ კარგი ადჰეზია და განსაკუთრებული ქიმიური მედებობა სხვადასხვა მერქნის სუბსტრატების და პლასტიკების მიმართ. მათ საფუძველზე შეიძლება შეიქმნას დრეკად-ელასტიკური, მაგარი, მაღალრეაქტიული, უდ-გამყარებული დაფარვა, ეპოქსიაკრილატები, რომლებიც შეიცავენ არომატულ ფრაგმენტებს, აქვთ მიდრეკილება გაყვითლებისკენ სითბოს ზემოქმედების დროს (სითბური გაყვითლება). უარყოფით მხარეს წარმოადგენს ეპოქსიაკრილატების მაღალი სიბლანტე. ტექნიკური გადამუშავების დროს საჭიროა ფისების განზავება ორგანული გამხსნელებით და/ან აქტიური განმზავებლებით (მონომერებით).

არომატულებთან შედარებით, ალიფატური ეპოქსიაკრილატები ნაკლებად ბლანტია (იხ. ალიფატური ნაერთი).

ეპოქსიაკრილატების სიბლანტის შემცირების სხვა შესაძლებლობას წარმოადგენს აკრილმჟავის ნაწილობრივი შეცვლა ერთფუძიანი მჟავებით. ამასთან ერთად სიბლანტის შემცირებით მნიშვნელოვნად უმჯობესდება ელასტიკურობა და ადჰეზია.

კლასიკური რთული პოლიეთერული აკრილატები მიიღება პოლისპირტებიდან და ორ-ფუძიანი კარბომჟავებიდან ორ ან სამ სტადიად.

ბაზარზე წარმოდგენილი რთული პოლიეთერული აკრილატების სიბლანტის ცვლილების დიაპაზონი არომატულ ეპოქსიაკრილატებთან და მარტივ პოლიეთერულ აკრილატებთან შედარებით საშუალო დონისაა.

სიბლანტის საჭირო გადამუშავების მისაღწევად ჩვეულებრივ ამატებენ აქტიურ განმზავებლებს ან ორგანულ გამხსნელებს. მთლიანობაში ამ კლასის აფსქარმომქმნელებს აქვთ ფასის და ეფექტურობის კოეფიციენტის ოპტიმალური თანაფარდობა.

მოთხოვნილებამ მონომერებით გაღატაკებულ და დაბალსიბლანტიან უდ-აფსქარმომქმნელებზე, რომლებსაც შეუძლიათ იოლად გადავლა მონომერების (სიბლანტის რეგულირების აქტიური გამზავებლების) დამატების გარეშე გამოიწვია ფისების კლასის შექმნა მარტივი პოლიმერების და აკრილატების ფუძეზე. კომპოზიციებს მარტივ პოლიეთერების და აკრილატების ფუძეზე აქვთ მთელი რიგი დადებითი თვისებები, ისეთები, როგორიცაა დაბალი სიბლანტე და

გადამუშავებისათვის კარგი მახასიათებლები მაღალი უდ-აქტიურობის დროს. მათი დახმარებით ღებულობენ მონომერებით გაღარიბებულ მასალებს, პრაქტიკულად სუნის გარეშე. ისინი გამოიყენებიან ასევე როგორც განმზავებლები აკრილატის აფსკრარმომქმნელების სხვა ტიპებისთვის. მარტივი პოლიეთერების და აკრილატების ფუძეზე ფისების სინთეზის დროს შესაძლებელია ნარჩენი მონომერების წარმოქმნის თავიდან აცილება, რადგან დაბალმოლექულური მრავალფუძიანი სპირტების ნაცვლად გამოიყენება პოლიოლები მაღალი მოლეკულური წონით (იხ. მოლეკულური მასა).

ურეთანული აკრილატების ნაირსახეობა ძალიან დიდია, რადგანაც შეიძლება გამოყენებული იყოს არომატული და ალიფატური იზოციანატები, პოლისპირტები და რთული პოლიეთერული პოლიოლები. ამ მიზეზის გამო, ფისების ბაზარზე ამ კლასის აფსკრარმოქმნელებს შორის არ არის დომინანტი (უპირატესი), მაგრამ არსებობს დიდი ოდენობის სპეციალიზირებული ფისები. ურეთანული აკრილატები ხასიათდებიან საკმაოდ მაღალი სიბლანტით. როგორც წესი ურეთანული აკრილატები ორგანული გამხსნელების, აქტიური განმზავებლების ან დაბალსიბლანტიანი აკრილატის მარტივი პოლიეთერების დამატებით შეიძლება დაყვანილი იყოს გადამუშავებისათვის საჭირო მდგომარეობამდე.

**იზოციანატური აკრილატები Dual-Cure სქემის მიზედვით (ორმაგი გამყარება).**

ამ ახალი კლასის აფსკრარმომქმნელის გამოჩენა გამოწვეულია ფისის ერთ სტრუქტურაში პოლიმიერთების და პოლიმერიზაციის (უდ-გამყარების) უპირატესობების შეთავსების აუცილებლობით.

სისტემა Dual-Cure (ორმაგი გამყარება) გულისხმობს პროცესის მიმდინარეობას დროში დაცალკევებულ ორ სტადიად, ამასთან გამყარების მექანიზმი ორივე სტადიაზე შეიძლება იყოს იდენტური, ან შეიძლება გამოყენებულ იქნეს გამყარების სხვა მექანიზმიც.

Dual-Cure-სისტემები ხშირად გაიგივებულია ჰიბრიდულ სისტემებთან (იხ. ჰიბრიდი). ჰიბრიდულ სისტემებში გამყარების პროცესი მიმდინარეობს ერთდროულად ორი სხვადასხვა მექანიზმით. Dual-Cure-სისტემის მარტივ მაგალითს წარმოადგენს სუფთა ლსმ უდ-გამყარების პირველ სტადიაზე პრედგელირებისათვის მცირე სიმძლავრით დასხივება. შემდევ სტადიაზე მასალის სრული გამყარებისათვის იყენებენ მაღალი სიმძლავრის დასხივებას. ეს პროცესი გამოიყენება უდ-ლაქების დამქრქალების გასაუმჯობესებლად.

მასალებს შედგენილობას და ფუნქციური ჯგუფების რეაქციულ აქტივობაზე დამოკიდებულებით აქვთ სხვადასხვა სიცოცხლის უნარი.

Dual-Cure ტიპის ლაქსალებავი სისტემები გამოიყენება სამგანზომილებიანი სუბსტრატის (რთული კონფიგურაციის დეტალების) დამუშავების დროს იმისათვის, რომ მიღწეული იყოს

სრული გამყარება ასევე, ჩრდილოვან ზონებში, რომლებიც არ შეიძლება უშუალოდ იყოს დასხივებული. მის მეორე უპირატესობას უდ-გამყარებულ სისტემებთან (Mono-Cure) შედარებით წარმოადგენს ძლიერ პიგმენტირებული მასალების სრული გამყარების შესაძლებლობა. გარდა ამისა, იზოციანატის აკრილატები გამოიყენება როგორც დაფარვის საიზოლაციო და ადჰეზიის გასაუმჯობესებელი მერქნის სუბსტრატის შემწოვ და სხვადასხვა შემცველ ინგრედიენტზე, რადგანაც მათ შეუძლიათ ურთიერთქმედება სინოტივესთან და მერქნის ნივთიერებებთან სიღრმე-ში, და გამყოფ ზედაპირზე (სუბსტრატ-დაფარვა).

უმრავლესი აკრილის პრეპოლიმერები, პოლიეთერული აკრილატების გამოკლებით, მათი მაღალი სიბლანტის გამოროგორც წესი არ შეიძლება დაიდოს კონცენტრირებული სახით. აფ-სკრარმომქმნელებს უნდა ჰქონდეთ მუშა სიბლანტე, რომელიც რეგულირდება შესაბამისი ნივთიერებებით ყოველდღიურ პრაქტიკაში. ამ საწყის ნივთიერებებს უწოდებენ აქტიურ განმზავებლებს ან მონომერებს, რადგანაც უდ-გამყარების პროცესში ისინი ჩაშენდებიან დაფარვის პოლიმერულ სტრუქტურაში. მათ უწოდებენ სტენომერულ აკრილატებს.

ტექნიკურად მნიშვნელოვანი აქტიური განმზავებლები მიეკუთვნებიან აკრილმჟავის ეთერების კლასს. მათი შერჩევის დროს საჭიროა შემდეგი კრიტერიუმებით ხელმძღვანელობა:

- მაღალი რეაქციის უნარი;
- განზავების კარგი უნარი;
- დაბალი სიბლანტე;
- ორთქლის მცირე წნევა;
- უმნიშვნელო ტოქსიკურობა;
- კანზე უმნიშვნელო გამაღიზიანებელი მოქმედება და მგძნობიარობის ამაღლება;
- ფუნქციურობა.

მერქნისათვის ლსმ შეიძლება დამატებული იყოს 1-დან 60 პროცენტამდე აქტიური განმზავებელი. მათ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სიბლანტის შემცირება ორგანული გამხსნელების გამოყენების გარეშე. პრინციპში მონომერების სიბლანტის გაზრდა პირველ რიგში ხდება მოლეკულური წონის, პოლარულობის, მოლეკულების სიხისტის და ფუნქციურობის გადიდებით. მონომერების მოლეკულური წონის გადიდებით მცირდება მათი ხსნადობის უნარი, შეთავსებადობა, აქროლადობა და სუნი.

აკრილის უმრავლესმა აქტიურმა განმზავებელმა შეიძლება გამოიწვიოს კანზე გამაღიზიანებელი მოქმედება. ამიტომ მწარმოებლები ვალდებული არიან ზუსტად მიუთითონ ნაწარმის შედგენილობა. ამის გამო უკანასკნელ პერიოდში შეიმჩნევა მათი შეცვლის ტენდენცია, მაგალითად, ვინილით, რომელიც განთავისუფლებულია მარკირებისაგან. მისი მიღება ხდება აცეტილენის

და სპირტის ურთიერთქმედების დროს ტუტის თანადასწრებით. მიღებულ ვინილის ეთერებს ასუფთავებენ გამოხდით.

რადგანაც მრეწველობაში გამოყენებული ულტრაიისფერი დასხივების წყაროების ენერგია საკმარისი არ არის უდა-აფსკრარმომქმნელების და მონომერების ნახშირბად-ნახშირბადიანი ორმაგი ბმების ჰემოლითური (იხ. კოვალენტური ბმა) გახლეჩვისთვის, ამიტომ აუცილებელი ხდება ე.წ. „ფოტოინიციატორების“ გამოყენება.

ფოტოინიციატორები და ფოტოსენსიბილიზატორები შთანთქავენ ულტრაიისფერი დასხივების წყაროს სინათლეს უფრო გრძელტალღიან არეში. ამ დროს წარმოიქმნება რადიკალები, რომლებიც ინიცირებენ უდა-აფსკრარმომქმნელების აქტიური კომპონენტების რადიკალურ პოლიმერიზაციას.

ფოტოინიციატორი უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- მაღალი რეაქციის უნარი;
- სიბნელეში მათი შენახვის სტაბილურობა;
- თერმული სტაბილურობა;
- სიყვითლის უქონლობა და მისაღები ღირებულება;
- ლსმ კარგი ხსნადობა;
- სუნის და ტოქსიკურობის უქონლობა.

არსებობს ფოტოინიციატორებით რადიკალების წარმოქმნის ორი ძირითადი გზა:

- რადიკალების წარმოქმნა ბმების ჰემოლითური გახლეჩის დროს (შიდა მოლეკულური პროცესი);
- რადიკალების წარმოქმნა წყალბადის ატომის მოხლეჩის დროს (მოლეკულათშორისი პროცესი).

ფოტოინიციატორებს, რომლებიც შიდამოლეკულური ბმების გახლეჩით იწვევენ რადიკალურ პოლიმერიზაციას, მიეკუთვნებიან – ბენზოინის ეთერები, ბენზილკეტანი, ჰიდროქსილკილფენი და ფოსფინოქსიდის ჯგუფი. წარმოქმნილ რადიკალებს შეუძლიათ უშაუალოდ დაიწყონ პოლიმერიზაცია.

ფოტოინიციატორებს – წყალბადის აქცეპტორებს მიეკუთვნება ბენზოფენონი, თიოკსანტი და სხვა წარმოებულები. რადიკალების წარმოქმნისათვის ისინი საჭიროებენ თანაინიციატორებს (სინერგეტიკებს), რომლებსაც აქვთ უნარი ადვილად მოხლიჩონ წყალბადის ატომი.

რადიკალური პოლიმერიზაციის დამჩქარებლები თავის მხრივ ინიციატორებს არ წარმოადგენენ.

**ენზოფენონი** ულტრაიისფერი დასხივების მოქმედების ქვეშ გადადის **ტრიპლეტურ** მდგომარეობაში. ამინის თანადასწრებით ხდება ფოტოაღდეგენა, შესაძლო ექსიპლექსის წარმოქმნით. მერქნის დამუშავებისათვის პიგმენტური სისტემების უდ-გამყარებამ, განსაკუთრებით თეთრი პიგმენტებით, ბოლო წლებში მიიღო განსაკუთრებული მნიშვნელობა. გამყარებულ არაპიგმენტირებულ ლაქებში გამოყენებულ ჩვეულებრივ უდ-ფოტოინიციატორებს აქვთ აბსორბციის მაქსიმუმი 300-დან 400 ნმ (იხ. წინსართი – ნანო). მავრამ ასეთი ფოტოინიციატორებით შეუძლებელია თეთრი პიგმენტირებული რეცეპტურების უდ-გამყარება, რადგანაც თეთრი პიგმენტი (ტიტანის ორჟანგი) ძლიერ შთანთქავს გამოსხივებას იმავე სპექტრის არეში. ამ მიზეზის გამო გამოიყენება ფოტოინიციატორები, რომლებიც ხილულ არეში ნაწილობრივ შთანთქავენ გამოსხივებას (აბსორბციის მაქსიმუმი დაახლოებით 450nm), რომელშიც თეთრი პიგმენტი გამოსხივებას მხოლოდ არეკლავს ან გააბნევს.

დღეისათვის თეთრი პიგმენტირებული შემადგენლობისათვის მნიშვნელოვან ფოტოინიციატორებს წარმოადგენს აცილფოსფინოკსიდები. მათვის დამახასიათებელია უმნიშვნელო გაყვითლება და მაღალი შუქსტაბილურობა.

## 10.2. მერქნისათვის პიგმენტები, შემვსებები და დამქრქალებლები ულტრაიისფერი დასხივებით გამყარებულ დაფარვაში

**პიგმენტი** შეიძლება იყოს თეთრი, შავი ან ფერადი. ლსმ მათი პირველი ამოცანაა სინათლის დაბრკოლება იმისათვის, რომ დაფარვა გახადონ გაუმჭვირი და დაფაროს საფუძველი. ფერის აღქმა წარმოიშობა სინათლის ან სელექციური არეების, ან სრული შთანთქმის დროს. უდ-გამყარებულ დაფარვისათვის გამოიყენება მხოლოდ ისეთი პიგმენტები, რომლებიც არ აყოვნებენ და არ არიდებენ ლაქის ფუძეს ფოტოპოლიმერიზაციას:

- პიგმენტები, რომლებსაც აქვთ უმნიშვნელო შთანთქმა, განსაკუთრებით ფოტოინიციატორის აბსორბციის გარემოში (პიგმენტური აბსორბციის ფანჯარა);
- ნეიტრალური პიგმენტები, ე.ო. რომლებიც არ შედიან ფოტოინიციატორებთან ურთიერთქმედებაში (შეუმჩნეველი რადიკალები).

უდ-გამყარებულ ლსმ ყველაზე ხშირად გამოსაყენებელია **პიგმენტი** – ტიტანის ორჟანგი (რუტილი). მას იყენებენ თეთრ ფერში შეღებვისათვის და ფუძის ფერის სრული გადაფარებისათვის, ასევე ზოგიერთი ფერადი და შავი პიგმენტების გაკამაბებისათვის. მთავარ ფაქტორებს, რომლებიც განსაღვრავენ თეთრი პიგმენტური უდ-გამყარებული დაფარვის ოპტიმალურ რეცეპტურას წარმოადგენს:

- პიგმენტის ტიპი;

- პიგმენტის ნაწილების ზომები;
- პიგმენტის მოცულობითი კონცენტრაცია;
- გამოსხივების სპექტრის დიაპაზონი, რომელიც გამოიყენება დაფარვის გამყარებისათვის.

ალტერნატიულ პიგმენტებს – ტიტანის მაგნიუმს, ტიტანის დიოქსიდს და თუთიის სულფატს გადამუშავებაში აქვთ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები და რუტილთან შედარებით ნაკლებად გამჭვირვალები არიან, მაგალითად, უდ-რეცეპტურები, რომლებიც შეიცავენ პიგმენტის სახით თუთიის სულფატს, დღის სინათლის (ულტრაინისფერი სინათლის) მოქმედების ქვეშ ძალიან ყვითლდებიან. ტიტანის დიოქსიდი (ანატაზი) ფოტოქიმიურად უფრო აქტიურია ვიდრე რუტილი, ამიტომ მათთვის საჭიროა მოდიფიკატორები, მაგალითად ალუმინის ჟანვი ან სილიციუმის ჟანგი. უდ-გამყარებული მასალების ოპტიმალური ფოტოინიცირების (იხ. წინსართი) ფუძემდებელს წარმოადგენს პიგმენტების და ფოტოინიციატორების აბსორბციული თანაფარდობის ცოდნა.

ორგანული პიგმენტების, მაგალითად ტექნიკური ნახშირბადის (მურის) ან ფლატილ-ციანინის პიგმენტების გამოყენების დროს, პიგმენტის კონცენტრაციისგან დამოკიდებულებით შეიძლება ლსმ და პიგმენტის პასტის შენახვის დროს ძალიან დაირღვეს სტაბილურობა. ამან კი გამოიწვიოს პიგმენტის პასტების დაუელება (გასქელება) (იხ. ულუ). გარდა ამისა, ზოგიერთი ორგანული და არაორგანული პიგმენტები შეიძლება გახდეს რადიკალების დამჭერი.

გამოსხივებით გამყარებულ სისტემებში გამოიყენება ჩვეულებრივი შემვსებები, მაგალითად კარბონატები (კალციუმკარბონატი), სილიციუმდიოქსიდი (პიროგენული ან სილიციუმმჟავას ნალექი), სილიკატები (ტალკი, კაოლინი, მინდვრის შპატი (ალბიტი), ქარსი), სულფატები (ბარიუმის სულფატის ქიმიური ნალექი) და ორგანული შემვსებები, როგორებიც არიან მიკროსფეროები და ცელულოზის ბოჭკოები.

ძლიერ დამქრქალებული, მქრქალი და აბრეშუმისებრი მქრქალი დაფარვების ყველაზე ძირითადი მომხმარებელია ხის დამუშავების და ავეჯის მრეწველობა.

ამ შემთხვევაში პირველ პლანზეა არა მიზანშეწონილობა, არამედ გარე სახე. რადგანაც მქრქალი დაფარვის გამოყენების დროს ყველაზე უკეთ ხდება მერქნის გამომჟღავნება, ამასთან მქრქალ ზედაპირზე თვალი ისვენებს, სუბსტრატის სიმქისე პრაქტიკულად შეუმჩნეველია. დამქრქალებელი ნივთიერების სახით ლაქსალებავ მრეწველობაში გამოიყენება სინთეზური სილიციუმმჟავა, პიროგენული და ნალექიანი სილიციუმმჟავა, ასევე სილიკაგელი. ტივტივარების და დამქრქალებელი ნივთიერებების სტაბილურობის გასაუმჯობესებლად ხშირ შემთხვევაში საჭიროა სინთეზური სილიციუმმჟავის დამატებით ცვილით დამუშავება.

ავეჯის ზედაპირზე ლაქის დამქრქალების ეფექტი წარმოიქმნება ზედაპირის ფორმის ოპტიკური სიბრტყიდან გადახდის დროს. პეტი ხარისხს განსაზღვრავს ზედაპირის სტრუქტურული დეტალების სიმაღლე, ფორმა და რაოდენობა. ფიზიკური შრობის და ქიმიური გამყარების დროსწარმოიქმნება ზედაპირული სტრუქტურები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აფსკრარმოქნელის თვისებები, განსაკუთრებით – ფიზიკური შრობის და გამყარების დრო, შრობის პირობები და ორგანული გამხსნელების რაოდენობა, ასევე სიბლანტე. ამ პარამეტრებზეა დამოკიდებული თუ რა ხარისხით ხდება ზედაპირზე დაცემული სინათლის დიფუზიური არეალი მბზინვარების გაზომვის დროს.

ჩვეულებრივი ლსმ გამოყენების დროს ზედაპირის სიმქისე წარმოიქმნება დამქრქალებელი ნივთიერებების ნაწილაკების თხევად მასალაში თანაბარი განაწილებით. ფიზიკური შრობის და გამყარების დროს გამხსნელების აორთქლების გამო მცირდება ნედლი დაფარვის სისქე და აფსკი „ჯდება“. ჩაჯდომა შეადგენს 25-დან 75 პროცენტამდე. წარმოიქმნება მეტ-ნაკლებისიმქისის მქონე ზედაპირი, რომლის უსწორობების გარჩევა შეუძლებელია შეუიარაღებელი თვალით.

დამქრქალების უბრალო შემთხვევას წარმოადგენს სისტემა, რომელშიც გადამეტებულია პიგმენტის მოცულობითი კრიტიკული კონცენტრაცია. ეს მეთოდი გამოიყენება მხოლოდ პიგმენტირებული მასალებისათვის და ხშირად იწვევს დაფარვას მექანიკურ-ტექნოლოგიური თვისებების შემცირებას. გამჭვირვალე ლაქების პიგმენტირებით და შემცვებებით დამქრქალება გამოიყენება მხოლოდ შეზღუდული ხარისხით, ე.ი. რამდენად მოცემულ შემთხვევაში დასაშვებია ამღვრევის და გაბუნდოვნების ეფექტი.

მქრქალი ეფექტის მიღება შეიძლება დამქრქალებელი დამატებების გარეშე. კომპონენტების შერჩევით, რომლებიც არ არის თავსებადი რეცეპტურის შემადგენელ ნაწილებთან, როგორიც არის გამხსნელები, აფსკრარმომქმნელები ან პლასტიფიკატორები, შეიძლება მქრქალი დაფარვის მიღება.

დასხივებით გამყარებული მასალების, რომელთა მთლიანი გამყარება მიმდინარეობს საკმარისად სწრაფად, არ შეიცავენ გამხსნელებს ან გაღარიბებულია გამხსნელებით, ჩვეულებრივ დადება ხდება დასხმით, ვაკუუმ-დაფრქვევით ან ვალცებით. დამქრქალების მიღება შეიძლება დიდი შრომით. სიმქისიანი ზედაპირის შექმნა გამხსნელების აორთქლების შედეგად, როგორც ეს ხდება ჩვეულებრივ სისტემებში, ამ შემთხვევაში შეუძლებელია. ამიტომ ასეთ სისტემებში მხოლოდ ნაწილაკები, რომლებიც განლაგებული არიან ნედლი აფსკის ახლოს ან ზედაპირზე, ეფექტურ გავლენას ახდენენ დამქრქალების ეფექტის წარმოქმნაზე, რადგანაც არააქროლადი კომპონენტები ახლოს არიან 100 პროცენტთან. ასეთი სისტემების დამქრქალებისათვის საჭიროა დამქრქალებელი ნივთიერებების მაღალი კონცენტრაცია. აკრილატის ფუძეზე ულტრაინფერი

დასხივების მასალებში დამქრქალების პროცესზე დიდ გავლენას ახდენს ფოტოინიციატორი-სინერგეტიკი სისტემა.

ორმაგი გამყარების პროცესში (Dual-Cure) ბზინვარების ხარისხის ჩამოყალიბება უდ-გამყარების დროს ხდება რამდენიმე სტადიად. ამის მარტივი მაგალითია დაფარვის ნაწილობრივი გამყარება (ულტრაიისფერი პრეგელირება (**იხ. წინამთა**) გრძელტალღიანი ულტრაიისფერი ნათურების (გალიუმის მინარევით მაღალი წნევის ვერცხლისწყლის ნათურების) მოქმედების ქვეშ და შემდგომ ზედაპირის გამყარება მაღალი წნევის ვერცხლისწყლის ნათურების საშუალებით. ბზინვარების ხარისხი დამოკიდებულია ენერგიის დოზაზე – ულტრაიისფერი დასხივების ინტენსიურობაზე, ასევე დამქრქალებელი ნივთიერებების შერჩევაზე. არ არსებობს უნივერსალური დამქრქალებელი საშუალება უდ-გამყარებული მასალებისათვის, რომლის გამოყენება შეიძლება აფსკრარმოქმნელის, დაფარვის შრის სისქის და სხვა ფაქტორების შერჩევისაგან დამოუკიდებლად. უდ-გამყარებული მასალების დამქრქალებაზე გავლენას ახდენს რეცეპტურების შედგენილობის შემდეგი ნაწილები და გადამუშავების პროცესის პარამეტრები.

#### უდ-აფსკრარმოქმნელები/მონომერები:

- აფსკრარმოქმნელის ტიპი (მარტივი პოლიეთერული, რთული პოლიეთერული, ეპოქსი, ურეთან-აკრილატი და სხვა);
- აფსკრარმოქმნელის უდ-აქტიურობა (ფუნქციურობა/მოლექულურ-მასობრივი განაწილება);
- აფსკრარმოქმნელის და მთლიანად რეცეპტურის სიბლანტე;
- მონომერების ტიპი (ფუნქციურობა);
- ნარევში აფსკრარმოქმნელის და მონომერის თანაფარდობა.

#### შეხამება ფოტოინიციატორი/სინერგეტიკი:

- ფოტოინიციატორის ტიპი;
- სინერგეტიკის ტიპი (ამინის ტიპი);
- ფოტოინიციატორის/ამინის სინერგეტიკის დასამატებელი რაოდენობა.

#### დამქრქალებელი საშუალება:

- დასამატებელი რაოდენობა;
- ფორის მოცულობა მლ/გ;
- ნაწილაკების განაწილება ზომების მიხედვით;
- ცვილით ზედაპირის დამუშავება.

#### გადამუშავების პროცესის პარამეტრები:

- დასადები მასალის რაოდენობა (შრის სისქი);

- სუბსტრატის და დასაღები მასალის ტემპერატურა;
- დაჩქარების დრო უდ-გამყარების წინ (flash off ზონა);
- ჰაერის ნაკადის სიჩქარე შეშრობის/უდ-გამყარების დროს;
- დასხივების ენერგიის დოზა და ულტრაიისფერი ნათურების სხვადასხვა ინტენსიურობა;
- გამოყენებული ულტრაიისფერი ნათურების სპეციალის დიაპაზონი;
- უდ-გამყარების Dual-Cure-პროცესი ჟანგბადის თანადასწრებით და/ან ინერტიულ ატმოსფეროში (ორსტადიანი უდ-გამყარების პროცესი);
- ორგანული გამხსნელების დამატება;
- დაფარვის ფიზიკური გამყარება ექსიმერული დასხივებით (იხ. ექსიმერები).

დამქრქალების კლასიკური პროცესის საინტერესო ალტერნატივას წარმოადგენს ფიზიკური დამქრქალება ე.წ. ექსიმერულიულტრაიისფერი გამოსხივება. ამ შემთხვევაში უდ-დაფარვის გამყარება ხდება ინერტული აირის ატმოსფეროში ექსიმერული ულტრაიისფერი წყაროს დასხივებით, რომელიც ახდენს ფოტონების იმიტაციას (იხ. ექსიმერული ულტრაიისფერი გამოშსხივებლები).

ექსიმერები ძირითადი მდგომარეობიდან დაუყოვნებლივ იშლებიან შემადგენელ მონო-მერებად. წარმოქმნილი მოცულობითი ჩაჯდომის შედეგად, რომელიც დამოკიდებულია ტალღის სიგრძეზე, ენერგეტიკულ წვლილზე, რეცეპტურაზე და შრის სისქეზე, ყალიბდება ზედაპირის სხვადასხვა დეფექტი მიკრო და მილიმეტრულ სფეროში. წარმოქმნება ძალიან დეფორმირებული შრე, რომელიც სინათლის დიფუზიური გაბნევის (იხ. დიფუზიური არეკვლა) შედეგად აღიქმება როგორც მქრქალი. ნათურის ენერგიაზე დამოკიდებულებით შეიძლება დაფარვის ნაწილობრივი ან მთლიანი გამყარების მიღწევა.

ექსიმერული ულტრაიისფერი გამოსხივება გამოიყენება შესამებებში – საშუალო წნევის ვერცხლისწყლის ნათურებით ულტრაიისფერ გამყარებასთან ზედაპირის სტრუქტურის (დამქრქალების) დაფიქსირებისათვის ან ელექტრონულ დასხივებასთან დაფარვის სრული გამყარებისათვის. ეს პროცესი წარმატებით გამოიყენება ქაღალდის ფირის მასალების გაკეთილშობილებისათვის უდ- ან ედ-გამყარების სისტემებთან შესამებები. ექსიმერულ გამოშსხივებლებს მონოქრომატული სპეციალის გამო არ აქვთ ხელის შემშლელი ინფრაწითელი გამოსხივება, როგორც ეს მაღალი წნევის ვერცხლისწყლის ნათურებს.

ეს თვისება ძალიან მნიშვნელოვნია ტემპერატურისადმი მგბნობიარე სუბსტრატების დამუშავების დროს. ექსიმერული ულტრაიისფერი გამოსხივების გამოიყენების დროს აუცილებელია

ინერტული ატმოსფერო, გამყარების დროს უანგბადის ინპიბირების მოქმედების და განსაკუთრებით კი ჰაერის უანგბადით ფოტონების შთანთქმის ასარიდებლად.

მრავალი ადგივი, რომელიც გამოიყენება ჩვეულებრივ მასალებში შეიძლება გამოყენებული იყოს უდ-გამყარების სისტემებშიც. საუბარია ზერელედ აქტიურ ნივთიერებებზე, როგორებიც არიან ქაფჩამქრობები, დამსველებლები, დისპერგატორები და ჩამოსხმის გასაუმჯობესებელი ნივთიერებები.

ფისების და უდ-გამყარებული მასალების წარმოებაში მნიშვნელოვან დანამატებს წარმოადგენს ინპიბიტორი-სტაბილიზატორი.

ულტრაიისფერი აფსკრარმოქმნელის და მონომერების წარმოების და შენახვის დროს ამატებენ ინპიბიტორებს, რადგან თავიდან აცილებული იყოს ნაადრევი პოლიმერიზაცია. შენახვის დროს ინპიბიტორების საშუალებით იზრდება სტაბილურობა და მანიპულაციით უზრუნველყოფილია საიმედობა და უსაფრთხოება. შენახვის დროს სტაბილურობის უზრუნველსაყოფად გამოიყენება ჰიდროქინის მონომეთილის ეთერი. ჰიდროქინის მონომეთილის ეთერს შეუძლია სულად გამოამჟღავნოს ინპიბიტორული ქმედება მხოლოდ უანგბადთან შეერთებაში  $20-100^{\circ}\text{C}$  ტემპერატურის დროს და მას უწოდებენ აერობულ ინპიბიტორებს.

აკრილის წარმოებული ეთერების მიღების დროს პროცესის სტაბილიზატორის სახით შეიძლება ფენოტიაზინის გამოყენება. ფენოტიაზინი მიეკუთვნება ანაერობულ ინპიბიტორ-სტაბილიზატორს. ანაერობული სტაბილიზატორები არავითარ როლს არ ასრულებენ ლსმ შენახვის და ტრანსპორტირების დროს. ინპიბიტორული ქმედება ზორციელდება წყალბადის ატომის გადატანით. რეაქციის შედეგად წარმოქმნილი რადიკალი სტაბილიზირებულია მეზომერის ეფექტის ხარჯზე (იხ. მეზომერია) და ამიტომ მნელად შედის რეაქციაში. შემდგომი პოლიმერიზაცია წყდება.

### 10.3. ულტრაიისფერი დასხივებით ინიცირებული რადიკალური პოლიმერიზაციის მექანიზმი

ულტრაიისფერი დახივებით (უდ) ინიცირებული რადიკალური პოლიმერიზაციის დროს აფსკრარმოქმნელ-მონომერის თხევადი სისტემა ნანო წამის განმავლობაში გარდაიქმნება დაფარვის მაგარ აფსკად. მერქნისათვის რეცეპტურებში უმთავრესად გამოიყენება პოლიფუნქციური მონომერები, რომლებიც რადიკალური პოლიმერიზაციის დროს წარმოქმნიან სამგანზომილებიან გაკერილ სტრუქტურებს. პოლიმერიზაცია, ინიცირებული რადიკალებით, წარმოქმნილი ფოტოინიციატორებისაგან, დაყოფილია სამ სტადიად:

- რადიკალების წარმოქმნა და ჯაჭვის დაწყება ფოტო ქიმიური ინიცირების შედეგად;
- ჯაჭვის ზრდა მონომერების შეერთების ხარჯზე;
- ჯაჭვის დაწყვეტა რადიკალების რეკომბინაციის, დისპროპორცირების, მილევის ხარჯზე.

ხშირად უდ ინიცირებული რადიკალური პოლიმერიზაციის დროს არასასურველ თანამდევ რეაქციას წარმოადგენს პოლიმერიზაცია ჰაერის ჟანგბადით. ჟანგბადი წარმოადგენს ბი რადიკალს და ამიტომ სწრაფი რეაქციის შედეგად შეუძლია ენერგიით მდიდარ პირველადი რადიკალების გადაბმა და ამრიგად პოლიმერიზაციის ბლოკირება. აღვწენებული მდგომარეობის ჩაქრობის გარდა, მას შეუძლია რეაგირება რადიკალ-ინიციატორებთან ან ზრდად პოლიმერის ჯაჭვებთან, სტაბილური პეროქსირადიკალების წარმოქმნით. პეროქსირადიკალები თავისი სტაბილურობის გამო პასიურებია და რეაგირებენ ძალიან ნელა. პოლიმერის ჯაჭვში ინპიბირების დროს ხდება არა მარტო აკრილის მონომერების, არამედ ჟანგბადის ჩაშენებაც. ამ შემთხვევაში ჟანგბადი წარმოადგენს თანაპოლიმერს. ჟანგბადის ინპიბირება (იხ. ინპიბიტორი) იწვევს ექსტრემალურ შემთხვევებში წებოვან და არა სრულად გამყარებულ დაფარვას.

გამყარებული ჟანგბადის დიფუზია დამოკიდებულია უდ-გამყარებული ლაქსალებავი სისტემების შედგენილობების სიბლანტეზე. მაღალ სიბლანტიანი სისტემებისათვის ჟანგბადის დიფუზია უმნიშვნელოა.

რაც უფრო თხელია უდ-გამყარებული მასალის შრე, მით უფრო ძლიერია ჟანგბადის ინპიბიტორული ეფექტი. შედარებით ახალი ანალიზური თანაფოკუსიანი რამანსპექტროსკოპიის მეთოდი იძლევა უდ-დროს შრის „შიგნით“ ჩახდვის და აფსკის სხვადასხვა სიღრმეზე რადიკალური პოლიმერიზაციის პროცესის დაკვირვების წარმოების საშუალებას.

მასალების უდ არასაკმარისი გამყარების პრობლემები შეიძლება დაკავშირებული იყოს ჟანგბადის გავლენასთან.

ლსმ შრეში ჟანგბადის დიფუზიის დაბრკოლებისათვის გამოიყენება გამჭვირვალე პლასტიკური აფსკი. მაგალითად, პოლიეთერული დადების შემდეგ უდ-მასალის შრე იფარება პოლიეთერული აფსკით, შემდეგ კი გამყარდება. აფსკის მოხსნის შემდეგ მიიღება ნაკაწრების მიმართ მედეგი და აფსკის სტრუქტურაზე დამოკიდებული განსაზღვრული ხარისხის პერიანი ზედაპირი. დამცავი აფსკის გამოყენება ფუნქციური თვალსაზრისით ფრიად ძვირია და ხის შეღებვის დროს გამოიყენება მხოლოდ სპეციალურ შემთხვევებში, მაგალითად სამზარეულო ავეჯის დამზადების დროს.

ფოტოინიციატორის მაღალი კონცენტრაციის პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი ვარიანტია პირველადი რადიკალების კონცენტრაციის გადიდება, რომლის დროს მიუხედავად ჟანგბადთან ურთიერთქმედებისა, პოლიმერიზაცია შეიძლება წარიმართოს უფრო სწრაფად, ვიდრე წყალბადის დიფუზია. ამ დროს აუცილებელია ფოტოინიციატორების განსაკუთრებით მაღალი კონცენტრაცია იმისათვის, რომ გარანტირებულად უზრუნველყოფილი იყოს გამყარების პროცესში პირველადი რადიკალების მაღალი კონცენტრაცია. გამყარების პროცესში უდინტენსურობის გადიდებით შეიძლება ჟანგბადთან თანამდევი ურთიერთქმედების შემცირება. აკრილის ფუძეზე მაღალაქტიური აფსკრამოქმნელის გამოყენების დროს პარაფინის ცვილის ან სხვა ცვილისებრი ნივთიერებების დამატება არაეჭერურია, რადგან აფსკი მყარდება იმაზე უფრო ჩქარა, ვიდრე პარაფინი ზედაპირზე წარმოქმნის დამცავ სარკეს.

განსხვავებული დნობადობის პარაფინები გამოიყენება სტიროლთან უჯერი პოლიეთერების უდ-გამყარების დროს, რადგანაც ამ შემთხვევაში შესაღებ ხაზებს შეიძლება ჰქონდეთ ე.წ. პრედგელირების ზონები დაბალი წნევის და მცირე სიმძლავრის ნათურებით. ეს პარაფინს აძლევს საშუალებას ამოტივტივდეს ზედაპირზე გამყარების წინ.

ჟანგბადის ინპიბირების არიდების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ მეთოდს წარმოადგენს რადიკალური პოლიმერიზაციის რეაქციის ზონიდან ჟანგბადის მოცილება დამცავი აირის ატ-მოსფეროს საშუალებით. გამყარების ჩატარება შეიძლება ინერტიული აირის მაგალითად აზოტის ან ნახშირორჟანგის ატმოსფეროში, და ამით ჟანგბადის გამორიცხვა.

მერქნის მასალების შესაღებ დანადგარებში, რომლებშიც აზოტს იყენებენ ინერტული აირის სახით, უმთავრესად ამუშავებენ ბრტყელ უნიფიცირებულ დეტალებს მომდევნო ელექტრონული გამოსხივებით. ულტრაიისფერი ან ელექტრონული დასხივების ინერტული ატ-მოსფეროს არხის შექმნის დროს დეტალის გეომეტრიაზე დამოკიდებულებით საჭიროა გათვალისწინებული იყოს აირის ნაკადების თანაფარდობა. აუცილებელია მასალის აზოტით გარანტირებული თანაბარი დაბურვა, სხვაგვარად უდ და ეგ გამყარების შემდეგ შეიძლება დეტალის ზოგიერთ ზედაპირს ჰქონდეს გამყარების ან ბზინვარების სხვადასხვა ხარისხი.

რთული გეომეტრიული ფორმის (სამგანზომილებიანი) ნაკეთობების დამუშავება უდგამყარების გამოყენებით პრაქტიკულად შეუძლებელია ინერტული ატმოსფეროს გარეშე. სამგანზომილებიან სუბსტრატისათვის მანძილი უდ ნათურებს და დასამუშავებელ ზედაპირს შორის შეძლებისგვარად უნდა რჩებოდეს მუდმივი, რომ უზრუნველყოფილი იყოს დეტალის ყველა ზედაპირის თანაბარი ინტენსიური დასხივება. ამის მიღწევა ხდება განსაკუთრებული კონსტრუქციის ნათურების გამოყენებით. აქ ასევე შეიძლება მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ჟანგბადის ინპიბირება ან მისი მთლიანი გამორიცხვა.

უდ-გამყარების გამოყენების დროს ავეჯის დეტალების გეომეტრიის დიდი სხვადასხვაგვარობის გამო საჭირო ხდება უდ-ნათურებსა და ნაკეთობის ზედაპირს შორის მანძილის მუდმივი მორგება.

იაფი და მარტივი სამგანზომილებიანი დეტალების უდ-გამყარების პროცესი ნახშირორჟანგის ატმოსფეროში ძირითადად გამოიყენება დეტალების პატარა სერიებად დამუშავების დროს. ეს პროცესი ბაზარზე ცნობილია როგორც Larolux.

ნახშირორჟანგი ჰაერზე უფრო მძიმეა, ამიტომ შეიძლება მისი ავსება პლასტიკურ რეზერვუარში და ის ძირზე დარჩება. საწარმოო პირობებში განსაკუთრებით ხელსაყრელია მშრალი ყინულის (მაგარი) გამოყენება. ამრიგად, დიდი დანახარჯების გარეშე შეიძლება ჟანგბადის კონცენტრაციის 1%-ზე ნაკლების მიღწევა. ნახშირჟანგის აირით და ჟანგბადის შემცირებული შემცველობით ავზში ან გვირაბში გამყარების პროცესი იძლევა ულტრაინფერი დასხივების დაკლების და გამოსხივების ფართო დიაპაზონის მქონე მარტივი ნათურების, როგორიც არის „მთის მზე“, გამოყენების შესაძლებლობას.

სამგანზომილებიანი **სუბსტრატები**, მაგალითად ხის სკამები ლსმ დადგების შემდეგ ამოვლების მეთოდით შეყავთ ნახშირორჟანგის აირის ატმოსფეროში და ასხივებენ.

სუბსტრატის ჩრდილოვანი ზონების შენათებისათვის გამოიყენება ინერტული კამერის კედლებზე განთავსებული სპეციალური ალუმინის ამრეკლები.

ტევადობაში ნახშირორჟანგის აირით გამყარებას აქვს შემდეგი უპირატესობები:

- ენერგეტიკული დანახარჯების შემცირება უდ სიმბლავრის დაკლების ხარჯზე;
- ნამზეურისათვის ნათურების გამოყენება გამორიცხავს ოზონის წარმოქმნას და მავნებელ ულტრაინფერ გამოსხივებას;
- სამგანზომილებიანი ობიექტების უდ-გამყარებისათვის შესაძლებელია ნათურების დიდ მანძილზე დაყენება;
- ვარგისიანობა, როგორც დიდი, ასევე მცირე სერიებისათვის;
- ფოტოინიციატორების რაოდენობის შემცირება, რაც ნიშნავს მასალის ღირებულების შემცირებას;
- ელასტიკურ დაფარვაში დაბალი ფუნქციურობის აკრილატების დანერგვის დროს რეცეპტურების გაფართოების შესაძლებლობა;
- ქიმიური მედეგობის და ნაკარის მიმართ მდგრადობის გაუმჯობესება.

უდ-გამყარების დროს რამდენიმე წამში მიიღება არაწებვადი და მტკიცე აფსკი. ეს აიხსნება იმით, რომ რადიკალურიპოლიმერიზაციის დროს პოლიკონდენსაციასთან შედარებით

უკვე ორმაგიბმების (კავშირების) მცირე კონვერსიის დროს მიიღება პოლიმერიზაციის მაღალი ხარისხი.

რეცეპტურის და პროცესის პარამეტრებზე დამოკიდებულებით რეაქციაში შედის 75-დან 90 პროცენტამდე უჯერი ორმაგი ბმები. უჯერი ორმაგი ბმების არასრული გარდაქმნის მიზეზია, ლაქის შრის „გამინინება“ (გამინიანება) და მოლეკულური ჯაჭვის სეგმენტების ძვრადობა იყინება. ეს ხდება, როდესაც პროცესი გადის გამინიანების ტემპერატურის ზღვრებს გარეთ, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია უდ-გამყარების პროცესში. ლსმ თხევადი აფსკი პოლიმერიზაციის შემდეგ გადადის მაგარ მდგომარეობაში და რეაქცია საბოლოოდ ჩერდება. განსაზღვრულ ხარისხამდე გაკერილი აფსკი გაივლის შუალედურ მდგომარეობას, რომელსაც თანაბრად აქვს თხევადი და მაგარი ნივთიერებების თვისებები. ამ სტადიას უწოდებენ გელი-წარმოქმნის წერტილს, რადგანაც აქ პირველად წარმოიქმნება ბადისებრი სტრუქტურა.

გელირების წერტილში მიღწეული კონვერსიის ხარისხი დამოკიდებულია რეცეპტურის ყველა ძირითადი შედგენილი ნაწილის (აფსკწარმომქმნელების, მონომერების) ფუნქციურობაზე, ფოტოინიციატორების ტიპზე და კონცენტრაციაზე, ასევე უდ-გამყარების პროცესის პარამეტრებზე. ამგვარადვე გამინიანების ტემპერატურაც დამოკიდებულია ზემოთ ჩამოთვლილ პარამეტრებზე. გაკერვის ხარისხის ამაღლებით იზრდება გამინიანების ტემპერატურა, აფსკის თბომედეგობა, ქიმიური მდგრადობა და სიმაგრე, მაგრამ ამასთანავე იზრდება შიდა ძაბვა და სიმყიფე. ერთდროულად მცირდება ელასტიკურობა და ჭიმვადობა.

უდ-გამყარების შემდეგ რადიკალური პოლიმერიზაცია ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული, თუმცა დასხივების პირველი დღის განმავლობაში იზრდება აფსკის სიმაგრე. ეს აიხსნება იმით, რომ უშუალოდ უდ-გამყარების შემდეგ აფსკში რჩება აქტიური რადიკალები და პოლიმერიზაციის უნარის მქონე ორმაგი ბმები, რომლებსაც გარემოს ტემპერატურაზე დამოკიდებულებით შეუძლიათ მეტ-ნაკლები ხარისხით რეაგირება.

უდ-გამყარებული დაფარვა გამყარების პროცესში გამოწვეული პოლიმერიზაციის დასხივების შედეგად განიცდის მოცულობით შეკუმშვას, რომელიც დაფუძნებულია ახალი კოვალენტურიბმების წარმოქმნაზე უდ-აფსკწარმომქმნელსა და მონომერს შორის. ამ შემთხვევაში მოლეკულათშორისი მანძილები გადადის უფრო მოკლე კოვალენტურ ბმებში. ამ დროს მცირდება აფსკის მოცულობა და სისქე.

ლსმ მწარმოებლებმა უნდა გაითვალისწინონ ამ მოვლენის შედეგად აფსკში წარმოქმნილი ძაბვა, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს დაფარვის ადჰეზიის გაუარესება, განსაკუთრებით გლუვ სუბსტრატებზე, როგორიც არის მელამინის ფისის გამყარებული აფსკები.

## **10.4. უდ-გამყარებული დასხივებით გამყარებული ლაქსალებავი მასალების დასადები დანადგარები**

უდ-გამყარებული ლსმ ავეჯის, სამზარეულოს ავეჯის და კარების შეღებვის პროცესები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდებიან. ავეჯის და კარების შეღებვის დროს უდ-მასალების დადება ხდება დასხმით, შესხურებით და ვალცებით ვაკუუმურ დანადგარებზე. სამრეწველო პირობებში ბრტყელი ზედაპირების დამუშავება ხდება ლსმ (საგრუნტოს და გამო-საყვანი ლაქების) გამოყენებით, თითქმის არააქროლადი ნივთიერებების 100 პროცენტიანი შედგენილობით.

ჩვეულებრივ ავეჯის და კარების ლსმ დაფარვა ხდება თხელი შრით დამცავი ქმედების უზრუნველსაყოფად ან სქელი შრით. დადების მეთოდზე დამოკიდებულებით უდ-მასალებს განას-ხვავებენ არააქროლადი კომპონენტების წილით.

**ნაკეთობის დამუშავება უდ-გამჭვირვალე ლაქებით.** უდ-გამყარებული ლსმ დასადები ვალცებიანი ხაზის ტიპიური სქემა შედგება რამდენიმე მარტივი ვალცისაგან და ორი სახეხი მანქანისაგან. ვალცებით შეღებვის ასეთ ხაზებს აქვთ ნამზადის მიწოდების სიჩქარე 10-დან 50მ/წთ-მდე. არსებობს დანადგარები გამთბობი კალანდრირული (იხ. კალანდრი) ლილვაკების და ჯაგრისის აგრეგატების კომბინაციით.

დახშულფორებიანი ზედაპირისათვის გამოიყენება მასალის დადების ვალცვის და დასხმის მეთოდების შეხამება. დაგრუნტვის სტადიაზე ძალიან ხშირად გამოიყენება ორმაგი ვალცები, ამასთან მეორე ვალცი ბრუნავს დეტალის საგარაუდო მოძრაობის საწინააღმდეგო მიმარ-თულებით (რევერსული, ვალცებიანი მანქანები). ამრიგად შეიძლება ერთდროულად რეალიზირ-ებული იყოს მასალის დიდი რაოდენობით (დაახლოებით  $30-120 \text{ გრ/მ}^2$ ) დადება და ბრტყელი ზედაპირის მიღება.

უდ-გამყარების და მომდევნო ხეხვის შემდეგ, გადავლების მეთოდით ხდება შემადგენლობისდადება, რომელიც ნაწილობრივ შეიცავს გამხსნელებს ან სტიროლს არააქროლადი ნივთიერების 70-დან 100 პროცენტამდე შემცველობით. ასეთი შედგენილობის დროს ღებულობენ კარგად შევსებულ და გლუვ დაფარვას. ღარიანი ვალცების გამოყენებით შეს-აძლებელია გადავლების მეთოდის ანალოგიური დაფარვის მიღება.

რელიეფური ან ძალიან მომრგვალებული ავეჯის დეტალების შეღებვა არ შეიძლება უდ-ვალცვით. ასეთ დეტალებს უდ-მასალებით ამუშავებენ ავტომატური შესხურებით. როგორც წესი გამოიყენება ორ ან სამშრიანი დაფრქვევის პროცესი უდ-საგრუნტოთი ან დამფარავი ლაქით ორგანული გამხსნელების ფუძეზე ან წყალში ხსნადი ლსმ.

უდ-დაფარვის პიგმენტირება. პიგმენტირებული უდ-მასალების დადება ზორციელდება კომ-ბინირებულ ვალცურ-დასხმის ხაზებზე Dual-Cure-ტექნოლოგის გამოყენებით (გამყარების ორ-მაგი მექანიზმი). უშუალოდ უდ-გამყარების პროცესში ბზინვარების ხარისხის შეცვლისათვის გამოიყენება სიმაღლეზე სარეგულირებებით მაღალი წნევის ვერცხლისწყლის ნათურები.

ვალცვის პროცესი შეხამებული არა პირდაპირ ღრმა ბეჭდვასთან ლამინირებული იატაკისათვის და ავეჯის დეტალებისთვის. ავეჯის და იატაკის წარმოებაში მერქანბურ-ბუშელოვანი, მაგარბოჭკოვანი (HDF) და MDF მასალების გამოყენება მკვეთრად იზრდება მათი ეკონომიური ოპტიმიზაციის და წარმოების პროცესის სიმოკლის გამო. ავეჯის დამზადებაში ბეჭდვა, როგორც მერქნის მასალაზე არაპირდაპირი ბეჭდვა საკმაოდ ცნობილი პროცესია. ავეჯის მრეწველობაში მერქნის მასალაზე ბეჭდვას იყენებდნენ ავეჯის უკანა კედლების, კა-რადების შიდა და ავეჯის ზედაპირების გამოყვანისათვის. შემდგომ მერქნის მასალაზე ბეჭდვა გამოდევნილი იყო ქაღალდზე დეკორატიული ღრმა ბეჭდვით მისი მზარდი გამოყენების გამო.

პროფესიულ ენაზე საუბრობენ მერქნის მასალაზე პირდაპირ ბეჭდვაზე, მაშინ როდესაც მხედველობაში აქვთ არაპირდაპირი (ირიბი) ღრმა ბეჭდვის პროცესი. არაპირდაპირი ღრმა ბეჭდვის დროს საბეჭდი საღებავი საგრავირო ვალციდან გადაიტანება მაგარ რეზინის ვალცზე, რათა გათანაბრდეს უსწორობები, ასევე დაშვებებიმერქნის მასალაზე მომდევნო ბეჭდვის დროს. საგრავირო ვალცზე განთავსებულია რაკელის დანა, რომელიც აცლის ჭარბ საბეჭდ საღებავს რეზინის ვალცზე გადატანის წინ.

ამრიგად საბეჭდი საღებავი რჩება მხოლოდ საგრავირო ვალცის ჩაღრმავებულ უჯრედებ-ში და გადააქვს დეკორატიული სტრუქტურა რეზინის ვალცზე. ამასთან უჯრედში მყოფი სა-ბეჭდი საღებავი ვალცზე გადაიტანება წერტილების ფორმის სახით.

ტექნიკურად დასაბეჭდი სურათი უნდა შედგებოდეს მრავალი პატარა უჯრედებისაგან, რომ საფხექს ზღუდარზე ჰქონდეს მიბჯენის თანაბარი ზედაპირი. წინააღმდეგ შემთხვევაში რა-კელი უჯრედებიდან, დაიწყებს საღებავის გამოდევნას, თუ ისინი მეტისმეტად დიდია. მიმჭერის შესაბამისი დაწოლის დროს რეზინის ვალცს მერქნის მასალის ზედაპირთან კონტაქტში ნაკეთო-ბაზე გადააქვს დეკორატიული ნახატი.

ამჟამად ტრადიციული ელექტრომექანიკური გრავირების ნაცვლად სულ უფრო ხშირად გამოიყენება ლაზერული გრავირება (პირდაპირი ლაზერული სისტემა). ლაზერულ გრავირებას შეუძლია დეკორი გააკეთოს უფრო გამომხატველი. დეკორის შეცვლის დროს ხდება აგრეგატის ავტომატური იუსტირება.

ნის ზედაპირის იმიტაციისათვის არსებობს წლების განმავლობაში შემოწმებული გამ-ოყვანის ტექნოლოგიები, მაგალითად, ქაღალდის და პოლივინილქლორიდის გაუღენთილი აფსკები

სისქით 0,15-0,25 მმ. პირდაპირი ღრმა ბეჭდვის მეთოდით შეღებვის დროს დაფარვის შრის საერთო სისქე დაახლოებით შეადგენს 0,05-0,12 მმ. არაპირდაპირი ღრმა ბეჭდვა კონკურენციას უწევს უშუალოდ ქაღალდის ფირზე დეკორატიულ ბეჭდვას.

პრაქტიკაში ასხვავებენ ერთფეროვან და მრავალსალებავიან ბეჭდვას. ბეჭდვა ერთ საღებავში, როგორც წესი, გამოიყენება კარადის გვერდითი კედლებისათვის და მარტივი პანელებისათვის. ორ და სამფერიან ბეჭდვას იყენებენ მაღალხარისხიანი ავეჯის დეტალების და ლამინატის გამოყვანის დროს.

არაპირდაპირი ღრმა ბეჭდვა ასევე გამოიყენება ეკონომიურად ნაკლებად ფანერაზე მაღალხარისხიანი ფანერის ზედაპირის იმიტაციისათვის. ძირითადად ბეჭდავენ წიფელის, არყის ხის, ნეკერჩხალის, ლიმბას ან სამრეწველო ფანერაზე. ოპტიმალური და მკაფიო ანაბეჭდის მისაღებად სუბსტრატის ზედაპირის მომზადების მნიშვნელოვან პროცესს წარმოადგენს გათანაბრება. აუცილებელია მასალის დასაღები რეზინის ვალცის მდგომარეობის მუდმივი კონტროლი, რადგანაც გაჯირვების და გაცვეთის შედეგად შეიძლება მისი დიამეტრის ცვლილება. რეზინის ვალცის ზედაპირის სიმაგრეს ამოწმებენ დადგენილი პერიოდულობით, რადგანაც სიმაგრე გავლენას ახდენს ნაბეჭდი ნახატის ხარისხზე და დასაღები საღებავის რაოდენობაზე.

წყალში ხსნადი საბეჭდი საღებავების ტექნიკური და ეკონომიური უპირატესობები მთლიანობაში ჭარბობენ უდ-გამყარებულ სისტემების მახასიათებლებს. ავეჯის ხილული ზედაპირების, მაგალითად, სტელაჟის კედლებს, ჩასაღებელ თაროებს, საძინებელი ავეჯის დეტალებს და ფრონტონებსაც კი ამუშავებენ არაპირდაპირი ღრმა ბეჭდვის მეთოდით (იხ. ფრონტონის ავეჯში).

წნელების, ძნელაკების, პანელების, პროფილების, კანტების და წიბოების შესაღებად ვაკუუმური დანადგარების გამოყენებამ ნაცვლად დადების ტრადიციული მეთოდებისა – შესხერებით, დასხმით ან ვალცვით ბოლო წლებში მოიპოვა დიდი მნიშვნელობა.

ვაკუუმურ დანადგარებში გამოსაყენებელი უდ-სისტემები. მერქნის და მერქნული მასალების შეღებვისათვის გამოიყენება გარემოსათვის კონცენტრირებული, უსაფრთხო უდ-სისტემები. როგორც წესი, უდ-მასალები შეიცავენ 100 პროცენტამდეარააქროლად ნივთიერებებს, ნიტროცელულოზის და ორკომპონენტიან პუ სისტემებთან შედარებით. უდ-ვაკუუმირებულ მასალებს აქვთ შემდეგი უპირატესობები:

- შეღებვის დროს ნაკეთობების გადაძრავების დიდი სიჩქარე (20-200 მ/წთ.);
- შრობის და გამყარების მცირე დრო;
- დასაღები ნივთიერების მცირე რაოდენობა;
- მასალის გამოყენების მაღალი ხარისხი (შეღებვა დანადგარების გარეშე);

- ძალიან კარგი ქიმიური და მექანიკურ-ტექნოლოგიური თვისება.

ვაკუუმური შეღებვისათვის ძირითადად გამოიყენება ერთშრიანი და ორშრიანი უდ-სისტემები.

**ერთშრიანი უდ-სისტემები.** ვაკუუმური უდ-მასალები გამოიყენება როგორც საგრუნტავი, ასევე დამფარავილაქის სახით. უპირატესობას წარმოადგენს ვაკუუმირების დროს მასალის შენაცვლების გარეშე სრულად შეღებვა. შეიძლება საგრუნტავის და დამფარავი ლაქის თვისებების ერთ სისტემაში გაერთიანება.

**ორშრიანი უდ-სისტემები.** ორშრიან პროცესში ჯერ ზღება სპეციალური უდ-საგრუნტების დადება, ხოლო გამყარების და ხეხვის შემდეგ ბზინვარების სასურველი ხარისხის უდ-დამფარავი ლაქის დადება.

ამ შემთხვევაში უპირატესობებს, ერთშრიან დაფარვასთან შედარებით, წარმოადგენს საგრუნტოს უკეთესი ხეხვა და დამფარავი ლაქის დადების შემდეგ ზედაპირის სიგლუვე. ნაკეთობის გადაძრავების სიჩქარე დეტალის გეომეტრიასა და უდ-გამყარების არხის მოწყობილობაზე დამოკიდებულებით შეადგენს 25-50 მ/წთ. დასადები ნივთიერების რაოდენობა 10-40 გრ/მ<sup>2</sup>. უდ-ნათურების განლაგება შეირჩევა ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს დაფარვის ოპტიმალური გამყარება. გამჭვირვალე ან ოდნავ ლესირებული (იხ. ლესირება) საღებავებისათვის გამოიყენება უსაფეხურო სარეგულირებელი ვერცხლისწყლის მაღალი წნევის ნათურები, რომელთა ტალღის სიგრძეა 280-360 ნმ (ნანო მეტრი). მუქი ლესირებული საღებავების და პიგ-მენტირებული მასალების გამყარებისათვის, გარდა მაღალი წნევის ვერცხლისწყლის ნათურებისა, გამოიყენება ნათურები დათარიღებული გალიუმით (იხ. მარტივი ნივთიერება გალიუმი) და ტალღის სიგრძით 410-420 ნმ. მანქანათმშენებლობაში და ლსმ წარმოებაში ახალი ტექნოლოგიები იძლევა სუბსტრატების დამუშავების საშუალებას მუშა სიგრძით 500 მმ-მდე.

**უდ-შეღებილობით პარკეტის სამრეწველო შეღებვა ვალცვით.** წინანდებულად გარემოსათვის პარკეტი წარმოადგენს ყველაზე საყვარელ, გამორჩეულ და ყველაზე ხელსაყრელ დაფარვას, რაც გამოწვეულია მისი წარმოების ტემპის უწყვეტი ზრდით. ფართო ეკოლოგიურმა კვლევამ (ეკოლოგიური ბალანსი) აჩვენა, რომ ხის იატაკის ზეგავლენა გარემოზე ძალიან უმნიშვნელოა და თვით წარმოების და ექსპლუატაციის პროცესშიც კი ისინი მოქმედებენ ოჯახურ მორთულობისაკენ ადამიანის მისწრაფებასთან შესაბამისად.

არსებობს ერთშრიანი და მრავალშრიანი პარკეტები, რომელთა დამუშავების დროს უმთავრესად გამოიყენება უდ-ლაქსალებავი სისტემები. პარკეტის ღომინირებულ სახეს წარმოადგენს მრავალშრიანი პარკეტი, რომლის წილი ტოლია 78%. ევროპაში ზოგადად პარკეტის წარმოებაში ყველაზე ხშირად გამოიყენება მუხა (დაახლოებით 50%), ტროპიკული ხისსახეობები

(დაახლოებით 17%) და წიფელი (დაახლოებით 9%). პარკეტისათვის თანამედროვე დაფარვა არ შეიცავს ორგანულ გამსხნელებს. ზედაპირის მოთხოვნებზე და ეფექტებზე დამოკიდებულებით დასაღები ნივთიერების საერთო რაოდენობა შეადგენს  $50-150\text{გრ}/\text{მ}^2$ . მაღალი ქიმიური და მექანიკური მდგრადობის და აუცილებელი შეღებვის მისაღებად გამოიყენება ბეიცები, პრაიმერები წყლის ფუძეზე უდ-ლაქებთან შეხამებაში.

**უდ-პრაიმერები.** კარგი ადჰეზიური სიმტკიცის მისაღებად ძირითადად გამოიყენება არაპიგ-მენტირებული ან მსუბუქად ლესირებული (იხ. ლესირება) წყალში ხსნადი უდ-პრაიმერები. შედგენილობის წყლის ნაწილი ემსახურება ფუძეშრის გაუღენთას და ზედაპირისათვის სიმქისის მიცემას და, ამრიგად წარმოქმნის ძალიან კარგ ჩაჭიდებას ყველა სახეობის მერქანზე.

უდ-გამყარებული პრაიმერები მაგარი კომპონენტების მაღალი შემცველობით და წყლის მცირე ნაწილით გამოიყენება სპეციალური ეფექტების შესაქმნელად ზედაპირზე ან იმ შემთხვევაში, როდესაც შესაღები ხაზები არ არის აღჭურვილი ფრქვევანა შრობით ძალიან განზავებულ მასაღებიდან წყლის ასაორთქლებად. მათი დაღება შეიძლება როგორც პირველადი დაგრუნტვა უშუალოდ მერქნის ზედაპირზე და აორთქლების გარეშე მყარება უდ-სინათლით. მაგარი კომპონენტების (არააქროლადი ნივთიერების) შემცველობა შეადგენს 70-90%.

**უდ-საფითხნები.** უდ-საფითხნები გამოიყენება უსწორობების, ფორების და მოფანერების პირაპირების შესავსებად ვალცვის პროცესში. დასადები ნივთიერების რაოდენობისაგან დამოკიდებულებით მიღება ჩაკეტილ კონტურიანიზედაპირები. დაყვანის/გათანაბრების დროს საფითხნი მანქანის გლუვ ვალცე დასაღები ნედლი მასალის რაოდენობა შეადგენს  $25$ -დან  $50$ -მდე  $\text{გრ}/\text{მ}^2$ . უდ-საფითხნების დაღება ხდება მსუბუქი და მძიმე საფითხნი მანქანების საშუალებით.

**უდ-საგრუნტები კორუნდის დამატებით.** კორუნდირებული საგრუნტების დაღება ხდება დაფარვის შრის შიდა ნაწილზე. როგორც წესი კორუნდირებული უდ-საგრუნტები დაიყვანება პრედგელირებამდე ულტრაიისფერი დასხივებით და შემდეგ გადაიფარება უკორუნდო საგრუნტებით. ამის შემდეგ უცბად შეიძლება განხორციელდეს საკუთრივ უდ-გამყარება და დაფარვის ხეხვა. კორუნდირებული საგრუნტების შრის სისქის გადიდებამ შეიძლება გამოიწვიოს მუქ მერქანზე გათანაბრების ეფექტი ან ნაცრისფერი ელფერის გამოჩენა, კორუნდის ტიპის სწორი შერჩევით შეიძლება მიღებული იყოს დალექვის მიმართ მდგრადი და საკმაოდ დიდი ხნით შესანახი უდ-საგრუნტები. იმისათვის, რომ კორუნდის გამოყენების დროს მივიღოთ გაცვეთის მიმართ უფრო მაღალი მდგრადობა საჭიროა უდ-საფითხნების კომპონენტები ხისტად უნდა იყოს ბმული აფსკრარმომქმნელ ბაზასთან.

**უდ-საგრუნტები კორუნდის დამატების გარეშე.** უდ-საგრუნტები, რომლებიც არ შეიცავენ-კორუნდს გამოიყენება დაფარვის მომდევნო შრეების სახით და ჩვეულებრივ კარგად იხეხება.

მათ ამოცანას წარმოადგენს კორუნდის შემცველი შრის შეფარება იმისათვის, რომ მომდევნო ხეხვის დროს კორუნდის ნაწილაკები არ კონტაქტირებდნენ სახეზი მანქანის ლენტებთან. გარდა ამისა, ისინი მნიშვნელოვნად მოქმედებენ დაფარვის ქიმიურ და მექანიკურ თვისებებზე.

**სპეციალური უდ-საგრუნტები.** სპეციალური უდ-საგრუნტების კომპონენტები უზრუნველყოფენ აფსკრარმომქმნელის ელასტიკურობის და სიხისტის შეხამებას. პრაქტიკაში ასეთ საგრუნტებს ხშირად უწოდებენ SIS (შვედეთის სტანდარტის ინსტიტუტი)-საგრუნტებს.

**უდ-დამფარავი ლაქები.** დაფარვის ბოლო შრე იფარებაუდ-დამფარავი ლაქებით. ჩვეულებრივ დაფარვა ხორციელდება „სველი სველზე“ ტექნოლოგით ორი ვალცის გამოყენებით ან ვალცის დროს შუალედური უდ-პრედ გელირებით მომდევნო უდ-გამფარებით. თვითონულ ვალცზე დასადები ნედლი შედგენილობის რაოდენობა შეადგენს  $5-10 \text{ г/м}^2$ . დაფარვის დასაცავად ქიმიური და მექანიკური დატვირთვისაგან პარკეტის დაფარვისათვის გამოყენებული უდ-ლაქები გამოირჩევა კაწვრის მიმართმალალი სიმაგრით და მდგომარეობით, რაც უნდა შეესაბამებოდეს გამოყენებისთვის საჭირო მოთხოვნებს.

**ანტიაბრაზიული მდგრადობა კორუნდის დამატების დროს.** ანტიაბრაზიული თვისებები მიიღება სპეციალური მინერალების დამატებით, მაგალითად კორუნდის. ჩვეულებრივ გამოიყენება კორუნდის მიკრონიზირებული ფხვნილი სუფთა სახით ან სხვა მინერალებთან ნარევში. ასეთი ლაქები ხასიათდებიან მდგრადობით კაწვრის მიმართ, მათი კაწვრა ფოლადის მავთულითაც შეუძლებელია. ამიტომ მათ უწოდებენ კერამიკულ უდ-ლაქებს. მოდიფიცირებული მინერალური შემცვებებით უდ-დამფარავ ლაქებს აქვთ ნაკლოვანებებიც, კერძოდ დაფარვა ცუდად იხეხება, რის შედეგად მზა პარკეტს აქვს აღდგენის შეზღუდული უნარი. კორუნდის შემცველი უდ-დამფარავი ლაქები განსაკუთრებით გამოსაღებია პარკეტის სისტემებისათვის, რომლებიც არ ექვემდებარებიან აღდგენას.

**დაფარვა მდგრადი კაწვრის მიმართ.** შედგენილობაზე დამოკიდებულებით უკაწრი დაფარვა ხასიათდება გაცვეთის მიმართკარგი მდგრადობით, ვიდრე კორუნდშემცველი უდ-დამფარავი ლაქები. კაწვრის მიმართ მდგრადი სისტემები შეიცავენ ნანონაწილაკებს, ამის გამო მათ უწოდებენ ნანოკომპოზიციურ მფარავ უდ-ლაქებს. ეს მასალა ცუდად იხეხება და ამიტომ აღდგენის მიმართ აქვს შეზღუდული ვარგისიანობა.

**უდ-გამფარებული ზეთები ნედლეულის კვლავ წარმოების ბაზაზე.** მომხმარებლის სურვილმა ჰქონდეს გარემოსათვის ხელსაყრელი ნატურალური მქრქალი პარკეტის იატაკი (ნატურალური სახის) გამოიწვია ჟანგვით სუფთად გამფარებული ცხიმოვანი ალკიდის ფისების და ზეთების სწრაფი განვითარება და დანერგვა. ასეთი მასალებით დამუშავების დროს მერქნის სტრუქტურა უფრო გამოსახულია. თავდაპირველად ხდება ორგანული გამხსნელების დიდი

რაოდენობით შემცველი მასალების შეცვლა ლსმ არააქროლადი ნივთიერებების მაღალი შემცველობით. იმისათვის, რომ დაჩქარდეს უანგვით გამყარება, საჭიროა მცირე რაოდენობით **სიკატივების** დამატება. უმთავრესად ეს კობალტის და მაგნიუმის მარილებია. ზეთის ფუძეზე პროდუქტების ვალცვით დადების პროცესის რაციონალური რეალიზაცია შეუძლებელია, რადგანაც უანგვით გამყარების პროცესი უფრო ხანგრძლივია, ვიდრე უდ-გამყარება. ზეთის ტიპისაგან და შრობის კონსტრუქციისაგან დამოკიდებულებით საჭიროა 3-6 წთ. კონვექციური შრობა  $35^{\circ}\text{C}$  დროს ან  $60-90$  წთ.  $23^{\circ}\text{C}$  დროს მტვრისაგან გაშრობისათვის.

პროცესისაგან დამოკიდებულებით შეღებილი ზედაპირი უნდა მოსუფთავდეს ჯაგრისით და საბოლოოდ გაპრიალდეს.

1977 წლიდან ნედლეულის მწარმოებლებმა დაიწყეს ზეთის ფუძეზე უდაფუსკრარმომქმნელის წარმოება. ჩვეულებრივ საუბარია კლასიკურ უდ-აფუსკრამომქმნელზე მრავალატომიანი პოლიოლის და აკრილის ბაზაზე, რომლებიც მცირე ხარისხით მოდიფიცირებულია ნაჯერი ან მარტივი უჯერი ცხიმიანი მუავებით.

**მოდიფიცირებული** აფუსკრამოქმნელები შესანიშნავად ექვემდებარება სამრეწველო გადამუშავებას და წარმოქმნიან ანალოგიურ ზადაპირებს, რომლებიც მიიღება ზეთის შედგენილობებით შეღებვის დროს. ზეთის შედგენილობებით შეღებილ პარკეტის ზედაპირებს არ აქვთ ისეთი მდგრადობა მექანიკური და ქიმიური ზემოქმედების მიმართ, როგორც ეს ტრადიციულ უდაფარვას. ზეთის შედგენილობის მშრალი შრის სისქე შეადგენს  $25-50\%$  პარკეტზე უდაფარვის ჩვეულებრივი შრის სისქიდან. ამიტომ ზეთის შედგენილობებით შეღებილი პარკეტი საჭიროა რეგულარულად დამუშავდეს იატაკის მოვლის სპეციალური საშუალებებით.

სხვა უდ-გამყარებული პროდუქტები პარკეტის შეღებვისათვის. მერქნის დეფექტების და დაფარვაში გაჩქვლეტების რემონტისათვის გამოიყენება ნახევრად გამჭვირვალე ან მთლიანად პიგმენტირებული სარემონტო საფითხნები ორკომპონენტიანი (2კ) სისტემების ბაზაზე. ასწვავებენ ორ ძირითად სარემონტო საფითხნების სისტემებს:

- უდ-გამყარების შეხამება პოლიმერთებასთანპოლი იზოციანატების დამატების დროს;
- უდ-გამყარების შეხამება პოლიმერიზაციასთან ზეჟანგის გამამყარებლების დამატების დროს.

კანტის დამუშავების დროს გამოიყენება უდ-მასალები ვაკუუმური დადებით.

პარკეტის იატაკის მდგრადობის შემოწმება გაცვეთისადმი. მდგრადობა გაცვეთის მიმართ დომინირებული პარამეტრია, რომელიც განსაზღვრავს იატაკის ცვეთამდგრადობას. უმთავრესად იატაკის ზედაპირის ცვეთა და კაწვრა ხდება ფეხსაცმელზე მიკრული ტალახით, ე.წ. ღინამიკუ-

რი დატვირთვა. ტექნიკურად ამ პროცესის მოდელირება ხდება გამოსაცდელი მოწყობილობით Taber-Abraser-Test (Abrasion - გაცვეთა, Taber - ამ ტესტის შემქმნელი ამერიკული ფირმა). ეს არის გამოცდის აღიარებული საერთაშორისო ტესტი, ჩართული ბევრ ნაციონალურ და საერთაშორისო ნორმაში.

გამცვეთი დატვირთვა წარმოიქმნება ორი მბრუნავი ფრიქციული გორგოლაჭით, რომლებიც გარკვეული ძალითაწვებიან მბრუნავ გამოსაცდელ ნიმუშს. ნიმუში ურთიერთშეხებაშია ფრიქციულ დისკთან, რომელიც ან დაფარულია თვითწებვადი ზუმფარიანი ქაღალდის ლენტით ან დისკით და ნიმუშს შორის მაღლზირებელი მოწყობილობით უწყვეტად მიეწოდება სახეხი საშუალება, მაგალითად, **კორუნდი**. გაცვეთის მიღებული სურათი წარმოადგენს ნახატს გაკაწრული რკალებისაგან. გამოცდის შედეგი, გარდა ადამიანის ფაქტორისა, ასევე დამოკიდებულია შერჩეული ფრიქციული დისკების ტიპისაგან და ძალისაგან, რომლითაც ისინი მიეჭირება ნიმუშის ზედაპირს. გორგოლაჭების სიმაგრის ცვალებადობამ შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა შედეგი.

**მეთოდი დაფუძნებული წონის დაკარგვაზე.** გამოსაცდელი ნიმუშის დამუშავება ხდება ციკლების განსაზღვრული რაოდენობით.

**დიფერენციალური** მეთოდით აწონილი შედეგების მიხედვით განისაზღვრება გაცვეთილი მასალის წილი. რაც უფრო მცირეა გაცვეთა (მეგა გრამებში, ი.ხ. წინსართი) ციკლების განსაზღვრულ რაოდენობაზე, მით უფრო უკეთესია მასალის ცვეთამედეგობა.

**გამოცდის ვიზუალური მეთოდი.** განისაზღვრება ბრუნთა რიცხვი, რომლის დროს დაფარვის გაცვეთა მიაღწევს განსაზღვრულ ხარისხს. თავდაპირველად იზომება ნიმუშის ბრუნვათა სიხშირე დაფარვაზე დაზიანების გამოჩენის მომენტამდე. ეს ითვლება საწყის მომენტად (IP). გამოცდა მიმდინარეობს იმ მომენტამდე, სანამ დაფარვა არ გაიცვითება 95%-ით. ამ (ფინიშურ – FP) მომენტში კვლავ ფიქსირდება ნიმუშის ბრუნვათა სიხშირე. მიღებული შედეგების მიხედვით ანგარიშობენ საშუალო არითმეტიკულს.

ძირითადი მოთხოვნები ხის იატაკის დაფარვისადმი:

- გეომეტრიული პარამეტრები და ტენის შემცველობა;
- შეჭიდულობის სიმტკიცე – ნასერი ცხაურების რიცხვი;
- სიმაგრე;
- მიღრეკილება გაჭუჭყიანებისადმი;
- ქიმიური მდგრადობა;
- გაცვეთა;
- მდგრადობა – დასკდომისადმი/კაწვრისადმი;

- წინააღმდეგობა –დარტყმის/ელასტიკურობის;
- უსაფრთხოების ტექნიკა – მდგრადობა სრიალისადმი;
- მდგრადობა – სიგარეტის ნამწვისადმი;
- მდგრადობა – ცვალებადი კლიმატური ზემოქმედებისადმი.

ხის იატაკები ექსპლუატაციის კლასების მიხედვით მოცემულია ცხრილში (3).

### ცხრილი 3

გამოყენების კლასი	გამოყენების სფერო	ექსპლუატაციის ინტენსიურო- ბა/მოთხოვნების აღწერა	გამოყენების მაგალითები
1	კერძო საცხოვრებელი ბინა	მცირე/დროებითი მოხმარება	საძინებლები, სასტუმრო ოთახები
2	კერძო საცხოვრებელი ბინა	საშუალო/მუდმივი ნორმალური მოხმარება	საცხოვრებელი, სასადილოები, სამუშაო ოთახები
3	კერძო საცხოვრებელი ბინა	ძლიერი/ინტენსიური მოხმარება	წინაოთახები, საბავშვო ოთახები, სამზარეულოები
4	სოციალური სადგომები, სოციალურ-სამრეწველო	უნიშვნელო/დროებითი მოხმარება	ოთახები სასტუმროში
5	საზოგადოებრივისადგომები	საშუალო/მუდმივი ნორმალური მოხმარება	ჯიხურები და პატარა მაღა- ზიები
6	საზოგადოებრივისადგომები	ძლიერი/ინტენსიური მოხმარება	სავაჭრო სახლები, მრავალმიზნობრივი დან- იშნულების დარბაზები

## თავი XI. ფყლის ლაქსალებავი მასალები

წყლით განზავებული ლაქსალებავი მასალები (ასევე ეწოდება პიდროლაქები) დღემდე არ კარგავს თავის მნიშვნელობას აფსკრარმომქმნელი ნაკრებების მუდმივად შევსების გამო, მათ შორის მაღალხარისხიანი ავეჯის შეღებვისთვისაც.

დაფარვისათვის წყალში განზავებული მასალები – ის მასალებია, რომლებშიც აფსკრარმომქმნელი ნივთიერება უპირატესად განზავებულია ან დისპერსიონულია (იხ. დის-პერსიული სისტემა; დისპერსიულობა; დისპერსია; დისპერგატორი) წყალში. ეს საერთო განმარტება მოიცავს როგორც დისპერსიონულ, თუმცა უხსნად პოლიმერებს, ასევე ხსნად პოლიმერებს და კოლოიდური ხსნარის პოლიმერებს (იხ. კოლოიდი). დღეისათვის წყლიანი აფსკრარმომქმნელების ქედზე ზოგადად გულისხმობენ აფსკრარმომქმნელ ხსნარებს და დისპერსიებს, რომელთა უმთავრესი ნაწილი შედგება წყლისაგან.

წარმოების პროცესისა და დაფარვის ხარისხზე დამოკიდებულებით დღეისათვის არსებობს გამჭვირვალე, ლესინებული ან მთლიანად პიგმენტირებული წყლის სისტემები.

ავეჯისათვის და კარებისათვის წყალში ხსნადი მნიშვნელოვანი მასალებია:

- ერთკომპონენტიანი წყლის ლაქები, ფიზიკური შრობის (იხ. კონვექციური შრობის დროს):

- არათვითგამყარებადი;
- თვითგამყარებადი;
- ერთკომპონენტიანი უდ-გამყარებული წყლიანი მასალები, ფიზიკური და არა-ფიზიკური შრობის;
- ორკომპონენტიანი პოლიურეთანული სისტემები (გამამყარებლის სახით პოლი-იზოციანატების დამატებით);
- ორკომპონენტიანი პოლიურეთანული და უდ-გამყარებული სისტემები (კომბინირებული Dual-Cure-გამყარება).

მრავალი წელია წყალში ხსნადი ლაქები გამოიყენება როკებიანი ფიჭვის მერქნისათვის, როგორც საიზოლაციო ორგანული გამხსნელების შემცველი მასალებით დამუშავების წინ, რადგანაც წყლიანი ლაქების აფსკრარმოქმნელები ორგანულ გამხსნელებში ძნელად ხსნადებია და წარმოქმნიან მერქნის ზედაპირზე საიზოლაციო შრეს.

დიდი ხანია შპონის გადაბრუნებული და გადაუბრუნებელი ნახატის გათანაბრებისათვის გამოიყენება წყლის ლაქები ორგანულ გამხსნელებში გახსნილი ბეიცის დადების წინ. ასევე მრავალი წელია გამოიყენება პიგმენტირებული და გამჭვირვალე ერთ კომპონენტიანი წყლის მა-სალები მაგარი მერქანბოჭკოვანი ფილების შეღებვის დროს ავეჯის გვერდითი კედლებისათვის და სკამებისათვის. უკანასკნელ წლებში დიდი რაოდენობის გამჭვირვალე ნიტროცელულოზის ლაქები შენაცვლებულია წყლის ერთ კომპონენტიან თვითგამყარებადებზე. შექმნილია ქიმიურად მეღეგი პიგმენტირებული ორკომპონენტიანი წყლის სისტემები სამზარეულოს ფრონტონების (იხ. ფრონტონი ავეჯში) მაღალხარისხიანი დაფარვისათვის. სამზარეულოს ავეჯის წარმოებაში უახლეს დამუშავებად ითვლება მთლიანად პიგმენტირებული Dual-Cure სისტემები. ეკონომიური დაფარვა მიიღება გამყარების ორი მექანიზმის პოლიმერიზაციის და პოლიმერთების შეხამებით.

## 11.1. წყლის ლაქსალებავი მასალების შედგენილობა

არსებობს მრავალი სხვადასხვა აფსკრარმოქმნელები და ადიტივები წყალში ხსნადი მა-სალების რეცეპტურებისათვის. წყლის ლაქსალებავ სისტემებში უმთავრესად საუბარია პო-ლიმერულ დისპერსიებზე. წყლის ფუძეზე აფსკ წარმომქმნელების არსებული კლასიფიკაციიდან მთავარს წარმოადგენს:

- წყლის ფაზაში არსებული პოლიმერების ნაწილაკების სიდიდის მიხედვით:
  - მოლეკულური დისპერსია ( $<1 \text{ nm};$  ნანომეტრი),
  - კოლოიდური დისპერსია ( $10-100 \text{ nm}$ ),

- უხეში დისპერსია ( $>1000$  nm);
- მიღების პროცესის მიხედვით (მაგალითად, პირველადი დისპერსია, მეორადი დისპერსია);
- აფსკრარმომქმნელი ტიპის მიხედვით (მაგალითად, აკრილატური, პოლიურ-ეთანული დისპერსია).

წყალში ორგანული აფსკრარმომქმნელების განაწილება გარდამავალი არების გათვალისწინებით მოცემულია ცხრილში (4).

#### ცხრილი 4

ნაწილაკების სიღილე, nm	გარე სახე	სახელწოდება
1000 მეტი	რძისფერი-თეთრი	<ul style="list-style-type: none"> <li>• უხეში პოლიმერული დისპერსია;</li> <li>• უხეში ემულსია</li> </ul>
1000-დან 100-მდე	მოცისფრო-თეთრი	წმინდა პოლიმერული დისპერსია
100-დან 50-მდე	გამჭვირვალე-მოცისფრო	<ul style="list-style-type: none"> <li>• წმინდა პოლიმერული დისპერსია;</li> <li>• პოლიმერის ხსნარი;</li> <li>• მიკროემულსია (იხ. წინსართი)</li> </ul>
50-დან 10-მდე	დაბინდულ-გამჭვირვალე	<ul style="list-style-type: none"> <li>• პიდოროლიზი;</li> <li>• პოლიმერების ხსნარი</li> </ul>
10-დან 1-მდე	გამჭვირვალე (ტინდალის ეფექტი)	მოლექულური ხსნარი

**პირველადი დისპერსია.** ავეჯის წარმოებაში დაფარვისათვის გამოიყენება აკრილატის კლასიკური დისპერსიები (ემულსიური პოლიმერიზატები (იხ. პოლიმერიზაცია)). აკრილატის დისპერსიები ხასიათდება შემდეგი თვისებებით:

- აფსკის გაზრდილი სიმაგრით;
- ზომიერი ელასტიურობით;
- მაღალი ტემპერატურული აფსკრარმოქმნით;
- უკეთესი ქიმიური მედეგობით;
- სხვადასხვა მორფოლოგიით.

ავეჯის წარმოებაშიგამოიყენება არაგამყარებადი და თვითგამყარებადი აკრილატის დისპერსიები. ავეჯის ზედაპირების საჭირო ქიმიური მდგრადობის გათვალისწინებით უპირატესობა ეძლევა თვითგამყარებად აკრილატის დისპერსიებს. ამ სისტემებში აფსკრარმოქმნის დროს ქიმიური გამყარება ხშირად ხორციელდება დიგიდრაზიდის დამატების ხარჯზე.

**ემულსიები.** მერქნის დაფარვისათვის ემულსიურ აფსკრარმოქმნებს არა აქვთ ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორც ეს აკრილატის ან მეორად დისპერსიებს. მაგალითად, ეპოქსი- და პოლიეთერაკრილატები დისპერსიონულ დამცავი კოლოიდის ან კლასიკური ემულგატების საშუ-

ალებით. უჯერი პოლიეთერული ფისების მოლეკულების სტრუქტურაში ნეონური ჰიდრო-ფილური (იხ. ჰიდროფილურობა) ჯგუფების წყალობით, ისინი წყალში წარმოქმნიან ემულსიას. ემულსის უარყოფითი მხარეა მიდრექილება განშრევებისაკენ და ნაწილაკების ზომების გადიდებისაკენ შედგენილობის შენახვის დროს. აკრილატის დისპერსიისაგან განსხვავებით შრობის დროს ემულსის შრეებიდან წყლის აორთქლება მიმდინარეობს მნიშვნელოვნად ნელა.

მეორადი დისპერსიები. მეორადი დისპერსიები შედგებიან ორგანულ ფაზაში ან ნალხობში მიღებული პოლიმერებისაგან. ამ სახით პროცესის მეორე სტადიაზე ისინი შეყავთ წყლის დისპერსიაში. მერქნის და მერქნული მასალების დამუშავების დროს უმთავრესად გამოიყენება პოლიურეთანული დისპერსიები და უდ-გამყარებული პოლიურეთანული სისტემები.

**პოლიურეთანული სისტემები.** მერქნის და მერქნული მასალების დაფარვისათვის, დაფარვის სასურველ თვისებებსა და ეკონომიურ კრიტერიუმებზე დამოკიდებულებით გამოიყენება ალიფატური (იხ. ალიფატური ნაერთი) და არომატული (იხ. არომატულობა; არომატული ნახშირწყალბადები ანუ არენები) პოლიურეთანული დისპერსიები. ალიფატური იზოციანატების გამოყენებით მიღებული პოლიურეთანული დისპერსიები შეიძლება გამოყენებული იყოს შუქმედები, გაცვეთის მიმართ მდგრადი და ელასტიკური დაფარვისათვის. ისინი ჰიდროფობიურ (იხ. ჰიდროფობულობა, ზედაპირის ჰიდროფობიზაცია) სუბსტანციების მიმართ, როგორიც არის ზეთები და პლასტიფიკატორები, ავლენენ უფრო მეტი მდგრადობას, ვიდრე კლასიკური აკრილატის დისპერსიები. გარდა ამისა განსხვავდებიან ჰიგმენტების ძალიან კარგი დასველადობით, კარგი ადპეზიით და სხვადასხვა ფუნქშრეზე მერქნის „ქვესანთით“ (იხ. ტერმინი მერქნის „ქვესანთი“).

არომატული იზოციანატების გამოყენებით მიღება მაგარი (იხ. სიმაგრე) დაფარვა, მაგრამ ასეთ დაფარვას აქვს გაყვითლებისკენ მიდრეკილება.

**ალიფატური** პოლიურეთანული დისპერსიისდასამზადებელი ნედლეულის მაღალი ფასის გამო მრეწველობაში მათ ხშირად იყენებენ აკრილატის დისპერსიასთან ნარევში ან საერთოდ არ იყენებენ.

**უდ-გამყარებული** პოლიურეთანული დისპერსიები. პოლისპირტების წყალობით, რომლებიც შედიან პოლიურეთანის შედგენილობაში, მათ შეუძლიათ დისპერსირება წყალში და შეიცავენ რეაქციაუნარიან ორმაგ კავშირებს, რაც უზრუნველყოფს მათ გამყარებას გამოსხივების მოქმედების ქვეშ. მაგრამ, როგორც წესი, იზოციანატის პრეპოლიმერები ურთიერთქმედებენ უჯერ ჰიდროქილაკრილატებთან. ამ დროს წარმოიქმნება კიდური ორმაგი კავშირები. უკეთესია თუ ორმაგი კავშირები განლაგდებიან მთელი პოლიმერული ჯაჭვის გასწვრივ და არა მარტო აკრილატის ფრაგმენტებში ჯაჭვის ბოლოს. პოლიურეთანში აკრილატის მონომერების ან ოლი-

გომერების მექანიკური ჩარევა არ იძლევა დამაკმაყოფილებელ შედეგს. წყლის უდ-გამყარბულ პოლიურეთანულ დისპერსიებში შეთავსებულია კლასიკური ორკომპონენტიანი პოლიურეთანული სისტემების თვისებები სწრაფ და ეკონომიურ უდ-გამყარების უპირატესობებით. უკვე დამუშავებისათვის ვარგის მდგომარეობაში პოლიურეთანულ წყლის სისტემებში არსებობს პოლიმერული ბადე, რომელიც საბოლოოდ იკვრება ქიმიურად ულტრაიისფერი გამოსხივების მოქმედების ქვეშ. ეს პროცესი ხორციელდება რამდენიმე წამში წყლის გამოორთქვლის შემდეგ.

სხვა პოლიმერული დისპერსიები. წყლის ორკომპონენტიანი პოლიურეთანული და გამოსაყვანი მასალების დანერგვისათვის გამოიყენება კარბოქსილშემცველი, ნაჯერი, ამინებით განერტრალიზაციის პოლიეთერები. ეს დაბალმოლექულური ჰიდროქსილშემცველი აფსკრარმომქმნელები ამინებით ნეიტრალიზაციის შემდეგ წარმოქმნიან კოლოიდურ წყლის ხსნარებს (იხ. კოლოიდური ხსნარი), რომლებსაც იყენებენ, მაგალითად, მელამინის ან კარბამიდის ფისებთან ერთად ცხელი შრობის რეცეპტურებში ქაღალდის აფსკებისათვის.

გამამყარებლები და აქტიური განმზავებლები. ქიმიური გაკერვისათვის ტიპიური გამამყარებლები კარბოქსილ- და ჰიდროქსილ შემცველი დისპერსიები, გამოიყენება შიდა შენობის მერქნის და მერქნული მასალების დამუშავებისათვის. ესენი არიან:

- პოლიიზოციანატები;
- აზირიდინი;
- სილანი.

პოლიიზოციანატები. დისპერგატორების გამოყენებამ შესაძლებელი გახადა წყლის გარემოში პოლიიზოციანატების გადამუშავება და მაღალხარისხიანი დაფარვის მიღება. ამან მოითხოვა პოლიიზოციანატების ახალი ტიპების დამუშავება. ესენი არიან:

- დაბალსიბლანტიანი და ჰიდროფობულური პოლიიზოციანატები (იხ. ჰიდროფობულობა);
- ჰიდროფილურიპოლი იზოციანატები (იხ. ჰიდროფილურობა);
- პოლიიზოციანატები, სულფომჟავას შემცველი ჯგუფი.

პირველი და მეორე თაობის მოდიფიცირებული პოლიეთერულიპოლი იზოციანატები გამოიყენება წყლის ორკომპონენტიან პოლიურეთანული სისტემებისათვის. მათ მთავარ ნაკლს წარმოადგენს აფსკრარმომქმნელებთან ურთიერთქმედების შემდეგ ზედაპირის ჰიდროფილურობის დატოვება. ის ნეგატიურად ვლინდება თეთრი ორკომპონენტიანი პოლიურეთანული მასალების მდგრადობაზე ყავის, წითელი ღვინის და მდოგვის ზემოქმედების მიმართ.

**აზირიდინები.** ტოქსიკურობის (იხ. ტოქსინი) საგრძნობი საშიშროების მიუხედავად, ისინი გამოიყენებიან წყლის მასალებში გამამყარებლის სახით ავეჯისათვის და ფანჯრებისათვის. მათი გამოიყენებით უმჯობესდება დაფარვის სიმაგრე, წყლის და სპირტის მიმართ მდგრადობა.

**სილაპები.** წყლის მასალებში გამამყარებლის სახით ფუნქციური სილაპების გამოიყენების დროს შეიძლება ინიცირებული იყოს პოლიმერული ბადის წარმოქმნის რეაქცია ერთდროულად დაფარვის ქიმიური მედეგობის შერჩევითი გაუმჯობესებით. სილანშემცველი გამამყარებელი ძირითადად გამოიყენება ავეჯის შეღებვის დროს, პოლიიზიციანატების შემკერ აგენტებთან შედარებით, აქეს დაბალი ქიმიური მედეგობა.

აქტიური განმზავლებლები ორკომპონენტიანი პოლიურეთანული მასალებისათვის. არააქტოლადი ნივთიერებების წილის და განივი კავშირების ხარისხის ასამაღლებლად, ასევე მუშა სიბლანტის რეგულირებისათვის ორკომპონენტიან პოლიურეთანულ სისტემებში გამოიყენება წყალში ხსნადი პოლისპირტები, პარტნიორის სახით პოლიიზოციანატებთან რეაქციაში.

რეცეპტურის სხვა კომპონენტები. წყალში ხსნად მასალებისათვის გამოიყენება პიგმენტები, შემვსებები, დამქრქალებელი საშუალებები, აღიტივები, ფოტოინიციატორები.

## 11.2. წყლის ლაქსალებავი დაფარვის სისტემები

მერქნის სამრეწველო შეღებვისათვის გამოიყენება სხვადასხვა ლაქსალებავი სისტემები. წყალში ხსნადი მასალების გამოყენების დროს მნიშვნელოვნად მცირდება ორგანული გამხსნელების ემისია (იხ. ემისია, ემისიის ჭიბები).

ერთკომპონენტიანი წყლის მასალები. არსებობს ერთკომპონენტიანი წყლის ლსმ ორი ტიპი: არამკერავი, ე.ი. ქიმიური ბმების არწარმომქმნელი სისტემები და თვითმკერავი, ე.ი. განივი ქიმიური ბმების წარმომქმნელი სისტემები. ორივე შემთხვევაში აფსკის წარმოქმნა ხდება რეცეპტურის აქროლადი ნივთიერებების (წყალი, ორგანული გამხსნელები) აორთქლების დროს. ამას უწოდებენ დაფარვის ფიზიკურ შრობას (იხ. შრობა).

ერთკომპონენტიანი წყლისარამკერავი – მასალები, მრეწველობაში პირველი მასალებია, რომლებსაც იყენებდნენ მერქნის და მერქნის ნაკეთობების შესალებად. რადგანაც ამ მასალების დადების შემდეგ ხდება მათი ფიზიკური შრობა (იხ. კონვექციური შრობის დროს) და არ წარმოქმნიან განივი ბმების ქიმიურ რეაქციას, ამიტომ ამ დროს წარმოქმნილი აფსკის მდგრადობა ავეჯის ზედაპირებისათვის არა საკმარისია.

მათ არ აქვთ მდგრადობა ორგანული გამხსნელების, სპირტების, წყლის ხანგრძლივ ზემოქმედების და პოლივინილქლორიდის პლასტიფიკატორების მიმართ. პიგმენტირებული წყლის ლაქები გამოიყენება მაგარი მერქანტოჭკოვანი ფილების დამუშავებისათვის. ძირითადად ერთკომ-

პონენტიანი წყლის მასალები გამოიყენება ნაკლებად დატვირთულ ავეჯის დეტალებისათვის ან საფიტხნის სახით.

ერთკომპონენტიანი წყლის თვითმკერავი მასალები. ერთკომპონენტიანი წყლის სისტემების გამოიყენების დროს შეიძლება დაფარვის მიღება მნიშვნელოვნად კარგი ქიმიური მედეგობით. გამოიყენება აკრილატის პირველადი ან მეორადი დისპერსიები, რომლებიც აფსკის წარმოქმნის მომენტში რეაგირებენ აფსკწარმომქმნელის კარბოქსილის ჯგუფებთან ქიმიური ბადის ან კომპლექსური ლითონურ-იონური ბმების წარმოქმნით.

წყლის ლიმ ძირითადად გამოიყენება როგორც საფიტხნები, ავეჯისათვის დამფარავი ან მრავალშრიანი დაფარვა, ასევე სკამების შესალებად.

ისინი წარმოადგენენ ორგანული გამხსნელების შემცველი ნიტროცელულოზის ლაქების კარგ ეკონომიურ და ტექნოლოგიურ ალტერნატივას.

**უდ-გამყარებული ერთკომპონენტიანი წყალში ხსნადი სისტემები.** არსებობს უდ-გამყარების სისტემების შესწავლის და წარმოების რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზეზი:

- ორგანული გამხსნელების ემისიის შემცირება;
- დაბალმოლეკულური მონომერების გამოყენებაზე უარის თქმა, კანზე მათი გამაღიზიანებელი მოქმედების გამო შესხურებით დადებული ტრადიციული უდ-გამყარებული მასალების გამოყენების დროს;
- წარმოების ეფექტურობის გაზრდა სხვა ერთკომპონენტიან წყლის მასალებთან შედარებით;
- მიღებული დაფარვის კარგი მექანიკური და ქიმიური მდგრადობა.

პირველად ამ სისტემების გამოიყენება დაიწყეს პროფილური მერქნის დამამზადებლებმა და სკამების მწარმოებლებმა.

პოლიურეთანულ ფუძეზე უდ-გამყარებული წყლის მასალები შეშრობის შემდეგ წარმოქმნიან არაწებვად სტაბილურ აფსკს. უმთავრესად ისინი ხსნადებია და არ შეიცავენ აქტიურ განმზავებლებს, დაბალსიბლანტიანია, ითხოვს ცოტა ფოტოინიციატორებს, მაღალელასტიურია, ამასთან ერთად ძალიან მაგარია (იხ. სიმაგარე), ადვილად დამქრქალებადია და აქვს კარგი ად-ჰეზია მერქნის სხვადასხვა სახეობის და პლასტიკის მიმართ.

უდ-გამყარებული ლაქები გამოირჩევა შემდეგი თვისებებით:

- სიცოცხლის უნარიანობის უქონლობა (იხ. გელი-წარმოქმნის რეაქცია);
- დადების შესაძლებლობა სხვადასხვა საფრქვეველის საშუალებით;
- მუშა სიბლანტე 30-დან 60-მდე ვისკოზიმეტრის მიხედვით, საქშენით 4 მმ;

- შრობა 40-45°C ტემპერატურის დროს 6-დან 12 წუთამდე, საბოლოო გამყარება ულტრაიისფერი დასხივებით (მაღალი წნევის ვერცხლისწყლის ნათურებით);
- მბზინვარების ხარისხი მქრქალიდან პერიანამდე, როგორც ეს ფიზიკური არაშრობადი წყლის უდ-მასალებისათვის;
- სირბილე პოლივინილქლორიდის ტესტის მიხედვით;
- გამოიყენება სამზარეულოს, აბაზანის, ოთახის, საცხოვრებელი ბინის, საძინებელი ოთახის ავეჯისათვის, კიბის საფეხურებისათვის, კედლებისათვის, შემოფიცრულებისათვის, კარებისათვის და სკამებისათვის.

ფიზიკური შრობის (იხ. კონვექციური შრობის დრო) წყლის უდ-მასალები გამოიყენება როგორც გამჭვირვალე ლაქი, პიგმენტირებული საფითხნები და/ან დამფარავი ლაქი. პიგმენტური ლაქის შედგენილობა განსხვავდება იმით, რომ მათში პიგმენტების კონცენტრაცია არც ისე მაღალია, რადგანაც მაღალმა კონცენტრაციამ გამყარების დროს შეიძლება გამოიწვიოს პრობლემები. ეს შეიძლება გამოვლინდეს, მაგალითად სუბსტრატის მიმართ ადჰეზიის გაუარესებით. გამოიყენების მთავარ მიმართულებას წარმოადგენს ავეჯის მრეწველობა და კარების წარმოება.

#### **ორკომპონენტიანი პოლიურეთანული წყლის მასალები.**

1980 წლის ბოლოს პირველად შესაძლებელი გახდა წყლის ფუძეზე ორკომპონენტიანი პოლიურეთანული მასალის მიღება. წყლის ორკომპონენტიანი პოლიურეთანული მასალების გამოყენების დროს, ორგანულ გამსხველებში ხსნადებისაგან განსხვავებით, არსებობს ერთი შეზღუდვა – მათ აქვთ გამოიყენების შეზღუდული დრო – 2-დან 4 საათამდე. ორგანულ გამსხველებში ხსნადი სისტემებისაგან განსხვავებით, წყლის მასალების გამოყენების დროს შეუძლებელია სიბლანტის ცვლილებაზე თვალის მიღევნება. პოლიიზიციანატის კომპონენტი წყლის აფსკრარმომქმნელ ემულსიაში უშუალოდ უნდა იყოს დისპერსიული გამოიყენების წინ, რადგანაც ორივე კომპონენტი ერთმანეთში ინტენსიურად რეაგირებენ. რეცეპტურისაგან და პოლიიზოციანატის ტიპისაგან დამოკიდებულებით სიბლანტე (იხ. შიდა ხახუნი (სიბლანტე) საწყის მომენტში იზრდება. შემდეგ 10-20 წუთის განმავლობაში ის ვარდება და დამყარდება მოცემული პროდუქტისათვის განსაზღვრულ დონეზე. ნარევის მიღების პროცესზე მნიშვნელოვან გავლენას – ახდენს შემდეგი პარამეტრები:

- ფაზების გაყრის საზღვარზე ზედაპირული დაჭიმულობა (ფუძე, გამამყარებელი);
- ენერგოტევადობა კომპონენტების შერევის დროს;
- ხსნარის გამამყარებელის (პოლიიზოციანატის) სიბლანტე და პიდროფილურობა;
- ორივე კომპონენტის (ფუძის და გამამყარებელის) სიბლანტეების სხვაობა.

პიდროფილური პოლიტოციანების გამოყენებით მარტივდება კომპონენტების შერევა, მაგრამ ამ დროს შესამჩნევად უარესდება დაფარვის მდგრადობა სპირტის და შემღები ნივთიერებების მიმართ, როგორიც არის ყავა, წითელი ღვინო და მდოგვი. იმისათვის რომ დაფარვა შეესაბამებოდეს სამზარეულოს და სხვა ავეჯის მოთხოვნებს, საჭიროა პიდროფობური პოლიტოციანატების გამოყენება. კომპონენტების ოპტიმალური შერევისათვის საჭიროა ენერგიის დიდი გაღება. პრაქტიკაში კომპონენტების შერევა ხდება სარევში (პნევმატიური სარევი) ან უკეთესია ისეთი ორკომპონენტიანი შემრევი აგრეგატის გამოყენება, როგორიც არის ჭავლიანი დისპერგატორი. ხელით შერევა ხშირად იწვევს არამდგრადი დაფარვის მიღებას.

მაღოზირებელი და ასარევი მოწყობილობები ორკომპონენტიანი მასალებისათვის. კომპონენტების დოზირებას და არევას წინ უძლვის ძირითადი ტექნოლოგიური ოპერაციები. მთავარია დადგენილი თანაფარდობით მასალების ზუსტი დოზირება და არევა. ჩვეულებრივ გამოიყენება ვოლუმეტრული დოზირება (იხ. დოზატორები). არევა წარმოებს, მაგალითად, სტატიკურ შემზავებელში შეღებვის ხაზის შესარევ ბლოკში. არსებობს შემრევი მოწყობილობის ორი კლასი:

- მექანიკური მაღოზირებელი სისტემები;
- ელექტრონიკით მართვის მაღოზირებელი სისტემები.

დოზირება მექანიკურ მაღოზირებელ სისტემაში ხორციელდება უნიფიცირებული ტუმბოს კვანძის საშუალებით. მაღოზირებელი ელემენტის სახით გამოიყენება მაღოზირებელი დგუშიანი ან პრეციზიული კბილანური ტუმბოები, რომლებიც მუშაობენ გამოძევების პრინციპით. ნარევში შესაყვანი კომპონენტების რეგულირება შეიძლება მექანიკურად დგუშიან ტუმბოებში დგუშის სვლის შეცვლით ან კბილანურ ტუმბოებში გადაცემის მექანიზმის მდოვრე რეგულირებით.

ელექტრონიკით რეგულირების მაღოზირებელ სისტემებში დოზირების პროცესის განხორციელება და კონტროლი ხდება კომპიუტერის საშუალებით. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, პრეციზიული კბილანური ტუმბოს მუშაობის მართვა, როდესაც მექანიკური გადაცემის კოლოფი შეცვლილია კომპიუტერით. ზედაპირს, რომელიც დაფარულია ორკომპონენტიანი წყლის პოლიურეთანული მასალებით (გამჭვირვალე და პიგმენტირებული), აქვს ისეთივე მექანიკური და ტექნოლოგიური თვისებები, როგორც ეს ნაკეთობებს ორკომპონენტიანი პოლიურეთანული დაფარვით ორგანული გამსსნელების ფუძეზე. ამ მიზეზის გამო სამზარეულოს და საოფისე ავეჯის დამზადების დროს ორგანულ გამსსნელებში ხსნადი სისტემები შეიძლება წარმატებით შეიცვალოს წყლიანზე.

წყლის უდ-გამყარებული ორკომპონენტიანი პოლიურეთანული მასალები. პიგმენტირებული წყლის ორკომპონენტიანი პოლიურეთანული მასალების შრობის და გამყარების დროის (ხანის)

მნიშვნელოვნად შესამცირებლად ახორციელებენ უდ-გამყარების და ქიმიური პოლიმიერთების კომბინირებას ე.წ. Dual-Cure სისტემით. გამყარების ამ ორი მექანიზმის შეხამებით შეიძლება პიგმენტებით მაღალი შემცველობის მასალების მიღება და საიმედო გამყარება. Mono-Cure-სქემით ულტრაიისფერი დასხივებით გამყარების დროს განსაკუთრებული პრობლემები წარმოიქმნება ყვითელი და წითელი ფერის მასალებისათვის. Dual-Cure სისტემაში ერთმანეთს უერთდებიან უდ-გამყარებული და პიდროქსილური ჯგუფის აფსკრარმომქმნელები. გამა-მყარებლის სახით გამოიყენება ცნობილი პოლიიზოციანატები თანაფარდობით ფუძე/გამმყარებელი 100:5 ან 100:10.

### 11.3. წყლის ლაქსალებავი მასალების გამოყენება

წყლის ფუძეზე ლსმ გამოიყენება მომხმარებლისაგან ითხოვს განსაკუთრებულ მიღვომას. გადამუშავების იდეალური პირობებია – ტემპერატურა 20-დან 23<sup>0</sup>C-მდე და ჰაერის ფარდობითი ტენიანობა 40-60%. შესაბამისად, ასეთივე უნდა იყოს ლსმ და მერქნის ზედაპირის ტემპერატურაც. ოც გრადუსზე დაბალი ტემპერატურის ლსმ და სუბსტრატის გამოყენება არ შეიძლება, რადგანაც ამან შეიძლება გამოიწვიოს უხარისხო აფსკის წარმოქმნა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მერქნის წონასწორული ტენიანობა შეადგენს 8-12%-ს. ძლიერ მშრალი ობიექტების და-მუშავება ექსტრემალურად აჩქარებს დაფარვის შრობას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გადახრები მისი ფორმირების პროცესში.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებაც:

დადების პროცესში ჰაერის ტენიანობამ შეიძლება ძლიერი გავლენა იქონიოს წყლის ფუძეზე ლსმ სისტემების რეოლოგიურ თვისებებზე. 70%-ზე მეტმა ტენიანობამ შეიძლება შეშრობის პროცესი ძალიან დააყოვნოს. ამ მიზეზის გამო რეკომენდებულია დაცული იყოს ფარდობითი ტენიანობის ინტერვალი 45-დან 65%-მდე. რადგანაც წყალში ხსნად მასალებს აქვთ მაღალი ზედაპირული დაჭიმულობა, ამიტომ ასეთი სისტემების შესხურება უფრო ძნელია, ვიდრე ხსნადებისა – ორგანულ გამსხნელებში. ხშირად საჭირო ხდება მასალების შესხურება უფრო მაღალი წნევით. ვინაიდან მერქანი წყლის კარგი შემწოვია, საჭიროა შეძლებისდაგვარად ლსმ დადება თხელ შრეებად და მათი სწრაფად გაშრობა, იმისათვის რომ შემცირდეს მერქნის ბოჭკოების გასწორება.

მღებავის ძველი სიბრძე ამბობს: დასაღები მასალის რაოდენობის ორჯერ გაზრდა ნორ-მალური პირობების დროს (ტემპერატურა 23<sup>0</sup> C, ტენიანობა 50%) ოთხჯერ ზრდის შრობის დროს.

წყალში ხსნადი სისტემებისათვის პრინციპულად რეკომენდებულია: „უკეთესია ორჯერ გაკეთდეს თხელი შრე, ვიდრე ერთხელ.“

ხშირ შემთხვევაში მერქნის გაჯირჯვების არიდებაზე დადებით გავლენას ახდენს სუბსტრატის გახურება. ამით შეიძლება სწრაფად გამოირიცხოს მერქნის ბოჭკოებსა და წყალს შორის ურთიერთქმედება. წყალში ხსნადი დაფარვის დადების დროს მერქნის გაჯირჯვების შესამცირებლად მას ხეხავენ უფრო წვრილი აბრაზივებით, ვიდრე ორგანულ გამხსნელებში ხსნადი მასალების ხეხვის დროს. გაჯირჯვების ხარისხი სხვადასხვანაირად ვლინდება მერქნის მასალის სახეზე დამოკიდებულებით. განსაკუთრებით გულმოდგინედ უნდა შესრულდეს წყალში ხსნადი მასალების შერჩევა MDF-ის ფილების დამუშავების დროს. ეს ფილები შეიცავენ უმნიშვნელო რაოდენობის წებოს, რომელსაც აქვს ძლიერი მიღრეკილება მერქნის ბოჭკოს გასწორებისაკენ. MDF-ფილებს პოლიურეთანულ წებოს ფუძეზე მეტი უპირატესობა აქვთ ვიდრე შადროვანას ფუძეზე.

MDF-ფილების დამუშავების დროს გაჯირჯვების შესამცირებლად გამოიყენება ზედაპირის თერმული დამუშავება.

რადგანაც წყალში ხსნად ლსმ აქვთ ტუტეს რეაქცია, ამიტომ სათრიმლავი (იხ. თრიმვლა) ნივთიერებებით მდიდარი მერქნის (მუხა, იფანი) ნაკეთობების დამუშავების დროს ტექნოლოგის დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს სუბსტრატის ფერის შეცვლა. მუხის მერქანი შეიძლება გამწვანდეს („მწვანე ელფერი“). წიწვოვანი სახეობის მერქანზე შეიძლება წარმოიქმნას ყვითელ-მწვანე ელფერი და როგორც ადგილებში დაირღვეს დაფარვის ადჰეზია მერქნის შემადგენლობაში შემავალ ნივთიერებებთან ურთიერთქმედების შედეგად. ამ შემთხვევაში აუცილებელია სასინჯი გალაქების ჩატრება. ლაქების წარმოქმნა, მაგალითად ფიჭვზე ფერის შეცვლა როგობის ადგილებში— ბუნებრივი პროცესია, რომლის სრულად აცილება შეუძლებელია სპეციალური საიზოლაციო საგრუნტებითაც. ფიჭვის მერქნის წლოვანებას მისი შეღებვის მიმართ აქვს ძლიერი გავლენა ზედაპირზე ინგრედიენტების (იხ. ინგრედიენტი) გამომჟღავნებაზე. ამ უფექტის გამოვლენას ხელს უწყობს ტემპერატურული რეჟიმი შრობის დროს ან ნაკეთობის შენახვის პროცესში. ამიტომ ფიჭვის მერქნის დამუშავების დროს შრობის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს  $40^{\circ}\text{C}$ .

წყლის ფუძეზე ლსმ, ორგანოზნად მასალებთან შედარებით, აქვთ უმნიშვნელო ქვესანთის ეფექტი, რაც ლია (ნათელ) მერქანზე (ნეკერჩალი) წარმოადგენს უპირატესობას, რადგანაც ხდება ზედაპირის საერთო ფერის ტონის გათანაბრება. მუქ (თალხ) მერქანზე, როგორიც არის ალუბალი ან წითელი ხე, რომელთათვის სასურველია კარგი ქვესანთი (იხ. ქვესანთი), საჭიროა შესაბამისი ბეიცის ან ტონირებული ლაქის გამოყენება უმნიშვნელო ქვესანთის კომპენ-

საციისათვის. უმრავლეს წყალში ხსნად მასალებს დასადებ მოწყობილობებზე, როგორიც არის აპლიკაციური მოწყობილობები (იხ. აპლიკაცია) და დოზატორები, აქვთ მიღრეკილება ფიზიკური შეშრობისაკენ (იხ. შრობა, კონვექციური შრობის დროს). შეშრობილი ლაქი ძნელად გახსნადია და თხევად სისტემაში მოხვედრის დროს იწვევს გაჭუჭყიანებას. ამის შედეგად შეღებილ ზედაპირზე წარმოიქმნება უსწორობები, ხოლო საფრენოვის ფილტრები და საშხეფარები ნაგვიანდებიან.

როგორც ცნობილია, შედგენილობები წყლის ფუძეზე უნდა გადამუშავდეს მხოლოდ უჟანგავ მასალებისაგან დამზადებულ მოწყობილობებზე. იმისათვის, რომ თავიდან აცილებული იყოს წყლის მასალების ქიმიური ურთიერთქმედება ფერად ლითონებთან, საჭიროა უჟანგავი ფოლადების მოწყობილობების გამოყენება. ეს ასევე ეხება მიღსადენებს, მოწოდების და საშრობ მოწყობილობებს.

წყლის მასალები განსაკუთრებით მგბნობიარები არიან სუბსტრატის გაჭუჭყიანებული ზედაპირისადმი. ამის შედეგად წარმოიშობა პრობლემები დაკავშირებული ზედაპირის დასველებადობასთან ან კრატერების წარმოქმნასთან. საჭიროა პრინციპულად ყურადღება მიექცეს იმას, რომ შესაღებ საამქროში არ იყენებდნენ ხელის სილიკონშემცველ კრემს, ტუალეტის წყალს და სილიკონის საცხებს. სუბსტრატის ზედაპირი გულმოდგინედ უნდა გაპრიალდეს და გაიწმინდოს შენობის გარეთ, რომელშიც ახორციელებდნენ შეღებვას.

თუ მომხმარებელს ლსმ შეყავს დანამატები ან შემსქელებლები, რეკომენდირებულია პნევმატიკური არევის გამოყენება. დანამატების შეყვანის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს კარგ არევას. მასალის არაერთგვაროვნებამ შეიძლება გამოიწვიოს კრატერები ან აფსკის სხვა დეფექტები.

წყალში ხსნადი მასალების გამოყენების წინ, დანადგარები, რომლებშიც გადამუშავებული იყო ორგანული გამხსნელების შემცველი სისტემები, საჭიროა ძალიან კარგად იყოს ჩამორეცხილი. ყველა ტუმბო და შლანგი საფუძვლიანად იყოს ჩარეცხილი სპეციალური განმზავებლებით ან შეიცვალოსმთლიანად. შემდეგ საჭიროა საბოლოო გაწმენდის ჩატარება ე.წ. დამსველებელის (სპირტის ფუძეზე) საშუალებებით და ბოლოს ყველაფერი წყლით გაირეცხოს. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვეულებრივი ორგანოს ხსნადი მასალების განმზავებლები წყლის სისტემებისათვის უვარგისა. ასეთი განმზავებლების არაშეუსაბამო გამოყენების დროს მასალაში შეიძლება წარმოიქმნას ნალექი, ხოლო მოწყობილობა, განსაკუთრებით კი ფილტრები და საშხეფარები გაფუჭდეს. წყლის მასალებით მუშაობის შემდეგ მოწყობილობა გულმოდგინედ უნდა გაირეცხოს წყალსადენის წყლით. გამხმარ ლაქს აცილებენ სპეციალური გამწმენდებით.

გახსნილი წყლის მასალის კასრები მასალის გამოყენების შემდეგ უნდა დაიხუროს. გახსნილ ტარაში არ უნდა რჩებოდეს შეშრობილი ლაქის ნალექი. წყალში ხსნადი ლსმ ხარისხზე დამოკიდებულებით შეიძლება შეინახოს სათანადო პირობებში ორიგინალურ საფუთავში 3-დან 6 თვემდე. ხანგრძლივი შენახვის დროს მასალის გამოყენების წინ საჭიროა საკონტროლო სინჯების ჩატარება. წყლის მასალები არ უნდა გაიყინოს და ინახება  $5^{\circ}\text{C}$  უფრო დაბალი ტემპერატურის დროს.

პრინციპში ცნობილია, რომ წყლის მასალების შრობა მიმდინარეობს უფრო ძნელად, ვიღრე ორგანულ გამხსნელებში ხსნადი სისტემებისა, რადგანაც წყალს აქვს აორთქლების დიდი სითბო და დუღილის მაღალი ტემპერატურა, ასევე ზედაპირის დიდი დაჭიმულობა. წყლის სისტემებისათვის შრობის პროცესი დამოკიდებულია მრავალ სხვადასხვა სიდიდეზე. შრობის დროს მასალის ქმედება დამოკიდებულია დადებული მუშა ხსნარის რაოდენობაზე. ინტენსიური შრობის დროს დაფარვა თავდაპირველად უნდა შეშრეს აორთქლების ზონაში. წინააღმდეგ შემთხვევაში დაფარვის ზედა შრის სწრაფად გაშრობის დროს წყლის ნარჩენები და, შესაძლო, ორგანული გამხსნელები ვერ შეძლებენ აორთქლებას და დარჩებიან აფსები. შეშრობის შემდეგ შეიძლება პროცესის ფორსირება საცირკულაციო საშხეფარ შრობის საშუალებით ან ცივი და სორბციური შრობის შეხამებით. ასევე გამოიყენება მოკლე ან საშუალო ტალღის ინფრაწითელი გამოსხივება. შრობის დაჩქარების დამატებით შესაძლებლობას წარმოადგენს ჰაერის საკმარისი ნაკადის გამოყენება ტემპერატურის მიწოდების გარეშე. ამასთან არ არის საჭირო მისაწოდებელი ჰაერის ნაკადის ტენიანობის განსაკუთრებული შემცირება. ამ შემთხვევაში ფიზიკური შრობა (იხ. კონვექციური შრობის დრო) მიმდინარეობს წყლის ორთქლის ხარჯზე, რომელიც გამოდის დაფარვიდან, აიტაცება ჰაერის ნაკადით და სწრაფად მოცილდება. მარტივ შემთხვევაში ასეთი შრობა შეიძლება განხორციელდეს ნაქრევი პისტოლეტით ან ვენტილური სტელაჟიანი ურიკით (ვაგონეტით). ამრიგად, ხდება შელებილი ზედაპირის შემობერვა. ჰაერის ნაკადის სიჩქარის გაზრდამ შეიძლება გამოიწვიოს დაფარვის ზედაპირის გაწყვეტა. ასევე აუცილებელია პროცესში შესვენებების დაცვა. შრობის გონიერი შედეგების მისაღებად საჭიროა შემდეგი პარამეტრების დაცვა:

- მომდენი ჰაერის ტემპერატურა  $20$ -დან  $50^{\circ}\text{C}$ -მდე;
- მომდენი ჰაერის ფარდობითი ტენიანობა  $<70\%$ ;
- დაფარვის ზედაპირთან ნაკადის სიჩქარე  $0,5$ -დან  $1,2$  მ/წმ.

ერთკომპონენტიანი წყლის მასალებისათვის ტემპერატურაზე, ტენიანობასა და დასადები ნივთიერების რაოდენობაზე დამოკიდებულებით შრობის დრო შეადგენს:

- მტვრისგან გაშრობისათვის 15-30 წთ.;

- გადახეხვის მდგომარეობამდე 8-12 საათს;
- შტაბელირებისათვის 8-დან 60 წუთამდე.

შრობის მითითებული დრო დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობების დროს:

- დასადები მასალის რაოდენობა 80-90 გრ/მ<sup>2</sup>-მდე ერთ გავლაზე (საგრუნტო და დამფარავი ლაქი);
- ტემპერატურა – 23°C;
- ფარდობითი ტენიანობა – 50%.

**მაგარი მერქანბოჭკოვანი ფილების შეღებვა.** ვალცვის მეთოდით წყალში ხსნადი საგრუნტოს დადება მისი შემდგომი დაფარვით უდ-გამყარებული დამფარავი ლაქით გამოიყენება მაგარი მერქანბოჭკოვანი და მერქანბურბუშელოვანი ფილებისათვის. ასეთ ფილებს იყენებენ კორპუსული ავეჯის, სამზარეულოს, ავეჯის გვერდითი კედლების, გამოსაწევი ფუთების საფუძვლის, მაგიდის თავსახურების, კარების დამზადების დროს. პიგმენტირებული ერთკომპონენტიანი წყლის მასალის („არამკერავი“, ე.ი. განივი ქიმიური ბმების არწარმოქმნელი სისტემების) დადება ხდება რამდენიმე ეტაპად და გაშრობა კონვექციული/ფრქვევანული შრობის გამოყენებით. გაჯირჯვების შემცირებისათვის და გაშრობის პროცესის შემოკლებისათვის ხშირად გამოიყენება ფილების წინასწარი შეთბობა ინფრაწითელი გამოსხივებით. საბოლოოდ ნაკეთობას ამუშავებენ ვალცების საშუალებით დამფარავი უდ-გამყარებული ლაქებით იმისათვის, რომ დაფარვამ მიიღოს აუცილებელი ქიმიური თვისებები.

**სამზარეულოს ავეჯის შეღებვა.** სამზარეულოს ავეჯის ფერადი ფრონტონების (იხ. ფრონტონი ავეჯში) შესაღებად იყენებენ ხსნად მასალებს, რომლებიც გამყარებულია Dual-Cure-სქემის მიხედვით.

მატარებელს, როგორც წესი, წარმოადგენს MDF-მერქნის მასალები დაფარული თეთრი მელამინის და პოლივინილქლორიდის გარსით. დაფარვის ოპტიმალური სიმაგრის მისაღებად გარსით დაფარული ზედაპირები შეღებვის წინ უნდა გაიხეხოს და გაიწმინდოს.

ლაქსაღებავი მასალების დადება ხდება ციკლურ რეჟიმში ბრტყელი ავტომატური საფრქვეველით ან საფრქვეველი რობოტებით. ლსმ მომზადება ხორციელდება ორკომპონენტიანი დოზატორით ან შესარევი მოწყობილობით. დასადები ნედლი მასალის რაოდენობა შეადგენს 120-130გრ/მ<sup>2</sup>. შრობა მიმდინარეობს მრავალიარუსიან საშრობში შრობის სამი ზონით.

სამზარეულოს ფრონტონის პროფილის ოპტიმალური შრობისათვის მიაერთებენ ფრქვევანულ საშრობს ჰერის ტემპერატურით 30°C. ამით შესაძლებელია ე.წ. „სურათოვანი ჩარჩოს“ ეფექტის თავიდან აცილება, რომელიც წარმოიქმნება პროფილის არეში დარჩენილი წყლით. ამის შემდეგ ზედაპირები საბოლოოდ უნდა გამყარდეს უდ-არხში ვერცხლისწყლის ნა-

თურების მოქმედების ქვეშ. შემდეგ დეტალს ფრქვევანულ საშრობში აცივებენ ( $25^0\text{C}$ ), ამჟავებენ ან აწყობენ შტაბელებად. დამუშავების საერთო დრო ნაკეთობის კონფიგურაციაზე დამოკიდებულებით შეადგენს 30-45 წუთამდე.

**სკამების შეღებვა.** სკამების სამრეწველო შეღებვალსმ და მათი დადების ტექნოლოგიებს განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს. სკამები იღებება ცალკეულ ნაწილებად ან აწყობილ მდგომარეობაში. ჩვეულებრივ ხდება მათი ჩამოკიდება ან განლაგება მდებარეობის თანმიმდევრული შეცვლით. ხის სკამების სამგანზომილებიანი (3D) გეომეტრიის გამო გამოიყენება დადების ელექტროსტატიკური მეთოდი კონუსური ან დისკური საბრუნი გამშეფებით (ომეგა-ციკლის) ან საპარო შესხურება.

ომეგა-ციკლის შიგნით სამ საბრუნ წერტილში სკამები შემობრუნდება ბრუნვის ყოველ მეოთხედზე. ამრიგად სკამის მოდელზე დამოკიდებულებით შეიძლება ნაკეთობის ყოველი მხარის თანაბრად შეღებვა. ხშირად მაღალსიჩქარიანი დამუშვების შემდეგ ახორციელებენ ხელით განმეორებით გაფრქვევას შესაძლო დეფექტების მოსაცილებლად.

ასევე გამოიყენება შეღებვა რობოტების საშუალებით. ამ შემთხვევაში სკამი შემობრუნდება ოთხჯერ 90 გრადუსით ისე, რომ ყველა არე კარგად იყოს მისაწვდომი ლსმ დადებისათვის. დადების ელექტროსტატიკური პროცესის გამოყენების დროს პარის ტენიანობა უნდა იყოს 55-65%, ხოლო მერქნის 10-12%.

ლსმ რეკუპერაციით ელექტროსტატიკური მოწყობილობის მარგი ქმედების კოეფიციენტი შეადგენს 80-90%. მოთხოვნილებებზე დამოკიდებულებით სკამების შესაღებად გამოიყენება ერთკომპონენტიანი წყლის მასალები („თვითმკერავი“), ე.ო. განივი ქიმიური ბმების წარმომქმნელი სისტემები და/ან ერთკომპონენტიანი უდ-გამყარებული გამჭვირვალე ლაქები.

**კიბის საფეხურების შეღებვა.** კიბის საფეხურის ცვეთისადმი მდგრადი დაფარვისათვის ნაწილობრივ იყენებენ სწრაფადშრობად სპეციალურ ერთშრიან ორკომპონენტიან პოლიურეთანულ მასალებს, რომლის დადება ხდება შესხურებით. ასეთი მასალები, როგორც წესი, შეიცავს 25-დან 30 პროცენტამდე არააქროლად ნივთიერებებს. გამყარების დამატების შემდეგ მასალის ცხოვრების დრო ჩვეულებრივ შეადგენს 8 საათს. საფეხურებს ამუშავებენ ორჯერ პორიზონტალურ მდგომარეობაში. კანტებს ღებავენ ოთხჯერ. ასეთი პროცესით საფეხურის დამუშავებისათვის საჭირო დრო გახეხვის მომენტიდან მზა დაფარვამდე შეადგენს დაახლოებით 12 საათს.

ორკომპონენტიანი პოლიურეთანული მასალის ნაკლს შესხურებით დადების დროს წარმოადგენს გადამეტებული შესხურება, რომელიც მთლიანად არ შეიძლება იყოს რეგენერირებული (იხ. რეგენერაცია). დეტალის გეომეტრიაზე დამოკიდებულებით გადამეტებული შესხურება

შეადგენს 40-50%. მასალის ეს დანაკარგები შეიძლება უტილიზირებული იყოს ორგორც ჩვეულებრივი შლამი (იხ. უტილიზაცია).

უსაფრთხო და გამხსნელებით გადარიბებული ორგანოზსნადი ორკომპონენტიანი პოლი-ურეთანული მასალების ალტერნატივა არის ერთკომპონენტიანი უდ-გამყარებული წყალში ზსნადი სისტემები, რომლებიც იძენენ დიდ მნიშვნელობას.

უდ-წყლის მასალების დიდ უპირატესობას ჩვეულებრივ ორკომპონენტიან პოლი-ურეთანულ შესასხურებელ ლაქებთან შედარებით წარმოადგენს ის, რომ წყლის აორთქლების და უდ-გამყარების შემდეგ შეიძლება ნაკეთობების დაშტაბელება და შეფუთვა.

საფეხურების შეღებვისათვის გამოიყენება ერთკომპონენტიანი უდ-წყალში ზსნადი შედგენილობები, რომლებიც შეიცავენ 38%-მდე არააქროლად ნივთიერებებს და 2%-ზე ნაკლებ ორგანულ გამხსნელებს. დადება ხდება ბრტყელი შესასხურებელი ავტომატებით ლენტურ კონ-ვეირზე მასალის ასაკრეფი ავტომატური რაკელით, რომელიც არ ეცემა შესაღებ ნაკეთობას. ამგვარად დაბრუნებულ გადამეტებულ შესხურებას ამატებენ 20-25%-მდე რაოდენობით უდ-წყლის მასალებში, რომელსაც შემდეგ იყენებენ საგრუნტოს სახით. რეკუპერაციის წყალობით გამოიყენების მარგი ქმედების კოეფიციენტი აღწევს 90%. ამგვარად მცირდება ხარჯი შლამის უტილიზაციაზე. ორკომპონენტიანი გამყარება პოლიურეთანულ სისტემებთან შედარებით ხდებაწამიერად. ამის გამო შეღებვის პროცესის საერთო დრო ბევრად მცირდება. უდ-გამყარებული წყლის მასალებით დაფარული საფეხურის გარე სახე და ცვეთის მიმართ მდგრადობა შესადარია ორკომპონენტიან – პოლიურეთანულ დამუშავებასთან.

უდ-გამყარებული წყლის გამჭვირვალე ლაქების ძირითად უპირატესობებს ორკომპონენტიან – პოლიურეთანულ მასალებთან შედარებით წარმოადგენს:

- ლაქის შესამჩნევად ნაკლები ხარჯი (დაახლოებით 35%);
- ორგანული გამხსნელების რაოდენობის შემცირება 90% ან მეტით;
- ნარჩენების რაოდენობის შემცირება 80%;
- ტექნიკური თვისებების შენარჩუნება;
- შეღებვის პროცესის დროის (ხნის) შესამჩნევი შემცირება უდ-გამყარების გამოყენების დროს.

#### 11.4. ზეთები, ცვილები, ნატურალური ფისები

უკანასკნელ წლებში სწრაფდ იზრდება მოთხოვნილება ნატურალურ დაფარვაზე, რაც განპირობებულია მომხმარებლის ზრდადი მომთხოვნელობით და მსგავსი პროდუქციის რეალიზაციისათვისბაზრის მზაობით. გარემოს გავლენის შეცნობის წყალობით სულ უფრო დიდი პოპუ-

ლარობით სარგებლობს ავეჯი, ინტერიერის შიდა დეტალები და ბუნებრივი წარმოშობის ოლიფით, ცვილით და ნატურალური ფისებითდამუშავებული პარკეტის დაფარვები. დღეს არსებობს მერქნის დასამუშავებელი მრავალი ნატურალური პროდუქტი. ბაზარზე შემოთავაზებული პროდუქტები განსხვავდებიან შემადგენლობით და გამოყენების ხერხით, და ყოველთვის არ შეესაბამებიან ნატურალური ლაქის განმარტებას (იხ. ნატურალური ლაქი). ლაქის ეს განმარტება არ ნიშნავს, რომ ნატურალური ლაქები, ასევე ყველა დანარჩენი ლსმ არ შეიცავს ჯანმრთელობისათვის საშიშ ნივთიერებებს. საეჭვოა რომ წარსულში დაფარვაში ნატურალურ პროდუქტებს სუფთა სახით იყენებდნენ როგორც შემკვრელებს. შესაბამისი ხარისხის ლსმ მიღება მათი ქიმიური და ფიზიკური დამუშავებით. ნატურალური ფისები, ზეთები, ზეთცვილიანი ნარევები და ცვილები თვისებების გაუმჯობესებისათვის, აუცილებელი გადამუშავების დროს საჭიროა დღესაც გაზავდეს ორგანული გამხსნელებით. სინთეზური ორგანული გამხსნელების გარდა ასევე გამოიყენება ბუნებრივი წარმოშობის სკიპიდარები, რომლებიც მიეკუთვნებიან ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებებს.

ბოლო წლებში დიდი რაოდენობით აწარმოებენ კლასიკური ზეთის და ცვილის შემცველ პრეპარატებს (გამხსნელების შემცველობა $>50\%$ ) წყლის ფუძეზე ან განსხვავებულს ძალიან შემცირებული ორგანული გამხსნელების შემცველობით. მაგრამ რიგ პროდუქტებში შეუძლებელია გამხსნელების გამოყენებაზე უარის თქმა. ისინი ხშირად საჭიროა იმისათვის, რომ პროდუქტი გადაიყვანოს გადამუშავებისათვის და შენახვისათვის ვარგის მდგომარეობაში.

**ზეთები და ცვილები.** მრეწველობაში უპირველეს ყოვლისა გამოიყენება ზეთები, რომელთა გამყარება ხდება პოლიმერიზაციით ჰაერი ჟანგბადის ხარჯზე (ე.წ. შრობადი ზეთი), მაგალითად, სელის ზეთი. გამყარების დაჩქარებისათვის ამ მასალებში ამატებენ სიკატივების დამატებით ეს სისტემები ხდებიან ძალიან რეაქციაუნარიანები და გამყარების პროცესში გამოყოფენ ბევრ სითბოს. ამიტომ ზეთით ან ზეთის შემცველი ნივთიერებით გაუღენთილ ქსოვილებს გამოყენების შემდეგ მაშინვე უნდა გაშრობა, რათა თავიდან იყოს აცილებული მათი თვითალება. გარდა ამისა, ეს მასალები არ უნდა გადამუშავდეს იმ სისტემებთან ერთად, რომლებიც შეიცავს ნიტროცელულოზას, რადგანაც ის ასევე ადვილად აალებადია.

ზეთი ღრმად აღწევს მერქანში და კარგად შეიწოვება ფორებში. დამუშავებული ზედაპირები ხდება მექანიკურად და ქიმიურად უფრო მედეგი, მაგრამ ისეთი კარგი შედეგების მიღება, როგორც ეს მიღება ორკომპონენტიანი ან უდ-გამყარებული მასალებით დამუშავების დროს, პრაქტიკულად შეუძლებელია. გაზეთილ ზედაპირებს აქვთ გამოკვეთილი უნარი გაჭუჭყიანებისაკენ, რადგანაც ასეთი ზედაპირის ფორები მთლიანად ღიაა. ამის შედეგად მერქნის სუბსტრატს შეუძლია წყლის შთანთქმა და მერქანი გაჯირვედება. სინათლის მოქმედების ქვეშ გაზეთილ

ზედაპირებს აქვთ მიღრეკილება გაყვითლებისაკენ, განსაკუთრებით თუ ზეთი შეიცავს ბევრ უჯერ ცხიმოვან მუსავებს. ასევე შეიძლება წარმოიქმნას გახლეჩვის პროდუქტები, რაც იწვევს ნარჩენ ემისიას (იხ. ემისია; ემისის ტიპები).

ცვილის სახით, უპირველესყოვლისა გამოიყენება კარნაუბის ცვილი (ცვილოვანი კოპერ-ცია) და ფუტკრის ცვილი. მერქნის დამუშავების დროს ფუტკრის ცვილი გამოიყენება ბეიცებში, პოლიტურაში ავეჯისათვის, ავეჯის და იატაკის გაცვილვისათვის (გასანთლისათვის). კარნაუბის ცვილი მოიპოვება ბრაზილიის მაღალი (6-12 მეტრამდე სიმაღლის) პალმის კარნაუბის ფოთლებიდან. ეს მაგარი, წყლით არასველდებადი პროდუქტი გამოიყენება პოლიტურაში ავეჯის და იატაკის გაცვილვისათვის. კარნაუბის ცვილი უფრო მაგარია, ვიდრე ფუტკრის.

ცვილი ზედაპირზე წარმოქმნის ძალიან თხელ შრეს, რომელიც ამაღლებს მდგრადობას ცვეთისადმი და ზედაპირს ანიჭებს ჭუჭყ- და წყალგამზიდ თვისებებს. ზედაპირი ზელის შეხებით სასიამოვნოა და მეტ-ნაკლებად ქიმიურად მდგრადი. მასალები, რომლებიც შედგებიან ზეთებისგან და ცვილებისგან ნარევში აერთიანებენ ორივე კომპონენტის უპირატესობებს და ხელს უწყობს ზედაპირის სტაბილურობას და „შემსუბუქებულ სუნთქვას“. ასეთი კომბინირებული მასალები გამოიყენება ავეჯის სამრეწველო წარმოებაში.

დატვირთვის კლასის მიხედვით, ზეთების და ცვილების გამოყენების რეკომენდაციებია:

დატვირთვის კლასი	გამოყენების სფერო	ეფექტი
• ძალიან უმნიშვნელო	დამატებითი დამუშავება, საცხოვრებელ ბინაში ავეჯის მოვლა	„ქვესანთის“ გარეშე (ნატურალობა)
• უმნიშვნელო	პირველადი დამუშავება, სახლის ავეჯის დაუტვირთავი დეტალების	ნატურალობა
• მცირე	პირველადი დამუშავება ნორმალურად დატვირთული ზედაპირების	ნატურალობა ან მსუბუქი „ქვესანთი“
• საშუალო	პირველადი დამუშავება გაცვეთისაკენ მიღრეკილი ზედაპირების	მსუბუქი ან საშუალო „ქვესანთი“
• ძლიერი	პირველადი დამუშავება ძლიერ გაცვეთილი და ქიმიური ზემოქმედებისაკენ მიღრეკილი ავეჯის ზედაპირების	„ქვესანთი“

ხშირად მასიური მერქნის დამუშავებისათვის გამოიყენება დაფარვის დადების სხვადასხვა ხერხი, მაგალითად, ხელით, შესხურებით ან გალცებით.

გაცვილული ზედაპირებისათვის დასადები ნივთიერებების საერთო რაოდენობა შეადგენს დაახლოებით  $10\text{გრ}/\text{მ}^2$ . საგრუნტოსათვის ხშირად გამოიყენება ზეთშემცველი ნივთიერებები,

მაგალითად ნივთიერებები სელის ბაზაზე, რომლებიც გარდა დაგრუნტვისა, უზრუნველყოფენ მერქნის სტრუქტურის შენარჩუნებას. ზედაპირის ოლიფით და ცვილით დამუშავების დროს ზეთის ხარჯი შეადგენს  $30 \text{ გრ/მ}^2$ , ხოლო ცვილის – დაახლოებით  $10\text{გრ/მ}^2$ . ზეთით დამუშავებული ზაღაპირის ქიმიური მედეგობა და წყალგანმზიდი თვისებები, მნიშვნელოვნად უმჯობესდება ზედაპირის დამატებითი გაცვილვის დროს.

**ნატურალური ფისი, შელაკი** – ხსნადია სპირტებში და წყალ-სპირტიან ნარევებში. შელაკოვანი შედგენილობები – ეს ეთანოლის ბაზაზე უფერული, ფიზიკურად შრობადი ლაქებია (იხ. კონვექციური შრობის დრო). მათი დადებისათვის გამოიყენება ისეთივე მოწყობილობა, როგორც ნიტროცელულოზის მასალების დასადებად. მიღებული ზედაპირები არც თუ ისე წყალმედეგია და მდგრადია სპირტების მიმართ. ცვილის კარნაუბოვან საგრუნტოსთან შეხამება, გამოიყენება ავეჯის სამრეწველო დამუშავებისათვის. დაფარვის გასაუმჯობესებლად შელაკის რეცეპტურებში ქიმიურ გამყარებისათვის შეჰქავთ პოლიიზოციანატები.

## თავი XII. ფევნილოვანი ლაქსალებავი მასალები

ფხნილოვანი ლსმ არის იმის მაგალითი, თუ როგორ შეიძლება ვითარდებოდეს თითქმის უემისით და მცირენარჩენებიანი შეღებვის ტექნოლოგიების სამომხმარებლო ბაზარი. მერქნის მასალის ფხვნილოვანი შეღებვა და ავტომშენებლობაში ფხვნილოვანი ტექნოლოგიების განვითარება – მხოლოდ ის ორი მაგალითია, თუ როგორ ვითარდება ფხვნილოვანი მასალების ახალი მიმართულების ათვისება. ეკონომიკური და ეკოლოგიური თვალსაზრისით წინანდებულად უნდა ველოდოთ დიდ წარმატებას ფხვნილოვანი მასალებიდან.

ფხვნილოვანი ტექნოლოგიის ძირითადი უპირატესობებია:

- თითქმის არა აქვს გამსსნელების ემისია (აქროლადი ორგანული ნაერთის  $\leq 0,2\%$ ) (იხ. ემისია; ემისიის ტიპები);
- თითქმის არ აქვს ნარჩენები (არა აქვს კოაგულაცია შესხურების დრო);
- მასალის სასარგებლო გამოყენება  $>95\%$ , რადგან შეიძლება შესხურებიდან დაფარვის ნარჩენების მეორადი გამოყენება;
- დაფარვის დიდი სისქე წაფენების წარმოქმნის გარეშე;
- დაფარვის ძალიან კარგი ფუნქციური და ოპტიკური თვისებები;
- ხშირად საკმარისია მასალის ერთშრიანი დადება;
- ადვილია დადების პროცესის ავტომატიზება.

შენობის შიგნით გამოსაყენებელი მერქნის ნეკეთობების შეღებვის სხვადასხვა ტექნოლოგიების შედარების დროს ნათლად ჩანს, რომ მასალებს წყლის ფუძეზე და უდ-გამყარებულ თხევად სისტემებს ფხვნილოვან ლსმ შედარებით აქვთ ინოვაციური უპირატესობა.

MDF-ნაკეთობის ფხვნილოვანი შეღებვა პირველად განხორციელდა ავსტრიაში. არსებობს მრავალი დანადგარი ფხვნილოვანი შეღებვისათვის, ამასთან შესაღები ნაკეთობის პოლიტურა ფრიად მრავალფეროვანია.

ის მოიცავს ავეჯის ელემენტებს რადიო და ტელეაპარატურისათვის, საოფისე ავეჯს, განსაკუთრებით მაგიდის თავსახურებს და საწერი მაგიდის ყუთებს, ავეჯს მაღაზიებისათვის და საოპერაციო დარბაზებისათვის, სამზარეულოს, საბაზო და საბალე ავეჯს.

ზის დამუშავების მრეწველობისათვის ფხვნილოვანი ტექნოლოგიების დაჩქარებულმა განვითარებამ გამოიწვია MDF-მასალების წარმოების გამუდმებული ზრდა. ამ ზრდის ეკონომიკური სიმნელეების წინააღმდეგობის გაწევის მიუხედავად, ფხვნილოვანმა ტექნიკამ ავეჯის მრეწველობაში და მშენებლობაში შეიძლება დაიკავოს ბაზრის ახალი სეგმენტი. ეს შესაძლებელი გახადა ახალმა მოთხოვნებმა დიზაინისადმი, განსაკუთრებით საოფისე ავეჯისათვის.

მერქნის ზედაპირების კონსტრუქციული თავისებურებანი, მაგალითად ფილებში წვრილი პროფილური ზედაპირები, ჩაღრმავებები და განახერხები, ითხოვს არა მარტო MDF-ფილის მასალის ღრმა ფრეზვის უნარს (მოხერხებულობას), არამედ შეღებვის შესაბამის ტექნოლოგიებსაც. ფხვნილოვანი მასალები თავისი უპირატესობების წყალობით – შეიძლება ფასითაც, იყოს ხელსაყრელი ალტერნატივა, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლისათვის საჭირო ხარისხს.

ასხვავებრ თერმორეაქციულ და თერმოპლასტიკურ ფხვნილოვან მასალებს, ამასთან მერქნის და მერქნული მასალების დასამუშავებლად ინტერესს წარმოადგენს მხოლოდ თერმორეაქტიული სისტემები. ქიმიური შედგენილობის გარდა, ფხვნილოვანი სისტემების მნიშვნელოვანი მახასიათებელია ფხვნილის ნაწილაკების განაწილება ზომების მიხედვით. ლსმ წარმოების პროცესში ნაფხვენების დაწვრილმანების დროს მიიღება მასალის დამახასიათებელი (განსაზღვრული) ფრაქციული შედგენილობა. ეს ფრაქციული შედგენილობა გავლენას ახდენს მასალის დენადობაზე და, გარდა ამისა, განსაზღვრავს დაფარვის გამყარებული შრის მინიმალურ სისქეს და თვითგამყარების პროცესს. თბური ენერგიის (ფხვნილოვანი მასალის ცხელი შრობა) ან ელექტრომაგნიტური გამოსხივების (უდ-ფხვნილოვანი სისტემები) დროს რეაქტოფენა წარმოქმნის მკვრივ (იხ. სიმკვრივე) პოლიმერულ სტრუქტურას, რომელსაც აქვს მაღალი ქიმიური მედეგობა. ფხვნილოვანი დაფარვის თვისებები და მათი გამოყენების სფერო ძირითადად განისაზღვრება გამოყენებული გამამყარებლებით და შემგვრელებით. კლასიკურ ფხვნილოვან სის-

ტემპებში შედიან ძირითადად ეპოქსიდური, პოლიეთერული, ეპოქსიდურ-პოლიეთერული (პიბრიდული), პოლიურეთანული და აკრილის ფისები.

სითბოსადმი მგრძნობიარე სუბსტრატების, როგორიც არის MDF-ფილები, ფხვნილოვანი ლსმ დამუშავების დროს საჭიროა შემდეგი მოთხოვნების შესრულება:

- შედგენილობის დნობის ტემპერატურა შეძლებისდაგვარად უნდა იყოს ყველაზე დაბალი ( $<100^{\circ}\text{C}$ ), რათა უზრუნველყოფილი იყოს გომოგენური აფსკის წარმქნა (იხ. გომოგენიზაცია);
- სითბოს მიყვანის დროს ფუძეშრიდან აირგამოყოფის თავიდან აცილება;
- დნობის და გაკერვის დრო უნდა შემცირდეს წუთიდან წამამდე;
- გამყარებული ფხვნილოვანი დაფარვა უნდა შეესაბამებოდეს ავეჯის ზედაპირების – დეკორატიული, ქიმიური და მექანიკური თვისებების მოთხოვნებს;
- დაფარვის და გამყარების დაცალკევება უნდა იყოს თხევადი ლაქსალებავი სისტემების ანალოგიური.

## 12.1. თერმოგამყარებული ფხვნილოვანი მასალები

თერმოგამყარებული ფხვნილოვანი მასალების შემადგენლობა (ცხელი შრობის მასალები) შედგება აფსკწარმომქმნელისაგან, გამმყარებლისაგან, პიგმენტებისაგან და დანამატებისაგან. შემვების სახით გამოიყენება ბუნებრივი მინერალები: მძიმე შპატი (ბარიტი – ბარიუმის სულფატი), მინდვრის შპატი (ლაბრადორი) და ცარცი. ფხვნილოვან შედგენილობებს, ისევე როგორც თხევადებს, შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვა ელფერი. რა თქმა უნდა, ელფერის თავისუფალი ფანჯარა არ უნდა იყოს განიერი, ვიდრე თხევადი მასალებისათვის. ფხვნილოვან საღებავებში აღიტივები დენადობის გასაუმჯობესებლად მოიცავენ დანამატებს, დეგაზატორებს (იხ. დეგაზია), დამქრქალებელ დანამატებს, ცვილებს, დანამატებს, ზედაპირის სიმაგრის სარეგულირებელ სტრუქტურულ და ტექსტურულ დანამატებს, კატალიზატორებს, ნივთიერებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ფხვიერებას და გარკვეული პირობების დროს, დამუხტვის რეგულატორებს, მაგალითად, ფხვნილოვანი საღებავებისათვის, რომლის დადება ხდება ტრიბოელექტრონული შესხურებით.

ფხვიერების უზრუნველყოფისათვის გამოიყენება, მაგალითად, ალუმინის ჟანგი ან პიროგებული სილიციუმმჟავა. ფხვიერების გასაუმჯობესებელი საშუალებები, მასალას არიდებენ წებვადობას და კოშტოვანებას, რომლებიც წარმოიქმნება ხანგრძლივი შენახვის დროს ფხვნილის ნაწილაკების საკუთარი წონის ზემოქმედების ქვეშ. მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ ფხვნილოვანი

შედგენილობების დაუბრკოლებელი გადამუშავებისათვის და ფსევდოდენადობის შენარჩუნებისათვის, რაც იძლევა მათი ტრანსპორტირების და დაფარვის გაადვილების საშუალებას.

სისტემები პოლიურეთანული ფისის ფუძეზე გამყარების მაღალი ტემპერატურის გამო არ გამოიყენება თერმომგრძნობიარე მასალების დასამუშავებლად. ამჟამად მერქნის ფუძეზე მასალების შესაღებად გამოსადევია თერმოგამყარებული შედგენილობები აფსკრარმომქმნელების შემდეგ ფუძეზე:

- ეპოქსიდის ფისები,  $110-140^0$  C, 10-30წთ. (კონვექციური შრობა; იხ. კონვექციური შრობის დროს);
- ეპოქსიდ-პოლიეთერული ფისები (ჰიბრიდები),  $130-150^0$ C, 3-5წთ. (კონვექციური შრობა);
- აკრილის ფისები,  $130-140^0$ C, 30-40 წთ. (კონვექციური შრობა).

აკრილატის ფისები გლიციდილმეტალაკრილატის ფუძეზე მერქნის მასალების შესაღებად ნაკლებად გამოიყენება, რადგანაც მერქნის მასალებს შეუძლიათ მათთან ურთიერთქმედება. თავის მთავარ გამოყენებას ისინი ნახულობენ საავტომობილო მრეწველობაში, როგორც ატმოსფეროს ზემოქმედებისადმი მდგრადი დამფარავი ლაქები ძალიან კარგი ტექნოლოგიური თვისებებით. აკრილატების უარყოფით მხარეს წარმოადგენს ასეთი აფსკრარმომქმნელების მაღალი ფასი, რაც დამატებით გააძნელებს მათ გამოყენებას მერქნის მასალების გამოყვანისათვის. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ ჩვეულებრივი ფხვნილოვანი შედგენილობების აკრილატის ფუძეზე სისტემებთან ერთობლივი გადამუშავება იწვევს ზედაპირზე დეფექტების წარმოქმნას კრატერების სახით. ამასთან შენახვის დროს აკრილატის ფხვნილების სტაბილურობა შესამჩნევად შეზღუდულია. შენახვის ტემპერატურის გაზრდა  $50^0$ C-მდე სწრაფად იწვევს წებვადობას და კოშტოვანებას. გარკვეული პირობების დროს როგორც შენახვის, ასევე ტრანსპორტირების დროს, აუცილებელია ამ ფხვნილების გაცივება.

დაბალტემპერატურიან ფხვნილოვან სისტემებისათვის კლასიკურ აფსკრარმომქმნელს წარმოადგენს ეპოქსიდები. ფენოლის გამამყარებელთან შეიძლება ისეთი რეცეპტურის შექმნა, რომელსაც ექნება ცხელი შრობის პარამეტრები გამოსაღები მერქნის მასალებზე გამოსაყენებლად. ზედაპირი ფხვნილოვანი დაფარვით აკრილატის ფისების ფუძეზე ძალიან გლუვია და მას გააჩნიამბზინვარების მაღალი ხარისხი. ეპოქსიდის ფხვნილოვანი მასალების დიდ ნაკლს წარმოადგენს მათი მიღრეკილება გაყვითლებისაკენ გადამეტხურების დროს და მისწრაფება „გა-მარჩებისაკენ“. ულტრაიისფერი დასხივების მოქმედება, რომელიც წარმოადგენს მზის სინათლის ნაწილს, იწვევს ზედაპირის გამარჩებას და გაყვითლებას. ამიტომ მათი გამოყენება დეკორატიული მიზნებისათვის შეზღუდულია მხოლოდ შიდა სადგომებით.

ფხვნილოვანი სისტემებისათვის, ეპოქსიდურებთან თანაბრად, გაჯერებული პოლიეთერული ფისები წარმოადგენებს მნიშვნელოვან აფსკრარმომქმნელს. გამოიყენება მაგარი წრფივი ან მსუბუქად განშტოებული პოლიეთერული ფისები  $50^{\circ}\text{C}$ -ზე უფრო მაღალი გამინიანების ტემპერატურით. ეპოქსიდურ ფისებთან შეხამებით ჰიბრიდული სისტემები წარმოქმნიან ოპტიმალურ დაბალტემპერატურიან ნარევს მერქნის მასალებზე გამოსაყენებლად.

გამინიანების ტემპერატურა ფხვნილოვანი ფისებისათვის უნდა იყოს  $50^{\circ}\text{C}$  უფრო მაღალი იმისათვის, რომ ექსტრუდირებული ფხვნილოვანი მასალა წუნდაუდებლად დაიფქვას და შენახვის დროს მოხდეს მისი აგლომერირება (შეცხობა). მეორეს მხრივ, გამინიანების ტემპერატურის გაზრდა იწვევს გალხობის სიბლანტის გაზრდას და, ამრიგად, აძნელებს ექსტრუდერში გადამუშავებას და აუარესებს გალხობის პროცესს.

ნარევში პოლიეთერული და ეპოქსიდური ფისების ოპტიმალური თანაფარდობა შეადგენს 70:30. ასეთი სისტემებით შეიძლება შესრულდეს მოთხოვნებიმსოლოდ ჰიბრიზონტალური ზედაპირებისადმი, მაგრამ არა სამზარეულოს ავეჯის მუშა ზედაპირებისადმი. უპირველეს ყოვლისა კანტების და ნაწიბურების არეში გაშრობის დროს ძალიან დიდია ბზარების წარმოქმნის საფრთხე. დასკოდმის თავიდან ასაცილებლად დაბალტემპერატურიანი ფხვნილოვანი მასალის თბური დამუშავების და გამყარების შემდეგ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს MDF-ფილის წიბოების სიმკვრივის თანაბრობას. ფხვნილოვან სისტემებში გამხსნელების არარსებობის გამო, აფსკრარმომქმნელების მომზადება მათვის უფრო რთულია, ვიდრე ხსნადი მასალებისათვის და დადების ტექნოლოგიებისადმი მოთხოვნებიც მაღალია. აფსკის წარმოქმნა გამყარებად მასალაში გათბობის დროს იწყება ფხვნილის გალხობით და დენადი ემალის შექმნით, რომლისაგანაც შემდგომში ტემპერატურის ამაღლებით, ბადისებრი სტრუქტურის წარმოქმნელი რეაქციის შედეგად, მიიღება დაფარვის აფსკი. ამ პროცესს ახლავს სიბლანტის მრავალჯერადი გაზრდა. სიბლანტის მინიმუმი, როგორც წესი, შეძლებისამებრ უნდა იყოს დაბალი და გამყარების დრო (გელირება) {იხ. გელირება-წარმოქმნის წერტილი, გელი-წარმოქმნის რეაქცია, გელი წარმოქმნა} საკმარისად დიდი, იმისათვის, რომ მოხდეს სუბსტრატის აუცილებელი დასველება. გარდა ამისა, საჭიროა, რომ ჰაერს, რომელიც იმყოფება ფხვნილის შრეში, ასევე აირებს და ფუძეშრის აორთქლებას, ჰქონდეთ გამოსვლის და გალხობილი ფხვნილის განლვრისკარგი შესაძლებლობა.

## 12.2. ულტრაიისფერი დასხივებით გამყარებული ფხვნილოვანი მასალები

ამჟამად უდ-გამყარებული მასალებისათვის შესაძლებელია ლხობის (დნობის) და გამყარების პროცესის დაცალკევება. რადგანაც ფხვნილოვანი ნალხობის (ნადნობის) უდ-გამყარე-

ბისათვის საჭიროა რამდენიმე წამი (დაახლოებით 20), ამიტომ შეიძლება მერქნის სუბსტრატზე სითბური ზემოქმედების შემცირება. თუ არ ხდება გალბობილი ფხვნილის ულტრაიისფერი სინათლით დასხივება, მაშინ არ მოხდება მისი სიბლანტის გაზრდაც. ამრიგად შეიძლება დეგაზაციის და დასკდომის რეგულირება. უდ-ფხვნილოვანი მასალების მნიშვნელოვან ეკონომიკურ ფაქტორს წარმოადგენს აფსკრარმოქმნის პროცესის დაჩქარება. დაბალტემპერატურიან ფხნილოვან მასალებთან შედარებით დრო შეიძლება შემცირდეს 10-დან 20%-მდე. დროის (ხანის) განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს არა გამყარება, არამედ ფხვნილის გალბობა.

უდ-გამყარებული დაფარვის ძირითად კომპონენტებს, ისევე როგორც თერმული გამყარების შედგენილობებისათვის, წარმოადგენს აფსკრარმომქმნელი, შემვსებები, პიგმენტები და ადიტივები, ამასთან ერთად როგორც თხევად უდ-სისტემებისათვის, დამატებით აუცილებელია ფოტო ინიციატორები. ამასობაში განკარგულებაში არის სხვადასხვა აფსკრარმომქმნელები უდ-ფხვნილოვანი სისტემებისათვის. ამ სისტემებმაც, როგორც დაბალტემპერატურიან ფხვნილოვან მასალებმა შენახვის დროს უნდა შეინარჩუნონ სტაბილურობა მინიმუმ  $35-40^{\circ}\text{C}$  ტემპერატურამდე. ნალბობის (დადნობის) სიბლანტე და სტაბილურობა დამოკიდებულია გამინიანების შედგენილობის ტემპერატურაზე. ჩვეულებრივ ხდება კრისტალური და ამორფული ფისების შერევა, იმისათვის, რომ შენახვის დროს გარანტირებული იყოს გალბობილი ფხვნილის დაბალი სიბლანტე და მისი სტაბილურობა. ამორფული ფისები ამასთან უნდა უზრუნველყოფნენ სტაბილურობას, ხოლო კრისტალურები დაბალ სიბლანტეს. რა თქმა უნდა, ფისის კრისტალური ნაწილი ამორფულში განზავებისას გაწევს პლასტიფიცირებულ ქმედებას (იხ. პლასტიფიკატორი), ამიტომ შემკვრელები ერთმანეთთან შეთავსებადი უნდა იყვნენ. ბევრ აფსკრარმომქმნელს აქვს გამინიანების ტემპერატურა 45-დან  $60^{\circ}\text{C}$ -მდე.

იდეალური ფოტოინიციატორი პიგმენტირებულ ფხვნილოვან დაფარვისათვის უნდა ამჟღავნებდეს მაღალ აქტიურობას, არ გაწიოს პლასტიფიცირებული ქმედება და არ წარმოქმნას გახლეჩის დროს აქროლადი პროდუქტები.

არსებობს უდ-ფხვნილოვანი მასალებით მქრქალი და ტექსტურული (იხ. ტექსტურა) ზედაპირების მიღების ზოგიერთი საშუალება:

- სპეციალური დამქრქალებელი საშუალებები უდ-ფხვნილოვანი შედგენილობები-სათვის (მაგალითად, მოკრონიზირებული ცვილი, სფერული ნაწილაკები, იხ. წინსართი);
- სხვადასხვა პიგმენტირებული ფხვნილების მშრალი ნარევები (იხ. პიგმენტი);
- ფხვნილები სპეციალური ფრაქციული შედგენილობით;

- მოკლეტალლიანი დასხივების გამოყენება (ექსიმერული გამოსხივება, იხ. ექსიმერული ლაზერი).

### 12.3. მერქნის და მერქნული მასალების ზედაპირების მომზადება შეღებვისათვის

ელექტროსტატიკური ფხვნილოვანი შეღებვისათვის საჭიროა სპეციფიკური ზედაპირული წინაღობის  $\theta \leq 1010$  ომი და შესაბამისი მოცულობითი წინაღობის  $P \leq 108$  ომი მქონენაკეთობები. მერქანი და მერქნის მასალები ამ მოთხოვნებს შეესაბამება მხოლოდ 7-8% უფრო მეტი ტენიანობის დროს. თუ ტენის შემცველობა ნაკლებია, საჭიროა გამტარობის გაზრდა ზედაპირის სათანადო მომზადების საშუალებით. შემდეგი პრობლემა წარმოიქმნება, როდესაც ფხვნილოვანი მასალის გამყარებისათვის საჭიროა მაღალი ტემპერატურა. ტემპერატურა ყოველთვის უნდა იყოს  $100^{\circ}\text{C}$  უფრო მაღალი. განსაკუთრებით დიდი სიძნელეები წარმოიქმნება წიწვოვანი მერქნისათვის. სუბსტრატის  $50^{\circ}\text{C}$  უფრო მაღალი ტემპერატურის დროს მაშინვე იწყება მერქნის ზედაპირიდან ინგრიდიენტების გამოყოფა.

ნორმალური პირობების დროს ( $23^{\circ}\text{C}$  და ჰაერის ტენიანობა 50%) წონასწორული ტენიანობა შეადგენს 9-10%. დაფარვის აფსკის დაზიანების საფრთხე სუბსტრატიდან წყლის აორთქლების დროს წარმოადგენს სერიოზულ ტექნიკურ პრობლემას. ფოთლოვანი სახეობის მერქანს ეძლევა უპირატესობა, რადგანაც მათ აქვთ მცირე დიამეტრის გაფანტული ფორები. კარგი შედეგი მიიღება წიფელის და მურყანისგრძივი ჭრილებისათვის. პრობლემურ ზონებს წარმოადგენს განვით ჭრილები, ზრდის ანომალიები და მერქნის მეორადი ცვლილება. ფხვნილოვანი მასალებით შეღებვისათვის საუკეთესო თვისებები აქვს გაორთქლილ წიფელს, ის საკმარისად ღარიბია ინგრიდიენტებით, და არ აქვს დიდი ფორები.

ფხვნილოვანი მეთოდით შეღებვისათვის არსებითად უფრო გამოსადგია მერქნის მასალები, განსაკუთრებით საშუალო- და მაღალსიმკვრივიანი მერქანბოჭკოვანი ფილები (MDF და HDF). MDF-ფილას აქვს უპირატესობა, რადგანაც მისი ზედაპირი არის უფრო იზოტროპული (იხ. იზოტროპია), რაც იძლევა ფხვნილოვანი შეღებვისათვის წონასწორული ტენიანობის ადვილად დაყენების შესაძლებლობას 6% დონეზე. ეს წონასწორული ტენიანობა ოდნავ ნაკლებია, ვიდრე საჭიროა ფხვნილოვანი შედგენილობების ელექტროსტატიკური მეთოდით დადების დროს – 7-8%. ფხვნილოვანი დაფარვის გამყარების პროცესში დაბალი ტენიანობის დროს მცირდება ბზარების წარმოქმნის საფრთხე.

MDF - ფილამოტლიანად არ არის უსაფრთხო, რადგანაც ის შედგება 85-95% მერქნის ბოჭკოსაგან და აქვს პიდროფობული თვისებები. შესაბამისად, ჰაერის ტენიანობა ფხვნილოვანი

მასალის დადების დროს დიდ გავლენას ახდენს ელექტრულ თვისებებზე, ასევე ღეგაზაციის პროცესი აფსკის წარმოქმნის დროს. შეღებვის პროცესში მოცულობითი გაჯირჯვების გამო მოსალოდნელია ფილის დასკდომის საფრთხე. თუმცა ფხვნილოვანი შეღებვისათვისგამოსადეგი MDF-მასალები, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ზედაპირის წინასწარ მომზადებაზე და მათი დამზადების პროცესის პარამეტრებზე.

ფხვნილოვანი შეღებვისათვის MDF-სუბსტრატის ვარგისიანობაზე არსებით გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

- მოცულობითი სიმკვრივის განაწილება (სიმკვრივის ცვლილება ზედაპირის პერპენდიკულარული მიმართულებით);
- წებოს შედგენილობა;
- ბოჭკოს სტრუქტურა.

მხოლოდ MDF-ფილასთან ადაპტირებული ფხვნილოვანი მასალების გამოყენების დროს შეიძლება მიღებული იყოს ხარისხიანი დაფარვა ფხვნილის ერთშრიანი დადების დრო. MDF-ფილებისათვის ფხვნილოვანი მეთოდით დამუშავებისას აგრეთვე მნიშვნელოვანი მახასიათებელიაბოჭკოების წვრილი სტრუქტურა.

## 12.4. მერქნის მასალების წინასწარი დამუშავება

წარმოების საიმედობის და ლსმ მინიმალური ხარჯვის უზრუნველსაყოფად საჭიროა დასადები ზედაპირი შეძლებისამებრ იყოს გლუვი. ფხვნილოვანი მასალების გამოყენების დროს MDF-ზედაპირის უხეში სიმქისეების (მიკროუსტორობების) შესწორება შეუძლებელია. ისინი ხელს უწყობენ ე.წ. „ფორთოხლის ქრქის“ წარმოქმნას. ფხვნილოვანი დაფარვის ელექტროსტატიკურმა მეთოდმა წამოჭრა განსაკუთრებული მოთხოვნები ხეხვის პროცესადმი. საჭიროა, რომ ზედაპირზე არ რჩებოდეს მერქნის წაგრძელებული ბოჭკოები, რადგანაც ელექტრული ველის მოქმედებით ისინი „იბურძგნება“ და შემდეგ შეიძლება გამოვიდეს ლსმ აფსკიდან. რაც უფრო წვრილია სახეზი ქაღალდი, მით უფრო გლუვი შეიძლება იყოს დამუშავებული ზედაპირი.

მაღალი ოპტიკური ხარისხის ერთშრიანი ფხნილოვანი დაფარვა მიღება მხოლოდ წუნდაუდებელ გლუვ ფუძეზე. ამასთან MDF-ფილებს აქვთ, მათი მორფოლოგით განპირობებული, გარკვეული შეზღუდვები. ზედაპირის მომზადების მექანიკური პროცესის სახით, განსაკუთრებით MDF-ელემენტების ღრმა ფრეზვისათვის, რეკომენდირებულია თერმული გაუთოება. ისინი, უპირველეს ყოვლისა, გამოიყენება არა მარტო დაფრეზილი პროფილების და ვიწრო ზედაპირების მოსწორებისათვის, არამედ დამატებით მათი გამკვრივებისთვისაც. ამ პროცესის პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ კონტურზე მორგებული ინსტრუმენტის საშუალებით

გახურების და წნევის ერთდროული მოქმედებით ფრეზვის წინა პროცესში მერქნის „აბურმგნული“ ბოჭკოები მიეჭირება გახურებულ პლასტიკურ ფუძეს და მასთან მტკიცედ დამაგრდება. შიდა პროფილებისათვის გამოიყენება პროგრამული ციფრული მართვით საფრეზავი ჩარხები შპინდელის ზედა განლაგებით, გარე პროფილების გაუთოება მაღალი სიჩქარით შეიძლება საფორმატე მანქანებზე. გაუთოება ხორციელდება დაფრეზილ ზედაპირებზე, რომელიც მთლიანად განთავისუფლებული უნდა იყოს მტვრისაგან და ბურბუშელისაგან, რომ არ მოხდეს მათი ზედაპირში ჩაწერა და არ გახდეს დეფექტის გამოწვევის მიზეზი. ზედაპირის გაუთოების დროს ერთდროულად ხდება მათი გამკვრივებაც, რაც ამცირებს სითხის და ფხვნილოვანი მასალის შეწოვას. ეს ამცირებს ლიმ ხარჯს და საწარმოო ოპერაციების საჭირო რიცხვს, აგრეთვე აუმჯობესებს ზედაპირის ხარისხს. ფხვნილოვანი შედგენილობების გამოყენება ნიშნავს დაგრუნტვაზე უარის თქმას და დაფარვის დადებას ერთ შრედ. შემდეგში ეკონომიკის მიღება შეიძლება შუალედურ ხეხვაზე, რადგანაც მცირდება მერქნის ბოჭკოების გასწორება/გაჯირჯვება თხევადი შეღებვის დროს.

MDF-მასალებისათვის გარდა ზედაპირის სიგლუვისა, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მათი ელექტროგამტარობა. იმის გამო, რომ მერქნის გადამუშავების ადგილებში ჭარბობს, როგორც წესი, დაწეული ტენიანობა ( $\leq 45\%$ ), მერქანს და მერქნის მასალებს აქვთ ისეთი დაბალი წონასწორული ტენიანობა, რომ მათი ელექტროგამტარობა არ არის საკმარისი დაფარვის დადების ელექტროსტატიკური მეთოდებისათვის.

უდ-გამყარებული ფხვნილოვანი შედგენილობების გადნობისათვის და გამყარებისათვის უფრო ხელსაყრელია დაბალი ტენიანობა, რადგანაც ამ შემთხვევაში ხდება ბუშტულების წარმოშობის თავიდან აცილება აფსკის წარმოქმნის დროს წყლის აორთქლების გამო. საერთოდ MDF-ფილებს აქვთ ტენიანობა 6-7%. შემკვრელი ნივთიერებები ასევე დიდ გავლენას ახდენენ მერქნის მასალების ზედაპირების ელექტროგამტარობაზე.

იმისათვის, რომ გარანტირებული იყოს ფხვნილოვანი შეღებვის საკმარისად მაღალი საიმედოობა, საჭიროა MDF-ფილის ზედაპირის ელექტროგამტარობის კიდევ უფრო ამაღლება. ამისათვის არსებობს სხვადასხვა მეთოდები:

- ელექტროგამტარობის დროებითი ამაღლება ზედაპირის დატენიანების გზით;
- ელექტროგამტარი პრაიმერების დადება;
- დიელექტრული გახურება მაღალსიხშირული ან მიკროტალლური ველით;
- შეთბობა ინფრაწითელი გამოსხივებით ან კონვექციით;
- ადიტივების გატარების დანამატი MDF-ფილის წარმოების დროს.

წყლით დატენიანების დროს ზედაპირის კიდურ სასაზღვრო ზონებში ან სხვა არეებში გაშრობის მომდევნო პროცესში შეიძლება წარმოიქმნას დაზიანებები. ელექტროგამტარობის ასამაღლებელ აღიტივებს, შეუძლიათ ამ ეფექტის გაძლიერება, განსაკუთრებით საჭიროა ბოჭკოების გაჯირჯვების თავიდან აცილება.

ელექტროგამტარობის ასამაღლებლად შეპყავთ ელექტროგამტარი პრაიმერი, როგორც წესი, შუალედური ხეხვის სტადიაზე დამფარავი შედგენილობის დადების წინ.

საკმაოდ ხანგრძლივი დროით ზედაპირის ელექტროგამტარობის ამაღლების სხვა შესაძლებლობას წარმოადგენს მატარებლის (ფუძის) გახურება ელექტრომაგნიტური ტალღების (მაღალსიხშირიანი ველის ან მიკროტალღური გამოსხივების) ენერგიის მიწოდების საშუალებით. შებსტრატის შიდა და გარე ტემპერატურებს შორის სხვაობა უბიძგებს წყალს ზედაპირისაკენ მიგრაციას. ამის შედეგად ხდება მასალის ზედა, უფრო ცივი შრის გაჯერება, იზრდება მისი ელექტროგამტარობა და აღწევს დადების ელექტროსტატიკური მეთოდისათვის საჭირო მნიშვნელობას.

ამჟამად მრეწველობაში MDF-ფილების ელექტროგამტარობის ასამაღლებლად წარმატებით გამოიყენება გახურების მეთოდი საშუალო ტალღის ინფრაწითელი გამოსხივების საშუალებით, ამასთან ზედაპირის ტემპერატურა არ აღემატება  $90^{\circ}\text{C}$ . წყალი ზედა შრიდან ორთქლდება, ხოლო წყლის მეორე ნაწილი საშუალო ცივი შრებიდან გადაადგილდება ზედაპირისაკენ. დამუშავების შემდეგ ზონაში ზედაპირი ცივდება, ტენი კი კონდენსირდება MDF-სუბსტრატის ზედაპირთან ახლო მდებარე შრებში, რაც იწვევს ელექტროგამტარობის საკმარის გაზრდას.

დღეს ბაზარზე გამოჩნდა MDF-ფილების ახალი თაობა, რომელიც არ ითხოვს ფხვნილოვანი შეღებვისათვის მათ შეთბობას. ამ ფილის მასალაში დამუშავების პროცესში ამატებენ აღიტივს, რომელიც ამაღლებს ელექტროგამტარობას. ამასთანავე მცირდება ზედაპირის მომზადების ეტაპი, რაც შეიძლება მომავალში გახდეს ეკონომიური ალტერნატივა კარგი პოტენციალით.

## 12.5. ფხვნილოვანი დაფარვის დადება და გამყარება

ფხვნილოვანი მასალის დადება ხდება ფხვნილის ნაწილაკების ელექტროსტატიკური დამუხტვის ხარჯზე, სპეციალურ ფხვნილოვან შემსხურებელში, ჩამიწებულ ნაკეთობაზე მათი შემდგომი დალექვით. ელექტროსტატიკური დადებისათვის საჭიროა ძლიერი ელექტრული ველის შექმნა დამუხტული ფხვნილის ღრუბელსა და დეტალის შესაღებ ზედაპირს შორის.

ფხვნილის ნაწილაკებზე ელექტრული მუხტის შესაქმნელად გამოიყენება ორი სხვადასხვა პროცესი:

- ტრიბოდამუხტვა ფხვნილის ხახუნის შედეგად ფხვნილოვანი პისტოლეტის დამუხტვის არხში;
- გვირგვინისებრი დამუხტვა წარმოქმნილი დამუხტული თავისუფალი იონების შედეგად გვირგვინოვანი განმუხტვის ველში.

ტრიბოდამუხტვის დროს ფხვნილის ნაწილაკები ტრიბოპისტოლეტის დამუხტული მიღა-  
კის გასწვრივ ეხახუნებიან დიდი სიჩქარით, რის შედეგადაც იმუხტებიან. ჩვეულებრივი ფხვნი-  
ლის დამუხტვისათვის გამოიყენება ტეფლონი ან მინა, ამ შემთხვევაში ფხვნილი დაიმუხტება  
დადებითად. ტრიბოპისტოლეტი წარმოქმნის ძალიან მცირე ფარადეის ეფექტს და ამ  
ტექნიკისათვის თანაბრად ადვილად მისაღწევი ხდება ნიშები და კუთხეები, რადგანაც ფხვნილის  
მოძრაობის მიმართულებაზე მოქმედებს მხოლოდ ჰარის ნაკადის მიმართულება. ყველა შემკვ-  
რელი ერთნაირად კარგად არ იმუხტება, ამიტომ ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროა დანამატები,  
რომლებიც უზრუნველყოფენ ფხვნილის ტრიბოდამუხტვას.

გვირგვინისებრი განმუხტვის ტექნიკის გამოყენების დროს ფხვნილის ნაწილაკების  
დამუხტვა ხდება მხოლოდ იონების დაბომბვით. მაღალი ძაბვის კასკადის საშუალებით  
წარმოიქმნება 40-დან 100 ათასამდე ვოლტი ძაბვა და მიუწოდება ელექტროდს, სადაც  
წარმოიქმნება იონის აირი, რომელიც წაიტაცება ფხვნილის ნაწილაკებით. ძლიერი ველი ქმნის  
ეფექტურს დამუხტვას და ხელს უწყობს დამუხტული ფხვნილის ნაწილაკები მიმართოს უშუა-  
ლოდ ჩამიწებული დეტალის ზედაპირისაკენ.

იმისათვის, რომ შემცირდეს „ფორთოხლის ქერქის“ ეფექტი, რომელიც მიიღება დეტალის  
ზედაპირის შებრუნებული იონიზაციის დროს, დღეს გამოიყენება გვირგვინისებრი პისტოლეტები,  
შემცირებული იონურობით (გაღარიბებული). მათ უნდა შექმნან ფხვნილის ღრუბელი ჰარის  
თავისუფალი იონების გარეშე. ამის მიღწევა შეიძლება, მაგალითად, დამატებით ჩამიწებული  
ელექტროდის გამოყენებით იზოლირებულ მანძილზე გვირგვინისებრი ელექტროდის უკან.

რეგულირების კარგი შესაძლებლობის, ფხვნილის ქიმიური შედგენილობისაგან  
დამოუკიდებლობის და სუბსტრატის ელექტროგამტარობის (ტრიბოპროცესისაგან განსხვავებით)  
წყალობით დღეს მერქნის მასალების ფხვნილოვანი შედგენილობებით შედებვისათვის ძირითადად  
გამოიყენება ასეთი გაღარიბებული გვირგვინისებრი პისტოლეტები.

ფხვნილოვანი ლაქსალებავი მასალების გადნობისათვის და გამყარებისათვის გამოიყენება  
ორი სხვადასხვა ტექნოლოგია და მათი კომბინაცია:

- კონვექციური გახურება (იხ. კონვექცია);
- ინფრაწითელი დასხივება;
- ინფრაწითელი დასხივების და კონვექციის შეხამება.

თუ გამოიყენება კონვექციური გახურება, მაშინ აფსკში ბუშტულების და კრატერების რაოდენობის შემცირების თვალსაზრისით, სასურველია პროცესი წარიმართოს დაბალი ტემპერატურით მიუხედავად დროის (ხანის) მომატებისა (მაგალითად,  $120^{\circ}\text{C}/20\text{წ.}$ ), ვიდრე უფრო მაღალი ტემპერატურით (მაგალითად,  $140^{\circ}\text{C}/6\text{წ.}$ ). ამასთანავე ფხვნილოვანი მასალა სწრაფად უნდა გახურდეს და გამყარდეს მერქნის ან მერქნის მასალების დაზიანების გარეშე, რისთვისაც უფრო გამოსადეგია ინფრაწითელი გახურების ტექნოლოგია, ვიდრე კონვექციური მეთოდი ცხელი ჰაერის გამოყენებით.

ინფრაწითელი დასხივების ქვეშ ფხვნილოვანი ლსმ გელირება (იხ. გელი-წარმოქმნა) მიმდინარეობს არსებითად სწრაფად, ვიდრე კონვექციური გახურების დროს, და ამიტომ მცირდება სუბსტრატზე თბური დატვირთვა, განსაკუთრებით დაბალდნობადი უდ- და რეაქტიულიდაბალტემპერატურიანი შედგენილობებისათვის. ფხნილოვანი მასალებიძალიან კარგად შთანთქავს ინფრაწითელ გამოსხივებას და ფხვნილის მასის გახურება უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე გახურების ჩვეულებრივი ხერხების დროს. ფხვნილოვანი შედგენილობის გადნობისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელია მოკლე-და საშუალოტალდიანი ინფრაწითელი გამოსხივება (გამჭვირვალე ლაქებისათვის – 2,8-მდე მეტ, პიგმენტირებულისათვის – 3,5-მდე მეტ). მაგრამ მოკლეტალდიანი გამოსხივება არც თუ ისე კარგად აღწევს ზედაპირის პროფილურ ნაწილებში, რადგანაც მისი გამოყენების დროს MDF-ფილის ძირითად ზედაპირის და დაფრეზილ პროფილებს შორის შეიძლება წარმოიქმნას ძლიერი ტემპერატურული გრადიენტი (იხ. კონცენტრაციის გრადიენტი). ამიტომ MDF-ფილების პროფილებისათვის უფრო გამოსადეგია საშუალო და გრძელტალდიანი ან აირკატალიზური შემომსხივარები. პროცესის უმაღლესი სამედოობის მისაღწევად საჭიროა ინფრაწითელი დასხივების კომბინირება კონვექციურ გახურებასთან. ამის შედეგად მიღება გადნობის პროცესის რეგულირებისათვის მეტი თავისუფლების ხარისხი.

თერმორეაქტიული ფხვნილოვანი მასალით შეღებვის ტიპიური პროცესი შედგება სამი სტადიისაგან:

- MDF-ფილის ზედაპირის ყოველმხრივი შეთბობა საშუალოტალდის ინფრაწითელი გამოსხივებით  $90^{\circ}\text{C}$ ;
- შედგენილობის დადება განმუხტვის ან ტრიბოპისტოლეტის საშუალებით პირველი სტადიის შემდეგ 1-2 წთ. განმავლობაში;
- ინფრაწითელი გამოსხივების გამოყენებით დნობა 30-60 წამის განმავლობაში ზედაპირის  $130-150^{\circ}\text{C}$  ტემპერატურის დროს და ამ ტემპერატურის შენარჩუნება

3-5 წთ. განმავლობაში დაფარვის გაკერვისათვის კონვექციური გახურების საშუალებით.

სამწუხაოოდ, ერთშრიანი დაბალტემპერატურიანი ფხვნილოვანი დაფარვის თვისებების სპექტრი ვერ აგმაყოფილებს ავეჯის ზედაპირის ხარისხისადმი წაყენებულ მაღალ მოთხოვნებს. ამისათვის უფრო ვარგისა უდ-ფხვნილოვანი მასალები. უდ-ფხვნილოვანი შედგენილობების დადება ხდება ზუსტად ისევე, როგორც თერმულად გამყარების სისტემებით, უმთავრესად გაღარიბებული იონური განმუხტვის პისტოლეტის გამოყენებით. უდ-ტექნოლოგიის მნიშვნელოვან უპირატესობას ცხლად შრობის ტექნოლოგიასთან შედარებით წარმოადგენს დნობის და შეკერვის პროცესების დაცალკევების შესაძლებლობა. თერმულად გააქტიურებული შეკერვის უქონლობა იძლევა დნობის დიდი ხნით გაგრძელების საშუალებას, რაც აუცილებლად საჭიროა მისი ოპტიმიზაციისათვის. ამასთანავე დნობისათვის საკმარისია 1-3 წუთი  $110^0\text{C}$  ტემპერატურის დროს. ხანმოკლე და ამასთანავე შედარებით უფრო დაბალი ტემპერატურული მოქმედება თერმორეაქტიულ სისტემებთან შედარებით ამცირებს ბუშტების წარმოქმნის საშიშროებას. გადნობის შემდეგ ფხვნილოვანი დაფარვა მყარდება  $30-60$  წამის განმავლობაში ულტრაინფერი საშუალო გამოსხივების ქვეშ. მთლიანობაში დნობის და გამყარების დროს ფილის ზედაპირის ტემპერატურა მხოლოდ მცირე ხნით აიწევა  $130^0\text{C}$ -ზე მაღლა. ულტრაინფერი გამოსხივების შესაფერისი წყაროს შერჩევა ხდება ისევე როგორც თხევად ლსმ.

შეღებვის სტანდარტული პროცესი ხასიათდება შემდეგნაირად:

- წინასწარი გახურების ზონა (ფილის ზედაპირის ტემპერატურა დაახლოებით  $60^0\text{C}$ );
- დაღების ზონა (შრის სისქე  $80-100$  მიკრო მეტრი, იხ. წინსართი);
- დნობის ზონა (ინფრაწითელი და კონვექცია,  $120^0\text{C}$ );
- უდ-ზონა (ვერცხლისწყლის გამომსხივარი, პიგმენტირებული სისტემებისათვის);
- ნაკეთობის გადაძრავების სიჩქარე –  $1,5\text{მ}/\text{წ}$ .

უდ-ფხვნილოვანი მასალების გამოყენების დროს ზედაპირის მიღებული ხარისხი შეედარება მეღამინის ლსმ ზედაპირის ხარისხს.

ავეჯის სამგანზომილებიანი დეტალების შეღებვის ტექნოლოგია საჭიროებს შესაბამის უდ-ტექნოლოგიებს. კრიტიკული არის არა მარტო ვიწრო ზედაპირები, არამედ ჩაღრმავებებიც, სადაც მერქნის მასალების დიდი ფორიანობის შედეგად ფხვნილოვანმა შედგენილობამ შეიძლება შეაღწიოს სუბსტრატის შიგნით და ცუდად შეიკეროს. თხევადი მასალებისაგან განსხვავებით, ფხვნილოვანი სისტემებისათვის აუცილებელია სითბოს მიყვანა დნობის სტადიაზე. ოპტიმალური

ტემპერატურული რეჟიმის დარღვევის შედეგად წარმოქმნილმა დაჭიმვამ შეიძლება გამოიწვიოს განღვრის დეფექტები ნაწიბურზეც.

ნაწიბურზე დეფექტების თავიდან ასაცილებლად, პირველ რიგში, აუცილებელია ულტრაიისფერი დასხივების პროცესის ძალიან თანაბარი წარმართვა, ნაკეთობის მუდმივი მობრუნებით და მისი გადაძრავებით. თუ MDF-სუბსტრატის თვისებები და ტემპერატურის რეჟიმი ერთმანეთში არ არის შეთანხმებული, მაშინ მოსალოდნელია შეღებვის დეფექტების წარმოქმნა. თანამედროვე დანადგარებზე უდ-ფხვნილოვანი მასალებით შეღებვის პროცესის ტექნოლოგიური სიმნელეების გამო, მერქნის ფხვნილოვან შეღებვაში ლიდერობს თერმორეაქტიული მასალები. მაგრამ ამ შემთხვევაში საჭიროა ნაწიბურის დამუშავების ოპტიმიზაცია. აქ ტიპიური დეფექტია ნაპრალების წარმოქმნა. საქმე ეხება ერთშრიან დაფარვას.

MDF-გადარჩეულ სუბსტრაქტებზე პროცესის ოპტიმალური წარმართვით შეიძლება ზედაპირის კარგი ხარისხის მიღება დაბალტემპერატურიანი ფხვნილოვანი შედგენილობით ორშრიანი შეღებვისას. მერქნის მასალების ფხვნილოვანი შეღებვა – თანამედროვე და კომპლექსური პროცესია, რომელიც დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე და საჭიროებს მჭიდრო თანამშრომლობას ყველა დაინტერესებულ მხარეებთან ამ ტექნოლოგიის პრაქტიკაში დასანერგად. ამ ტექნოლოგიის წინ წასაწევად საჭიროა მაღალხარისხიანი ავეჯის ზედაპირების ხარისხისზუსტი ბალანსი, არა მარტო ტექნოლოგიის სფეროში, არამედ ეკონომიკურ კონკურენციაშიც.

## თავი XIII. გამოსაყვანი დეკორატიული ფირის შეღებვა

გამოსაყვანი დეკორატიული ფირი დაფარულია ე.წ. მეორადი დამფარავი აფსკის შრით ან ლაქით ქაღალდის ზედაპირის მექანიკური ან ქიმიური დატვირთვისაგან დასაცავად. ამის შემდეგ ფირი ჩაიწინება მერქანბურბუშელოვან ან MDF-ფილის ზედაპირზე.

საყოველთაო გამოყენების თვალსაზრისით ავეჯის წარმოებაში დეკორატიული ფირები მიეკუთვნება უმნიშვნელოვანება დამფარავ მასალას.

ევროპა, აზიის კვალდაკვალ, არის დეკორატიული ფირების (იმპრეგნატების და პრედიმპრეგნატების) მნიშვნელოვანი მომხმარებელი, რომელიც იყენებს უმთავრესად თხელ ქაღალდს (LBWP). დეკორატიული ქაღალდი აგრეთვე გამოიყენება მელამინის ფისების, კანტების, ლამინატების დასამზადებლად.

### 13.1. დეკორატიული ფირისათვის ქაღალდის ფუძე

დეკორატიული ფირებისათვის ქაღალდი არის მაღალტექნოლოგიური პროდუქტი. ის შედგება გადარჩეული ბოჭკოსაგან, ჰიგმენტებისაგან და განსაზღვრული ქიმიური დანამატებისაგან (მაგალითად, დასველებადი საშუალებები). ამასთან ერთად ქაღალდში არსებობს სხვადასხვა სახის სიცარიელე, კაპილარები, ფორები და არხები. ამ სიცარიელებს შეუძლია დაიკავოს ქაღალდის მოცულობის 50%-მდე და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქაღალდის ისეთ თვისებებზე, როგორიც არის ფისების შეწოვა და შეღწევადობა. დეკორატიული ქაღალდის დამზადებისათვის გამოიყენება მოკლე და გრძელი ბოჭკოები. გრძელი ბოჭკოები აუმჯობესებენ **სიმტკიცეს** გაწყვეტაზე (იხ. სხეულის სიმკვრივე) და წინააღმდეგობას ბზარების გადიდებისადმი. ჩალის ცელულოზის ბოჭკოს დანამატი მნიშვნელოვნად აღიდებს მდგრადობას განშრევებისადმი. გამოყენების სფეროზე დამოკიდებულებით არსებობს სხვადასხვა ზედრითი წონის ქაღალდის ფუძეები.

დეკორატიული ქაღალდის გაუღენთა (იხ.დეკორატიული ქაღალდის გაუღენთა). ქაღალდის გაუღენთა ემსახურება მის მექანიკურ განტკიცებას და ამაღლებს ქაღალდის მდგრადობას დასკდომისადმი. დეკორატიული ქაღალდის ხარისხზე და თვისებებზე,გარდა გაუღენთისა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს **ცელულოზის** შერჩევა, ნედლეულის გაწმენდა და წარმოების პარამეტრები. ქაღალდის განშრევებისადმი მდგრადობა განისაზღვრება ბოჭკოების შეჭიდულობის ძალით, გამუღენთი ფისების ხსნარის შედგენილობით, გაუღენთის პროცესის პარამეტრებით და ა.შ.

გაუღენთის პროცესის ტიპისაგან დამოკიდებულებით ასხვავებენ დეკორატიულ ფირებს მთლიანი, გაუჟღენთავი გულგულით (offline-პროცესი) და დეკორატიულ ფირებს **პრედიმპრეგნატის** ფუძეზე (online-პროცესი), რომელზეც შემდგომში შეიძლება საბოლოო დაფარვის დადება. ასე ღებულობენ დეკორატიულ გამოსაყვან ფირებს, რომელიც წარმოადგენს მზა ზედაპირს.

**იმპრეგნატი.** თავდაპირველად **იმპრეგნატის** წარმოების მრავალსაფეხურიანი პროცესის შედეგად მიიღება საწყისი ქაღალდი. ამის შემდეგ ქაღალდზე ხდება ნახატის დაბეჭდვა და/ან ის მაშინვე მიეწოდება მომხმარებელს. მეორე სტადიაზე ღრმა ბეჭდვის მეთოდით ქაღალდზე ღებულობენ შესაბამის ნახატს. შემდეგ, დეკორატიული ფირის წარმოების პროცესის მესამე ეტაპზე დაბეჭდილი ქაღალდი მუშავდება ფისების ნარევით გასაჟღენთ ხაზზე ქაღალდის ლენტის ფისების ხსნარების რეზერვუარში გაწელვით და ორმაგი **რაკელით** ხდება გაუღენთის სიჭარბის გაწმენდა. ამის შემდეგ მოდის უძრაობის უბანი, იმისათვის რომ რეზერვუარში მყოფი ფისები შეიწოვოს ქაღალდის სისქეში.

ჩვეულებრივ გამყარება და შრობა ხორციელდება საშრობში  $140\text{--}180^{\circ}\text{C}$  დროს, აღჭურვილი ცხელი ფრქენებით, რაც უზრუნველყოფს უკონტაქტო შრობას. პრედიმპრეგნატონ შედარებით, იმპრეგნატი შეიცავს უფრო გრძელ ბოჭკოებს და, ამიტომ, ის გაუღენთის პროცესში საჭიროებს უფრო მეტი ხარისხით გაფისვას განშრევებისადმი მდგრადი დეკორატიული ქაღალდის მისაღებად. პრედიმპრეგნატის განშრევებისადმი მდგრადობა მიიღწევა პატარა და თხელი ბოჭკოებით. პრედიმპრეგნატისაგან განსხვავებით, იმპრეგნატს აქვს ჰაერის მაღალი შეღწევადობა, ზედაპირის უმნიშვნელო შემჭიდროება, ისინი შედარებით მყიფეა, შეიცავს ქაღალდის დიდ წილს და გლუვია მხოლოდ ერთი მხრიდან.

პრედიმპრეგნატების და იმპრეგნატების პრინციპული განსხვავება წარმოიშობა იმ მომენტში, როდესაც იწყება გაუღენთის პროცესი.

პრედიმპრეგნატები. პრედიმპრეგნატის ქვეშ მხედველობაში აქვთ დადების წინ გაუღენთილი ნახატი და საბოლოოდ შედებილი დეკორატიული ქაღალდი. დეკორატიული ფირი პრედიმპრეგნატის ფუძეზე უკვე ქაღალდის გამყოფი აგრეგატის შიგნით უშუალოდ ფურცლის ფორმირების და შრობის შემდეგ, იქლენთება ფისის ნარევით ქაღალდის ფუძის ზედაპირული მასის შესაბამისად. შრობის და გაუთოების დროს ხშირად ქაღალდის გამყოფი აგრეგატის შიგნით საჭდენთი ფისები ქაღალდთან უნდა რეაგირებონ უნდა (ქიმიური შეკვრა), განშრევებისადმი მდგრადი ქაღალდის მისაღებად. ამგვარად, გარანტირებულია, რომ შემდგომი ოპერაციების შედევად არ მოხდება დეკორატიულ ქაღალდში ბოჭკოების დაშორება. პრედიმპრეგნატები მომდევნო გადამუშავებისათვის უნდა შეესაბამებოდეს მთელ რიგ მოთხოვნებს: მათ უნდა ჰქონდეთ შეკვრის მაღალი უნარი და ზედაპირის დამუშავების სისუფთავე, უნდა იყოს ვარგისი ღრმა როტაციული ბეჭდვისათვის და გალაქვისათვის, ჰქონდეს სიბრტყეზე კარგი დაწოლა ან მერქანბურბუშელოვან ან MDF-ფილებზე კარგი მიწებება.

პრედიმპრეგნატში ფისების რაოდენობა შეიძლება შეაღენდეს  $5\text{--}35\%$ -მდე. კლასიკური საუღენთი ფისები (კარბამიდული ან მელამინური) უფრო ღრმად აღწევს ქაღალდის ფუძეში, ვიდრე წყალში ხსნადი პოლიმერული დისპერსიები. ქაღალდის ზედაპირის სიგლუვეს და შემჭიდროებულობას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა კარგი ბეჭდვისათვის და დამფარავი ლაქის დადებისათვის.

პრედიმპრეგატებს წაეყენება სხვადასხვა მოთხოვნები:

- ვიზუალური ასპექტი;
- ფორმალდეპიდის ემისიის დაცვა;
- შესაღებ საბეჭდ მანქანებში გადახვევის კარგი უნარი;

- ბეჭდვის ვარგისობა: გლუკი გარე ზედაპირი, დასველებადობასაბეჭდი საღებავებით;
- შეღებვის ვარგისობა: ზედაპირის შესაფერი დაჭიმულობა, თანაბარზომიერი გაუღენთა, განსაზღვრული შეწოვის უნარი, ფორიანობა;
- მიწებების ვარგისობა: შეთავსებადობა სხვადასხვა მწებავ შედგენილობებთან, შებრუნებული პირის სიმქისე, შეწოვის უნარი, წყლის წებოს დასველებადობა, ზედაპირთან კარგი მიმიჯვნა;
- ვარგისობა შემდგომი გადამუშავებისათვის (მდგრადობა განშრევებისადმი).

### **13.2. ლაქსალებავი მასალები დეკორატიული ფირების გამოყვანისათვის**

გამოყენებულ ლსმ უწოდებენ მეორად დამფარავ შრეს ან ფინიშ-ლაქს. ლაქის აფსკის გამყარებული ზედაპირის ხარისხის მოთხოვნებისაგან დამოკიდებულებით, ასხვავებენ რეზისტერულ (მედეგს) და მაღალმედეგ გამოსაყვან დეკორატიულ ფირებს. ევროპაში დომინირებს წყლით განზავებული მჟავაგამამყარებელი ლაქის სისტემები. ჩრდილოეთ ამერიკაში, პირიქით, გამოიყენება ორგანულ გამხსნელებში ხსნადი მჟავაგამამყარებლები, ასევე ულტრაიისფერი დასხივებით და ელექტრონული გამოსხივებით გამყარებული სისტემები თანაფარდობით 1:1. აზიაში ჭარბობს ორგანულ გამხსნელებში ხსნადი ორკომპონენტიანი პოლიურეთანული სისტემები.

დეკორატიული ფირების გამოყენების დროს დამფარავი ლაქის თვისებები განსაზღვრავენ ავეჯის ზედაპირის ხარისხს. გამოიყენება გალაქტის შემდეგი ტექნოლოგიები.

**ნიტროცელულოზის ლაქები.** პირველი ლაქები დაფარვის აფსკის გამოყვანისათვის შედგენილი იყო ნიტროცელულოზის ფუძეზე. ორგანული გამხსნელების მაღალი შემცველობისა და არასაკმარისი ქიმიური და მექანიკური მედეგობის გამო, დღეს მათ არა აქვთ არსებითი მნიშვნელობა. ნიტროცელულოზის მასალების ნაკლს წარმოადგენს გათბობისადმი დაბალი მედეგობა, რაც არ იძლევა მოკლეტაქტიან წნევებში  $80^{\circ}\text{C}$  უფრო მაღალ ტემპერატურაზე მათი გადამუშავების საშუალებას. დღეს აზიაში ნიტროცელულოზის ლაქები გამოიყენება ქაღალდის ფირების დაგრუნტვისათვის.

**პოლიეთერული მასალები.** დღეს უკერ პოლიეთერულ მასალებს აგრეთვე არა აქვთ მნიშვნელობა დეკორატიული ფირების დამუშავებისათვის. შედგენილობისაგან დამოკიდებულებით უკერ პოლიეთერულ მასალებს ქიმიური გამყარების დროს (რადიკალური პოლიმერიზაცია) აქვთ მიღრებილება გაშრობისაკენ (იხ. პოლიმერიზაციის ხარისხი რადიკალური და იონური რეაქციების გარებაზე დამუშავებისათვის).

**ბი, რადიკალი).** ამასთან ერთად დაფარვას აქვს მიღრეკილება გაყვითლებისაკენ. გამზსნელების შემცველი პროდუქტების მცირე რაოდენობის გარდა სპეციალური ამოცანებისათვის გამოიყენება წყალში ხსნადი მასალები ელექტრონული გამოსხივებით თუ გასამყარებელი მასალები.

**მუავაგამამყარებელი ლაქსალებავი მასალები. დღეს ევროპის ბაზარზე ფირებისდეკორატიული დაფარვისათვის დომინირებს წყლის მუავაგამამყარებელი სისტემები. პირველად წყლის დამფარავი მასალები ბაზარზე გამოჩნდა 1970 წლის დასაწყისში. საქმე ეხება ორკომპონენტიან სისტემებს შარდოვანას და/ან მელამინის ფისების ფუძეზე და მუავაგამამყარებლებს. ამინის ფისებისათვის რეაქციის პარტნიორის სახით გამოიყენება წყალში ხსნადი, პიდროქსილის ჯგუფის შემცველი მარტივი და რთული ეთერები, წყლის აკრილატის დისპერსია და ა.შ. ფუძე, გამამყარებელი და წყლის რაოდენობა განსაზღვრავს ლსმ მუშა სიბლანტეს (იხ. შიდა ხახუნი (სიბლანტე)).**

წყალში განზავებულ მუავაგამყარებულ ლაქებს აქვთ დიდი სიცოცხლისუნარიანობა, მაღალი რეაქტიულობა და ფართოდ გამოიყენება დეკორატიული გამოსაყვანი ფირების ზედაპირის მაღალი ხარისხით წარმოებისათვის.

**ორკომპონენტიანი პოლიურეთანული ლაქები.** ორკომპონენტიანი პოლიურეთანული შედგენილობები დეკორატიული გამოსაყვანი ფირების დამუშავებისათვის ძირითადად გამოიყენება აზის ქვეწნებში. ეს ე.წ. თხელი ქაღალდია ან იაპონიის კილიტა. ორკომპონენტიანი ლაქები გამოირჩევა მაღალი შეუძლის უნარით, კარგი ქიმიური მდგრადობით და კარგი ადჰეზიური თვისებებით. შედგენილობისაგან და გამამყარებელი კომპონენტებისაგან დამოკიდებულებით მათ შეუძლიათ არასასურველი, ელასტიური და მაგარი ზედაპირების წარმოქმნა. მუშა ხსნარში არააქროლადი კომპონენტების წილი, გამამყარებლის და განმზავებლის ჩათვლით შეადგენს 30-50%. შრობის და გამყარების (პოლიმიერთების) დიდი ხანგრძლივობის გამო ორკომპონენტიანი-პოლიურეთანული მასალების გამოყენება შეიძლება შესაღებ ხაზებზე სიჩქარით 50-100გ/წ. ამის შემდეგ შეღებილი ქაღალდის რულონებს აწყობენ ცალკე საშრობ შენობაში 40-50°C ტემპერატურით 48-72 საათის განმავლობაში, რომ დასრულდეს ქიმიური გამყარების პროცესი.

**წყალში ხსნადი მასალები.** ერთკომპონენტიანი წყალშისხნადი ლაქები გამოიყენება, მაგალითად, ქაღალდის უკანა მხარის დასამუშავებლად. ისინი ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ შეიძლებოდეს მათი გამოყენება ქაღალდის გაუღენთისათვის და ელასტიკურობის მინიჭებისათვის. ამასთან მათ შეუძლიათ შეამცირონ ქაღალდის შემწოვი უნარი. უპირატესობა იმაშია, რომ ქაღალდის პირის ფინიშური დამუშავების დროს გამოიყენება უფრო ნაკლები დამფარავი ლაქი, ზედაპირის კარგი ხარისხი კი შენარჩუნებულია. ჩვეულებრივ საუბარია თვითშემკერ აკრილატის

დისპერსიებზე ან პოლიურეთანულ დისპერსიებზე. ამ შედგენილობების ქიმიური მედეგობა თერმულ და მჟავაგამამყარებელი წყლის მასალებთან შედარებით მნიშვნელოვნად მცირეა.

**ულტრაიისფერი დასხივებით/ელექტრონული გამოსხივებით გამყარებული მასალები.** დეკორატიული ფირების შეღებვის პროცესში დიდი დანახარჯების ზეგავლენით შეიმჩნევა წყლის მჟავაგამამყარებელი მასალების მაღალი ტემპერატურით გამყარების გამოყენების მნიშვნელოვანი შემცირება. ასეთი მასალებისათვის მბზინვარების მაღალი ხარისხის რეალიზება შეიძლება მხოლოდ ორ- ან სამშრიანი დაფარვით. ულტრაიისფერი დასხივებით და ელექტრონული გამოსხივებით გამყარებული შედგენილობების მისაღებად გამოიყენება ის ძირითადი ნივთიერებები, რომლებიც მერქნისათვის ლსმ კლასიკური ულტრაიისფერი დასხივებით გამყარების დროს. ფოტოინიციატორი მიეწოდება ცალკე, იმისათვის რომ მისი რაოდენობა დაკავშირებული იყოს წარმოების შესაბამის პირობებთან. ულტრაიისფერი დასხივებით გამყარებულ დამფარავ ლაქებს აქვთ მკვეთრი ძლიერი სუნი. მისი თავიდან აცილება შეიძლება მხოლოდ ულტრაიისფერი დასხივებით გამყარების პროცესიდან პარის უანგბადის გამორიცხვით.

ზოგადად უანგბადის თანდასწრებით ულტრაიისფერი დასხივებით გამყარებულ დამფარავ ლაქებს აქვთ ნაკაწრისადმი უმცირესი მდგრადობა, ვიდრე იმავე ლაქებს გამყარებულს ატმოსფეროს პროცესში უანგბადის შედგენილობის გამორიცხვის ან შემცირების პირობებში.

ქაღალდის დამუშავებისათვის ზუსტად ასევე გამოიყენება სისტემები, გამყარებული ელექტრონული გამოსხივებით, რომელთა გამყარება შეიძლება მხოლოდ ინერტული აირის ატმოსფეროში.

უანგბადის უქონლობის შემთხვევაშიულტრაიისფერი დასხივებით და ელექტრონული გამოსხივებით გამყარებულ დაფარვას მჟავაგამამყარებელ სისტემებთან შედარებით აქვს შემდეგი უპირატესობები:

- ფორმალდეპიდის ემისიის ან სხვა ნარჩენი ემისიის უქონლობა (დამატებით იხ. ემისიის ტიპები);
- მუშა ხსნარში მაგარი ნივთიერებების(არააქროლადი კომპონენტების) ძალიან მაღალი შემცველობა, შესაძლებელია 100 პროცენტამდე;
- რეცეპტურები შეიცავენ ორგანული გამხსნელების ძალიან მცირე წილს;
- შესაძლებელია წარმოების მაღალი სიჩქარე ( $>200$  მ/წთ);
- შეღებვის კომპაქტური ხაზები შრობის ზონის უქონლობის ხარჯზე;
- ბზინვარების მაღალი ხარისხის მიღწევის სიმარტივე;
- ზედაპირის მდგრადობა ნაკაწრებისადმი;
- უკეთესი მედეგობა ქიმიური ნივთიერებების მოქმედებისადმი.

მქრქალი დაფარვის (მბზინვარების ხარისხი <5,60<sup>0</sup>კუთხის დროს) მიღების თავდაპირველი პრობლემის გადაწყვეტა შეიძლება ექსიმერული გამოსხივების (ფიზიკური დამქრქალება) გამოყენების ან რეცეპტურის ოპტიმიზაციის დროს (იხ. ექსიმერული ლაზერი).

გამოსხივებით გამყარებული დამფარავი ლაქების ნაკარისადმი კარგი მდგრადობის შესამჩნევად მომატება შეიძლება დაფარვაში ნანო- და მიკრო ნაწილაკების ჩაშენებით (იხ. წინ-სართული). სპეციალური პროცესებით მოხერხებული ხდება არაორგანული ნაწილაკების იმგვარი მოდიფიცირება, რომ მათ შეძლონ გახდნენ აფსკრარმომქმნელის ქიმიური შემკვრელის ნაწილი და შეადგინონ წონის 50%-მდე.

### 13.3. დეკორატიული ფირების ტვიფრა

დეკორატიული ფირების ტვიფრის ქვეშ იგულისხმება მერქნის ნატურალური ფორმანი სტრუქტურის პირის გადაღება. ეს შეიძლება განხორციელდეს მექანიკური ან ფიზიკო-ქიმიური გზით.

**მექანიკური ტვიფრა.** მერქნის ფორების პირის გადაღების ეფექტი შეიძლება განხორციელდეს სტრუქტურული საწნევი ფურცლებით ან ფურცლებით მერქნის სტრუქტურით. ამ მეთოდის სრულყოფამ გამოიწვია დანადგარების შექმნა კალანდრაზე ტვიფრის გამოყენებით.

მექანიკური დატვირთვის დროს გაწყვეტის თავიდან ასაცილებლად, განსაკუთრებით კი სქელ ქაღალდზე, საჭიროა ტვიფრის წინ დეკორატიული ფირის დასველება. ფორების შექმნის კლასიკური მექანიკური ხერხის დიდ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ ნატვიფრი და დაბეჭდილი ფორები ყოველთვის ერთმანეთს არ ემთხვევა. ახალი მეთოდის გამოყენების დროს, მაგალითად, ოპტიკურის (საკამერო), შესაძლებელი გახდა რელიეფის ტვიფრა იმ ადგილებში, სადაც ისინი უნდა იმყოფებოდნენ ნატურალურ მერქანზე. ამ შემთხვევაში საუბარია „სინქროფორებზე“.

**ფიზიკო-ქიმიური ტვიფრა.** დეკორატიულ ფირზე მერქნის ნატურალური რელიეფური სტრუქტურის იმიტაციისათვის, დამუშავებულია ახალი თაობის წყლის დამფარავი სისტემები (მუვაგამამყარებელი ლაქები). მათ უწოდებდნენ რელიეფურ ლაქებს ან დამფარავ ლაქებს სინქროფორების ეფექტით. ამ შემთხვევაში საუბარია ქიმიურ რელიეფზე ან რეალურ რელიეფზე, რომლებიც წარმოიქმნებიან გამოყენებული ლსშ ზედაპირული დაჭიმულობის სხვაობის შედეგად. ჩვეულებრივ გამოიყენება საბეჭდი საღებავი, რომელიც შეიცავს სპეციალურ სილიკონის ზეთს. საბეჭდი საღებავის (ხის სტრუქტურის) დადების შემდეგ ხდება შესაბამისი დამფარავი ლაქის დადება. საღებავის და ლაქის ზედაპირული დაჭიმულობის სხვაობის გამო საღებავის დაგროვების ადგილებში ზედაპირი ლაქით არ სველდება.

კლასიკური მექანიკური ტვიფვრისაგან განსხვავებით ფიზიკო-ქიმიური ტვიფვრის უპირატესობას წარმოადგენს აბსოლუტური შეთანხმებულობა ნაბეჭდის (მერქნის ფორების იმიტაციას) და ფოროვანი ზედაპირის ეფექტს (სინქროფორების) შორის. ფიზიკო-მექანიკური მეთოდით შექმნილი ფოროვანი სტრუქტურა წარმატებით გამოიყენება ბეჭდვის დარგში და ბურბუშელოვანი და კარკასული (შემსუბუქებული) ფილების შესაღებად, რადგანაც ამ ხერხით მიღწეული სურათი უფრო რეალისტურია, ვიდრე მექანიკური ჩერხით მიღებული.

კალანდრირების ძირითად განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს კალანდრით გახურებულ კონტაქტურ პროცესში შეშრობილი ლაქიანი ფირის ქიმიური გამყარება. ამისათვის გამოიყენება მაღალკონცენტრირებული მჟავაგამამყარებელი ლაქები (გამჭვირვალე), ფირებისათვის გამოყენებული მჟავაგამამყარებელი ლაქების ანალოგები. მაგარი ნივთიერებების შემცველობის მქონე სისტემების დადება ხდება ვალცებით, ხშირად მრავალგზის. დადების შემდეგ ხორციელდება შრობა/პრედკონდენსაცია ჰაერ-ორთქლოვანი ფრქვევანა შრობის  $30-100^{\circ}\text{C}$  დროს ან დაახლოებით 5 წამით ინფრაწითელი შრობის (მოკლეტალდური ინფრაწითელი გამოსხივება) მოწყობილობაში. საბოლოო გამყარება შუალედური ხეხვის გარეშე ხორციელდება ორმაგ ან სამმაგ კალანდრაზე (ტემპერატურა  $190^{\circ}\text{C}$ ) წნევის ქვეშ. ერთდროულად, გამყარებასთან ერთად მოხდება ზედაპირის გაუთოვება, თანაც მერქნის ბოჭკოები ჩაიჭედებიან ლაქის ზედაპირში, რაც იძლევა შუალედურ ხეხვაზე უარის თქმის საშუალებას. შეღებვის და შუალედური შრობის ოპერაციების ერთმანეთთან თანმიმდევრული გაერთიანებით შესაძლებელია ნაკაწრისადმი ძალიან მდგრადი მაღალხარისხიანი ზედაპირების მიღება. კალანდრიდან გამოსული სიბრტყეები შეიძლება დაიკეცოს. მეთოდის მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს აგრეგატის გამარტივება, წარმოების დანახარჯების შესამჩნევი შემცირება და გარემოსათვის ხელსაყრელი წყლის მასალების გამოყენების საშუალება. პროცესის გამოყენება შეიძლება პანელების, კანტების, კარების ჩარჩოების და ავეჯის შეღებვისათვის.

## თავი XIV. მერქნის და მერქნული გასაღების მომზადება

დაფარვის დადების წინ საჭიროა მერქნის და მერქნული მასალების ზედაპირების დამუშავება დეფექტების აღმოსაფხვრელად და მისი შეღებვის მოსამზადებლად. მერქნის და მერქნული მასალების სახეობიდან, მათი მომავალი გამოყენების სფეროებსა და შესაბამის მოთხოვნებზე დამოკიდებულებით ზედაპირების შეღებვის მოსამზადებლად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები:

- დახერხილი ხე-ტყის მასალის შრობა;

- ხეხვა/გაუთოება/გაწმენდა ჯაგრისით (იხ. მერქნის და მერქნული მასალების ხეხვა);
- გაუფისურება და/ან გამოჟონილი წებოს მოცილება;
- გათეთრება;
- ჩარეცხვა (გამორეცხვა).

**ფისის** მაღალი შემცველობის მქონე მერქანი შეღებვის წინ უნდა გაუფისურდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ფისმა მომავალში შეიძლება ზედაპირზე გამოჟონოს. ჰაერზე შრობის შემდეგ ზედაპირს ამჟავებენ თხელი სახესი ქაღალდით. პრაქტიკაში არ ხდება მერქნის მასივების გაუფისურება, მაგალითად, ფიჭვის. მაგრამ მწებავი ნივთიერებები და წებოს ნარჩენები ზედაპირზე ბეიცებით დამუშავების დროს შეიძლება გახდნენ ისეთი დეფექტების მიზეზი, როგორიც არის თეთრი ლაქები ან აშრევება (იხ. თეთრი ფერი). ამიტომ მწებავი ნივთიერებების ნარჩენების მოცილება უნდა მოხდეს წებოს ტიპებზე დამოკიდებულებით სხვადასხვა ორგანული გამხსნელების დახმარებით.

**ხეხვა.** მერქნის ჰიგროსკოპულ თვისებებზე დამოკიდებულებით მერქნის ბოჭკოები შეიწოვს დაღებულ ლაქსალებავ შედგენილობას მის სრულ გავერებამდე. ამის შემდეგ ხდება ბოჭკოების გაჯირჯვება და ჯაგარის სახით ზედაპირიდან გამოსვლა, რაც ხელს უშლის მათ შეღებვას. ამ მიზეზის გამოუშუალოდ შეღებვის წინ, მერქნის ყველა მასალას უნდა ჰქონდეს უფრო გლუვი და სწორი ზედაპირი. რაც უფრო წმინდაა ხეხვა, მით უფრო ნაკლებია ბოჭკოების წამოყენების საფრთხე და მით უფრო ეკონომიურად შეიძლება განხორციელდეს შეღებვა. ამასთან ხეხვა გამოსაღებია დეტალების საჭირო ზომაზე მორგებისათვის (საკალიბრებელი ხეხვა), ნაკაწრების, ჩამონახეთქების, წებოს კვალების და ზედაპირის სხვა დეფექტების მოცილებისათვის, ასევე ფუძეს და დაფარვას შორის ან დაფარვის ორ შრეს შორის (შუალედური ხეხვა) შეჭიდულობის ამაღლებისათვის.

ასხვავებენ ხეხვის შემდეგ სახეებს:

- საკალიბრებელი ხეხვა (მასიური მერქნის და მერქნული მასალების უხეში ხეხვა, მწებავი ნივთიერებების ნარჩენების მოცილება);
- წინასწარი ხეხვა (მასიური მერქნის, ფანერის და მერქნის ფილების ზედაპირების წმინდა ხეხვა);
- ხეხვა შეღებვის წინ და შუალედური ხეხვა (ფუძის სწორი ზედაპირის შექმნა სიმქისის მოშორება, ზედმეტი ლაქსალებავი მასალის მოცილება);
- გამოსაყვანი ხეხვა (ზედაპირის საბოლოო გამოყვანა).

ბურბუშელის მომჭრელი, სახეხი მარცვლები, რანდის მსგავსად, მასალაში ჩაიძირება და ჭრის მოძრაობით აცლის შრეს, რომელიც გადმოცვივდება სახეხი მტვრის სახით. რადგანაც სახეხი საჭრისების გეომეტრია ზუსტად არ არის განსაზღვრული, უნდა ითქვას რომ ხეხვა-ჭრის პროცესია საჭრისის გაურკვეველი გეომეტრიით. მასალასა და მის გეომეტრიაზე დამოკიდებულებით ასხვავებენ:

- ბრტყელ ხეხვას: განიერი ზედაპირების ხეხვა/ვიწრო ზედაპირების ხეხვა;
- პროფილურ ხეხვას;
- წვრილი დეტალების ხეხვას.

#### სახეხი საშუალებები და მათი მატარებლები.

მერქნის სახეხი მასალებისათვის ფუძე-მატარებლის სახით გამოიყენება ქაღალდი, ქსოვილი და მათი შეხამება. გამოყენებული ქაღალდის სიმკვრივე, როგორც წესი შეადგენს 180-300გრ/მ<sup>2</sup>. ქაღალდის სიმკვრივის გადიდება იწვევს მისი ღუნვაზე სიმაგრის და სიხისტის გაზრდას. სახეხი ქაღალდი გამოირჩევა მცირე წაგრძელებით, თანაბარი ზედაპირით და შედარებით დაბალი ფასით. ქაღალდის ძირითად ნაკლს წარმოადგენს მისი ჰიგროსკოპულობა. ტენიანობის ცვლილების მოქმედებით მას შეუძლია გაჭიმვა და შეკუმშვა, რაც უთუოდ გავლენას მოახდენს მის მოძრაობაზე საპრიალებელ მანქანაში.

ქსოვილის მატარებლები გამოირჩევიან სიმტკიცით, ღუნვის დროს – ელასტიურობით. ბოჭკოვან მასალად შეიძლება იყოს ქსოვილი ან ბამბა. განსაკუთრებულ შემთხვევებში გამოიყენება მმიმე ქსოვილის მატარებლები სიმკვრივით 1000გრ/მ<sup>2</sup> უფრო მეტი.

მათ აქვთ ძალიან მაღალი სიმტკიცე გაწყვეტაზე და სიხისტე ღუნვის დროს. ქსოვილის მატარებლები გამოირჩევიან ბზარების გამოჩენისადმი და გაზრდისადმი მაღალი მდგრადობით და შეუგრძნობელია ტენის რყევისადმი. MDF- უგრძნობიადა ბურბუშელოვანიფილების ხეხვის დროს განსაკუთრებული ხისტი მექანიკური პირობების შემთხვევაში გამოიყენება ქაღალდის და ქსოვილის მატარებლების შეხამება.

მატარებლის ფუძეზე ხდება სახეხი მასალის მარცვლების გაფანტვა და მათი დამაგრება თანამედროვე ფისების ან წებოების საშუალებით. მთლიანი მერქნის დამუშავებისათვის გამოსადეგია კორუნდი, ხოლო დაფარვის და მერქნის ფილების ხეხვისათვის გამოიყენება სილიციუმის კარბიდი. კორუნდის განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს ცირკონკორუნდი. ეს სახეხი მასალა გამოირჩევა მაღალი წელვადიბით. ხის დამუშავების მრეწველობაში ის გამოიყენება მერქნის მასივების, დიდმწარმოებლური ხეხვისათვის, განსაკუთრებით კი პარკეტის ხეხვისათვის. შედარებით ახალ დამუშავებას წარმოადგენს კერამიკული მასალები მჭრელი მარცვლებით. ყველა სახეხი მასალებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას წარმოადგენს

გამოყენებული მარცვლების ზომები და მათი გაფანტვა სიმკვრივის მიხედვით. სახეხი მასალები მარცვლების ზომების მიხედვით დაიყოფა მაკრომარცვლებიანად და მიკრომარცვლებიანად. სახეხი მარცვლების სხვადასხვა სახის გაბნევით მიღლება სხვადასხვა სიმკვრივის მასალა. ზედაპირის სახეხი მასალების ფუძე-მატარებელზე გაბნევის სახეებია: შსუბუქი ღია, ფართო, ღია და მჭიდრო. ბევრ შემთხვევაში, განსაკუთრებით წვრილი მარცვლებისათვის გამოიყენება მჭიდრო, თითქმის ზედაპირის 100%-იანი დაფარვა, დანაყარი. ფისებით მდიდარი მერქნის ხეხვის დროს უკეთესია სახეხი მასალის გამოყენება ზედაპირის მარცვლებით არა უმეტესი 60% შევსებით, რათა თავიდან აცილებული იყოს სახეხი ლენტის მეტისმეტი გადახურება.

ხეხვის პროცესში დენის ცუდ გამტარ მასალებზე, მათ რიცხვში მერქანზეც, შეიძლება წარმოიქმნას სტატიკური ელექტრული მუხტი, რამდენიმე ასეული კილოვოლტი (KV), რაც იწვევს ორ ნეგატიურ შედეგს. ჯერ ერთი ამან შეიძლება გამოიწვიოს სპონტანური ნაპერწკალური განმუხტვა და მეორეც, წარმოიქმნება ელექტროსტატიკური დამუხტული მტვერი, რომელიც ილექტრო გასახეს მასალაზე და მანქანის დეტალებზე. ამასთან ერთად მცირდება გასახეხი მასალის მედგობა. სახეხი ლენტის ელექტროსტატიკური მუხტი მნიშვნელოვნად მცირდება, თუ სახეს ლენტს აქვს ანტისტატიკური დამუშავება.

**ხეხვის პროცესი და სახეხი აგრეგატები.** მრეწველობაში ზედაპირების ხეხვით მექანიკური დამუშავების დროს გამოიყენება პრინციპულად განსხვავებული პროცესები:

- ხეხვა გრძელი ლენტებით;
- ხეხვა ფართო ლენტებით;
- ხეხვა ჯაგრისიანი ლენტებით ან კალანდრებით;
- ხეხვა ცილინდრული თავებით.

ხეხვა გრძელი ლენტებით – მერქნის დამუშავებაში ლენტური ხეხვის უძველესი პროცესია. ასეთი ტიპის ხეხვის დროს დასამუშავებელი დეტალების მიწოდების მიმართულება სახეხი ლენტის მოძრაობის ორთოგონალურია (იხ. ორთოგონალობა). როგორც სახელწოდებიდან გამომდინარეობს, ამ პროცესის თავისებურებას წარმოადგენს ლენტის ძალიან დიდი სიგრძე – 6-დან 8 მეტრამდე. შესაბამისი ელემენტების საშუალებით ხდება სახეხი ლენტის მიჭერა დასამუშავებელ ზედაპირზე. არსებობს სახეხი მანქანები მიმჭერი დაფებით და მიმჭერი კოჭებით. ეს პროცესი გამოიყენება პიანინოს და ოთახის კარების წარმოების დროს.

თუ დეტალის მიწოდება ხეხვის მიმართულების პარალელურია, მაშინ ასეთ პროცესს უწოდებენ ფართო ლენტებითხეხვას. მერქნის და მერქნული მასალების ფართო ლენტებით ხეხვა მიეკუთვნება ყველაზე უფრო რაციონალურ ხეხვის პროცესს. ფართოლენტიანი ხეხვის პროცესის დროს ხეხვა ხდება მხოლოდ სწორხაზოვნად. თუ საჭიროა ინტენსიური ხეხვა, მაშინ

აყენებენ ორ ან მეტ სახეს აგრეგატს. სახეზი ლენტის და დეტალის საკონტაქტო ზედაპირისა-გან და ფორმისაგან დამოკიდებულებით ასხვავებენ:

- ხეხვას ფართო ლენტით ცილინდრული საკონტაქტო ზონით ან საკონტაქტო ლილვაკებით;
- ხეხვას ფართო ლენტით ბრტყელი საკონტაქტო ზონით ან მიმჭერი კოჭით.

ფართო ლენტიანი ხეხვა მიმჭერი კოჭით გამოიყენება მხოლოდ ზედაპირის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სახეზი მანქანები საბჯენებით ან საკონტაქტო ლილვაკებით წარმოქმნიან სწორ ზედაპირს. მათ ჩვეულებრივ ამონტაჟებენ აგრეგატების წინ მიმჭერი კოჭებით. აქედან გამომდინარეობს ფართო ლენტებით ხეხვის მეთოდის კლასიკური შენახვა. წინასწარ ხეხვას ახორციელებენ ცილინდრული მიმჭერი მოწყობილობებით, ხოლო ფინიშურს – ბრტყელი მიმჭერი მოწყობილობებით. მოსახსნელი ფენის შრესა და გასახეხი ზედაპირის მდგომარეობაზე დამოკიდებულებით თანმიმდევრულად ამონტაჟებენ ორ აგრეგატს, ამასთან დამუშავების შედეგიდამოკიდებულია, მაგალითად, საბჯენი ან საკონტაქტო ლილვაკების დაფარვის სიმაგრეზე ან მიმჭერი კოჭის სიბრტყის კონსტრუქციაზე. თუ იხეხება მერქნის ფილები მასივისაგან ან ფანერისაგან, მაშინ სხვა თანაბარი პირობების დროს ბოჭკოების განვი ხეხვის დროს მოიხეხება უფრო მეტი, ვიდრე ბოჭკოების გასწვრივი ხეხვის დროს. ეს ხელსაყრელია ჯვარედინი ხეხვის დროს, რომელშიც შეხამებულია გრძელი და განიერი სახეზი ლენტები. ასეთ შეხამებაში განვი ხეხვის გრძელ სახეს ლენტებს პირველ ელემენტად გამოყენების სახით აქვს შემდეგი უპირატესობები:

- ხეხვის უდიდესი ინტენსიურობა მიღწევა ბოჭკოების განვი;
- დეტალების ზედაპირების გაჭუჭყიანების შემცირება;
- ზედაპირის უდიდესი სიგლუვის და სიბრტყეობის მიღება;
- გარდიგარდმო ლენტების ღირებულება მნიშვნელოვნად მცირეა განიერი ლენტების ღირებულებაზე.

ჯვარედინ ხეხვას უფრო ხშირად იყენებენ ინტერიერის შიდა გამოსაყვანი ავეჯის, კარების, პანელების და დეტალების დამზადებისათვის. ამ დროს აქცენტი კეთდება არა მოსახსნელი მასალის მოცულობაზე, არამედ ზედაპირის ხარისხზე. თუ ამოცანა ითვალისწინებს არა მარტო ხარისხიანი ზედაპირის მიღებას, არამედ ნაკეთობის საჭირო ზომაზე მორგებასაც, მაშინ პირველ სახეს აგრეგატში გამოიყენება ზისტი საკონტაქტო ლილვაკები. თანამედროვე სახეს ავტომატებში თანმიმდევრულად ამონტაჟებენ სხვადასხვაგვარ აგრეგატებს, თანაც სახეს ლენტებს შეიძლება ჰქონდეთ მოძრაობის სხვადასხვა მიმართულება. ზედაპირის დამუშავების

ყოველი ეტაპის შემდეგ საჭიროა მისი გაწმენდა, რადგანაც ფორებში იჭედება ნახეხი მტკერი. მრეწველობაში ამისათვის გამოიყენება ჯაგრისიანი მანქანები ჰაერის გაწოვით.

მდოვრე კონტურების და პროფილების მოგლუვებისათვის გამოიყენება სპეციალური საკანტე ან საპროფილე სახეხი მანქანები. შეღებილი კანტების შუალედური ხეხვისათვის გამოიყენება სახეხი დისკები მარცვლის სხვადასხვა ზომებით. ჩარჩოების დამზადების დროს შუალედური და ფინიშური ხეხვისათვის გამოიყენება სახეხი ჯაგრისიანი მანქანები.

**მექანიკური გაგლუვება.** ხეხვის ან შეღებვის შემდეგ შეიძლება ზედაპირის დამატებით მოსწორება. პარაფინის შემცველი პოლიეთერული დაფარვის გაპერიანება ხდება SiC-ქალალდით. ასეთივე პროცესი გამოიყენება შუალედურ სახეს მანქანებში პარკეტისათვის, რომელიც დაფარულია ულტრაიისფერი დასხივებით გამყარებული ზეთით.

**თერმული გაგლუვება.** პროცესის პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ გაფრეზილი პროფილის კონტურზე გაივლის არამჭრელი ინსტრუმენტი და ტემპერატურის დაწნევის ერთდროული ზემოქმედებით ჩაწენეხავს აწეულ ბოჭკოებს გახურებით დარბილებულ საგრუნტოში, სადაც ისინი შეიკვრებიან.

**გათეთრება.** სინათლის ზემოქმედების ქვეშ, განსაკუთრებით მზის, რომელიც შეიცავს ულტრაიისფერ სხივებს, მერქანმა შეიძლება შეიცვალოს ფერი. ასე მაგალითად, პალისანდრა შეიძლება გათეთრდეს, ხოლო მაკორა გამუქდეს. მერქნის სხვადასხვა ფერის იერის გათეთრების დროს მერქანმა შეიძლება მიიღოს თანაბარი ერთნაირი ფერის სტრუქტურა. გარდა ამისა, ხდება ლაქების (ლაქა) მოცილება და ზედაპირის გაკამაბება. მერქნის ინგრედიენტების (მღებავი ნივთიერებების) და ჟანგვის (იხ. ჟანგვა) შედეგად ხე ნათდება და ღებულობს ერთიან ფერს. ბევრ შემთხვევაში გათეთრების შემდეგ ახორციელებენ ბეიცებით დამუშავებას, რათა მიიღონ მერქნის თავდაპირველი ან სასურველი შეფერილობა. გათეთრებისათვის საიმედო საშუალებაა – 35% წყალბადის ზეჟანგის ნარევი ამიაკის 10% ხსნართან თანაფარდობით 1:5 ან 1:10. თუმცა ამ ხსნარის გამოყენების დროს სამუშაოს შემსრულებლებს უწევთ ამიაკის ხსნარის არასასიამოვნო სუნის ატანა, მაგრამ გათეთრების პროცესში ზედაპირზე არ რჩება მარილები. ზემოთ აღწერილი პროცესი საკმაოდ გრძელია: ოთახის ტემპერატურაზე ის გრძელდება დაახლოებით 16 საათს. ტემპერატურის მომატებით შეიძლება პროცესის დაჩქარება. ამისათვის საჭიროა საშრობი მოწყობილობის დანადგარი. გამათეთრებელი საშუალებების ზედაპირზე დადება ხდება ღრუბლით, ფუნჯით ან საფრქვევი პისტოლეტით და მოქმედებს მწარმოებელის მიერ მითითებულ ვადაში, შემდეგ ხდება მათი წყლით ან ორთქლით ჩამორცეცხა, ზედაპირის გაშრობა შემდგომი დამუშავებისათვის.

## თავი XV. მერქანზე ლაქსალებავი მასალების დაღების გეთოდები

ზედაპირის ხარისხის მოთხოვნებისაგან და დასამუშავებელი დეტალის გეომეტრიისაგან დამოკიდებულებით მერქნის და მერქნული მასალების შესაღებად გამოიყენება რამდენიმე მეთოდი. სამრეწველო შეღებვისათვის გამოიყენება შემდეგი პროცესები:

- ჩაძირვა;
- გადავლება;
- დამუშავება დოლში;
- შესხურება;
- დასხმა;
- ვალცებით დადება;
- შეღებვა ვაკუუმის კამერაში.

**ჩაძირვა.** მერქნის ნაკეთობის ყველაზე მარტივი და ყველაზე ძველი ხერხით შესაღებად, საჭიროა მისი ჩაძირვა ტევადობაში ლაქსალებავი შედგენილობით. შემდეგ ამოღება, წვეთების მოგროვება და გაშრობა. შესხურების მეთოდთან შედარებით ეს მეთოდი განსხვავდება უფრო მაღალი გამოსავლიანობით და უმნიშვნელო ღირებულებით. ჩაძირვის მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტი 85-99-მდე. მეთოდის ნაკლია ძნელად საკონტროლებელი დაფარვის შრის სისქე, რომელიც დამოკიდებულია მერქნის მომზადებაზე, მისი ტენიანობასა და ლსმ ავზში ყოფნის ხანგრძლივობაზე. ჩაძირვა ვარგისია მასიური წარმოების მერქნის დეტალების შეღებვისათვის, ასევე ცალკე დამაგრებული ნაკეთობებისათვისაც, მაგალითად ფანჯრებისათვის. ჩაძირვა გამოიყენება ფიჭვისგან და სოჭისგან ავეჯის დეტალების, ხის ფანჯრების და სახაზავების, ხის სკამების, დაწნული ნაკეთობების შეღებვისათვის. უკანასკნელ წლებში ჩაძირვის მეთოდმა შეიძინა ავეჯის ზოგიერთი კომპონენტების იაფი ეკონომიური შეღებვის მნიშვნელობა. მაგრამ ზედაპირის ხარისხის მიღწევა ჩაძირვის პროცესის გამოყენების დროს არ არის საკმარისი მაღალზარისხიანი ავეჯის მისაღებად.

ჩაძირვის სამრეწველო გამოყენების დროს ციკლურ და გამავალ პროცესებში ხდება ნაკეთობის (მაგალითად, ფანჯრის) ჩაძირვა დაბალსიბლანტიან ლაქსალებავ შედგენილობაში, ამოღება და ჩამოდინების უბანის გავლის შემდეგ ტრანსპორტირდება შრობის ზონაში. ჩამოდინების ზონას, რომელიც ხშირად გაწყობილია შესათბობი შემოქრევით, აქვს დიდი მნიშვნელობა ზედაპირზე ბუშტების და თიაების (იხ. თია) თავიდან ასაცილებლად. გარე მოხმარების სამშენებლო დეტალებისთვის ჩაძირვის მეთოდი უფრო გამოიყენება ფანჯრების და ღობეების გაუღენთისათვის

და დაგრუნტვისათვის, რადგანაც მათი ზედაპირის გარე სახე დიდად არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. შრომის პიგინის და ხანძრის საფრთხის თავიდან აცილების თვალ-საზრისით, დღეს განსაკუთრებით გამოიყენება წყალში ხსნადი ერთკომპონენტიანი შედგენილობები. ჩაძირვის ავზები აღჭურვილი უნდა იყოს ავტომატური ასარევი მოწყობილობით პიგმენტების და მასალის შედგენილობის სხვა ნაწილების დალექვის თავიდან ასაცილებლად.

**გადავლება.** გადავლების პროცესში ლსმ დადება ხდება მიმართული მფრქვევანებით მათთან ახლოს გამავალ დეტალზე. დადებული მოჭარბებული შედგენილობა ჩამოედინება, გროვდება აბაზანაში, და მრავალსაფეხურიანი ფილტრაციის შემდეგ, ისევ შეიყვანება პროცესში. დადების პროცესის ეკონომიურობა შეადგენს 85-99%. ამჟამად გადავლების პროცესი უმთავრესად გამოიყენება გაუღენთისათვის, დაგრუნტვისათვის და ლსმ ხარისხისგან დამოკიდებულებით ხის ფანჯრების და სხვა გარე გამოყენებისამშენებლო დეტალების შუალედური შეღებვისათვის. გადავლება ძალიან მიმზიდველი პროცესია ღირებულების თვალსაზრისით. სამრეწველო დანადგარები შედგება გადავლების დახურული მოწყობილობისგან, ჩამოსაკიდი სამარჯვისაგან, მიმართველი და სარეგულირებელი ელემენტებისგან. გადავლების პროცესი წარმატებითგამოიყენება ხის დაშლილ სკამებზე ბეიცვების და საგრუნტოების დადებისათვის. ამასთან გამოიყენება მხოლოდ წყლის ბეიცები და ლაქსალებავი სისტემები.

#### გადავლების პროცესის უპირატესობებია:

- შეიძლება მცურავი (მოტივტივე) საგნებისთვისგამოყენება;
- სწრაფი გადატუმბვის დროს დალექვა მცირეა, ვიდრე ჩაძირვის მეთოდის დროს;
- უფრო ხელსაყრელია დიდი დეტალებისთვის, რადგანაც ჩაძირვის დროს მათვის საჭიროა დიდი ტევადობა;
- ლსმ ხარჯის შემცირება, მათი განმეორებითი გამოყენების გამო;
- თანაბარი რაოდენობის და ზომების დეტალების დროსლსმ რაოდენობა სამარაგო ავზში ნაკლებია, ვიდრე შესხურების მეთოდის დროს.

#### ნაკლოვანებებია:

- შესაძლებელია ლსმ ქაფის წარმოქმნა;
- გამხსნელების შემცველი მასალების გამოყენებით იზრდება გამხსნელების დანაკარგები;
- წარმოქმნილი ზედაპირის დაბალი ხარისხის გამო, მხოლოდ საგრუნტოების და-სადებად ან შუალედური შეღებვისათვისგამოყენება.

**დამუშავება დოლში.** დოლური დამუშავება გამოიყენება პატარა დეტალების (საბავშვო სათამაშოების, კარების ხის სახელურების და ა.შ.) შეღებვისათვის. პატარა დეტალებს ლაქთან

ერთად ათავსებენ დოლში. შეღებვა წარმოებს დოლზე შემონაკერ მბრუნავგარსაცმში. თანამედროვე პროცესის მიმდინარეობა იძლევა ლსმ შეშხაპუნების საშუალებას და ოპტიმალური შრობისათვის ერთდროულად შემთბარი გაფილტრული სუფთა ჰაერის მიწოდებას. მისაწოდებელი ჰაერი შეიძლება გახურდეს  $150^{\circ}\text{C}$ -მდე. დეტალები მუდმივად მოძრაობაშია მათ სრულ შრობამდე. პროცესისთვის უმთავრესად გამოსაყენებელია წყლის სისტემები. დოლში დამუშავების მარგი ქმედების კოეფიციენტს შეადგენს 95-100%.

**შესხურება.** შესხურება ხელით დადების სიმარტივის და მოქნილობის გამო წარმოადგენს მერქნის შეღებვის სავალდებულო და ყველაზე ხშირად გამოსაყენებელ მეთოდს. რთული გეომეტრიული ფორმის დეტალების შეღებვა, ასევე ხშირად მოთხოვნილი ფერების მრავალ-სახეობა არ შეიძლება შესრულდეს რომელიმე სხვა მეთოდით. ნაკლოვანებების მიუხედავად, რაც დაკავშირებულია შლამის წარმოქმნასთან, გამხსნელების მაღალ ემისიასთან და ნამუშევარ ჰაერზე დიდ ენერგეტიკულ ხარჯებთან ხდება ამ მეთოდის გამუდმებული ოპტიმიზაცია და მომარჯვება (იხ. ემისია, ემისიის ტიპები).

ძირითადად გამოიყენება პნევმატიური, ჰიდროავლიკური და ჰიდროპნევმატიური შესხურება. ასეთი ხერხებით შესხურების დროს ლსმ გამოყენების ხარისხი ნაკეთობის გეომეტრიისაგან დამოკიდებულებით შეადგენს 20-50%. დაბალი წნვით შესხურების დროს მასალის გამოყენების ხარისხი იზრდება 15-30%. შეღებვის ელექტროსტატიკური მეთოდის გამოყენების დროს შეიძლება ლაქსალებავი მასალების გამოყენების უფრო მაღალი ხარისხის მიღწევა. იმის გამო, რომ მერქნის დეტალებს ხშირად არა აქვთ საჭირო ელექტროგამტარობა, ელექტროსტატიკური მეთოდი გამოიყენება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში. ცნობილია, სკამების და ფანჯრების ელექტროსტატიკური მეთოდით შეღებვის შესახებ. სკამებს ამუშავებენ ე.წ. დიდბრუნიანი დისკოებიანი ომეგა-ანჯამების გამოყენებით. პრაქტიკიდან ჩანს, რომ დეტალის გეომეტრიაზე დამოკიდებულებით საჭირო ხდება მათი განმეორებით ხელით დამუშავება. ელექტროსტატიკური მეთოდის გავრცელებას ხელს უშლის როგორც მერქნის მუდმივად არათანაბარი ტენიანობა, რომელიც უნდა იყოს  $\geq 8\%$ , ასევე შეღებვის პროცესში დეტალის მუდმივი დამიწების უზრუნველყოფის შეუძლებლობა. მრავალი წელია სამრეწველო შეღებვის დროს წარმატებით გამოიყენება დანადგარების სხვადასხვა კონცეპციები:

- ხელით შესხურების კაბინები ტურნიკეტებით ან დეტალების საკიდით;
- გამავალი შესხურების კამერები საკიდი კონვეირით, სრიალა ტრანსპორტიორით ან სატრანსპორტიორო მაგიდებით;
- ბრტყელი საფრენეველი ავტომატები, ბრტყელი დეტალების მუდმივი გავლით;

- ბრტყელი საფქვეველი ავტომატები პერიოდული რეჟიმით ბრტყელი დეტალები-სათვის (საფრქვეველები-რობოტები).

კონკრეტულ შემთხვევაში კონცეფციის გამოსაღებობის გადაწყვეტილებას ღებულობს მომხმარებელი დეტალის გეომეტრიაზე, კონვეირზე ჩალაგების სიმჭიდროვეზე, დღეში შეღებილი სუბსტრატების რიცხვზე (კვადრატულ მეტრებში), ფერების რაოდენობაზე და ზედაპირის ხარისხზე, ასევე ერთი კვადრატული მეტრის დამუშავების ღირებულებაზე დამოკიდებულებით.

**დასხმა-დასხმის პროცესში თითქმის ბრტყელი ან ოდნავ დაბრუცილი სუბსტრატები ლაქსაღებავ ფარდაში გავლით ღებულობენ ცალმხრივ და თანაბარ შეღებვას. პროცესი ძალიან საინტერესოა მასალის სასარგებლო გამოყენების კოფიციენტის თვალსაზრისით და შეადგენს 95-99%. ეს ძირითადი პროცესია ხარისხიანი ბრტყელი მაღალხარისხიანი დაფარვის მისაღებად ავეჯის ფრონტონების (იხ. ფრონტონს ავეჯში უწოდებენ), შიდა გამოყვანის და ავეჯის დამზადების დროს. ვალცებით შეღებვისაგან განსხვავებით, სადაც შეიძლება მხოლოდ ბრტყელი ზედაპირების დამუშავება, დასხმა ასევე გამოდგება ოდნავ ამოზნექილ ან სხვანაირად დეფორმირებულ სუბსტრატებისათვის. ამის წინაპირობას ძირითად წარმოადგენს ლსმ ბრტყელი ჭავლის (ფარდის) ნაკეთობის ზედაპირის ყველა ადგილში შეღწევა. პროცესისათვის გამოიყენება გამჭვირვალე და პიგმენტირებული ორკომპონენტიანი პოლიურეთანული, უჯერი პოლიეთერული, წყლის ერთკომპონენტიანი და უდ-გამყარებული მასაღები. დასხმის მანქანების ძირითადი მოწყობილობაა მანქანის მთელ სიგანეზე განლაგებული დასხმის თავი ქვედა მხრიდან მთელ სიგრძეზე სარეგულირებელი ღრებოთი. დასხმის თავის ღრებოდან ლაქსაღებავის შედეგის მოხვდება სუბსტრატის ზედაპირზე შეკრული პომოვენური აფსკის სახით (იხ. პომოვენური, პომოვენური თერმოდინამიკური სისტემა). დასხმის თავის ქვეშ დეტალების გადაადგილება ხდება ტრანსპორტიორით. შედეგენილობა, რომელიც არ მოხდა დეტალის ზედაპირზე ლითონის დარით ჩამოედინება სამარაგო ავზში. ამრიგად, მასალის დანაკარგი დაყვანილია მინიმუმამდე. სამარაგო ავზიდან საჭირხნი ტუმბო შედეგენილობას ხელახლა გადატუმბავს დასხმის თავში. დასაღები მასალის ზუსტი რაოდენობის დაყენება შეიძლება დასხმის თავში ღრებოს რეგულირებით ან დეტალის მანქანის დასხმის თავის ქვეშ გასასვლელი სიჩქარის ცვლილებით. პრაქტიკაში გამოყენებული დასხმის მანქანები ძირითადად განსხვავდებიან დასხმის თავის კონსტრუქციებით. ცნობილია მისი ორი ვარიანტი:**

- დახურული, უნივერსალური ჩამოსასხმელი თავი;
- გადასასხმელი თავი.

არსებობს დახურული თავის დაყენების რამდენიმე შესაძლებლობა:

- უდაწნევო თავი;

- შედგენილობის გამოდენა ღრეჩოში, რომლის სიგანე არეგულირებს დასადები ნივთიერების რაოდენობას.

**დასხმა მცირე შენელებით (ჩამოსასხმელი თავი შენელებით).** ჩამოსასხმელ თავში შედგენილობის დაცლის განსაზღვრული რაოდენობის დაყენებით შეიძლება ზოლების წარმოქმნის გარეშე დასადები მასალის მცირე რაოდენობის დადება. ღრეჩოში შედგენილობის გამოდენის სიჩქარე კლებულობს, რის შედეგად შეიძლება ხელახლა გაიზარდოს ფარდის სიგანე.

უმნიშვნელო ჭარბი წნევა შეკრულ გადასასხმელ მილსადენში. გადასასხმელ სისტემაში იმყოფება აფსკი, რომელიც სიმძიმის ძალის მოქმედების ქვეშ წარმოადგენს მაღოზირებელ თამასას. ამ ვარიანტის გამოსადეგობას ენიჭება უპირატესობა პიგმენტირებული სისტემების გამოყენების დროს, რადგანაც ამ შემთხვევაში შეიძლება დასხმის ღრეჩოში პიგმენტის დალექვის თავიდან აცილება. მაღოზირებელი ლილვაკის ჩანერგვამ გამოავლინა დოზირების ახალი შესაძლებლობები. დასხმის თავში მაღოზირებელი ლილვაკის ჩაყენებამ ხელი შეუწყო ლაქის ტევა-დობიდან მასალის განსაზღვრული რაოდენობის გამოდინებას ლილვაკის ბრუნვის დროს. მაღოზირებელი ლილვაკის ბრუნვის სიხშირეების რეგულირებით ხდება მასალის ხარჯის ავტო-მატურად ჩქარა და ზუსტად დაყენება. შედგენილობა მაღოზირებელი ლილვაკიდან უკონტაქტოდ ჩამოიხსნება ჩასადენ ტუჩზე და შემდეგ წარმოქმნის დასხმის აფსკს. ასეთი ლილვაკებიანი დასხმის თავები მუშაობენ დასხმის ხვრელის გარეშე. ამის წყალობით შესაძლებელი ხდება თავიდან აცილებული იყოს პიგმენტების დალექვა და გაჭუჭყიანება.

ლილვაკიანი დასხმის აგრეგატები განსაკუთრებით გამოსადეგია წყლის უდ-სისტემების დადების დროს ქაფის და ზოლების წარმოქმნის გარეშე. დასხმის პროცესის სხვადასხვა ვარიანტები ასევე გამოიყენება უჯერი პოლიეთერული სისტემების დაღებისათვის, მაგალითად, ფორტე-პიანოს წარმოებაში.

ცნობილია დასხმის შემდეგი პროცესები:

- კონტაქტური დასხმის პროცესი („აქტიური დაგრუნტვა“);
- შეღებვისათვის მომზადებულ ზედაპირზე პირველ სტადიაზე ხდება ზეჟანგიანი (გამამყარებელი) საგრუნტოს დაღება დასხმის მეთოდით. შემდეგ საგრუნტოს გაშრობა ოთახის ტემპერატურაზე ან კონვექციური შრობით დაბალ ტემპერატურაზე (იხ. კონვექციური შრობის დროს). ამის შემდეგ დასხმის მეთოდით ხორციელდება უჯერი პოლიეთერული შედგენილობის დადება.

ორმაგი თავი ან ორთავიანი დასხმის პროცესი. უჯერი პოლიეთერული შედგენილობის ფუძე შერეული უნდა იყოს დამაჩქარებელთან (ლითონის მარილები) ან სხვა ინგრედიენტებთან და გამამყარებლებთან. ფუძე დამაჩქარებელთან ერთად გამოიდინება პირველი დასხმის თავიდან,

ხოლო ნაწილი გამამყარებელთან ერთად მეორედან. ორივე ნაწილის შეთავსება ხდება მუშა პროცესში.

**გელი-წარმოქმნის** 15-20 წუთის შემდეგ პროცესი უნდა გამეორდეს. ორთავიან მანქანაში ტიქსოტროპული უჯერი პოლიეთერული (პარაფინის შემცველი) მასალების გადამუშავების დროს, რომელთათვის საჭიროა საბოლოო გაპრიალება ზედაპირზე შეიძლება წარმოქმნას ნაჯაო და ღრანტები. ზედაპირის „ნაჯაოს“ ტიპის დეფექტების დროს საქმე ეხება ხეხვის და გაპრიალების შემდეგ შეღებილ ზედაპირზე ვიზუალურად შესამჩნევ დაზიანებებს. დეფექტი განსაკუთრებით შესამჩნევია გარკვეული თვალსაზრისით და ლუმინესცენციური ნათურების საშუალებით. ორთავიანი დასხმის მოდიფიკაცია წარმოადგენს ე.წ. სენდვიჩისებრ პროცესს, რომელიც იძლევა მაღალპერსიანი ზედაპირების მიღების საშუალებას, იმ ზედაპირებისმსგავსი, რომლებიც მიღება უჯერი პოლიეთერული შედგენილობების შესხურებით და არ აქვთ ნაჯაოები.

**სენდვიჩისებრი პროცესი.** ორთავიანი მანქანის საშუალებით ხდება „სველი სველზე“ უჯერი პოლიეთერული შედგენილობის მაჩქარებლით და სენდვიჩისებრი გამამყარებლის (ზეუანგის ხსნარი უსტიროლო სისტემებში) დადება. შემდეგ შეშრობა 15 წუთის განმავლობაში, ხელახლა სქელი შრით შედგენილობის მაჩქარებლით დადება. ჩვეულებრივ გელი-წარმოქმნის შემდეგ ასხამენ დამფარავ ლაქს, რომელიც ხეხვისათვის და გაპრიალებისათვის წარმოადგენს დამხმარე საშუალებას.

**ვალცეპით დადება.** ვალცეპით დადების მეთოდი განსაკუთრებით გამოიყენება მერქნის ბრტყელი ნაკეთობების ცალმხრივი და ორმხრივი დამუშავებისათვის. ლსმ დადება ხდება რეზინის მბრუნავი ვალცების საშუალებით. დადების დროს მასალის დოზირება ხორციელდება ქრომირებული მადოზირებელი ვალცით. დასადები მასალის რაოდენობა დამოკიდებულია მიმჭერ ძალვაზე ან მადოზირებელ და მასალის დასადებ ლილვაკებს შორის ღრეჩოს სიგანზე. პროცესზე გავლენის სხვა ფაქტორებია: მასალის სიბლანტე ან ლაქსალებავი სისტემების რეალოგიური თვისებები, ტრანსპორტიორის მოძრაობის სიჩქარე და მადოზირებელი და დასადები ვალცების ბრუნვის სიჩქარე-ვალციანი პროცესი უმთავრესად გამოიყენება 100%-იანი უდ-სისტემების, ბეიცების, ადჰეზიის პრომოტორების და წყლის მასალების დადებისათვის.

არსებობს ლსმ ვალცებით დადების ორი შესაძლებლობა: თანაბარმიმართულებიანი მოძრაობის პრინციპი და რხევის პროცესი.

**თანაბარ მიმართულებიანი მოძრაობის პრინციპი.** თანაბარმიმართულებიანი მოძრაობის პრინციპის განხორციელების დროს დასადები ლილვაკი და დასამუშავებელი დეტალი მოძრაობენ ერთი მიმართულებით. თანამედროვე აგრეგატებში, როგორც წესი, დასადები და მადოზირებელი

ვალცები მოძრაობას ღებულობენ დამოუკიდებელი ამძრავებიდან. ასეთი დანადგარების უპირატესობას წარმოადგენს დასადები და მადოზირებელი ვალცების მოძრაობა როგორც ერთი მიმართულებით, ასევე ერთმანეთთან შესახვედრად. გარდა ამისა, შეიძლება ცალ-ცალკე მათი ბრუნვის სიჩქარის ვარიობა. ამრიგად მცირდება მასალის ცვეთა ორ ვალცს შორის და მიიღება მბზინვარე (პრიალა) შეღებილი ზედაპირი. მადოზირებელი ვალცის საწინააღმდეგო (რევერ-სული) მიმართულებით (ფარდობითი პროცესი) მოძრაობის დანადგარი სინქრონულ დანადგართან შედარებით იძლევა დასადები მასალის რაოდენობის უკეთესად რეგულირების საშუალებას. პროცესის ასეთი ვარიანტის დროს შესაძლებელი ხდება შესამჩნევად უფრო გლუვი გავალცული ზედაპირის მიღება, რადგანაც მადოზირებელი და დასადები ვალცების ერთმანეთთან შესახვედრად მოძრაობის დროს არ შეიძლება მოხდეს აფსკის გაგლეჯა (გარღვევა). ასეთი რამდენიმე ვალცის კომბინირებით დამფარავი ლაქის დადების დროს, მაგალითად ზედაპირის უდ-პრედ გელირებით ან მის გარეშე, შესაძლებელი ხდება დამატებით ზედაპირის სიგლუვის და დაფარვის დეფორმაციის, ასევე ავეჯის ზედაპირების მბზინვარების ხარისხის რეგულირება.

**რევერს-პროცესი.** ასეთ პროცესში დასადები მასალის ვალცი მოძრაობს დასამუშავებელი დეტალის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით. ამასთანავე მიიღება ძალიან გლუვი, თითქმის უსტრუქტურო ზედაპირი, რადგანაცმთლიანად გამორიცხულია აფსკის გახლეჩა დასადებ ვალცსა და სუბსტრატის ზედაპირს შორის. დღეს პრაქტიკაში იყენებენ რევერს-პროცესს თანაბარმიმართულებიანი მოძრაობის პრინციპთან შეხამებაში. ვალციან დანადგარზე ხდება მერქნის ფორმების და პირაპირების შევსება, ხოლო შემდეგ რევერსული ვალცებით ღებულობენ ოპტიმალურ გლუვ ზედაპირს. ბოლო ეტაპზე დასადები მასალის რაოდენობა დამოკიდებულია მასალის დოზირებაზედა ვალცების ბრუნვის სიჩქარეზე.

**ღარიანი რეზინის ვალცები („Rill“-ვალცები).** უდ-დამფარავი ლაქის დადებისათვის ღარიანი რეზინის ვალცების გამოყენებისდროს შეიძლება დასხმის მეთოდის ანალოგიური ზედაპირის მიღება. გამოყენებული რეზინის ვალცები დაიყოფა ღარაკების (ნაღარების) რიცხვით ერთ დიუმზე.

წარმოების ტიპის მიხედვით რეზინის ვალცები დაიყოფა ვალცებად დამუშავებული ლაზერით და გაჩარხვით. რადგანაც მწარმოებლები იყენებენ მჭრელ იარაღებს ნაწილობრივად განსხვავებული ალესვის კუთხით, ამიტომ ვალცები მიიღება პროფილის სხვადასხვა სიმაღლით. ექსტრემალურ შემთხვევაში ეს ნიშნავს, რომ სხვადასხვა მწარმოებლის მიერ დამზადებულმა ვალცებმა მიუხედავად ღარაკების ერთნაირი რიცხვისა, შეიძლება მოგვცეს ვალცვის განსხვავებული შედეგი. ასევე არსებობს „სველი სველზე“ მომუშავე ორი ღარიანი ვალცების

კომბინაცია მაღალპეტიანი დამფარავი ლაქების დადებისათვის. უდ-დამფარავი ლაქის დადება ერთი ღარისძი ვალცით გახეხილ უდ-საგრუნტოზე იძლევა დამაკმაყოფილებელ შედეგს.

**შეღებვა ვაკუუმის კამერაში.** ვაკუუმში დადების პროცესი გამოიყენება წნელების, თამასების, პანელების, პროფილების, კანტების, წიბოების და ფანჯრების უდ-მასალებით შეღებვისათვის. ვაკუუმური შეღებვის დროს მცირდება ორგანული გამხსნელების არა მარტო ემისია (იხ. ემისია, ემისიის ტიპები), არამედ მასალების დანაკარგებიც გადაფრქვევის დროს. ვაკუუმში შეღებვის მარგი ქმედების კოეფიციენტი შეადგენს 100%. ვაკუუმური შეღებვის მოდული შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

- ლსმ მიწოდების სისტემა (ტუმბო);
- კამერა ლსმ დადებისათვის;
- ვაკუუმური ტუმბო;
- ლსმ გამოყოფის სისტემა.

**დანადგარების მოქმედების პრინციპი.** მემბრანული ტუმბოს საშუალებით სამარაგო ავზიდან ლსმ გადავლების ჩარჩოდან მიეწოდება დასამუშავებელ ნამზადს დასადებ კამერაში ვაკუუმის ქვეშ. ჰაერის გამოწოვის (გაუხშოების) შედეგად ლაქსალებავი შემადგენლობა გრიგალივით აიტაცება და გამოიწოვება ზევით. ამგვარად წარმოქმნილ ლსმ ბურუსში ატარებენ სუბსტრატს. ის აღმოჩნდება ყველა მხრიდან თანაბრად შეღებილი, ამასთან დასადები კამერის შემავალი და გამომავალი ნახვრეტები შეესაბამებიან სუბსტრატის განივ კვეთს და მანქანაში ვაკუუმის წარმოქმნით ჰაერის ცირკულაცია რჩება დახურული (დახშული). მატრიცასა და ნაკეთობას შორის მანძილი შეიძლება იყოს მხოლოდ რამდენიმე მილიმეტრი.

ჰაერის გამოწოვას აქვს ორმაგი ფუნქცია: ჯერ ერთი, მან უნდა საკრებელ ავზში აიტაცოს ლსმ. გარდა ამისა გამომავალი მატრიციდან ის უნდა იყოს ლამინარული ნაკადი, წაიღოს ზედმეტი ლსმ და დაბრუნოს შესაღებ კამერაში ახალი გამოყენებისათვის. გატანის დროს ხდება ზედაპირის გაგლუვება. დადების მაღალი ხარისხის მისაღებად საჭიროა გაფრქვეული მასალის ჰაერიდან გამოცალებება. ეს პროცესი ხორციელდება ლსმ დალექვის სისტემაში. ლაქის ჰაერიდან გამოცალებება ხდება ე.წ. ჰაერის დეფლექტორით. ამის შემდეგ ლაქი ისევ შედის საწყის ტევადობაში.

ნის დამუშავების მრეწველობაში სულ უფრო მეტ ღირებულებას იძენს წყლის ფუძეზე ლსმ გამხსნელების ნარჩენი შემცველობით 0-15%-მდე. ერთკომპონენტიანი წყლის სისტემების გადაფრქვევა (საჰაერო შრობით, უდ-გამყარებით) შეიძლება დაბრუნდეს დამუშავების ციკლში, რაც განსაკუთრებით რაციონალურია მაღალი დანაკარგებით დადების ტექნიკის გამოყენების

შემთხვევებში ბურუსის წარმოქმნის ხარჯზე. ეს არა მარტო ამცირებს დატვირთვას გარემოზე, არამედ მნიშვნელოვნადაც ამცირებს წარმოქმნის ხარჯებს.

გადაფრქვევის შიდა საქართვის რეცირკულაციის დანერგვისათვის საჭიროა შემდეგი პირობების შესრულება:

- წარმოქმნის დაბრუნებული ლსმ ხარისხი შესადარი უნდა იყოს საწყის შედგენილობის ხარისხთან;
- საჭიროა რეცირკულაციისათვის საკმარისი რაოდენობის ვარგისი მასალების დამზადება;
- საჭიროა შეძლებისდაგვარად ფერის უფრო იშვიათად შეცვლა;
- საჭიროა შეღებვის ხაზის გაწყობა შესაბამისი ლაქსალებავი სისტემისათვის რეცირკულაციის პროცესის გათვალისწინებით.

ასხვავებენ გადაფრქვევის რეცირკულაციის შემდეგ ტიპებს:

- მასალის არაპირდაპირი დაბრუნება გადარეცხილი წყლიდან (ულტრაფილტრაცია, კოაგულაცია);
- ლაქის პირდაპირი დაბრუნება დამჭერი მოწყობილობით;
- მოქნილი სატრანსპორტო ლენტი და რაკელის სისტემა (იხ. რაკელი, რაკელის დანა);
- მასალის შეგროვება საცივებელ სამართავ სიბრტყეზე;
- კომბინირებული პროცესი.

## თავი XVI. მერქნის ფერის ცვლილება და ნარჩენი ემისია

მერქანი წარმოადგენს არაერთგვაროვან ნატურალურ მასალას, რომლის სტრუქტურა, მბზინვარება და კოლორიტი მთლიანად გამოააშკარავდება მხოლოდ დამუშავების დროს. გარდა ოპტიკური ასპექტისა, შეღებვამ მერქანი უნდა დაიცვას ყოველდღიური დატვირთვებისაგან, როგორიც არის გაჭუჭყიანება, საყოფაცხოვრებო ქიმიური ნივთიერებების მოქმედება და მექანიკური ზემოქმედება. გარდა ამისა, შეღებვამ მერქანი უნდა დაიცვას ნაადრევი ფერის ცვლილებებისაგან მზის სინათლის და სითბოს მოქმედების ქვეშ. ცნობილია ასევე, რომ მერქნის ფერის ცვლილება შეიძლება წარმოიქმნას არა მარტო მზის სინათლის პირდაპირი ზემოქმედებით, არამედ ბიო ქიმიური (იხ. წინსართი) და ქიმიური რეაქციების შედეგადაც, მაგალითად წიფელაში ასეთი რეაქციები შეიძლება მიმდინარეობდეს უკვე ცოცხალ ხეში (შიდა სიწითლე), შენახვის, გადამუშავების და დამუშავების დროს (მაგალითად, ლაქების წარმოქმნა გაორთქვლის

დროს). ფერის ცვლილების გამომწვევი მიზეზების ზუსტი განსაზღვრა, რომელიც არ არის წარმოქმნილი ულტრაიისფერი დასხივების ზემოქმედებით, ყოველთვის არ არის შესაძლებელი, რადგანაც ფერის ცვლილება კომბინირებული რეაქციების შედეგია. მერქანი შედგება ბოჭკოვანი ელემენტებისაგან. ამასთან სხვადასხვანაირად შეხამებული ცალკეული ელემენტები შეადგენს მერქნის უჯრედებს. ღია ფერის მერქნის სახეობების (ფიჭვი, ნეკერჩხალი, სოჭი) ნატურალური შედებვა, დაფარული უფერული ლაქით, რომელიც არ შეიცავს სპეციალურ უდ-დამცავ დანამატებს, მზის სინათლეზე ხანმოკლე ექსპლუატაციის შემდეგ იცვლის ფერს და ღებულობს მოყვითალო-ყავისფერ ელფერს.

უფერული დამფარავი ლაქები გამჭვირვალეა ულტრაიისფერი გამოსხივებისათვის, მაგრამ მისი ზემოქმედების ქვეშ მერქნის შედგენილობის ნაწილი – ლიგნინი (ფრანგი მეცნიერის ჯორჯ მორელის მიერ მინიჭებული სახელი, ლათ. *lignum* - ხე) ფოტო ქიმიურად (იხ. წინსართი) იცვლება. ლიგნინის სხვადასხვა სტრუქტურები შთანთქავს ულტრაიისფერ გამოსხივებას სპექტრის სხვადასხვა არეში ქრომოფორული ჯგუფების წარმოქმნით, რომლებიც შთანთქავს 380-780 ნანო მეტრამდე სინათლეს ხილულ არეში. სპექტრის ულტრაიისფერი B-ნაწილი, დიაპაზონში 280-315 ნანომეტრამდე მზის გამოსხივებისყველაზე მოკლეტალდიანი ნაწილია, რომელიც აღწევს დედამიწის ზედაპირს. უმეტეს შემთხვევაში ის გავლენას ახდენს ლაქის აფსკის რღვევის პროცესზე. ასევე წარმოადგენს ჩვენთვის კარგად ცნობილ ნამზეურობის მიზეზს. საცხოვრებელ სახლებში გამოყენებული ფანჯრის მინა ატარებს მხოლოდ სპექტრის ულტრაიისფერ A-ნაწილს და ხილულ სინათლეს 380-400 ნანომეტრამდე. ფანჯარაში გასული გამოსხივების ულტრაიისფერი A-ნაწილი ტალღის სიგრძით 315-400 ნანომეტრამდე იწვევს მერქნის ლიგნინის რღვევას. ლიგნინის არომატული სტრუქტურა (იხ. არომატულობა) შთანთქავს ულტრაიისფერ სინათლეს და ფოტოჟანგვის შედეგად (იხ. წინსართი) განიცდის დესტრუქციას. ლიგნინის ფოტოჟიმიური ცვლილება ბოჭკოებს უცვლის თვისებებს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს დასკდომა, გაყვითლება ან ფერის ცვლილება. ასევე წყლისადმი მგრძნობიარობის ამაღლება. ღია ფერის მერქნის გამუქების დაძლევისათვის ან დაყოვნებისათვის გამოიყენება მიკრონიზირებული რკინადაუანგული პიგმენტის დანამატი, რომელიც იხმარება როგორც უდ-დამცავი დანამატი ლაჟვარდში გარე გამოყენებისათვის. მაგრამ მას აქვს ნაკლიც: ნატურალური შედებვის ღროს ლაქის აფსკი პიგმენტირების გამო არ იქნება უფერული. ეს კი არასასურველია, თუ საჭიროა მერქნის ნატურალური ფერის შენარჩუნება.

აქტიურ უდ-დაფარვისათვის შეიძლება არაორგანული თეთრი პიგმენტების გამოყენება. მათი ნაკლია: დადების ხერხსა და დასადები შრის სისქეზე დამოკიდებულებით ისინი ყოველ-

თვის ვერ წარმოქმნიან ერთგვაროვან და გამჭვირვალე აფსკს. ამას კი შეუძლია გამოიწვიოს ადგილებში სადაც არ არის პიგმენტი, არ იყოს ფერის შეცვლისაგანთანაბარი დაცვაც.

დამცავი საშუალებების შერჩევის საწყისი კრიტერიუმებია:

- ფუძეშრისათვის უდ-აბსორციის ეფექტურობა ფოტო ქიმიური დესტრუქციისაგან კარგი დაცვით, განსაკუთრებით კრიტიკულ დიაპაზონში 280-400 ნანო მეტრამდე;
- ლაქსალებავ სისტემაში ადგილად შეყვანა;
- ლაქსალებავი სისტემების თვისებების გაუარესობის უქონლობა.

არ არსებობს უნივერსალური უდ-დაცვის საშუალებები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს ავეჯის და მერქნის დეტალების შეღებვისათვის.

სხვანაირად, შეუძლებელია ერთი და იგივე მოქმედი ნივთიერება გამოყენებული იყოს ნიტროცელულოზის, ორკომპონენტიან პოლიურეთანულ და წყლის ლაქებში.

შუქდამცავი დანამატების ან HALS (Hindered Amine Light Stabilizer) შენაერთებით შედგენილობების გამოყენების დროს დღემდე არ ხერხდება, მაგალითად, ალუბლისაგან, მუხისაგან, კაკლისაგან, იფნისაგან დამზადებული ნაკეთობების შეფერილობის ცვლილებისაგან ეფექტური დაცვა, მერქნის ნატურალური ხასიათის შენარჩუნებით. დღეს მხოლოდ იქმნება სისტემები ღია ფერის (ნეკერჩლის, სოჭის, ფიჭვის) დაცვისათვის. ჯერჯერობით გამოიყენება ორკომპონენტიანი პოლიურეთანული ან წყლის მასალები. ცხადია, შუქდამცავი დანამატების გამოყენება უდ-გამყარებულ მასალებში ძალიან შეზღუდულია, რადგანაც შეუძლებელია სამრეწველო პირობებში დამატებების შეყვანა ეფექტურად მოქმედ კონცენტრაციებში. უფრო მწვავედ დგას ტროპიკული მერქნისაგან დამზადებული ნაკეთობების ფერის დაცვის პრობლემა, რომლებიც ხშირად შეიცავენ ორგანულ წითელ საღებარებს. დღემდე არ არის ცნობილი მოყვითალო-ყავისფერი ელფერის გამოჩენისაგან ამ მერქნის დაცვის საშუალება. წითელი შემღები ნივთიერებები სინათლის მოქმედების ქვეშ განიცდიან რღევას.

ტყის მერქნის სახეობები ჩვეულებრივ შეფერილია ღია ფერში. ამასთან ზოგიერთი სახეობის მერქნის მთლიანი მასა შეფერილია ერთ ფერში (თხმელა, არყის ხე, რცხილა), ხოლო ზოგიერთის ცენტრალურ ნაწილს კი აქვს უფრო მუქი შეფერილობა (მუხა, ფიჭვი, ლარიქსი). ტანის მუქი ნაწილი – გულია, ხოლო ღია ფერის პერიფერიული ნაწილი – ნაქურთენი. ზოგიერთ უგულო სახეობებს აქვს ტანის გამუქებული ცენტრალური ნაწილი. ასეთ შემთხვევაში მუქ ცენტრალურ ზონას უწოდებენ არაჭეშმარიტ გულს (უგულო – ცაცხვი, ნაძვი). სინოტივის ფარდობითი შემცველობისაგან და ნაქურთენის და გულის სიღიღების თანაფარდობისაგან დამოკიდებულებით ხის სახეობები დაყოფილია გულიანი (მუხა, ფიჭვი, ლარიქსი) და ნაქურ-

თენიანი (ნეკერჩალი, არყის ხე). გულის სახეობების ნაქურთენებს აქვთ სინოტივის მნიშვნელოვანი შემცველობა და ღია ფერის გული. გულის სახეობებს აქვთ მერქანი ერთგვაროვანი ფერით. გულში სინოტივის შემცველობა უფრო ცოტაა, ვიდრე ნაქურთელში. ნაქურთენის მერქნის სახეობები გამოირჩევიან ყველაზე უფრო ერთგვაროვანი აგებულობით, გული და ნაქურთენი პრაქტიკულად არ განსხვავდებიან, როგორც ფერით, ასევე სინოტივის შემცველობით. ზოგჯერ უგულო და ნაქურთენის მერქნის სახეობებში წარმოიქმნება არაჭეშმარიტი გული, ხოლო გულის მერქანში – შინაგანი ნაქურთენი.

წიწვოვანი სახეობებისათვის დამახასიათებელია ფისოვანი სასვლელების არსებობა, რომლებშიც გროვდება ექსტრაქტოვანი, სათრიმლავი, ეთერის ნივთიერებები, რაც წიწვოვან სახეობებს აძლევს განსაკუთრებულ არომატს. ხის ისეთ სახეობებს, როგორიც არის კაკალი, მუხა, იფანი, კარელიის არყი, წითელი ხე და სხვა აქვთ ძალიან ღამაზი ტექსტურა. ამ სახეობების გამოყვანის დროს ცდილობენ ტექსტურა შეინარჩუნონ და გახადონ ის უფრო მკაფიო.

დაწყებული 1990 წლიდან ინტენსიურად დაიწყო ავეჯიდან და მერქნის შეღებილი ზედაპირიდან ნარჩენი ემისიების ადამიანის ჯანმრთელობაზე გავლენის საკითხების შესწავლა. დამუშავებულია ჰაერის შემადგენელი ნაწილების და სახლის მტვრის შეფასების და განსაზღვრის კონცეფციები. ცნობილია, რომ 25-70 წლის ადამიანები ყოველდღიურად შენობის შიგნით ატარებენ დაახლოებით 20 სთ. ამგვარად, ადამიანი შენობის შიგნით ატარებს თავის ცხოვრების 80-90%. შენობის თბოიზოლაციის და ფანჯრების ჰერმეტიზაციის გაუმჯობესების შედეგად შენობაში საგრძნობლად მცირდება სუფთა ჰაერის მიწოდება. სამაგიეროდ წარმოიქმნა შენობის ჰიგიენაში პრობლემების ახალი ველი. ამის მაგალითს წარმოადგენს ობის და ხშირი ნისლის ეფექტი (შავი ოთახები). არახელსაყრელი პირობების დროს შენობაში ჰაერი შეიძლება გაჯერდეს აგრეთვე, სხვადასხვა აქროლადი ნივთიერებებითაც საიზოლაციო და სამშენებლო მასალებიდან, ავეჯიდან, გამოყვანილი კედლებიდან, ჭერიდან.

არც ისე დიდ ხანია რაც ავეჯი იყო ფორმალდეპიდის დიდი რაოდენობით მრავალგზის შემცველი წყარო, რომელიც ზემოთ აღნიშნულ ცვლილებებთან შეხამებაში წარმოქმნიდა ჯანმრთელობისათვის დიდ რისკებს. ასეთი ემისიის მიზეზი იყო მერქნის მასალები, მწებავი სისტემები და ლსმ. შენობის შიგნით ავეჯი ჯერ კიდევ შეიძლება იყოს ემისიის უმნიშვნელო წყარო. ის რაც უწინ გამოირჩეოდა უფრო, როგორც ხარისხის ნიშან-თვისება და იყო მფლობელის საიმაყის საგანი, დღეს სუნისადმი უკიდურესად მგრძნობიარე საზოგადოებისათვის ეს კლასიფიცირდება როგორც ნაკლი. აკი, ახლად დამზადებული პროდუქტების ნარჩენი ემისიის ყნოსვის სპექტრს აქვს არა მარტო გამაღიზიანებელი სუნი, არამედ ბევრ შემთხვევაში შეიძლება

იყოს ჯანმრთელობისათვის საშიშიც. ადამიანს შეუძლია განასხვავოს 4000-10000-მდე სხვადასხვა სუნი.

ახალი ავეჯის სუნს შეიძლება ჰქონდეს შემდეგი შედგენილობა:

- ემისია მერქნიდან და მერქნული მასალებიდან (მაგალითად, ფორმალდეპიდი, ტერპენები);
- ორგანული გამზსნელები წებოსაგან, საწმენდელისაგან, ლსმ, პლასტიფიკატორებისაგან;
- ფოტო ინიციატორების გახლეჩის პროდუქტები და ნარჩენი მონომერები უდმასალებისაგან (ნარჩენი მონომერი უჯერი პოლიეთერული ფისისაგან, მაგალითად, სტიროლი);
- ჟანგვაგამამყარებელი ზეთის გახლეჩის პროდუქტები (მაგალითად, ალდეპიდები).

ავეჯის ზედაპირიდან ნარჩენ ემისიაზე გავლენას ახდენს შეღებვის და გამყარების პროცესების შემდეგი ფაქტორები:

- ძალიან შემწოვი ფუძეშრე;
- სუბსტრატის ტემპერატურა (ცივი ან თბილი);
- დასაღები ნივთიერების რაოდენობა/შრის სისქე;
- შრობის პარამეტრები;
- ჰაერის ცირკულაციის სიჩქარე;
- შრობის ტემპერატურა;
- შრობის ხანგრძლივობა;
- ჰაერის ფარდობითი ტემპერატურა.

## სამომარებლო ტენდენციები

მომხმარებლები, უპირველეს ყოვლისა, უპირატესობას ანიჭებენ სრულად ინდივიდუალობის გამოხატვას დიზაინში და ავეჯის ელემენტებში.

ახალი ტექნოლოგიების დამუშავება მჭიდროდ არის დაკავშირებული მომხმარებლის მოთხოვნებთან. ასე მაგალითად, უახლოეს მომავალში მოსალოდნელია სამომხმარებლო ზედაპირების თვისებების ან მათი ფუნქციურობის გაუმჯობესება ნანონაწილაკების გამოყენების დროს.

მაგალითად:

- ზედაპირები მდგრადი კაწვრისადმი;
- ანტიმიკრობული ზედაპირები (ვერცხლის ნანონაწილაკები);
- ელექტროგამტარი იატაკების მტვერგანმზიდი ზედაპირები.

არსებობს აგრეთვე ფუნქციურობის მოთხოვნებიც. არის სურვილი შეიქმნას სამზარეულოს ავეჯი ანტიბაქტერიული დამცავი ზედაპირით, ადვილად ჩამოსარეცხი ზედაპირით („easy – to – clean“) ან ზედაპირით, რომლებზეც შეიძლება წარწერის დატოვება და მისი წაშლა.

მნიშვნელობას შეიძენენ წყლის ფუძეზე ლაქსალებავი მასალები. წყლის ერთკომპონენტიანი უდ-გამყარებელი – და Dual – cure – სისტემებისულ უფრო ხშირად ცვლიან ორკომპონენტიან – და მჟავაგამამყარებელ შედგენილობებს. განიხილება მომავალში სამზარეულოს ავეჯის ფრონტების ფხვნილოვანი მასალით შეღებვის შესაძლებლობა. ამის წინაპირობაა მაღალპერიანი და მქრქალი ზედაპირების მიღება გარემოსათვის სასურველი ტექნოლოგიის გამოყენებით.

ნავთობპროდუქტების ბაზაზე ნედლულის ღირებულების მოსალოდნელი ზრდის გამო, ასევე ნატურალურ მერქანზეც, მერქნისაგან დამზადებული შეღებილი ნაკეთობების მწარმოებლები იძულებული გახდებიან სულ უფრო მეტად გამოიყენონ საინუინრო მერქნული მასალები.

მოფანერების შეზღუდული შესაძლებლობების გამო, მერქნის სტრუქტურის მერქნულ მასალებზე და ქაღალდზე მათი დაფარვისათვის იქნება ინტენსიური ბეჭდვა.

გააძლიდრეთ თქვენი ლექსიკა

შიგნები მოყვანილი ტერმინების განმარტვილი

ლექსიკონი

३

აბსორბცია (ლათ. *absorptio, absorbere*-დან – შთანთქვა, გაზავება) – აირის ნარევის კომპონენტების ამორჩევითი შთანთქვის პროცესი თხევადი მშთანთქმელით (აბსორბენტით). აბსორბციის დროს აირის კომპონენტების შთანთქვა ხდება სითბოს გამოყოფის თანხლებით. აბსორბციის პროცესის წარმოშობისათვის აუცილებელია, რომ აირი და მშთანთქმელი არ იყვნენ წონასწორულ მდგომარეობაში.

ასხვავებენ აბსორბციის ორ სახეს: ფიზიკური, რომლის დროს აირიდან კომპონენტების გამოყვანა ხორციელდება მათი აბსორბენტში ხსნადობის წყალობით და ქიმიური (ქემო-სორბცია), რომელიც დაფუძნებულია გამოსაყვანი კომპონენტების აბსორბენტის აქტიურ ნაწილთან ქიმიურ ურთიერთქმედებაზე. ატმოსფერული ტენიანობის ფიზიკური აბსორბცია იწვევს ზის ნაკეთობების გაჯირვებას და შემდგომ განშრევებას. აბსორბციის პროცესი შექცევადია, ამიტომ ის გამოიყენება არა მარტო აირების ხსნარების სითხეებში მიღებისათვის, არამედ ნარევების დაცალკევებისათვისაც.

**აქრომატული მხედველობა** – ქრომატული ელფერის გარჩევის დაკარგვის უნარი, როდესაც გარემო აღიქმება ნაცრისფერში, რომელსაც აქვს მხოლოდ აღთქმული სინათლის სპექტრზედამოკიდებული სიკაშკაშის განსხვავება. მაქსიმალური სიკაშკაშით აღიქმება მწვანე ფერი, რაც დამახასიათებელია ბინდისებრი მხედველობის ადამიანებისათვის ნორმალური ფერითი მხედველობით.

**ამინები** – ორგანული ნაერთი, მიღებული ამიაკიდან, რომლის მოლექულაში ერთი, ორი ან სამი წყალბადის ატომი ჩანაცვლებულია ნახშირბადის **რადიკალით**.

**ანტიდრიდი** – მუგვისაგან წყლის წართმევით მიღებული ნაერთი.

**ამფორტერობა** – ზოგიერთი ნივთიერების უნარი პირობების მიხედვით გამოამჟღავნოს მუავის ან ჯუმის თვისება.

**ნელი (sambukos ebulus)** – მცენარე ისხამს წვრილ შავ ნაყოფს.

**ალდეპიდი** – ორგანული ნაერთი, რომელიც კარბონილის ფუნქციურ ჯგუფს შეიცავს. სახელ-წოდება აღნიშნავს წყალბადწართმეულ ალქოჰოლის.

აბსოლუტური მქრქალი ზედაპირი – ყველა მიმართულებით ზედაპირიდან თანაბრად სინათლის არეალია.

**ანილინი (ფენილამინი) – არომატული ამინი. ფართოდ გამოიყენება სალებავის წარმოებაში.**

**ადსორბული** – ნივთიერება, რომელსაც აქვს აირის მოკულობითი შთანთქმის უნარი.

**ადსორბცია** – მყარი ან თხევადი ნივთიერების ზედაპირით ან მიკროფორების მოცულობით სხვა ნივთიერების შთანთქვა (მოლეკულური ადსორბცია, ქიმიური ადსორბცია და ა.შ.).

**ალიფატური ნაერთი (ორგანული ქიმია)** – ნაერთი, რომელიც არ შეიცავს არომატულ კავშირებს.

**ანიზოტროპია** (ბერძ. *anisos*—არათანაბარი და *tropos*—მობრუნება, მიმართულება) – გარემოს თვისებების განსხვავება (მაგ. ფიზიკური: დრეკადობის, ელექტროგამტარობის, თბოგამტარობის, გარდატეხის მაჩვენებლის, სინათლის ან ბგერის სიჩქარების და სხვ.) სხვადასხვა მიმართულებით ამ გარემოს შიგნით. საწინააღმდეგოდ – იზოტროპია. ცალკეული თვისებებისაგან დამოკიდებულებაში გარემო შეიძლება იყოს იზოტროპული, ხოლო მეორესთან დამოკიდებულებაში – ანიზოტროპული. იზოტროპიის ხარისხი ასევე შეიძლება იყოს განსხვავებული. ანიზოტროპის კერძო შემთხვევა – ორტოტროპია (ბერძ. – სწორი მიმართულება) – გარემოს არაერთნაირი თვისებები ურთიერთპერპენდიკულარული მიმართულებით.

**ამორფული ნივთიერება (სხეული)** – ნივთიერების კონდენსირებული მდგომარეობა.

**არომატული ნახშირწყალბადები ანუ არენები (საერთაშორისო ნომენკლატურით)** – ეწოდება ისეთ ნახშირწყალბადებს, რომელთა მოლეკულები შეიცავენ ერთ ან რამდენიმე ბენზოლის ბირთვს. ბენზოლი და მისი ჰალოგენები (არომატული ნახშირწყალბადების შემცვლელი) გამოიყენება ნედლეულად საღებარების, სამკურნალო პრეპარატების, პლასტ-მასების და სხვა მრავალი ორგანული ნაერთის სინთეზისათვის.

**ამფორტერული (ბერძ. – ორმაგი)** – ოქსიდებია, რომლებიც პირობების მიხედვით ავლენენ, როგორც ფუძე, ისე მჟავა ოქსიდის თვისებებს, ე.ი. გააჩნიათ ორმაგი (ამფორტერული) ბუნება.

**აბსორბცია აირის** – თხევადი ან მყარი ნივთიერების მთელი მოცულობით აირის შთანთქმა.

**არომატულობა** – მოლეკულის შინაგანი ენერგიის მკვეთრი შემცირება  $\pi$ (ბმა) – ელექტრონების დელოკალიზაციის შედეგად. შინაგანი ენერგიის შემცირების გამო არომატული ნაერთები თერმოდინამიკურად მდგრადი ნაერთია.

**აპეტა** – შედგენილობა, სინთეზური ფისისაგან, ცელულოზის ეთერებისაგან და სხვა ნივთიერებებისაგან, რომლებიც განკუთვნილია მასალების დასამუშავებლად მათთვის სიხისტის, შეუმცირებლობის, დაუწვავობის, მედეგობის მისაცემად – სინოტივის, სინათლის და ა.შ. წინააღმდეგ.

**აზეოტოპიული ნარევი** – ორი ან მეტი სითხის ნარევი, რომლის შედგენილობა არ იცვლება დუღილის დროს, ანუ ნარევი სითხის და ორთქლის თანასწორული ფაზების შედგენილობით.

**ანალინი (ფენილამინი)** – უფერო ზეთიანი სითხე დამახასიათებელი სუნით, წყალზე ოდნავ მძიმე და მასში ცუდად ხსნადი, კარგად იხსნება ორგანულ ხსნარებში. ჰაერზე სწრაფად იუანგება და ღებულობს წითელ-მურა შეფერილობას. შხამიანია.

**აცეტილენი** – ნაერთი ნახშირბადის წყალბადთან, უფერო საწვავი აირი.

**ატომი (ბერძ. – ნიშნავს განუყოფელს)** – ქიმიური ელემენტის უმცირესი ელექტრონეიტრალური ნაწილაკი, რომელიც დაღებითად დამუხტული ატომბირთვისა და ელექტრონული გარსისაგან შედგება.

**ასოციაცია (ლათ. accosiare – გაერთიანება)** – მარტივი მოლეკულების და იონების შეერთება უფრო რთულში, რომლებიც არ იწვევენ ნივთიერების ქიმიური ბუნების ცვლილებას.

**არაორგანული** – ეხება არაცოცხალ ბუნებას, რომელიც სწავლობს არაცოცხალი ბუნების ნივთიერების შედგენილობას, თვისებას და გარდაქმნას.

**აპკი (ანატ.)** – თხელი დრეკადი აფსკი, რომელიც ცოცხალ ორგანიზმში წარმოადგენს ტიხარს, გარს.

**ამორფული (უფორმო)** – არაკრისტალური აღნაგობა.

**აქცეპტორი (ლათ. accipio – „მე ვღებულობ“)** – ობიექტი, რომელიც რაიმეს ღებულობს სხვა ობიექტიდან (დონორიდან).

- აქცეპტორი – მიმღები;
- აქცეპტორი ელექტრონების (ქიმ.) – ატომის და ატომების ჯგუფი, რომლებიც ღებულობენ ელექტრონებს და წარმოქმნან ქიმიურ ბმებს თავისი ცარიელი ორბიტის და დონორის გაუყოფელი წყვილი ელექტრონებით.

**აირების ნარევი (ფიზ.)** – რამდენიმე სხვადასხვა აირის ერთობლიობა, რომლებიც განხილული პირობების დროს ერთმანეთთან არ შედიან რეაქციაში.

აირების ნარევი წარმოადგენს ჰომოგენურ თერმოდინამიკურ სისტემას.

**აკციდენცია (accidentia)** – შემთხვევა, შემთხვევითობა.

**ასიმილაცია** – ცოცხალი ორგანიზმის თვისება, გამოიყენოს გარეშე ნივთიერებები მისთვის საჭირო ნივთიერებების მისაღებად. მაგალითად, ნახშირორჟანგის ასიმილაცია არის შაქრის სინთეზის საფუძველი.

**ავეჯი** – მორთულობის საგანი, საქონლის მოთავსებისათვის, დაჯდომისათვის, დაწოლისათვის ან სამუშაოს შესრულებისათვის.

**აღნიშვნები** - „E“ ნიშნავს ეთერში ზენადობას; „A“ - სპირტში (ალკოჰოლი); „AM“ - სპირტში საშუალო სხნადი.

**არაპლასტიფიცირებული კარბამიდული ფისი** – პოლიმერული წებო.

**აფსკრარმომქმნელები** – მასალებს გამყარებულს ულტრაიისფერი დასხივებით ზშირად უწოდებენ ოლიგომერებს ან პრეპოლიმერებს.

**ადიტივი** – ნივთიერება, რომელიც რეცეპტურაში შეჰქავთ შედარებით მცირე რაოდენობით გარკვეული თვისებების გასაუმჯობესებლად ან არასასურველი ეფექტების ასარიდებლად.

**ანომალია (ბერძ.)** – საერთო წესისგან გადახვევა, წესის დარღვევა.

**ამორფული** – ნივთიერება, რომელსაც არ გააჩნია კრისტალური აღნაგობა.

**აპლიკაცია** – 1. დეკორატიული დამატება, მაგალითად დადებული მოკაზმულობა; 2. ნახატის დამზადება, რამეზე დაწებებული ნაჭრებით ფერადი ქაღალდის, მასალის.

**ადაპტაცია (ლათ. adaptio – შეუგუებს)** – გარემო პირობების ცვლილებებთან შეგუების პროცესი.

**ანჯამა** – ღეროთი შეერთებული ორი თამასა კარის და ფანჯრის ჩამოსაკიდად.

**ადიტიური (ლათ. additive – დამატებითი)** – ის, რაც ერთმანეთს ემატება. ქიმიური ნივთიერების ან ფიზიკური ფაქტორების ისეთი თვისებები, რომლებიც ჯამდება, ერთმანეთს ემატება.

**აქტივატორი** – ნივთიერება-კატალიზატორი, რომელიც მოქმედებს ქიმიური რეაქციის სიჩქარეზე.

**ადჰეზია (ლათ. adhaesio – მიკვრა)** – შესაღებ ზედაპირთან ლაქსაღებავით დაფარვის მტკიცედ შეჭიდულობის უნარი. ადჰეზია განპირობებულია აქტიური ჯგუფების ფიზიკური და ქიმიური ურთიერთქმედებით ფუძეშრის ზედაპირის შემკვრელ აქტიურ ცენტრებთან. ზედაპირის მიმართ ლაქსაღებავის დაბალი ადჰეზიის დროს ხდება საღებავი აფსკის ადვილი აშრევება, ე.ი. დაფარვა არახანგამდება, დაბალი დამცავი და მექანიკური თვისებებით. ლაქსაღებავის ფუძეშრის მიმართ ადჰეზიის ასამაღლებლად დიდი მნიშვნელობა აქვს შესაღები ზედაპირის სათანადო მომზადებას. ადჰეზიის ბმის სიმტკიცის ამაღლებისათვის მნიშვნელოვანია ზედაპირის მოკროფორებში და ბზარებში თხევადი ლაქსაღებავის შეღწევის პროცესი. ამიტომაც ადჰეზიის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს გამოსაყვანი ზედაპირის სიმქისე.

**აქროლადი ორგანული ნაერთი (აონ)** – ნაერთი, რომელიც შეიცავს ნახშირბადს და მასთან ერთად ერთ ან რამდენიმე ისეთ ელემენტს, როგორიც არის წყალბადი, ჰალოგენი, ჟანგბადი, ფოსფორი, გოგირდი, სილიციუმი, აზოტი, ნახშირჟანგის და არაორგანული კარბონატების და ბიკარბონატების გარდა და აქვთ  $293,15^{\circ}\text{C}$  ( $20^{\circ}\text{C}$ ) ტემპერატურის დროს ორთქლის წნევა  $>1\text{p}$  ან მათი გამოყენების პირობებში შესაბამისი აქროლადობა. აქროლადი ორგანული ნაერთები მათი დუღილის წერტილის, ე.ი. აქროლადობის მიხედვით დაყოფილია:

- ძალიან ადვილად აქროლადი ორგანული ნაერთები, დუღილის არე  $50-100^{\circ}\text{C}$ -მდე;
- აქროლადი ორგანული ნაერთები, დუღილის არე  $50-100^{\circ}\text{C}$ -დან  $240-260^{\circ}\text{C}$ -მდე;
- ძნელად აქროლადი ორგანული ნაერთები, დუღილის არე  $240-260^{\circ}\text{C}$ -დან  $380-400^{\circ}\text{C}$ -მდე.

**აქტივაცია** – დამატებითი ენერგიის მინიჭების გზით არააქტიური ნაწილაკების აქტიურში გადასვლის პროცესი.

**აქტივაციის ენერგია** – მინიმალური ენერგია, რომელიც აუცილებელია ნაწილაკების არააქტიურიდან აქტიურ მდგომარეობაში გადასაყვანად.

**ანტისეპტიკა (ბერძ. წინააღმდეგი, ლპობა)** – გამაუსწებოვნება, სადეზინფექციო. განკუთვნილია ლპობისაგან და ობისაგანმერქნის დაცვისათვის.

**აბსორბენტი** – ნივთიერება, რომელსაც აქვს აირის მოცულობით შთანთქმის უნარი.

**ალოტროპია (ბერძ. allos – სხვა და tropos – მობრუნება)** – ელემენტის თვისება არსებობდეს ბუნებაში რამდენიმე მარტივი ნივთიერების სახით. ხოლო ამ მარტივ ნივთიერებებს ჰქვია ალოტროპიული სახესხვაობები, ამგვარად, ალოტროპიულისახესხვაობები ეწოდება მარტივ ნივთიერებებს, რომლებიც წარმოქმნილია ერთი და იგივე ელემენტებისაგან.

**აფრომოზია (Afromosia)** – ბერძ. პერიკოპე, რაც ნიშნავს – მჭრელი. (სინონიმი – Afromosia elata ლათ. ელატა – მაღალი). ოჯახი: Fabaceae or Leguminosac პარკოსანთა ოჯახი, Papilionaceae - ჯვარფი ბარდის ან პარკოსანი.

**სხვა სახელწოდება:** კოკროდუა, ყვითელი ატლასის ხე, აფრიკული ატლასის ხე, ბენინსის ატლასის ხე, წითელი ქერქი, ვერაგული (ჯოჯოხეთური) ხე, აფრიკული ტექტონა, ასამელა.

**გავრცელება:** ხარობს სპილოს ძვლის სანაპიროს, განის, კამერუნის, კონგოს ტერიტორიებზე. ხე: სიმაღლე 55 მ., ტანის დიამეტრი 1,5-2 მ., ტანი ჩვეულებრივ სწორი, არ აქვს კინტის ნაწილი, ხოლო დიდ ხეებს შეიძლება ჰქონდეს სუფთა ტანი ტოტის გარეშე 30 მეტრამე სიმაღლეზე.

**მერქანი:** აფრომოზია წარმოადგენს ფასეულ (ძვირფას) სახეობას, ჰერკულეს ტექტონას (*Tectona grandis*). ნედლ დახერხილ მერქანს აქვს მოყვითელო-ყავისფერი გულის ნაწილი და ვიწრო, ოდნავ უფრო ნათელი ნაქურთენი. ყვითელი ფერი დროთა განმავლობაში ქრება. ბოჭკოები სწორია, ოდნავ გადახლართული. ტექტურა წვრილი, პერი საშუალო. არ აქვს გამოვლენილი გემო და ფერი. სიმკვრივის კოეფიციენტი 0,57 (მერქანის გამშრალი მასის ფარდობა ნედლ დახერხილ მერქანის მოცულობასთან), რაც შეადგენ 700 კგ/მ<sup>3</sup>. მერქანის ნოტიო გარემოში და რკინასთან კონტაქტში გამოყენების დროს საჭიროა მისი გაუღენთა. აფრომოზია ბევრად უფრო მაგარი და მტკიცე მერქანია, ვიდრე ტექტონა, მაგრამ ღუნვის უნარიანობის მიხედვით აქვს საშუალო მაჩვენებელი.

**შრობა:** აფრომოზია საკმაოდ კარგად შრება, ოდნავ ნელი შეშრობით. შეშრობის საშუალო მაჩვენებელია: რადიალური 3,0%; ტანგენციალური 6,4%; მოცულობითი 10,7%.

**სიმკვრივე:** სახეობა დაპირისპირებულია სოკოების, მწერების და ზღვის მბურღავების ზემოქმედებას. აფრომოზია ერთ-ერთი ყველაზე უფრო მტკიცე მერქანის სახეობაა.

**დამუშავება:** აფრომოზია კარგად მუშავდება როგორც ჩარხზე, ასევე ზელით. აფრომოზიის მექანიკური დამუშავების დროს იარაღის მჭრელი პირის დაბლაგვება ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე ტექტონის დამუშავებისას. გადახლართული ბოჭკოების შემთხვევაში რანდვის დროს დასამუშავებელ ზედაპირზე შეიძლება ამონაგლეჯების წარმოქმნა. ამის თავიდან ასაცილებლადაუცილებელია კუთხის შემცირება. ბურღვის დროს საჭიროა ყურადღება მიექცეს ინსტრუმენტის ნახვრეტიდან გამოსვლის ადგილს, რადგანაც ასეთ ადგილებში შეიძლება ჩამონახეთქების წარმოქმნა. მერქანი ჩინებულად ექვემდებარება გაპრიალებას და გაუღენთას. ლურსმნებით მუშაობის დროს არსებობს გახლეჩის ტენდენცია. მერქანის შეწებება დამაკმაყოფილებელია.

**გამოყენება:** აფრომოზია ბევრ დარგში გამოიყენება როგორც ტექტონას ალტერნატივა, გან-საკუთრებით იქ, სადაც საჭიროა მერქანის სიმტკიცე და სტაბილურობა. ძირითადად გამოიყენება იახტებისდასამზადებლად, ინტერიერის გამოსაყვანად, ავეჯის მრეწველობაში, ცალობით და მხატვრულ პარკეტების წარმოებისათვის, იატაკის მასიური ფიცრების დამზადებისათვის, სადურგლო-სამშენებლო კონსტრუქციებში. კერძოდ, აფრომოზიისაგან ამზადებენ სადარბაზო კარებს, ბაღის ავეჯს, ფანჯრებს, საფეხურებს და ა.შ. არ შეიძლება მისი გამოყენება ტენიან ადგილებში და მერქანის ლითონთან შესაძლო კონტაქტის დროს, რადგანაც ამ შემთხვევაში მოხდება მისი გაუფერულება.

**ხელმისაწვდომობის რესურსი:** აფრომოზიის მერქანი მომხმარებელს მიეწოდება დახერხილი ზე-ტყის და მორების სახით, შედარებით დაბალ ფასებში, ვიდრე ტექტონას მერქანი და მსგავსი

სახეობები. ახლახან აფრომოზია შეიტანეს იმ სახეობების ნუსხაში, რომლებსაც ემუქრებათ გაქრობა, რაც საგრძნობლად ზღუდავს ამ მერქნის საერთაშორისო ვაჭრობას.

**აფზელია (Afzelia)** – პარკოსანთა (Fabaceae) ოჯახი, ზარობს აფრიკის ქვეყნების კოტ-დ'ივაურის, ბურკინა-ფასოს, კამერუნის, გვინეის და ზოგიერთი სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. არის ხის ცამეტამდე ნაირსახეობა სიმაღლით 10-20 მ., ღიამეტრით 100 სმ.-მდე, დამახასიათებელი შავ-წითელი სათესლე მარცვლებით. მწიფობის პერიოდში აფზელის Africanaსახეობების ხისტი ჭოტები „სკდება“ და სავანა ივსება ხმოვანი ჭანახით (ტკაცანით). აფზელის მძიმე ფიცრის სიმკვრივე შეადგენს 800-1100 კგ/მ<sup>3</sup> და აქვს დეკორატიული ექსტერიერი (ფრანგ. extérieur – გარეგანი).

**აფზელის მერქანი.** ძალიან მკრთალი ნაქურთელი კონტრასტულად გამოირჩევა მოოქროსფერო-ყავისფერ გულის ფონზე. ხშირად ჰაერის ზემოქმედების ქვეშ გული ღებულობს სააგურე ელფერს. ტალღისებური და არეულ-დარეული ჯავარისებრი ბოჭკოები ხერხილებზე იძლევიან თანაბარ და ძალიან მკაფიო სახეს (მოხატულობას). ამის წყალობით აფზელის მასიური ფიცარი უფრო ფასობს ხეზე მომუშავე მკვეთრებთან და დურგალ-მეავეჯეებთან. ლაქით დამუშავებული და გაზეთილი ღეტალები აღფრთოვანებას იწვევს თავისი მრავალფეროვნებით და ტექსტურის ძვრადობით. გულგულის ფართო სხივები ნებისმიერ ჭრილში უზრუნველყოფს დამახასიათებელ სადაფისებრ ბრწყინვალებას, რაც აფზელის პარკეტს აქცევს ელიტალურ და მდიდარ დაფარვად.

**აფზელის თვისებები და გამოყენება.** აფზელის აქვს მაღალი სიმკვრივე, ბიომედეგობა, კარგად უძლებს კლიმატურ ცვლილებებს და პარაზიტების (სოკოს, ობს, ტერმიტებს და რწყილებს) თავდასხმას. ამის გამო ის ძალიან ფასობს „შავ კონტინენტზე“. აფზელია გამოიყენება გემთმშენებლობაში, საბინაო მშენებლობაში, სადურგლო საქმიანობაში, ავეჯის მრეწველობაში. ფერმჭერებით კარგად დამუშავებული აფზელის ფიცარი არის ტერასების დაფარვის კარგი საფუძველი ეზოს ავეჯისათვის, მისგან მიიღება მაღალხარისხიანი პარკეტი, აბაზანის ოთახის პლინტუსი. განსაკუთრებული სიმკვრივე საშუალებას იძლევა ველოდრომების და სპორტული დარბაზების დაფარვის საშუალებას. ის მომსახურებაში სტაბილური და ამტანი სამშენებლო მასალაა. მოწიფულ მერქანს აქვს უფრო ინტენსიური შეფერილობა, ვიდრე ახალგაზრდა ახალმოჭრილ ეგზემპლარებს. ყველა შემთხვევაში, როგორც მერბაუ, აფზელიაც დროის და სინათლის ზემოქმედების ქვეშ ღებულობს ნაჯერობას და აქვს მიღრეკილება საერთო ტონის გათანაბრებისაკენ. დახერხვის დროს მერქნის წვრილი მტვერი აღიზიანებს ცხვირის ლორწოვან გარსს და იწვევს ცხვირის ცემინებას. საყნოსველი თამბაქოს პრინციპით ცალკეული სახეობების ქერქს, ფოთლებს და ნაყოფს თანამედროვე მედიცინა იყენებს სიცხის

დასაწევ, გაუტკივარების, სასაქმებელის და პირსასაქმებელი პრეპარატების დასამზადებლად. აღმოსავლეთ აფრიკაში აფზელიის quanzensis ფესვებიდან ღებულობენ აფროდიზიაკს (ბერძ. ძველი ბერძენი ქალღმერთის აფროდიტის სახელისაგან – ბიოლოგიური აქტიური დანამატები). ინდოჩინეთში ზრდადი სახეობა Afzelia xylocarpa გამოირჩევა მთელი თავის ოჯახის ფონზე. მისი მერქანი აყალიბებს ნიანგის ტყავის მიმიკრიის მოხატულობას. კომერციული სახელწოდება – აფზელია, სხვანაირად „ნიანგის ხე“.

## ბ

**ბაია (Banunculus)**—დანაკეთულ-ფოთლოვანი და ყვითელპრიალა ყვავილებიანი ბალახი (მეტწილად ტენიან ადგილებში იზრდება).

**ბარიუმის სულფატის ქიმიური ნალექი (blanc fixe)**— გამოიყენება მაღალი ხარისხის თეთრისალებავების წარმოებაში, ხელოვნური სპილოს ძვლის, შუშის, ქალალდის და ცელოფანის დამზადების დროს, რენტგენოგრაფიის დიაგნოსტიკაში.

- ბარიუმის სულფატი — ძირითადად იხმარება გოგირდოვანი თეთრას დამზადებისას და იყენებენ როგორც პიგმენტს თეთრი სალებავის დამზადების დროს.
- ბარიუმის ქლორიდი — გამოიყენება პიგმენტების, ფერადი ლაქების და შუშის დამზადების დროს, ასევე როგორც სტაბილიზატორი მჟავური სალებარებისათვის.
- ბარიუმის სულფატი ხასიათდება განსაკუთრებული დაბალი ხსნადობით, რაც მას ხდის ადამიანისათვის არატოქსიკურს.

**ბენზოფენონი (დიფენილკეტონი)**— უფერო კრისტალები სასიამოვნო სუნით, წყალში უხსნადი, ხსნადი ეთერში, ეთანოლში, ბენზოლში, მმარმჟავაში. აქვს შთანთქმის და ულტრაიისფერი არეკვლის თვისება.

**ბენზოლი** — უმარტივესი არომატული ნახშირწყალბადი, უფერო სითხე.

**ბაგეტი** — გლუვი ან პროფილური თამასა, რომელიც განკუთვნილია ჩარჩოების და კარნიზების დასამზადებლად სურათებისათვის, გრაფიკის ნაწარმოებებისათვის, სარკეებისათვის.

**ბირადიკალი** — ნივთიერება, რომელსაც ერთ ნაწილაკში აქვს ორი შეუწყვილებელი ელექტრონი. უანგბადი ბირადიკალია.

**ბეიცი (სიტყვა Beizen წარმოშობილია შუა და ზემო გერმანიის ძველი სიტყვიდან Beissen — დაწვა (დადაგვა), შუშვა (წიწვა))** — არის ობიექტზე აგრესიულად მოქმედი მჟავის და ტუტის ხასიათის ნივთიერება.

**ბჟოლა (თუთა) [არაბ. Morusalba]** – ერთსახლიანი ან ორსახლიანი ხე, რომელიც ისხამს წვნიან ტკბილ ნაყოფს (ჩვეულებრივ, თეთრს ან შავს).

**ბენზოლი** – ტოქსიკური და კანცეროგენური ნივთიერება. ბენზოლის ორთქლს შეუძლია შეაღ- წიოს დაუზიანებელ კანში. ბენზოლით ქრონიკული მოწამვლა შეიძლება გახდეს ლეიკემიის (სისხლის კიბოს) და ანემიის (სისხლში გემოგლობინის ნაკლებობის) მიზეზი. ბენზოლი შედის ბენზინის შედგენილობაში, ფართოდ გამოიყენება მრეწველობაში, წარმოადგენს საწყის ნედლეულს სხვადასხვანაირი პლასტმასების, სინთეზური რეზინის, საღებარების დამზადებისათვის.

**ბიოციდები** – ქიმიური ნივთიერება, განკუთვნილი მავნებელ ორგანიზმებთან (მათ რიცხვში დაავადებათა გამომწვევ) საბრძოლველად.

**ბენზოლის მჟავა** – არომატული რიგის კარბონმჟავა.

**ბრტყელი ბეჭდვა** – ბეჭდვის ერთ-ერთი ძირითადი სახეობა, რომლის დროსაც საბეჭდ ფორმაზე (ლითონის დაფაზე, ქვაზე) საბეჭდი და სახარვეზო ზედაპირი პრაქტიკულად ერთ სიბრტყეზე მდებარეობს და თანაბრად ეხება ქაღალდს.

**ბიოინდიკაცია** – გამომჟღავნება და განსაზღვრა ექოლოგიურად ნიშნადი ნამდვილი და ანთრო- პოლოგიური დატვირთვების, მათზე ცოცხალი ორგანიზმების რეაქციის საფუძველზე უშუალოდ ცხოვრების გარემოში (იხ. წინსართი— ბიო). ანთროპოლოგია – ბერძ. ადამიანი, მეცნიერება.

**ბინარული** – რეაქციაში მონაწილეობს ორი ელემენტი.

**ბზა (Buxus sempervirens)**— დაბალი ან საშუალო სიმაღლის მარადმწვანე, წვრილფოთლებიანი ხე ან ბუჩქი; აქვს მაგარი და მძიმე მერქანი.

## გ

**გელიწარმოქმნის წერტილი** – დროის მომენტი, როდესაც დისპერსიული სისტემა კარგავს დენადობას. ეს განპირობებულია ზრდადი პოლიმერული ჯაჭვების ერთმანეთთან გადაკერებით და სამგანზომილებიანი მოლეკულური ბადის წარმოქმნით, გამსჭვალავი წებვადი კომპოზიციის მთელი მოცულობის. განსაზღვრავს წებოს სიცოცხლის უნარიანობის ზღვარს.

- გელიწარმოქმნის წერტილი განისაზღვრება ექსპერიმენტალურად, როგორც მომენტი, რომლის დროს ნარევი კარგავს დენადობას, მაგალითად, როდესაც მასში წყდება აირის

ბურთულების ამოსვლა. ასეთი გელიწარმოქმნის წერტილი არ მიუთითებს გელის სტრუქტურის ფორმირების დასრულებას.

**გრავიტაციული (მიზიდულობის) გელი** – ველში მოთავსებულ მატერიალურ წერტილზე მისი მასის პირდაპირ პროპორციული მომქმდედი მიზიდულობის ძალა.

გრავიტაციული ველი თანაბრად სხვა ფიზიკურ ველებთან და ნივთიერებებთან წარმოადგენს მატერიის ერთერთ ფორმას.

- **გრავიტაცია – მსოფლიოს მიზიდულობა.**

**გელი** – ბლანტი კონსისტენციის რბილი ფორმა, რომელსაც აქვს ფორმის შენარჩუნების უნარი, დრეკადია და პლასტიკური. დისპერსიული სისტემების ტიპის მიხედვით ასხვავებენ ჰიდროფილურ და ჰიდროფობურ გელებს. გელი მიიღება წყალში პოლიმერის ფხვნილის სუსპენზირებით.

**გამყიფება (embrittlement)**— მასალის ბლანტი მდგომარეობიდან გადასვლა მყიფეში, ფაზის შიდა შედგენილობის მინარევების კრისტალური აგებულების ატომების დეფექტების გადანაწილების და სხვების (ცივ-, ლურჯ-, წითელმეტესობის, სიმყიფის მოშვების, შენელებული დაშლის, წყალბადური სიმყიფის და სხვა) ცვლილებების გავლენით ან სხვადასხვა გარეშე ზემოქმედებით (კოროზიული დასკდომა, კოროზიული დაღლილობა, რადიაციული ნახეთქი და სხვა).

**გალვანიზაცია** – მუდმივი ელექტროდენის გამოყენება სამკურნალო მიზნით ან რაიმე საგნების დაფარვა ლითონის შრით.

**გელიწარმოქმნა (გელიწარმოქმნის ხანგრძლივობა, გელიწარმოქმნის წერტილი)**— პრაქტიკაში ეს დროა, რომელიც საჭიროა მასალის ახალი შრის დასადებად. მოლეკულური თვალსაზრისით სისტემა მიაღწევს გელიწარმოქმნის წერტილს მაშინ, როდესაც წარმოიქმნება პირველადი უსასრულო მოლეკულური ქსელით. ეს ნიშნავს იმას, რომ კიდით კიდემდე მოლეკულები ერთმანეთთან არიან უწყვეტად ბმულები, მაგრამ ბმაში ყველა მოლეკულა მონაწილეობას არ ღებულობს.

**გაცვეთა (abrasion)**— საერთაშორისო დონეზე იატაკის პარკეტის მდგომარეობის გამოცდას ცვეთაზე ახორციელებენ მოწყობილობაზე – Taber-Abraser-Test-a, რომელიც დაამუშავა ამერიკელმა ფირმამ Taber.

**გამოსხივების თვისებას**— განპირობებულს კვანტური ხარისხით უწოდებენ კვანტურს ან კორპუსკულურს.

**კორპუსკულა** – მატერიის ძალიან მცირე ნაწილაკი (კლასიკურ ფიზიკაში). დღეისათვის სიტყვას „კორპუსკულა“ შეენაცვლება სიტყვები მოლეკულა, ატომი.

**გარეგანი ფოტოეფექტი** – განათებული სხეულიდან ელექტრონების გამოვარდნა.

**გაუთოება** – პროცესი მტვერის გარეშე, რომლის დროსაც გამოწოვა საჭირო არ არის.

**გამოსაყვანი დეკორატიული ფირი** – ხელოვნური ფისიო გაუდენტილი დაბეჭდილი ან დაუბეჭდავი დეკორატიული ქაღალდი.

**გამხსნელები** – პრაქტიკაში მათ ასევე უწოდებენ განზავებელ ან განმზავებელ საშუალებებს.

**გაუფისურება** – ფისის შემორეცხვა განზავებული ტუტით ან ზედაპირის დამუშავება ორგანული გამხსნელებით.

**გათეთრება** – ქიმიური პროცესი, რომლის დროს გამოიყენება წყალბადის ზეჟანგი და მცირერაოდენობით ტუტე აქტივატორები.

**გამხსნელი** – ძლიერი სარეცხი საშუალებები, დისპერგატორები, კონსერვატორები, პლასტიფიკატორები ან სიბლანტის დაყენების და ზედაპირის დაჭიმვის საშუალებები.

**გაცემა** –

- გაქნა ბოლომდე ან მთლიანად;
- გაიხარჯოს, გახდეს უვარგისი ხახუნისაგან.

**გრამატურა (engineering gramege)**—მეტრიულ სისტემაში საბაზო წონის გაზომვის ერთეული; სხვადასხვა ტექნოლოგიების გამო ქაღალდის საბოლოო გრამატურა მეტი აქვს პოსტიმპეგატის.

**გრიგალისებრი განმუხტვა** – დამოუკიდებელი განმუხტვის დამახასიათებელი ფორმა, რომელიც წარმოიშობა მკვეთრად არაერთგვაროვან გელში.

**გრავიურა (ფრ.)**— ხეზე, ქვაზე ან ლითონზე ამოკვეთილი გამოსახულების ანაბეჭდი.

**გრავირება** – ნახატის ამ წარწერის აღწარმოება რომელიმე მაგარ მასალაზე.

**გაჭიმვა (კუმშვა)**— ძელის ან მისი ნაწილის დეფორმაციის სახე გრძივი გამჭიმავი (ან კუმშვადი) ძალის მოქმედების ქვეშ. გაჭიმვა ხასიათდება ძელის ან მისი ნაწილის სიგრძის ცვლილებით.

**გილდია (გერ. Gildi – ვაჭრების გაერთიანება)**— ეს არის საამქრო, ერთი ან მსგავსი პროფესიის ან ამოცანების მოტივირებისადამიანების გაერთიანება.

**გენერაცია (ლათ. generatio)**— წარმოქმნა, წარმონაშობი, მიღება, შექმნა, ფორმირება, წარ-მოება.

**გომოგენიზაცია** – სხვადასხვა ნივთიერებების არევის პროცესი თანაბარი სტრუქტურის ნარევის მიღების მიზნით.

**გამარჩხება (მარჩხდება, მარჩხი ხდება)** – ხდება წვრილი, არც თუ ღრმა, სიღრმით პატარა.

**გამინიანება** – სითხის გამყარება მისი სიბლანტის გაზრდის დროს, როდესაც ის ცივდება, ამასთან ერთად კრისტალიზაცია ჯერ არ დამდგარა და მასალა რჩება ამორფული.

**გამინიანების ტემპერატურა** – ტემპერატურის სახელწოდება, რომლის დროს ამორფული ნივთიერება გადადის სითხის მდგომარეობიდან მინათწარმოქმნაში და პირიქით. გამინიანების ტემპერატურაზე უფრო მაღალი ტემპერატურის დროს პოლიმერები იმყოფებიან სითხისებრ წონასწორულ მდგომარეობაში. ამ მდგომარეობაში შესაძლებელია ნახშირბადი – ნახშირბადის ბმების თავისუფალი ბრუნვა მთავარი ჯაჭვის ირგვლივ, რაც იწვევს მოლეკულური ჯაჭვის ფრაგმენტების მდგომარეობის ცვლილებას. გამინიანების ტემპერატურაზე უფრო ქვემოთ გაცივების დროს მოლეკულების სეგმენტების გადაადგილება იყინება. მასალა გადადის მინათწარმოქმნის მდგომარეობაში, რომელიც თერმოდინამიკურად არის უწონასწორო. ეს ასახავს, მაგალითად, გამინიანების ტემპერატურაზე უფრო ქვემოთ მოცულობითი რელაქსაციის ფაქტს.

## ღ

**დიფუზიური არეკვლა** – ზედაპირზე დაცემული სინათლის არეკვლა, როდესაც არეკვლა ხდება დაცემის კუთხისაგან განსხვავებული კუთხით. სინათლის შერეული არეკვლის შემთხვევაში გამოსხივების ნაწილი აირეკლება სარკისებურად, ხოლო ნაწილი – დიფუზურად.

**დისპერსიული სისტემა–დისპერსიული ფაზისა და დისპერსიული აირისაგან შედგენილი სისტემა.** უწყვეტი ფაზა წარმოადგენს დისპერსიულ არეს, ხოლო ამ არეში მყოფი სხვადასხვა ფორმის და ზომის წვრილი ნაწილაკები – დისპერსიულ ფაზას.

**დისპერსიულობა** – ნივთიერების ნაწილაკებად დანაწილების ხარისხი, რაც უფრო მცირეა ნაწილაკი, მით უფრო დისპერსიულია ნივთიერება.

**დიპოლი** – ერთმანეთისაგან გარკვეულ მანძილზე განლაგებული ორი სიდიდით ტოლი და ნიშნით საპირისპირო ელექტრომუხტი. დიპოლის ერთ პოლუსზე დადებითი მუხტების სიჭარბეა, მეორეზე – უარყოფითი. დიპოლში „+“ და „–“ მუხტების სიმძიმის ცენტრები ერთმანეთს არ ემთხვევა (მაგალითად, წყალი).

**დისპერსია** — სისტემა, რომელიც იქმნება ორი ან მეტი ფაზისაგან (სხეულისაგან), რომელიც ერთმანეთს არ ერევა და ერთმანეთზე ქიმიურად არ რეაგირებენ.

**დააცილირება** — ორგანული ნაერთის შემადგენლობაში აცილის ნარჩენის შეყვანა, ჩვეულებრივ წყალბადის ატომის ჩანაცვლების გზით.

**დეგაზაცია** — მომწამლავი აირის გაუვნებლობა ან მოცილება.

**დისოციაცია** — მოლეკულების შემადგენელ ნაწილებად დაშლა.

**დისტილირება** — გასუფთავება (გაწმენდა) გამოხდით.

**დაღვრა (გადაფენა)** — 1. დადენა სხვადასხვა მიმართულებით, გუბეების წარმოქმნა; 2. რამეზე გავრცელება, მოდება.

**დაფქვა** — დაწვრილმანება, გაქნა ფხვნილად.

**დიფუზია** — ერთი ნივთიერების მეორეში შეჟონვა (შეღწევა) მათი ურთიერთშეხების დროს. დიფუზია განპირობებულია მოლეკულების სითბური მოძრაობით.

**დათუთქვა(გაორთქვლა)** — 1. ორთქლით მოსპობა და გაწმენდა; 2. შესქელება, გაწმენდა, ზედმეტი ტენის ორთქლში გარდაქმნა.

**დიფუზია** — კონცენტრაციის გათანაბრების პროცესი, რომელსაც განაპირობებს ნივთიერებების გადატანა მოლეკულური მოძრაობის საშუალებით.

**დიფუზიის კოეფიციენტი** — სიდიდე, რომელიც იზომება დიფუნდირებული ნივთიერების მასით, გადაცემული შრის ერთეულ სისქეში კონცენტრაციის სხვაობით მის ზედაპირზე ერთი ერთეულით.

**დიფუზიის ნაკადის სიმკვრივე** — მოცემული სორტის ნივთიერების ნაწილაკების რიცხვი გადატანილი დიფუზიის გზით დროის ერთეულში ერთეულ ზედაპირზე.

**დეკორატიული ქალალდის გაუღენთა**— მასალის კაპილარული — ფოროვანი სიცარიელების შევსება.

**დიელექტრული მუდმივა** — ფიზიკური სიდიდე, რომელიც მიუთითებს ვაკუუმში ელექტრომუხტებს შორის მოქმედი ძალის, ამ მუხტების ზომებთან და მათ შორის მანძილთან თანაფარდობაზე.

**დისტილირება** — გასუფთავება (გაწმენდა) გამოხდით.

**დისპერგატორი** — ზერელედ აქტიური ქიმიური ნივთიერება, რომელიც გამოიყენება პიგმენტების და შემვსებების მაღალეფექტური დაწვრილმანების ჩასატარებლად პიგმენტებით

შევსებული ლაქსალებავი მასალების: საღებავების, ემალების და საგრუნტოების დამზადების დროს.

**დეკორი** (ფრანგ. *dekor*) – დეკორატიული ელემენტების (სამკაულების) ერთობლიობა.

**დისპერსია** (ლათ. *dispersio*) – დაშლა, გაბნევა, გაყოფა.

**დეგრადაცია** (ფრ.) – თანდათანობით დაქვეითება, დაცემა, გადაგვარება.

**დისტრიბუცია** (პოზიციური განაწილება) – ორი ელემენტის შეხვედრა ერთნაირ პოზიციაში.

**დაკალიბრება** – სისქეზე ზომის ფორმირება.

**დევიაცია** – გადახრა, საჭირო მიმართულებიდან რამე მიზეზეით.

**დრეკადობა** – სხეულის თვისება აღადგინოს თავისი ფორმა და მოცულობა ან მხოლოდ მოცულობა (აირისათვის ან სითხისათვის) სხეულის დეფორმაციის გამომწვევი ძალის ან სხვა მიზეზების მოქმედების შეწყვეტის შემდეგ.

**დეფორმაცია** (ლათ.) – სხეულის ფორმის ან მისი ნაწილის შეცვლა გარე ძალების მოქმედებით (შეკუმშვა, გაღუნვა).

**დეტონაცია** – წამიერი (უეცარი) და გამანადგურებელი აფეთქება, გამოწვეული სხვა ნივთიერების აფეთქებით მასთან შეხების დროს ან მანძილზე, შერყევის დროს.

**დაჭიმვა** – გაჭიმვით გაკეთდეს მჭიდრო.

**დესორბცია** – ნივთიერების შთანთქმული აირის უკან გამოყოფა (აბსორბციის საპირისპირო მოვლენა).

**დიმერი** (ბერძ. σι - „ორი“ და μερας - „ნაწილი“) – როგორი მოლეკულა, უფრო მარტივი მოლეკულების ორი ფრაგმენტისაგანშედგენილი, რომლებსაც უწოდებენ მოცემული მოლეკულის მონომერს. დიმერი შეიძლება იყოს როგორც ორგანული მონომერისაგან, ასევე არაორგანულისაგან.

დიმერი შეიძლება შედგებოდეს როგორც ერთნაირი მონომერებისაგან (მაშინ მათ უწოდებენ სიმეტრიული დ.) ან სხვადასხვა მონომერისაგან (მაშინ მათ უწოდებენ არასიმეტრიულ დ.).

დიმერს უწოდებენ ორატომიან მოლეკულებს, რომელთა გამოჩენა შესაძლებელია ატომების აგზნებული მდგომარეობის გამო.

**დიფერენციალური მეთოდი** – ზომასთან შედარების მეთოდი, რომლის დროს საზომხელისაწყობის მოქმედებს საზომით აღწარმოებულ ცნობილ და გასაზომ სიდიდეებს შორის სხვაობა.

**დისპერგატორი** – რადიაციულ-პულსაციური აპარატი, რომელიც განკუთვნილია ორი და მეტი ერთმანეთისაგან სტრუქტურით განსხვავებული პროდუქტის პომოგენიზაციისათვის ერთგა-როვანი გარემოს წარმოსაქმნელად.

**დოზატორი** – არსებობს დოზატორების ორი ძირითადი კატეგორია: მოცულობითი (ვოლუ-მეტრული) და წონითი (გრავიმეტრული). მოცულობითი დოზატორი დროის ერთეულში გად-მოტვირთავს მასალის მოცემულ მოცულობას, მაშინ როცა წონითი დოზატორით ხდება სა-დოზირებელი პროდუქტის წონის ზუსტი არწყვა (ამრიგად მოიზომება საჭირო ხარჯი კგ/სთ ან წონის პორცია).

**დესტრუქცია** – რისიმე ნორმალური სტრუქტურის დაშლა, დარღვევა, მაგალითად, პოლიმერ-ის.

**დიდგულა (დიდგულა – *Sambucus nigra*)** – ბუჩქი ცხრატყავასებრთა ოჯახის. ყვავილებითა და ნაყოფით ანწლს ჰგავს; გული ფაშარი აქვს, ადვილად იხვრიტება, მისი ტოტისაგან ხელ-თოფასა და უენო სალამურს აკეთებენ.

**დათუთქვა (გაორთქვლა)** – 1. ორთქლით მოსპობა და გაწმენდა; 2. შესქელება, გაწმენდა, ზედ-მეტი ნესტის ორთქლში გარდაქმნა.

**დიელექტრული გახურება** – დიელექტრული მასალების (მერქნის, პლასტიკის, კერამიკის) გახურების მეთოდი დროში ცვლადი ელექტრული ველით.

**დეფლექტორი** – სამარჯვი, რომლითაც შეიძლება აირის, სითხის, ფხვიერი სხეულის, ბგერი-თი ტალღების ნაკადების მიმართულებების შეცვლა.

## ဂ

**ეთერიფიკაცია** – ესტერების (რთული ეთერების) მიღების რეაქცია სპირტების და მჟავების ურთიერთქმედების დროს.

**ექსტრაქცია (ლათ. *extraho* – გამოყვანა, გამოღება)** – ნივთიერების გამოყვანის მეთოდი ხსნარიდან ან მშრალი ნარევიდან შესაფერი გამხსნელების (ექსტრაგენტის) საშუალებით.

**ელექტროლიზის მოვლენა** – ელექტროლიტში (ან გამღნარ მარილში) ელექტრო დენის გავლის დროს იცვლება მისი ქიმიური შედგენილობა, ხოლო ელექტროლებზე გამოიყოფა გან-სხვავებული პროდუქტი.

**ეპოქსიდი (ოქსირანი)** – ნაჯერი სამწვერა გეტეროციკლები, რომლებიც ციკლში შეიცავენ უანგბადის ერთ ატომს. წარმოადგენს მარტივ ციკლურ ეთერებს.

**ელექტრონი** – ატომის შემადგენელი ელემენტარული უარყოფითი მუხტის მატარებელი, მდგრადი ნაწილაკი, რომელიც განუწყვეტლივ მოძრაობს ატომბირთვის გარშემო.

**ემულსია** – 1. სითხე გაჯერებული რომელიმე სხვა სითხის უხსნადი წვეთებით; 2. შუქმგრძნობარე შრე ფოტოფირფიტაზე, ფოტოქაღალდზე.

**ელიფსური რეფლექტორი** – სხივების ამრეკლი, ჩაზნექილი ფორმის გაპრიალებული ზედაპირით.

**ექსტრაქტი** – ნივთიერება, რომელიც ქიმიურად გამოდევნილია ორგანული ქსოვილიდან.

**ეთერიფიკაციის რეაქცია** – წონასწორობის რეაქცია, რომელიც მიმდინარეობს წყლის მოხლებით.

**ეკოლოგიური ბალანსი** – ეს არის შემავალი და გამავალი დინებების და გარემოზე პროდუქტების სისტემების პოტენციალური ზემოქმედების შეპირისპირება და შეფასება.

**ემულსია** – ორი თხევადი ფაზის გადანაწილება. ემულსიის ტიპიური მაგალითია – რძე. ძირითადად ფაზას წარმოადგენს წყალი, რომელშიც დისპერსირებულია ცხიმის უმცირესი წვეთები.

**ექსვალენტიანი ქრომი** – აღიარებულია კანცეროგენად შესუნთქვის დროს.

**ექსიპლექსი (ინგ. excited complex – აღზნებული კომპლექსი)** – ელექტრონული აგზნებული მოლეკულური კომპლექსი, არა ბმულები ძირითად მდგომარეობაში. ის წარმოიქმნება მოლეკულა-დონორების და **აქცეპტორებს** შორის შეჯახების მომენტში.

**ელფერი (იერი)** – 1. ერთი და იგივე ფერის ნაირსახეობა; 2. თავისებურება, ნაირსახეობა, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს ოდნავ შესამჩნევ გადასვლას ერთიდან მეორეში.

**ემისიის ტიპები (გამხსნელების ემისიის ზღვრული მნიშვნელობების კლასიფიკაციაშისის ტიპებისაგან დამოკიდებულებით):**

- განზოგადოებული ემისია (კონცენტრაციის ერთეულებში). ეს გულისხმობს ყველა ნამუშევარ აირს, რომლებიც გამოდიან საკვამლე მიღებიდან ან სხვა აირსანარი მოწყობილობებიდან;
- დიფუზიური ემისია (პროცენტებში გამოყენებული გამხსნელების მიმართ). ეს არ ეხება ნამუშევარ აირებს ემისიის სახით კარებებიდან, ფანჯრებიდან და სავენტილაციო შახტებიდან. დიფუზიურ ემისიას მიეკუთვნება განსაზღვრული აგრეგატებიდან შეკრებილი გაუწმენდავი აირები. მერქნის და მერქნული მასალების შედებვის დროს აქროლადი ორ-

განული ნაერთები, რომლებიც იმყოფებიან საერთო გაუწმენდავ ნამუშევარ აირში, მიეკუთვნება დიფუზიურ ემისიას.

- საერთო ემისია – არის მასიური ნაკადი, მიკუთვნებული პროდუქტის ერთეულს, აგრეთვე პროცენტებში გამოყენებული გამხსნელების მიმართ.

**ექსკრეცია** – ორგანიზმის განთავისუფლების პროცესი მეტაბოლიზმის – ექსკრემენტების საბოლოო პროდუქტებიდან.

**ექსტრემენტები** – ცხოველმომქმედი ორგანიზმის ნარჩენების ერთობლიობა, რომელიც ექვემდებარება გარემოში მოცილებას.

**ექსტრუზი (ლათ. extrusio – გამოგდება)** – ნაკეთობის მიღების ტექნოლოგია გალლობილი მასალის მაფორმირებელ ნახვრეტში (თვალაკში) ჩაჭყლების გზით. ამ ტექნოლოგიას პირობითად უწოდებენ „თხევადი მერქნის“ ტექნოლოგიას, რომლის არსი ზუსტადაა ასახული ტექნოლოგიურ პროცესში, თვითპროცესი კი უწყვეტი ტექნოლოგიური პროცესია.

**ემულგატორი (ლათ. emuigeo – წველა, გამოჭყლება)** – ნივთიერება, რომელიც უზრუნველყოფს ემულსიის შექმნას შეურჩეველი სითხისაგან.

**ემისია (ქიმ.)** – გამოსხივება.

- ემისია (ლათ. emissio – გამოშვება, emitto-საგან – უშვებს).

**ეთერი** – ორგანული ნაერთი (მაგალითად, მჟავების სპირტებთან) უფერო აქროლადი სითხე დამახასიათებელი სუნით.

**ელექტრონული გამოსხივება** – დამუხტული ნაწილაკების ნაკადი.

- **ელექტრონული გამოსხივება** – თავისუფალი ელექტრონული გამოსხივება წარმოიქმნება ნივთიერების ატომების ბირთვების რადიაქტიური დაშლის დროს (ბეტა-დაშლა) ბეტა სხივების სახით.

**ელექტრომაგნიტური ტალღები, ელექტრომაგნიტური გამოსხივება** – გავრცელება, ელექტრომაგნიტური ველის შეშფოთების (მდგომარეობის შეცვლის) სივრცეში.

- **ელექტრომაგნიტურ გამოსხივებას** პრაქტიკულად აქვს ყველა სივრცეში გავრცელების უნარი.

**ექსიმერული ლაზერი** – ულტრაინისფერი ქიმიური ლაზერის სახესხვაობა. ტერმინი ექსიმერი (ინგ. excited dimer) აღნიშნავს აგზნებულ დიმერს და აღნიშნავს მასალის ტიპს, რომელიც გამოიყენება ლაზერის მუშა სხეულის სახით.

**ექსიმერული ულტრაიისფერი გამომსხივარი** – გამოსხივების წყარო, რომლის პრინციპი დაფუძნებულია გენერაციაზე და ექსიმერის დაშლაზე.

**ექსიმერები** – მოლეკულები, რომლებიც არსებობენ მხოლოდ აგზნებულ მდგომარეობაში ნაწამის (იხ. ნანოტექნოლოგია) განმავლობაში და გადადიან ძირითად (ძალიან არასტაბილურ) მდგომარეობაში სინათლის განსაზღვრული კვანტების გამოსხივებით. ძირითადი მდგომარეობიდან ისინი დაუყოვნებლივ იშლებიან შემადგენელ მონომერებად (იხ. გამოსხივების კვანტები ან ფოტონები, ფოტონის გამოსხივების თვისება).

**ებენის ხე (შავი ან შავი ზოლებიანი ხე)** – გულიანი, გაფანტულ-ჭურჭლოვანი, ლარიქსის სახეობის, ვიწრო თეთრი ნაქურთენით. გული კრიალა შავი ფერის, წლიური შრები შეუმჩნეველი, გულგულის სხივები ვიწრო, არ ჩანს არცერთ ჭრილზე. ებენის ნაირსახეობებია – კამერუნის, ცეილონის, მადაგასკარის, მუსკის ხეები.

**ექსტრაპირება (ექსტრაქცია ლათ. extrahere – გაჭიმვა, ამოლება)** – ნივთიერების ამოლების პროცესი გამხსნელების დახმარებით ხსნარიდან ან მაგარი (მცენარეული, ცხოველური, მინერალური) მასალიდან. ნარევიდან ნივთიერების ამოსალებად გამოიყენება გამხსნელები, რომლებიც არ შეზავდებიან ამ ნარევთან.

### 3

**ვალენტობა** – ელემენტის ატომის უნარი წარმოქმნას ქიმიური ბმა, ანუ მიერთოს სხვა ელემენტის ატომთა განსაზღვრული რიცხვი.

**ვინილქლორიდი** – უკიდურესად ცეცხლსაშიში და ფეთქებადსაშიში ნივთიერება, წვის დროს გამოყოფს ტოქსიკურ ნივთიერებებს. ადამიანის ორგანიზმზე ახდენს კანცეროგენულ, მუტაგენურ (გენეტიკური კოდის დარღვევა) და ტერატოგენურ (იწვევს განვითარების ანომალიებს) მოქმედებას.

**ვარიორება (ლათ. vario)** – სახის ცვლა.

**ვირტუალური სამყარო** – ინტერნეტ-გაერთიანების უანრი, რომელიც ხშირად ღებულობს კომპიუტერული მოდელირების ფორმას. ამ გარემო მომხმარებლებს შეუძლიათ ერთმანეთთან თანამოქმედება, წინასწარ შექმნილი კომპიუტერული ობიექტების გამოყენება ან მათი დამოუკიდებლად დამზადება.

## ზ

**ზედაპირის ჰიდროფობიზაცია** – არსებობს ტენისაგან მასალების და ნაკეთობების დაცვის ორი ხერხი: ჰიდროზოლაცია და ჰიდროფობიზაცია. ჰიდროზოლაცია ითვალისწინებს ზედაპირზე წყალშეუღწევადი მასალისაგან დამცავი შრის შექმნას, ჰიდროფობიზაცია კი – ზედაპირის წყლით დასველებადობის მკვეთრ დაქვეითებას, აირშეღწევადობის შენარჩუნებით. ერთი მოლეკულის სისქის ჰიდროფობური დაფარვა მიღება ნაკეთობის დამუშავებით ჰიდროფობიზატორის ხსნარით – ნივთიერება, რომელიც წყალთან არ ურთიერთქმედებს, მაგრამ ამავე დროს ზედაპირზე რჩება (გამაგრდება). პრაქტიკაში ყველაზე უფრო ხშირად გამოიყენება სილიკონის ჰიდროფობიზატორი. ზედაპირის ჰიდროფობიზაცია ხორციელდება: შესხურებით, ამოვლებით, მორწყვით, ფუნჯით, ლილვაკით.

**ზეჟანგის შეერთება** – როგორი ნივთიერება, რომელშიც ჟანგბადის ატომები ერთმანეთთან არიან შეერთებულნი.

**ზედაპირის სიმქისე** – ხის მექანიკური დამუშავების დროს ზედაპირზე მიღებული მიკრო უსწორებები, რომელიც განისაზღვრება ზედაპირის უსწორობების მოსაზღვრე შვერილებს შორის მანძილსა ( $L$ ) და შვრელის ( $h$ ) შორის თანაფარდობით

$$L/h < 40,$$

როცა  $L/h > 1000$  – ზედაპირი ხასიათდება ფორმის გადახრით (მაკრო უსწორობები – გადახრა სწორხაზოვნებიდან, სიბრტყეობიდან, ამოზნექილობა, ჩაზნექილობა და ა.შ.).

როცა  $40 < L/h < 1000$  – ზედაპირი ხასიათდება ტალღოვნებით. ტალღის სიგრძე და სიმაღლე საიმედო და საკმარისი კრიტერიუმია მერქნის მასალების ზედაპირების ტალღოვნების შეფასებისათვის.

**ზებრანო** – ხის ეგზოტიკური სახეობა, წარმოშობა – *Microberlinia (Microberlinia bisvlcata)*, მტკიცე, ორიგინალური მსხვილი ტექსტურით. ზებრანოს სახე წააგავს ზებრას გაფერადებას – მუქი ზოლები თეთრ ფონზე. გული მკრთალი ვიწრო ზოლებით, მუქი ყავისფერიდან შავ ფერამდე, მკაფიოდ გამოყოფილი ძალიან მკრთალი ნაქურთენით, ასევე შეიძლება იყოს სხვადასხვა ზომის მკრთალი ყავისფერი მუქი ყავისფერის ლაქებით. ზებრანო მძიმე მერქანია რამდენიმე უხეში ტექსტურით ჯავარიანი (გადამკვეთი ან ტალღური ბოჭკოებით). ჯავარიანობამ შეიძლება შექმნას სირთულეები მისი დამუშავების დროს. *Microberlinia* სახეობები იზრდება დასავლეთ აფრიკაში, გაბონის, კამერუნის, კონგოს ტერიტორიებზე.

## 0

**თეთრი ფერი** – ეწ. აქრომატული ფერი, თანაბრად შავთან და ნაცრისფერ ელფერთან. თეთრი ფერის შეგრძნება წარმოიქმნება არეკვლისაგან სხვადასხვა სპექტრით და სხვადასხვა ფაქტორების დროს. თეთრ ფერს აქვს უმაღლესი სიკაშაშე, ელფერი – ნული.

**თეთრიპიგმენტი** – პიგმენტი, რომელიც მაქსიმალური ხარისხით არეკვლავს სინათლის ყველა ზილული სიგრძის ტალღებს, სინათლის წყაროს ელექტრომაგნიტურ სპექტრში. **თეთრი პიგმენტი** არის მაგნიუმის ტიტანის და ცინკის სულფიდის პროდუქტი.

მთავარია არეკვლა იყოს დიფუზიური და არა სარკისებრი. თეთრი პიგმენტები დაიყოფა ორ ჯგუფად. **პირველ ჯგუფს** მიეკუთვნება ბუნებრივი და სინთეზური პიგმენტები: ცარცი, კირი, თაბაშირი, თეთრი ცემენტი და სხვა, რომლებიც ზეთთან გაქნის დროს კარგავენ თავის თეთრ ფერს და წარმოქმნიან ნახევრად გამჭვირვალე აფსკს. მათგან მზადდება მხოლოდ წყლიანი შედგენილობები. **მეორე ჯგუფს** მიეკუთვნება სინთეზური არაორგანული პიგმენტები: თუთიის, ტყვიის და ტიტანის თეთრა ლითოპანი. ეს პიგმენტები ზეთთან გაქნის დროს არ კარგავენ თეთრ ფერს, გამოიყენება უწყლო შედგენილობების დამზადების დროს.

**თუთიის სულფიდი, გოგირდოვანი თუთია** – თუთიის და გოგირდის ბინალური არაორგანული ნაერთი.

**თეთრი სინათლე** – მზის ზილული სინათლე.

**თანაპოლიმერი** – პოლიმერი, რომლის მოლეკულა შედგება განსხვავებული ქიმიური ბუნების (ჩვეულებრივ ორი ტიპის) მონომერის ერთეულისაგან.

**თერმოდინამიკური სისტემა** – მიკროსკოპული ობიექტების (სხეულების და ველების) ერთობლიობა.

**თია** – თავმოყრა, დაგროვება, გროვა.

## 0

**ინჰიბიტორი (ლათ. inhibere – დაყოვნება, შეფერხება)** – ნივთიერება, რომელიმე ქიმიური რეაქციის მიმდინარეობის დამაყოვნებელი ან ამრიდებელი.

**იზოტროპია, იზოტროპიულობა** – ფიზიკური თვისებების ერთგვარობა ყველა მიმართულებით, ინვარიანტობა, სიმეტრია არჩეული მიმართულებით.

**იზოტროპიული გარემო** – სივრცის ისეთი არე, რომლის ფიზიკური თვისებები (ოპტიკური, ელექტრული) დამოუკიდებელია მიმართულებისაგან. მაგალითად, ოპტიკური იზოტროპიული გარემოს გარდატეხის მაჩვენებელი ერთნაირია ყველა მიმართულებით.

- **იზოტროპიულმასალებს** აქვთ ერთიანი თვისება ყველა მიმართულებით, **ანიზოტროპიულს** – სხვადასხვა.

**იზოციანატები** – ორგანული ნაერთი.

**იონური ბმა** – იონებს შორის ელექტროსტატიკური ძალებით წარმოქმნილი ბმა.

**იონი** – ელექტრულად დამუხტული ატომი ან ატომთა ჯგუფი.

**ინოვაცია, ახალშემონაღები** (ინგ. innovation, ლათ. novatio – განახლება, შეცვლა) – სიახლის დანერგვა, რომელიც ბაზრის მოთხოვნით უზრუნველყოფს პროდუქტის ან პროცესის ხარისხის გაზრდის ეფექტურობას.

**იონიზაცია** – იონების წარმოქმნა რომელიმე გარემოში.

**ინვარიანტულობა** (ინგ. invariance) – მუდმივობა, უცვლელობა, სიმტკიცე.

**იზომერები** – ნივთიერებები, რომელთაც ერთნაირი შედგენილობა, მაგრამ სხვადასხვა აღნაგობა და თვისებები აქვთ.

**ISO (International Organization for Standardization)** – სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ამჟავებს საყოველთაო კონონიურ ნორმებს.

**იუსტირება** – ოპერაციების ერთობლიობა კონსტრუქციის და კონსტრუქციული ელემენტების (ზედაპირების, სვეტების, დგარის და ა.შ.) გასასწორებლად., რომელიღაც მიმართულების გასწვრივ, ასევე საზომის, საზომის და ოპტიკური ხელსაწყოს, მექანიზმების (ან მათი ნაწილების) მუშა ძლიერებაში მოყვანა, რაც უზრუნველყოფს მათი მოქმედების სიზუსტეს, სისწორეს და სამედობას.

**იმიტაცია** – შესაძლო სიზუსტით აღწარმოება, ვინ-რას მიბაძვა.

**ინგრედიენტი** – რამის შემადგენელი ნაწილი.

**იზოტოპი** – ქიმიური ელემენტის ატომი, რომელიც განსხვავდება იმავე ელემენტის ატომისაგან ატომური წონით.

**იმპრეგნატი (Vidaron Impregnat Bugapon)** – მხატვრულ-დეკორატიული გაუდენთა. ეს სპეციალურად შერჩეული მაღალი ხარისხის ფისებია დანამატების საშუალებით მერქნის, პიგმენტების და დამხმარე საშუალებების დაცვისათვის.

**იროკო** – მაგარი მერქანი Milicia excelsa სახის აფრიკული ტროპიკებიდან.

სხვა სახელწოდება: აბანგი, ამორეირა, აფრიკული მუხა, აფრიკული ტექტონა, კამბალა, ლუსანგა, ნიგერიის ტექტონა, ოდუმი.

მერქანი: მერქნის გულს შეიძლება ჰქონდეს ფერების ფართო გამა ღრა ფერიდან მუქ ყავისფერადე. ნაქურთენს აქვს ფერმკრთალი, გაბუნდოვნებული ყავისფერი. მერქნის მოხატულობა შედგება ზოლებისაგან და შტრიხებისაგან. იროკოს ზედაპირი ზომიერად პეტიანია, ბოჭკოები ხლართი.

თვისებები: მშრალ მდგომარეობაში ზვედრითი წონა 630 კგ/მ<sup>3</sup>. სიმაგრე ბრინჯლის მიხედვით 3,5 კგ/მ<sup>3</sup>. მერქნის ფერი თავდაპირველად ყვითელია, დროთა განმავლობაში მუქდება და ხდება მდიდრული ყავისფერი ელფერით.

გამოიყენება: იროკოს მერქანი კარგად ღებულობს და იკავებს ლურსმნებს და სჭვალებს (შურუპებს), დამაკმაყოფილებლად წებდება.

**ინფორმაცია (ლათ.)** – ცნობა, შეტყობინება რაიმე მომხდარი ამბის, რისიმე მდგომარეობის შესახებ.

**ინტერნეტი** – კომპიუტერების გაერთიანებელი ქსელის მსოფლიო სისტემა ინფორმაციის შენახვისათვის და გადაცემისათვის.

**ინფორმაციკა** – მასალის მიწოდების გრაფიკული ხერხი, რომელიც იძლევა ყველაზე რთული ინფორმაციის სწრაფად, მკაფიოდ და თვალსაჩინოდ მიტანის საშუალებას.

## 3

**კარბონატები და ჰიდროკარბონატები** – ნახშირმჟავას მარილები და ეთერები. მარილებს შორის ცნობილია ნორმალური კარბონატები და მჟავა ან ჰიდროკარბონატები.

**კონვერსია (ლათ. conversio – გარდაქმნა, ცვალება, მიმოქცევა, ტრიალი)** – აირების გადამუშავების პროცესი საწყისი აირის ნარევის შედგენილობის შეცვლის მიზნით.

**კანცეროგენი (ლათ. cancer – კიბო, ბერძ. γενναω - გაჩენა)** – ქიმიური ნივთიერება, რომელთა მოქმედება ორგანიზმზე იწვევს კიბოს ან სხვა სიმსიციურ დაავადებას.

**კოაგულაცია** – ნალექის ან გელის წარმოქმნა კოლოიდურ ხსნარში.

**კატალიზი** – რომლის დროსაც კატალიზატორის თანაობისას იცვლება ქიმიური რეაქციის სიჩქარე.

**კატალიზური რეაქციები** – რეაქციები, რომლებიც მიმდინარეობს კატალიზატორის მონაწილეობით.

**კატალიზატორი** – რეაქციის დამჩქარებელი ქიმიური ნივთიერება, მაგრამ რეაქციის პროდუქტში არ შედის. ფიზიკური თვისებების მიხედვით კატალიზატორები დაიყოფა ორ ჯგუფად: გომოგენული და გეტეროგენული. გეტეროგენული კატალიზატორი – მაგარი ნივთიერებაა, გომოგენული – დისპერსიონულია იმავე აირის გარემოში, რომელშიც მარტივი მარტივი ნივთიერება.

**კონვექცია (ლათ. convectio - „გადატანა“)** – თბოგადაცემის სახე, რომლის დროსშიდა ენერგია გადაეცემა ნაკადებით და ჭავლებით.

**კოვალენტური, თანავალენტური ბმა (ატომური ბმა, ჰომეოპოლარული ბმა)** – ქიმიური ბმა, რომელიც მიიღება წყვილი ვალენტური ელექტრონული ღრუბლების გადაფარებით (განსაზოგადოებით).

**კრისტალი** – მყარი სხეული, რომელშიც ატომები, მოლექულები ან სხვა ნაწილაკები ქმნიან მოწესრიგებულ პერიოდულ სტრუქტურას.

**კონდენსაცია** – 1. იგივე, რაც შესქელება; 2. დაგროვება დიდი რაოდენობით.

**კონსერვანტი** – ნივთიერება, რომელიც ჩაგრავს პროდუქტში მიკროორგანიზმების ზრდას.

**კოლოიდური სინარი** – თხევადი დისპერსიული არეს მქონე კოლოიდური სისტემები.

**კოვალენტური ბმა** – ატომებს შორის საზიარო ელექტრონული წყვილით ან წყვილებით წარმოქმნილი ბმა.

- **კოვალენტური ბმა** – ნახშირბადის ატომების უნიკალური თვისება ერთმანეთს დაუკავშირდნენ და წარმოქმნან ნებისმიერი სიგრძის ჩონჩხი. კოვალენტური ბმა შეიძლება იყოს ერთმაგი (მარტივი ბმა), ორმაგი ან სამმაგი, ჩონჩხი კი სწორხაზოვანი, განშტოებული ან ციკლური.
- **კოვალენტური ბმის** – ჰემოლიტური გახლეჩა (ან გაწყვეტა) წარმოიქმნება ელექტრონული წყვილის სიმეტრიული გაწყვეტის გამო.

ერთი ნივთიერების მეორეში გარდაქმნის ქიმიური რეაქცია არის პროცესი, დაკავშირებული ერთის გაწყვეტასთან და მეორის, ახალი ბმების წარმოქმნასთან. ასეთი გაწყვეტა ხორციელდება კოვალენტურიბმის ელექტრონების შემკვრელი წყვილის გაყოფით. მოლექულის თვითონეული ფრაგმენტი (ნამსხვრევი) მიიღება თითო-თითო ელექტრონით წინადელი წყვილიდან – ეს არის ჰომოლიტურიგახლეჩა (ჰომოლიზი).

ერთნაირი ელექტროუარყოფითობის მქონე ელემენტების ატომებს შორის წარმოქმნილ კოვალენტურ ბმას არაპოლარული ეწოდება. განსხვავებული ელექტროუარყოფითობის მქონე არამეტალების ატომებს შორის წარმოქმნილ კოვალენტურ ბმას პოლარული ეწოდება.

**კოლოიდი** – არაკრისტალებადი ნივთიერება, რომლის ხსნარები ვერ გადიან ცხოველურ და მცენარეულ აფსკში.

**კრისტალი (ბერძ.)**— მყარი სხეული, რომელსაც ბუნებრივად აქვს სიმეტრიული მრავალკუთხედის ფორმა.

**კოლორიტი (იტ.)**— ფერების შეხამება, რომელიც სურათის საერთო იერს (ნათელს, ბნელს...) ქმნის.

**კონცენტრი (ლათ.)**— შეხედულობათა სისტემა რაიმეს შესახებ.

**კუმულაციური** – საშუალო ტოქსიკური შხამქიმიკატები, შხამიანია არა მარტო მწერისათვის, არამედ ადამიანისათვისაც და ცხოველისათვისაც.

**კოროზია (ამოჭმა, ქიმიური დარღვევა)** – მეტალების ან შენადნობების რღვევა გარეშე ფაქტორების გავლენით, რის გამოც ისინი კარგავენ თავიანთ თვისებებს. კოროზია ორგვარია: ქიმიური და ელექტროქიმიური, ქიმიური კოროზია მიმდინარეობს ჟანგბადის, გოგირდწყალბადის ან სხვა აირების მოქმედებით. ელექტროქიმიური კი ელექტროლიტის ხსნარებში მეტალებთან კონტაქტის დროს.

**კოეფიციენტი** – 1. რიცხვითი მამრავლი ალგებრულ გამოსახულებაში; 2. სიდიდე, რომელიც განსაზღვრავს ფიზიკური სხეულის რაიმე თვისებას; 3. რიცხვი, რომელიც უნდა გამრავლდეს რაიმე სიდიდეზე, რომ მივიღოთ საძიებელი.

**კაშირება** – დაფარვა პოლიმერული ფირით, ზემოდან დადებული საღებავით, ლაქით.

**კონტრასტი (ფრანგ. *contraste*)**— მკვეთრად გამოხატული სხვაობა, დაპირისპირება.

**კონსისტენცია** – ხარისხი, რამესი სიმკვრივის, სისალის, სიმაგრის, სისქის, სიბლანტის.

**კრაკელი** – საღებავის ან ლაქის შრის ნახეთქი ფერწერის ქმნილებაზე.

**კონცენტრაცია (ლათ.)**— ხსნარის გაჯერების ხარისხი.

**კონცენტრატი** – მზა პროდუქტი.

**კატიონი** – დადებითად დამუხტული იონი.

**კალანდრი** – პოლიმერის და ქალალდის ფურცლის ფორმირების მანქანა, მის მბრუნავ ლილვაკებს შორის ღრუჩიში უწყვეტი გატარებით. კალანდრირების შედეგად მიღება საჭირო სისქის და სიგანის შოლტი.

**კორუნდი** – მინერალი, ალუმინის ოქსიდი.

**კონვექციური შრობის დრო** – პროცესის ფიზიკური არსია მასალიდან ტენის მოცილება, მასალის ზემოთ და გარემოში ორთქლის პარციალურ წნევებს შორის სხვაობის ხარჯზე. პარციალური წნევების გათანაბრების დროს დგება წონასწორობის მდგომარეობა და შრობის პროცესი წყდება.

**კოპერნიცი (ლათ. Copernicium)–** 112-ე ქიმიური ელემენტი. მისი ყველაზე უფრო სტა- ბილური იზოტოპის ბირთვი მიეკუთვნება თუთიის, კადმიუმის და ვერცხლისწყლის ქიმიურ ჯგუფს.

**კონცენტრაციის გრადიენტი** – განზავებული ნივთიერების კონცენტრაციის რომელიმე მიმართულებით ზრდა ან შემცირება. გრადიენტი შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზებით, მაგალითად, მექანიკური დაბრკოლებით, ელექტრომაგნიტური, გრავიტაციული ან სხვა ველების მოქმედებით ან სასაზღვრო ფაზების განზავების უნარის განსხვავებით.

**კონდენსაცია** – დაგროვება დიდი რაოდენობით.

**კოლბოჩეკი (ინგ. cone)–**ფოტორეცეპტორების ერთერთი ტიპი, თვალის ბადურის შუქ- მგრძნობიარე პერიფერიული მინაზარდი. ეს მაღალსპეციალური უჯრედია, რომელიც სინათ- ლის გაღიზიანებას ხელახლა წარმოქმნის ნერვიულ აღზნებად.

**როონი (ვარჯი)**– მცენარის ზედა ნაწილში ტოტების და ფოთლების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ტანის გაგრძელებას.

**კორძი** – ავადმყოფური გამონაზარდი.

**კაპი(ნუჟრი, მუწუკი)**– ხეზე კორძი, დეფორმირებული მიმართულებით მერქნის ბოჭკოების ზრდა.

- კაპი იზრდება კამბიუმის ხარჯზე.

**კოვალენტური ბმების გახლეჩის ხერხისაგან დამოკიდებულებით** – მარეაგირებელ ატომში ირგანული რეაქციები დაიყოფა რადიკალურ და იონურ რეაქციებად.

## ლ

**ლუმინესცენცია** – აირის, სითხის ან მყარი ნივთიერების ცივი ნათება.

**ლოგია (ბერძ. „ლოგიოს“ – სიტყვა, მოძღვრება)**– რთული სიტყვის ნაწილი, ნიშნავს მოძღვრებას, მეცნიერებას, ცოდნას.

**ლამინატის იატაკი** – ეს სტრუქტურულად მრავალშრიანი იატაკის მაგარი დაფარვა დეკორატიული შრით პოლიგრაფიული ტექნოლოგიის ბეჭდვის საფუძველზე.

**ლამინატი (ლათ. „*lamina*“ – შრე)**– მრავალშრიანი სინთეზური (პოლიმერული) მასალა თერმორეაქტიული პლასტმასისაგან, რომელიც მიიღება წნეხვით და შეწებებით არა უმცირესი ორი შრის ერთნაირი ან განსხვავებული მასალისაგან.

**ლესირება** – დეკორატიული დადების ტექნოლოგია სალესირებელი მასალების გამოყენებით. ლესირებისათვის გამოიყენება გამჭვირვალე მასალა – ლაჟვარდი (ლაქი ან სპეციალური შედგენილობა დეკორატიული დაფარვისათვის).

**ლაქსალებავი მასალები (ლსმ)**– კომპოზიციური შედგენილობები, რომელთა დადება ხდება გამოსაყვანი ზედაპირზე თხევადი ან ფხვნილისებრი სახით თანაბარ შრეებად და გაშრობის და გამყარების შემდეგ წარმოქმნის აფსკს, რომელსაც საფუძველთან აქვს მტკიცე შეჭიდულობა. ფორმირებულ აფსკს უწოდებენ ლაქსალებავ დაფარვას, რომლის თვისებაა ზედაპირის დაცვა გარეგანი ზემოქმედებისაგან (წყალი, კოროზია) და მას აძლევს სახეს, ფერს და ტექსტურას. ლსმ დაიყოფა: 1. საღებავი; 2. ემალები; 3. ლაქები; 4. საგრუნტოები; 5. საფითხნები; 6. ანტისეპტიკები.

**ლიმბა** – მაღალი ხის სახე, ტერმინალიას სახეობის, კომბრეტის ოჯახიდან. არეალი – დასავლეთ აფრიკის ტროპიკები. ლიმბა იზრდება 60 მეტრამდესიმაღლით, ფორმა გუმბათისებრი ან ბრტყელი გვირგვინით. ფოთლები 10 სმ.სიგრძის და 5 სმ.სიგანის, მშრალ პერიოდში (ნოემბრიდან დეკემბრამდე) ფოთლები სცვივა. აყვავდება მშრალი სეზონის ბოლოს ახალი ფოთლების გამოჩენამდე. მოთეთრო ფერისწვრილი ყვავილი, გრძელ ყუნწევე 10-12 სმ.სიგრძით.

**ნაყოფი** – ფრთიანი, ორი ფრთით.

**ლამბრადორი** – მინერალი, ნატრიუმის და კალიუმის ალუმინოსილიკატი.

**ლამინალური დინება (ლათ. *lamina* - „პლასტიკა“)**– დინება, რომლის დროს სითხე ან აირი გადაადგილდება შრეებად ერთმანეთში შერევის და პულსაციის გარეშე (ე.ი. მოუწესრიგებელი სწრაფად ცვლადი სიჩქარით და წნევით).

**ლერწამი (ლერწმისა)** [Arundo donax] – ტანმაღალი მცენარე მარცვლოვანთა ოჯახისა; იზრდება მდინარეებისა და ტბების ნაპირზე.

**ლაჟვარდი** – 1. ღია ლურჯი ფერი; 2. ღია ლურჯი ფერის საღებავი.

- **მერქნის ლაჟვარდი** – მერქნის გამჭვირვალე ან ნახევრად გამჭვირვალე დაფარვის ლაქსალებავი.

- ლაუგარდმა მკაფიოდ უნდა გამოავლინოს მერქნის სტრუქტურა და გარე სახე, ასევე უნდა ჰქონდეს ატმოსფეროს ზემოქმედებისაგან კარგი დამცავი ფუნქციები. პიგმენტების რაოდენობა შეირჩევა ისე, რომ ერთის მხრივ შეიძლებოდეს მერქნის სტრუქტურის გარჩევა, ხოლო მეორეს მხრივ – იყოს ულტრაინდისფერი გამოსხივებისაგან კარგი საფარი, თუ ლაუგარდს აქვს არა საკმარისი ულტრაინდისფერი დასხივებით გამყარებულიაბსორბცია, მაშინ ხდება მის ქვეშ მდებარე მერქნის რღვევა.
- თხელაფსკიანლაუგარდს აქვს მაგარი ნივთიერებების დაბალი შემცველობა და დაბალი სიბლანტე.
- შექლაფსკიან წყლისლაუგარდს აკრილატის ფუძეზე აქვს ტენიანობისაგან კარგი დაცვა.

**ლელი (Phragmites communis)**— ჭაობის მრავალწლოვანი ბალაზოვანი მცენარე მარცვლოვან-თა ოჯახიდან; აქვს მაღალი წვრილი ღერო და წვერზე საგველა.

## პ

**მიკროსფერები** — ძალიან მცირე ღრუ ბურთულები, ნატრიუმბოროსილიკატის მინისაგან. მათი ზომები შეადგენს 0,15-2 მიკრომეტრს. შემვსები ქიმიურად ნეიტრალური, ჰიდროფიბულური, არ ინარჩუნებს სუნს, არ წარმოადგენს მავნე მიკროორგანიზმების ბინადრობის გარემოს, ხასიათდება თავისუფალი დენადობით. ცნობილია, რომ მინა შედგება 75% კაჟმიწისაგან – სილიციუმის ჟანგბადთან ნაერთი. **მინდვრის შპატი კაჟმიწის** ნაერთია. კაჟმიწა მიეკუთვნება მინაწარმომქმნელ ოქსიდებს.

**მინის მიკროსფეროები კაჟმიწის ნანონაწილაკები** — ქათქათა (თოვლივით თეთრი) ფხვნილი, ხასიათდება სილიციუმის მძლავრი თვისებებით.

**ნანონაწილაკების თავისებურებაა ზედაპირის დაფარვის განსაკუთრებით დიდი ფართი.** ნივთიერების ერთ გრამ ნანონაწილაკებს შეუძლია დაფაროს  $400 \text{ m}^2$  ფართი. კაჟმიწის (მინის მიკროსფეროების) ნანონაწილაკები აბსოლუტურად უსაფრთხოა, ხასიათდება მრავალი სასარგებლო თვისებებით, მათ რიცხვში მიკროორგანიზმების „ადსორბცია“.

**მონომერი** — დაბალმოლეკულური ნივთიერება, რომლისაგან სინთეზურად მიიღება პოლიმერი. მონომერები განსხვავდებიან ფუნქციურობით. ბიფუნქციურს უწოდებენ მონომერს ორი რეაქციისუნარიანი ფუნქციური ჯგუფით, სამფუნქციურს – შესაბამისად სამი და ა.შ. მონომერების ფუნქციურობა არ არის მუდმივი სიდიდე და იცვლება რეაქციის განხორციელების პირობებზე დამოკიდებულებით.

**მოდიფიკაცია** (ბე. ლათ. **modificatio** – ზომის დადგენა, ლათ. **modus** – ზომა, სახე, გადასასვლელი თვისება და ლათ. **facio** – კეთება) – გარდაქმნა, გაუმჯობესება, სახეცვალება რაიმე ახალი თვისებების შეძენით.

**მოლეკულა** (ლათ. „**მცირე მასა**“) – ელექტრონეიტრალური ნაწილაკი, რომელიც შედგება ერთმანეთთან ქიმიურად დაკავშირებული ერთი ან რამდენიმე ელემენტის ატომისაგან. მოლეკულური აღნაგობის ნივთიერებებისათვის – მოლეკულა არის უმცირესი ნაწილაკი, რომელსაც შეუძლია დამოუკიდებლად არსებობა და ნივთიერების თვისებების შენარჩუნება.

**მოდიფიცირება** – იგივე, რაც სახის შეცვლა.

**მეზომერია** (ბერძ. **mezos** – საშუალო, შუალედური და **meros** – ნაწილი) – მოვლენა, მოლეკულაში ელექტრონული სიმკვრივის შიდა განაწილება.

**მოლი** – ნივთიერების რაოდენობა, რომელიც იმდენ სტრუქტურულ ელემენტს (მოლეკულა, ატომი, იონი, ელექტრონი და ა.შ.) შეიცავს, რამდენი ატომიც არის 12 გრ. ნახშირბადის იზოტოპში<sup>12</sup>C (12 გვიჩვენებს ნახშირბადის ატომურ მასას).

**მორფოლოგია** – მეცნიერება აგებულებაზე და ფორმაზე (ორგანიზმების, მინერალური ნივთიერებების, მცენარეების).

**მონოტონური** – ძალზე ერთფეროვანი ინტონაციით, ტონით.

**მყიფე** – ძალიან ტეხადი, მეტად სუსტი, ნაზი.

**მოლეკულური მასა** (ფარდობითი) – მოლეკულის მასის ფარდობა მასის ატომურ ერთეულთან.

**მჟავა** – რთული ქიმიური ნაერთი, რომელშიც შედგება წყალბადის ერთი ან რამდენიმე ატომისაგან და მჟავური ნარჩენისაგან.

**მეთანოლი** – თავისი ტოქსიკურობის გამო არ გამოიყენება.

**მასალის სიცოცხლისუნარიანობა** – სისტემა სიცოცხლისუნარიანია, სანამ მუშა სიბლანტე არ გაიზრდება ორჯერ.

**მერქნის კონსტრუქციული დაცვა** – ღონისძიებები, მიმართული ტენიანობის შესამცირებლად, (წყლის სწრაფად მოცილება) მწერებისაგან უკონტროლო დაზიანების თავიდან ასაცილებლად.

**WPC (Wood-Plastic-Composites)** – სისტემა „მერქან-სინთეზური მასალა/კომპოზიციური მასალა“.

**მერქნის დამცავი საშუალებები** – პრეპარატები, რომლებიც ძირითადად შედგება მოქმედი ნივთიერებებისაგან (ბიოციდებისაგან), შემკვრელი ნივთიერებებისაგან (ფიქსაციისათვის),

ემულგატორებისაგან, პიგმენტებისაგან, გამხსნელებისაგან და სხვა დამხმარე ნივთიერებებისა-  
გან.

**მედეგი** – მტკიცე, უდრეკი, ურყევი.

**მდგრადი** – დგომა, მაგრამ ურყევი; დაუმორჩილებლობა რხევებისადმი, მედეგი, მაგარი.

**მერქნის და მერქნული მასალების ხეხვა** – ფორმათწარმოქმნის ჭრის პროცესი.

**მეტაბოლიზმი** (ბერძ. – μεταβολη – „ქცევა, შეცვლა“) ანუ ნივთიერებათა ცვლა – ქიმიური რეაქციების ნაკრები, რომლებიც სიცოცხლის დასაცავად წარმოიქმნებიან ცოცხალ  
ორგანიზმში.

**მისიონერი (ფრ)** – ქრისტიანული ეპლესის მიერ სხვა რჯულის მორწმუნების მოსაქცევად  
უცხოეთში წარგზავნილი მქადაგებელი.

**მერქნის ბუნებრივი მდგრადობა** – მწერებისაგან და სოკოებისაგანდაზიანების წინააღმდეგობა.

დადგენილია მდგრადობის კლასები (1÷5) მერქნის გულგულის მიმართ.

**მჭიდრო** – რაც ერთმანეთთან მიჯრით, მტკიცედ დაკავშირებული ნაწილაკებისაგან შედგება.

**მაკასარის ებონი (Diospyros celebica) ინდონეზიის** – ითვლება „ფერად“ ებონად, მისი  
ნაქურთენი მოყვითალო-თეთრი ფერისაა, ხოლო გული – შავი, ძალიან მახასიათებელი ნახ-  
ატით და ღია ყვითელი და ყავისფერი ზოლებით, ძალიან მკვრივია, მედეგი, მისი მტვერი  
იწვევს კანის, თვალების და ფილტვების გაღიზიანებას. სიმკვრივე შეადგენს 1100-დან 1300  
კგ/მ<sup>3</sup>.

**მარტივი ნივთიერება გალიუმი** – რბილილითონი, მყიფე მოვერცხლისფერო-თეთრი (სხვა  
მონაცემებით ნათელი ნაცრისფერი) ფერის სილურჯის ელფერით.

**მარილი (ქიმ.)** – ქრისტიალური ნივთიერება, რომელშიც წყალბადის მჟავა ჩანაცვლებულია ლი-  
თონით.

**მარგი ქმედების კოეფიციენტი** – უგანზომილებო სიდიდე, რომელიც გვიჩვენებს მოწყობი-  
ლობაში მიყვანილი ჯამური ენერგიის რა ნაწილი გამოიყენება სასარგებლოდ.

**მაღალი ბეჭდვა** – პოლიგრაფიაში ბეჭდვის ხერხი, განსხვავებული ბრტყელი და ღრმა  
ბეჭდვისაგან, რომლის ფორმაზე საბეჭდი ელემენტები განლაგებულია თავისუფალი  
ადგილების უფრო მაღლა, ისე, რომ თავისუფალი ადგილების ელემენტები ბეჭდვის დროს  
ქაღალდს არ ეხებიან.

**მერქნის პარენქიმა** – წიწვოვანი მერქნის ორ ძირითად სტრუქტურას (ტრაქეიდის უჯრედს  
და გულგულის სხივებს) შეიძლება დაემატოს მერქნის პარენქიმის უჯრედები.

როგორც წესი, მერქნის ტრავმატული პანერქიმა გროვდება ჭრილობის ან სხვა ზემოქმედების ადგილებში. მისი უჯრედები ხშირად იმდენად ვიწრო და მოკლეა, რომ განივი კედლები საკმაო გადიდების დროსაც უხილავია. სწორედ ამ ნიშნით ტრავმატული პარენქიმა განსხვავდება ნორმალურისაგან.

**მიმიკრია** – ზოგიერთი ცხოველის, უმთავრესად მწერების, წამბაძველობითი მსგავსება, მტვერისაგან დაცვის უზრუნველსაყოფად.

**მატერია** – 1. ობიექტური რეალობა, ადამიანის ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად არსებული; 2. ნივთიერება, რომლისაგან შედგება ყველა ფიზიკური სხეული. მატერიას აგებულობა. მატერიას მოძრაობის კანონები.

### მანსონია

**სახელწოდება** – მანსონია უმაღლესი (ბეტე).

**ბოტანიკური ოჯახი–სტერკულიევული** (sterculianceae).

**ლათინური სახელწოდება** – *Mansonia altissima*.

**გავრცელება** – ხარობს ნიგერიის სამხრეთი ნაწილის სპილოს ბვლის სანაპიროს და განის ტერიტორიებზე.

**სე** – საშუალო სიდიდის, მწყობრი, სიმაღლე 30 მ., ტანის დიამეტრი 0,75 მ.

**მერქანი** – ნაქურთენი მოთეთრო, გული მოყვითალო-ყავისფერიდან მონაცისფრამდე ან ნაცრისფერ-ყავისფრამდე, ხშირად მეწამულის ელფერით. მუქი ნაირსახეობის მანსონიის მერქანი ფერით და ბოჭკოების სტრუქტურით აშშ შავი კაკლის მერქნის მსგავსია. ბოჭკოები ჩვეულებრივ სწორი. სტრუქტურა წვრილი და თანაბარი. მერქანი მაგარი. სიმკვრივე მშრალ მდგომარეობაში 610 კგ/მ<sup>3</sup>.

**შრობა** – კარგად შრება ატმოსფერულ პირობებში ხარისხის უმნიშვნელო გაუარესებით, შესაძლებელია დაბრეცა, როგობის დასკდომა. კამერაში შრობა მიმდინარეობს სწრაფად, მაგრამ ამ დროს მოსალოდნელია ბზარების წაგრძელება და სიგრძეზე განსაზღვრული დეფორმაციის წარმოქმნა. შეშრობა უმნიშვნელოა.

**სიმჭკიცე** – მექანიკური თვისებების მიხედვით, მანსონიის მერქანი შავი კაკლის მერქნის მსგავსია, მაგრამ მასზე მაგარი, უფრო მდგრადი დარტყმით დატვირთვებისადმი, მტკიცე ღუნვაზე. სხვა მაჩვენებლების მიხედვით დაახლოებით ერთნაირლირებულებიანია.

**მედეგობა** – ძალიან დღეგრძელი მერქანი.

**ტექნიკოგიური თვისება** – ადვილად ემორჩილება ხელით და სამანქანო დამუშავებას. უკეთესად იჭრება ვიდრე შავი კაკლის მერქანი, ნაკლებად აბლაგვებს ინსტრუმენტს. კარგად

ღებულობს და იკავებს ლურსმნებს და სჭვალებს. საკმაოდ კარგად მუშავდება ფერმჭერებით, იწებება და საუკეთესოდ პრიალდება.

**გამოყენება** – უმთავრესად იხმარება როგორც დეკორატიული მერქანი ავეჯის წარმოებაში, კაკლის ხის (Juglans spp.) შემცვლელია. ასევე გამოიყენება ძვირფასი ავეჯისა და შიდა სა-დურგლო სამუშაოებისათვის, პიანინოს და სახარატო დეტალების დასამზადებლად.

**მერბაუ** – პარკისანთა ოჯახიდან, თავისი სტრუქტურით, თვისებებით და ფერით აფზელის მერქნის მსგავსია, ტექტონაზე მნიშვნელოვნად მტკიცეა, მუხაზე მაგარია, უმნიშვნელოდ იბრიცება, შესანიშნავად პრიალდება, არ საჭიროებს დაცვას მწერებისაგან და სოკოებისაგან.

**გამოყენება** – მშენებლობაში ტრადიციულად მერბაუს გამოყენებას აქვს ძალიან დიდი კომერციული მნიშვნელობა. ის ფართოდ გამოიყენება კარების, ფასადების, პარკეტის, კიბის საფეხურების, ავეჯის, მაგიდების, შპონის, მუსიკალური ინსტრუმენტების დასამზადებლად. ასევე განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორც საკონსტრუქციო მასალა, წარმოადგენს ცვეთამედეგობის სტანდარტს, რომელსაც ადარებენ მერქნის სხვა სახეობებს.

ევროპაში ამ მერქანს უმთავრესად იყენებენ პარკეტის დასამზადებლად. განსაკუთრებული სიმა-გრის გამო გამოსადეგია საზოგადოებრივი შენობების მშენებლობის დროს, ხოლო ტენისად-მიმდგრადობა იძლევა აბაზანის ოთახის გაფორმების საშუალებას. სინათლის ზემოქმედების ქვეშ შეღებვა ოდნავ მუქდება. მერბაუ სამხრეთ აზიაში ყველაზე უფრო ღირებული მერქანია.

**მეტასტაბილური მდგომარეობა** – კვანტურ სისტემებში სიცოცხლის დროის მდგომარეობა, ბევრადმეტი, ვიდრე ატომური სისტემის აღგზნებული მდგომარეობის სიცოცხლის დროის მახასიათებელი.

**მატრიცა (ხელოვნება და ტექნიკა)** – ნიმუში, მოდელი, თარგი, შტამპი, ფორმა, ინსტრუმენტი აბიექტის სერიულ წარმოებაში.

**მაგარი სხეული** – ფიზიკური სხეული, რომელიც ხასიათდება ფორმის სტაბილურობით.

## 6

**ნაჯერი ხსნარი** – ხსნარი, რომელშიც მოცემულ ტემპერატურაზე გახსნილი ნივთიერების რაოდენობა მაქსიმალურია.

**ნივთიერება** – ის, რისგანაც შედგება სხეული, აქვს გარკვეული შედგენილობა, აღნაგობა, მო-ცემულ პირობებში მუდმივი თვისებები.

**ნივთიერების ხსნადობა** – გვიჩვენებს ნივთიერების მასას, რომელიც შეიძლება გაიხსნას წყლის განსაზღვრულ მოცულობაში მოცემულ ტემპერატურაზე, რათა სხნარი ნაჯერი გახდეს.

**ჩვეულებრივ ნივთიერების ხსნადობას ზომავენ კილოგრამებით კუბურ მეტრზე (კგ/მ<sup>3</sup>) ან გრამებით ლიტრაზე (გ/ლ).**

**ნანოტექნოლოგია** – ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების და ტექნიკის დისციპლინათშორისი სფერო, რომელიც შეისწავლის საგნების ატომურ და მოლეკულურ დონეზე მანიპულირების მეთოდებსა და ხერხებს.

ზოგადად ნანოტექნოლოგია იკვლებს სტრუქტურებს, რომელთა ზომა 100 ნანომეტრს არ აღმატება და მოიცავს მასალებისა და მოწყობილობების შემუშავებას ამ ზომის ფარგლებში. ნანოტექნოლოგია უკიდურესად მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც არსებული მოწყობილობების ახლებურად აწყობის საშუალებას, ასევე სრულად ახალი მასალების შექმნას ნანონაწილაკის დონეზე.

**ნიტროორგანული ნაერთი** – შეიცავს აზოტ-ნახშირბადის ბმას. მაგალითად, როგორც ეს ნიტრომეთანშია.

**ნატურალური ლაქი** – ლაქსალებავი მასალა, ბუნებაში წარმოქმნილი ან კომპონენტებისაგან ქიმიური დამუშავებით შექმნილი მათი ბუნებრივი სტრუქტურის შეუცვლელად და არ შეიცავს ხელოვნურად მიღებულ დანამატებს.

**ნატვიფრი დეკორატიული ფირი** – პირგადაღებული ნატურალური ფორებიანი სტრუქტურა.

**ნეონი** – ქიმიური ელემენტი კეთილშობილი ათრების ჯგუფიდან.

**ნაჯაო** – ღრმული, ამოღებული რაიმე ზედაპირზე.

**ნარევი** – შერეული პროდუქტი, რაიმე ნივთიერებების მექანიკური ნარევი.

**ნუჟრი (კაპი)** – ხეზე ავადმყოფური ამონაბურცი, როკი, კორძი.

## III

**ობსტრუქცია** – რაიმეს განზრახული აწყვეტა.

**ოლიგომერი (ბერძ. – მცირე, ცოტა, უმნიშვნელო, ნაწილი)** – მოლეკულა ჯაჭვის სახით მცირე რიცხვის ერთნაირი შემადგენელი რგოლისაგან.

**ორგანული ნაერთი** – ერთმანეთთან კოვალენტურიბმით დაკავშირებული ნახშირბადის ატომებისაგან შემდგარი ნაერთები. მათ მიეკუთვნება ნახშირწყალბადები და მისი ფუნქციური წარმოებულები.

**ოზონი O<sub>3</sub>** – ჟანგბადის ალოტროპიული სახეცვლილება, არამდგრადი, ტოქსიკური, დამახასიათებელი სუნის მქონე ცისფერი აირი.

**ოქსიდი** – რთული ნივთიერება, რომელიც შედგება ორი ელემენტისაგან, რომელთაგანაც ერთ-ერთი ჟანგბადია.

**ორგანული ქიმია** – სწავლობს ორგანული ნაერთის აღნაგობას და თვისებებს.

**ორმაგი ბმა (კავშირი)** – მოლეკულაში ორი ატომის კოვალენტურიბმა ორი საერთო ელექტრონული წყვილების საშუალებით.

**ოსცილატორი** – ინსტრუმენტი, რომელიც განკუთვნილია ხის, ლითონის და მოქნილი მასალებიდან – ფანჯრების, კარების ჩარჩოების, მზიდი და დეკორატიული კონსტრუქციების დასამზადებლად, იატაკის დასაგებად და ა.შ.

**ორთოგონალობა (ბერძ. „მართკუთხა“, „მართი, სწორი კუთხე“)** – არის წრფივი სივრცისათვის პერპენდიკულარობის განზოგადოებული ცნება დაყვანილი სკალარული ნამრავლით. თუ სივრცის ორი ელემენტის სკალარული ნამრავლი ნულის ტოლია, მაშინ მათ ერთმანეთის მიმართ უწოდებენ ორთოგონალურს.

**ოფცია (ლათ. optio, options)** – ამორჩევა, არჩევა.

**ორგანოგამზნელი საღებავები** – ლაქსაღებავი მასალა ორგანული გამზნელის ფუძეზე, რომელიც შრობის პროცესში ორთქლდება.

**ომეგა** – ბერძნული ანბანის ბოლო ასოს სახელწოდება.

**ოფსეტური ბეჭდვა** – საღებავის გადატანის ტექნოლოგია საბეჭდი ფორმიდან დასაბეჭდ ფორმაზე არა პირდაპირ, არამედ შუალედური ოფსეტის ცილინდრით.

## 3

**პოლიეთერები ან პოლიესტერები** – მაღალმოლეკულური ნაერთები, რომლებიც მიიღება მრავალფუძიანი მჟავების პოლიკონდენსაციით ან მათი ალდეგიდების მრავალატომიანი სპირტებით.

**პოლიმერი** – მაღალმოლეკულური ნაერთები, რომელთა მოლეკულაც შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული ერთნაირი სტრუქტურული რგოლისაგან.

- **პოლიმერები**— რთული ქიმიური ნივთიერებებია.
- **პოლიმერი** — ნივთიერება, რომლის მოლეკულა აგებულია განმეორებადი ჯგუფების – მონომერების ერთეულების ძალიან დიდი რიცხვისაგან.
- **პოლიმერებს**, რომლის მოლეკულები შედგება განსხვავებული ბუნების (ჩვეულებრივ ორი ტიპის) მონომერების ერთეულებისაგან, თანაპოლიმერები ეწოდება.
- **პოლიმერი** —მრავალი ნაწილისაგანშედგენილი, მრავალფეროვანი ნივთიერებაა, რომელიც წარმოქმნილია რამდენიმე, ხშირად ძალიან ბევრი, მარტივი მოლეკულების შეერთებით განსაკუთრებული პირობების დროს.
- **ლიგნინი** წარმოადგენს პოლიმერს. მცენარეში ლიგნინი უჯრედული საყრდენი კედლის და გამტარი ქსოვილების მნიშვნელოვანი კომპონენტია. ამასთან ის ასრულებს ორგვარ როლს: ქსოვილის მექანიკური გამაგრება და უჯრედის დაცვა ქიმიური, ფიზიკური და ბიოლოგიური ზემოქმედებისაგან.

**პლასტიფიკატორი** — ნივთიერება, რომელიც შეჰყავთ პოლიმერის მასალის შემადგენლობაში ელასტიკურობის (მოქნილობის) და პლასტიკურობის მისაცემად (ასამაღლებლად). ყველაზე უფრო გავრცელებული პლასტიფიკატორებია — ესტერები (რთული ეთერები).

**პროპანი** — ნაჯერი ნახშირწყალბადი. შედის ბუნებრივი აირის შემადგენლობაში.

**პოლიმერიზაცია** — ერთნაირი მოლეკულების (მონომერების) უფრო მსხვილ მოლეკულებად შეერთება.

**პოლიკონდენსაცია** — მონომერების შეერთების პროცესი, რომლის დროსაც პოლიმერებთან ერთად წარმოიქმნება და გამოიყოფა თანაური დაბალმოლეკულური პროდუქტები.

**პოლიმერიზაციის ხარისხი** — რიცხვი, რომელიც გვიჩვენებს მაკრომოლეკულაში გაერთიანებული მონომერების რიცხვს.

**პესტიციდი (ლათ.)**—მავნებლის გამანადგურებელი ნივთიერება.

**პოლიმიერთება** — რეაქციის ყოველ სტადიაზე წყალბადის ერთი ატომის მიგრაცია. პოლიმიერთების პროდუქტის ელემენტარული შემადგენლობა შეესაბამება ნივთიერების საწყის შემადგენლობას.

**პოლიმერი დაძველება** — მოცემული პროცესის მიმდინარეობის დროს წარმოქმნილ დესტრუქციულ რეაქციას უწოდებენ „დაძველებას“. ამის შედეგად რადიკალურად იცვლება პოლიმერის თვისებები: მცირდება მისი მოლეკულური მასა, იცვლება აგებულება, ფიზიკური და ქიმიური თვისებები და, ხშირად უვარგისი ხდება პრაქტიკული გამოყენებისათვის.

**პოლიმერების დესტრუქცია** – მოვლენა, რომლის დროსაც პოლიმერები სითბოს, სინათლის, რადიაციის და ა.შ. ზემოქმედების ქვეშ იწყებენ თავისი თვისებების დაკარგვას მიკრომოლეგულების დაშლის შედეგად, გამოწვეული ზემოქმედებით.

**პოლისადი (მესერი)** – დაბრკოლება, კედელი.

**პრომატორი** – დასამატებელი ნივთიერება, კატალიზატორისათვის მისი თვისებების გასაუმჯობესებლად, როგორიც არის აქტიურობა, სელექციურობა ან სტაბილურობა.

**პოლიმერიზაცია** – შეიძლება განხორციელდეს სინათლის ფოტოქიმიური მოქმედების გავლენით.

**პარაბოლა** – ღია მრუდი.

**პოლიტურა (ინგ. polish, varnish)** – ლაქი, ფისის ნივთიერების დამატებით, გასაპრიალებელი.

**პიროგენული (ბერ. pyr – ცეცხლი, სიცხე; gennō – წარმოვქმნი)** – ცხელების გამომწვევი ნებისმიერი ნივთიერება.

**პიროგენული სილიციუმის დიოქსიდი** – კოლოიდური სილიციუმის დიოქსიდი – ძალიან მსუბუქი მიკრონიზირებული ფხვნილი ადსორბციული თვისებებით. გამოიყენება საპოხების, საღებავების და ლაქების დასამზადებლად, სუსპენზიის სტაბილიზაციისათვის.

**პოლიმერის აღნაგობა** – შეიძლება იყოს კრისტალური და ამორფული. პოლიმერების კრისტალურობაში იგულისხმება მიკრომოლეგულების მოწესრიგებული (პარალელური) განლაგება. ამორფული აღნაგობა ზასიათდება მოუწესრიგებლობით.

**პრეპოლიმერები** – ერთმანეთზე ბმული ოლიგომერები.

**პლასტიკურობა (ბერძ. plastikos – ძერწვისათვის ვარგისი, plasso – ძერწვა, წარმოქმნა)** – მაგარი სხეულის თვისება ძალების მოქმედების ქვეშ დაურღვევლად შეიცვალოს თავისი ფორმა და ზომები და შეინარჩუნოს ნარჩენი დეფორმაციები ამ ძალების აცილების შემდეგ.

**პიგმენტი** – არაორგანული ან ორგანული, ფერადი ან უფერო მღებავი ნივთიერება, რომელიც საღებარისაგან განსხვავებით, პრაქტიკულად უხსნადია გამოყენებულ გარემოში.

**პოსტიმპრეგატი (ფინიშ-აფსკი)** – ბეჭდვით ქაღალდზე ნახატის აღნიშვნა, ქაღალდის გაუღენთა ფისით (ან ფისით პლასტიფიკატორით ზარისხისათვის „Soft“), შემდეგ გაღაქვა.

**პრედიმპრეგატი (ფინიშ-აფსკი)** – დაბეჭდვა სპეციალურ ფუძე-ქაღალდზე, რომელიც არ საჭიროებს გაუღენთას, შემდეგ გაღაქვა.

**პოტენციალი** – სიმძლავრის ზარისხი რამე ფარდობაში, რამესათვის საჭირო საშუალებათა ერთობლიობა.

**პრესფორმინგი** – გამოწევა, დეკორატიული სახის, გეომეტრიული ფიგურის.

**პასტელი** – სახელწოდება იტალიური სიტყვიდან „„პასტელო“ მომდინარეობს და ცომს ნიშნავს. პასტელი ფერადი პიგმენტის ფხვნილებისაგან მზადდება.

**პანდა** – პასტელის საღებავის ნაირსახეობა, რომელსაც სანთელი ემატება.

**პვა წებო** – დისპერსია წყალში პოლივინილაცეტის, პლასტიფიკატორით სპეციალური დანამატებით.

**პალისანდა (ფრ. palissande)** – ტროპიკული ხის სახე. ფერის ვარირება დამოკიდებულია ხის ნაირსახეობაზე. ძირითადი ფონი – მოვარდისფრო – ღია ყავისფერიდან მოაგურისფრო – წითელ ფერამდე ან მოშოკოლადო – წაბლის ხის ფერი. სახე მუქი წვრილძარღვებით (ასევეა მისი გამოსახულების ვარიირობა), ხშირად ისფერი ელფერით. სიმკვრივით ერთნახევარჯერ აღმატება მუხას, მაღალი სიმტკიცე, ხასიათდება კარგი გაპრიალებით. ნაჭურთენი თეთრი ან მქრქალი ყავისფერი – არის არამტკიცე. პალისანდის ხისგან მიიღება ლამაზი შპონი, რომლის სახე დამოკიდებულია ათლის შერჩეულ მიმართულებაზე, გამოიყენება ავეჯის, პარკეტის, მუსიკალური ინსტრუმენტების, ბილიარდის ჯოხების დასამზადებლად.

**პოლიმერის მოლეკულური წონა** – სხვადასხვა წონის მოლეკულების ნარევი, ან, სხვანაირად განსხვავებული პოლიმერიზაციის ხარისხი.

**პოლარული** – სრულიად საწინააღმდეგო ვისიმე-რაიმესი.

**პეტი** – გარეგნული ბრწყინვალება, საამო, კარგი შეხედულება, ლაზათი.

**პარკეტი** – დაფარვა მერქნისაგან, შიდა სადგომის იატაკისათვის.

**პოლიმერიზატორი** – პოლიმერიზაციის აპარატი.

**პროფილი (ფრანგ. profil)** – საგნის ან სახის გამოსახულება, შესახედაობა გეორდიდან.

**პალიტრა** – მცირე დაფა (ფირფიტა), რომელზედაც ფერმწერი (მხატვარი) თავისი მუშაობის დროს ახორციელებს საღებავების შერევას.

**პულპა** – მაგარი ნაწილაკების და სითხის ნარევი, არასქელი, არაერთგვაროვანი სისტემა.

**პერფორატი (ინგ. პერფორატიონ, ლათ. პერფო – გახვრეტა)** – პერფორაციის შედეგი, ე.ი. საკმაოდ დიდი რიცხვის ნახვრეტების, სწორი ფორმების წინდახედულად დამზადება ფურცლოვან ან სხვა მასალაში.

**პიუპიტრი (ფრ. pupitre, ლათ.-დან pulpitum – სახლის ფიცარნაგი)** – მაგიდის ქვესადგომი წიგნებისათვის და რვეულებისათვის.

**პერფორირება (ჩვრეტა)** – ნახვრეტების გახვრეტა ქაღალდზე და ა.შ.

**პოლარიზაცია** – ზემოქმედება სინათლის ან ელექტრომაგნიტურ რხევაზე, რის შედეგად ისინი წარმოიქმნებიან განსაზღვრულ მიმართულებაში, განსაზღვრულ სიბრტყეში.

## ქ

**ჟანგვა** – ნივთიერების ჟანგბადთან შეერთების ქიმიური რეაქცია, რომლის დროსაც სითბო გამოიფარგლება.

**ჟელე** (ფრ. *gelee* – ლაბა, გელი) – კოლოიდური ხსნარი, გაცივების დროს მთელი მასა ლებულობს ლაბისებრ სახეს.

**ჟელატინი** – გამჭვირვალე წებოვანი ნივთიერება, ჩვეულებრივ თხელ ფირფიტებში ან წვრილად დაფშვნილ ნაწილაკებში.

**ჟანგეული** – ნივთიერება, რომელიც წარმოადგენს ქიმიური ელემენტის ჟანგბადთან ნაერთს.

**ჟანგარო** (იტალ. *patina*) – ნაკეთობის დეკორატიულ ზედაპირზე გარემოს ზემოქმედების ქვეშ წარმოქმნილი აფსკი ან ნადები.

## რ

**რელაქსაცია, მიორელაქსაცია** (ლათ. *relaxatio*) – შერბილება (შესუსტება), მოშვება.

**რეაგენტი** – ქიმიურ რეაქციაში მონაწილე ნივთიერება.

**რადიკალი** – გაუწყვილებელი ელექტრონის მქონე ატომი ან ატომთა ჯგუფი, რომლებიც ქიმიური რეაქციების დროს უცვლელად გადადის ერთი შენაერთიდან მეორეში.

**რეკონსტრუქცია** – რაიმეს პირვანდელი სახის აღდგენა.

**რეპრეზენტაციული სისტემა** – ინფორმაციის აღქმის და გაგების სისტემა.

**რეცირკულაცია** – აირის ნაკადის, თხევადი ან მყარი ნივთიერების სრულად ან ნაწილობრივ მრავალგზის დაბრუნება ტექნოლოგიურ პროცესში ტემპერატურის რეგულირების, ნარევში კომპონენტების კონცენტრაციის, მიზნობრივი ნივთიერების გამოსავლიანობის გაზრდის მიზნით.

**რეცირკულაცია** – ნივთიერების ბუნებრივი ან ხელოვნური დაშლის ან აღდგენის პროცესი.

**რეოლოგია** – (ბერძ. *ρεοις* „დენა. დინება, ნაკადი და ლოგია“) – ფიზიკის განყოფილება, რომელიც სწავლობს ნივთიერების დეფორმაციას და დენადობას.

**რეკუპერაცია** – მასალის ან ენერგიის ნაწილის დაბრუნება იმავე ტექნოლოგიურ პროცესში განმეორებითი გამოყენებისათვის. რეკუპერაციას ნედლეულის დამუშავების დროს უწოდებენ დესორბციას. დესორბცია ისევე როგორც სხვა მასაგადაცემის პროცესები ჩვეულებრივ შექცევადია, ხოლო პირველად პროცეს უწოდებენ ადსორბციას. თხევადი გამსხველების რეკუპერაცია გამოიყენება ნახშირწყალბადების, სპირტების, მარტივი და რთული ეთერების და ა.შ. დამზადების დროს.

**როკებიანი (ნუჟრებიანი)** – მრავალი როკით (ნუჟრით).

**რეგენერაცია** – აღდგენა, განახლება, რამესი დამუშავების პროცესში.

**რეპრეზენტატიულობა** – ამორჩევითი ერთობლიობის თვისება, რომელიც წარმოადგენს გენერალური ერთობლიობის პარამეტრებს მნიშვნელოვანს კვლევის ამოცანების თვალსაზრისით.

**რელაქსაცია** – სისტემის დაბრუნების პროცესი თერმოდინამიკური წონასწორობის მდგომარეობაში.

**რეფლექტორი** – ტელესკოპის სახე ჩაზნექილი სარკით.

**რუსტიკის ეფექტი(აგრეთვე რუსტიკა, ლათ. rusticus – სიტყვასიტყვით „სოფლური“, წარმობული ლათ. rus – სოფელი; „სადა“, „უხეში“, გაურანდავი) –** მერქნის ფორების ინტენსიური შეღებვა ზედაპირთან შედარებით.

**რადიაციული გამყარება** – მასალის გამყარება (პოლიმერიზაცია) ელექტრონული გამოსხივების ან ულტრაიისფერი სინათლის მოქმედების ქვეშ.

**რაკელის დანა** – ლითონზე სპეციალური რეზინიდან დაწებებული ფირფიტა.

**რეცეპტორი (receptor)** – მიმღები.

**რასტრი (პოლიგრაფია)** – (გერ. raster, ლათ. rastrum - ფოცხი) – გისოსი, გამოიყენება ნახევარტონის გამოსახულების გადასაყვანად შტრიხულში, გამოსადეგი პოლიგრაფიული ალტარმობისათვის. მიღებული გამოსახულების სტრუქტურა, შედგენილი წვრილი წერტილებისგან, ასევე არის რასტრი. მრავალფერადი ბეჭდვის დროს საჭიროა ყველა საბეჭდი ფორმის რასტრების გულმოდგინე შეთავსება.

**რეაქტიული** – რეაქტივი ქიმიური ანალიზის დროს.

**რიცხვით პროგრამული მართვა (რპმ) (ინგ. CNC-computer numerical control)** – მართვის კომპიუტერიზებული სისტემა, რომელიც მართავს ტექნოლოგიური მოწყობილობის ამძრავებს, საჩარხო აღჭურვილობის ჩათვლით.

## ს

**სორბცია** – (ლათ. *sorbeo* - შთანთქმა) – მყარი სხეულით ან სითხით გარემოდან სხვადასხვა ნივთიერებების შთანთქმა. გარემოში ნივთიერებას, რომელიც შთანთქავს ეწოდება **სორბატი**, სორბტივი, შთანთქმელ მყარ სხეულს ან სითხეს – **სორბენტი**.

სორბცის ცნებაში ჩართულია როგორც ნივთიერების ზედაპირული შთანთქმა სითხით ან მყარი სხეულით, ე.წ. **ადსორბცია**, ასევე ნივთიერების მოცულობითი შთანთქმა – **აბსორბცია**. ნივთიერებას, რომელიც აბსორბირდება, ეწოდება **ადსორბანტი**, სხეულს, რომელიც წარმოქმნის შთანთქმელ ზედაპირს – **ადსორბენტი**.

**სილიციუმის დიოქსიდი, კაუმიწა** – უფერული კრისტალური, ამორფული ან მინისებრი ნივთიერება, აქვს მაღალი სისალე და **სიმტკიცე**.

**სილიკატები** – შემცვებები ლაქსალებაგმასალებში.

- **ტალკი (მაგნიუმის სილიკატი)** – თეთრი ფერის, რბილი, ხელშეხებით ცხიმოვანი ფხვნილი, ჩვეულებრივ ოდნავ შეფერილი ან ნაცრისფერი. აქვს კარგი დასველებადობა, ადვილად დისპერსირდება სხვადასხვა აფსკრამომქმნელ ნივთიერებებთან, **სალებავებს** ანიჭებს სტრუქტურულ **სიბლანტეს**. ამაღლებს დაფარვის ატმოსფერომედეგობას, მის მდგრადობას ნაკაწრების და გაცვეთის მიმართ. ტალკის ნაწილაკების ფორმა შეიძლება იყოს ნებისმიერი და ბოჭკოვანი. ტალკი ქიმიურად ინერტიულია. ფართოდ გამოიყენება **ლაქსალებავ წარმოებაში**.
- **ქარსი (ალუმინოკალიუმის სილიკატი)** – ფერი თეთრი ან ოდნავ შეფერილი რკინის ჟანგეულებით (ოქსიდებით). მის ნაწილაკებს არა აქვთ ფირფიტოვანი აღნაგობა. ქარსი აუმჯობესებს დაფარვის ატმოსფერომედეგობას, **ადჰეზიას**, ელასტიურობას; ამცირებს სალებავის შენახვის დროს, აქვს მიღრეკილება მკვრივი ნალექების წარმოქმნისადმი; შეჰყავთ ელექტროსაიზოლაციო დაფარვაში.
- **კაოლინი (ალუმინის ჰიდრატირებული სილიკატი)** – თეთრი ფერის, ნაწილაკების ფორმა ფირფიტოვანი. კაოლინის თავისებურებაა მისი დიფულობა, ე.ი. დასველებადობის კარგი თვისება, როგორც წყლით, ასევე ორგანული არაპოლარული სითხეებით. კაოლინი ფართოდ გამოიყენება **ზეთის** და **წყალემულსიურისალებავების** დამზადების დროს, **საფითხნებში** და **ფორთამვსებში**. ნავარვარები კაოლინი გამოიყენება ანტიკოროზიული მქრქალი და ნახევრადმქრქალი დაფარვისათვის.

**სუბსტრატი:**

- **სუბსტრატი (სპეც.)** – ის, რაც რაიმე მოვლენის, მდგომარეობის საფუძველში დევს;

- **სუბსტრატი (ბუნება)** – ზედაპირი, რომელზედაც განლაგებულია საგანი;
- **სუბსტრატი (ბიოლოგია)** – მკვებავი გარემო მცენარისათვის და მიკროორგანიზმებისათვის;
- **სუბსტრატი (ქიმია)** – ქიმიური ნაერთი (როგორც ორგანული), რომელიც რეაგენტის ქმედების ქვეშ გარდაიქმნება რეაქციის პროდუქტად.

**სილიციუმმჟავა** – ძალიან სუსტი, წყალში მცირედ ხსნადი მჟავები.

**სილიკაგელი** – გამშრალი გელი, მიიღება ზედმეტადნაქერი სილიციუმმჟავის ხსნარით. მყარი ჰიდროფილურისორბენტი. ტექნიკური სილიკაგელი გამოიყენება ადსორბენტის სახით ჰაერის და სხვა აირის ან ორთქლის გასაწმენდად და შრობისათვის, ზოგიერთი სითხეების გასაკამკამებლად, კატალიზატორის სარჩულად. სილიკაგელი ხანძარ და ფეთქებადსაშიში, ორგანიზმები ზემოქმედების ხარისხის მიხედვით მიეკუთვნება მესამე კლასის საშიშ ნივთიერებებს.

**სელექცია** – შერჩევა, გადაჯვარედინება.

**სუსპენზია** – სისტემა, სადაც მყარი ნივთიერების ნაწილაკები შეტივტივებულია სითხეში.

**სარკული არეკვლა** – საკმაოდ გაპრიალებული გლუვი ზედაპირიდან სინათლის არეკვლა.

**სინთეზი** – განსხვაგებული ელემენტების შეერთება, ერთ მთლიანად გადაქცევა.

**სედიმენტაცია (დალექვა, დაწყობა)** – დისპერსიული ფაზის ნაწილაკების დალექვა სითხეში ან აირში გრავიტაციული (მიზიდულობის) ველის ან ცენტრიდანული ძალების მოქმედებით.

**სუბსტრანცია:**

- ობიექტური რეალობა, პირველდაწყებითი მატერია, ყველა საგნის და მოვლენის არსი;
- სხვაზე დამოუკიდებლად, თავისუფლად არსებული;
- რისამე საფუძველი, არსი;
- ფილოსოფიური კატეგორია კლასიკური რაციონალურობის ობიექტური რეალობის აღსანიშნავად ყველა მისი ფორმის გამოვლინების და თვითგანვითარების შინაგანი ერთიანობის ასპექტში.

**სანსკრიტი** – ინდოეთის ძველთაძველი ლიტერატურული ენა. დღეისათვის ის ინდოეთის 22 ოფიციალური ენიდან ერთერთია. თვითონ სიტყვა „სანსკრიტი“ ნიშნავს „დამუშავებული, სრულყოფილი“.

**სტაბილიზატორი (ქიმიაში და კულინარიაში)** – კომპონენტი (დანამატი), რომელიც ამცირებს ნივთიერების ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს მათი შენახვის და გამოყენების დროს.

**სტაბილიზატორი** – პარამეტრების ცვლილებების არიდება დესტაბილური ფაქტორების ქმედებით.

**სმოგი** – ხშირ შემთხვევაში ატმოსფეროში მოხვედრილი აირები აძლიერებენ ერთმანეთის ტოქსიკურ მოქმედებას (ამ პროცესს სინერგიზმს უწოდებენ), რის გამოც უფრო საშიში ხდებიან გარემომცველი ცოცხალი სამყაროსათვის. ამავე დროს ულტრაიისფერი სხივების გავლით გამონაბოლქვი აირები განიცდიან ქიმიურ გარდაქმნას. წარმოქმნილ ფოტო ქიმიურ ნარევს ხშირად ახასიათებს უფრო მეტი ტოქსიკურობა და კანცეროგენობა, ვიდრე ცალკეულ რეაქციის პროდუქტებს.

**საკალასე (სახჩოლი)** – მწვავე სითხე ხის ზედაპირის გასაჟღნთად შეღებვის მიზნით.

**სუბსტანციური (ლათ. substantius – დამოუკიდებელი, თავისუფალი)** – მოქმედება სხვების დახმარების გარეშე.

**სიკატივი** – ნივთიერება, რომელსაც ამატებენ ზეთის საღებავში და ლაქში მათი სწრაფი შრობისათვის.

**სენსიბილიზაცია (ფრ. sensibilisation, ლათ. sensibilis - მგრძნობიარე)** – აგზნების ენერგიის გადაცემა ერთი მოლეკულიდან მეორისაკენ.

**საოპერაციო სისტემა (ინგ. operating system, OS)** – ურთიერთკავშირებიანი პროგრამების კომპლექსი, რომლებიც განკუთვნილია კომპიუტერის რესურსების მართვისათვის და მომხმარებელთან ურთიერთმოქმედების ორგანიზებისათვის.

**სტრუქტურა** – დროში და სივრცეში მდგრადი ქიმიური ორგანიზაცია, ნივთიერების შემადგენ-ელ ნაწილაკებს შორის.

**სიმაგრე** – მასალის წინააღმდეგობა ადგილობრივი პლასტიკური დეფორმაციის მიმართ, რომე-ლიც წარმოიშობა მასალაში უცხო მაგარი სხეულის შეღწევის დროს.

**სტიროლი** – კანცეროგენული და გენეტიკური ტოქსიკური ნივთიერება.

**სინერგეტიკი** – რადიკალური პოლიმერიზაციის დამაჩქარებლები, თავისთავად არ არიან ინი-ციატორები.

**სუბმიკროსკოპული (ინგ. submicroscopic, ბერძ. υττρικροδικοττικος – იპომიკროსკოპული)** – ეპითეტი, რომელიც გამოიყენება მატერიის ნაწილაკების აღწერისათვის, რომელთა გარჩევა შეუძლებელია ძალიან მძლავრი ოპტიკური მიკროსკოპითაც.

- **ატომი** – ასეთი ნაწილაკის მაგალითია.

**სიმტკიცე** – მასალის თვისება გარკვეულ პირობებში დაურღვევლად აითვისოს დატვირთვა ან სხვა სახის გარე ზემოქმედება.

**სხეულის სიძკვრივე** – ფიზიკური სიდიდე, რომელიც მოცულობის ერთეულში სხეულის მასის ჭოლია.

**სიძყიფე** – მაგარი სხეულის რღვევის უნარი მექანიკური ზემოქმედების დროს შესამჩნევი პლასტიკური დეფორმაციის გარეშე.

**სიხისტე** – ფორმის შეცვლის წინააღმდეგობა ძალის მოქმედების ქვეშ. განისაზღვრება როგორც ძალა, რომელიც იწვევს მისი მიმართულებით განსაზღვრულ გადაადგილებას.

**სტენომერული აკრილატი** (ბერძ. სტენო – ვიწრო, მერის – ნაწილი, წილი) – განსაზღვრული ქიმიური ნივთიერება მცირე მოლეკულური წონით და ვიწრო მოლეკულ-მასობრივი განაწილებით.

**„სინქროფორები“** – ტერმინი ნიშნავს, რომ სამგანზომილებიანი ფორები მდებარეობენ იქ, სადაც ისინი განლაგებულნი არიან ნატურალურ მერქანზე, ე.ი. სადაც დადებულია საბეჭდი საღებავი.

**სორბცია** – ფაზების გაყრის ადგილის გამდიდრების პროცესი, რომელიმე ნივთიერებით ან ნაწილაკებით.

**სორბცია** უპირატესად წარმოიქმნება ფაზების საზღვარზე თხევადსა და მაგარს შორის, ასევე გაყრის ზედაპირზე თხევადსა და გაზისებრ ფაზებს შორის. **სორბირებული** მაგარი ფაზა ან გაყრის ზედაპირი – ეს **სორბენტია**, ანუ მასორბირებელი საშუალება. გამდიდრებულს, მაგრამ ჯერ კიდევ არასორბირებულ ნივთიერებას უწოდებენ **სორბტივს**, ხოლო ზედაპირზე ჩანართს ან მდებარეს კი – **სორბატს**.

**სინათლის სხივი** – წარმოსახვითი წრფე, რომლის გასწვრივაც ვრცელდება სინათლის ენერგია.

**საძედობა** – დამაჯერებელი ნდობა, უეჭველი, მტკიცე.

**სპექტრი** – ფერადი ზოლების ერთობლიობა, რომელიც მიიღება გარდამტებელი გარემოში სინათლის სხივის გავლის დროს.

**სინათლის დისპერსია** – ეს არის სინათლის გარდატეხის მაჩვენებელის სინათლის ფერზე დამოკიდებულება.

- გაუმჭვირვალე საგანი გვერდება იმ ფერის, რა ფერსაც ის არეკლავს, გამჭვირვალე კი იმ ფერისაა, რა ფერსაც ატარებს.

**სკალარული** – ფიზიკის, მექანიკის და სხვადასხვა ტექნიკური საგნების შესწავლისას გვხვდება სიდიდეები, რომლებიც სავსებით განისაზღვრებიან მათი რიცხვითი მნიშვნელობებით, ასეთ სიდიდეებს სკალარული სიდიდეები ეწოდება (მაგალითებია – სიგრძე, ფართობი, მოცულობა, მასა, ტემპერატურა და ა.შ.).

არსებობს სხვა სახის სიდიდეებიც, რომელთა განსაზღვრისათვის გარდა რიცხვითი მნიშვნელობისა, საჭიროა აგრეთვე მიმართულების ცოდნა. ასეთ სიდიდეებს ვექტორული სიდიდეები ეწოდება (მაგალითებია – ძალა, სიჩქარე, აჩქარება, მაგნიტური ველის დაძაბულობა და ა.შ.).

**სიტყვა „Lakh“** – დღეს ამ სიტყვასთან ბმული საყოველთაო სიტყვა „ლაქი“ წარმოქმნილია სანსკრიტისაგან და ნიშნავს „ას ათას“ ლაქის „შიტოვიკების“ დიდი რიცხვის გამო, რომელთა სეკრეციის პროდუქტს წარმოადგენს ყველასთვის ცნობილი შელაკი.

პროდუქტი ევროპაში შემოვიდა შუა საუკუნებში სავაჭრო გზებით.

**სტრუქტურა** – რისამე შემადგენელი ნაწილების ურთიერთმიმართულება, აღნაგობა, წყობა, აგებულება.

**სეკრეცია** (ლათ. *secretio* - გამოყოფა) – წარმოქმნა და გამოჟონვა (ან მოწყვეტა) ნივთიერების უჯრედიდან გარემოში.

**საღებარი** – ფხვნილისებრი ნარევი, შეღებილი ჩვეულებრივი სინთეზური წარმოშობის ორგანული ნივთიერებებით, მასალის შეფერვისათვის.

**საღებავი** – მასალა საგნების შესაღებად ან ფერწერისათვის.

**სუფთა ნივთიერება** – ნივთიერება, რომელსაც მოცემულ პირობებში მუდმივი ფიზიკური თვისებები აქვს.

**სავანა** – ტროპიკული ველი, რომელშიც ხარობს იშვიათი ხეები და ბუჩქნარი (სამხრეთ ამერიკაში, აფრიკაში, აზიაში, ავსტრალიაში).

**სიპო** – უტილუ, ენტანდროფრაგმა მარგებელი.

**ბოტანიკური ოჯახი:** მელიევური (*meliaceae*). **ლათინური სახელწოდება:** *entandrophragma utile*.

**სხვა სახელწოდება:** *sip* (სპილოს ძვლის სანაპირო), *assie* (კამერუნი).

**გავრცელება:** ხარობს აფრიკის, კამერუნის, სპილოს ძვლის ნაპირების, ლიბერიის, გაბონის და უგანდის ტროპიკულ ტერიტორიებზე.

**ხე:** სიმაღლით შეიძლება აღწევდეს 45 მ., დიამეტრი ფესვებთან 2 მ., ტანი სწორი, ფიცრისებრი ფესვების გარეშე, სიმაღლით 21-24 მ.

**მერქანი:** გული და ნაქურთენი განსხვავდებიან: ნედლ გადანაჭერზე გული მკრთალი ვარდისფერია, გარემოს მოქმედების ქვეშ მუქდება მოწითალო-ყავისფერამდე. როგორც გარე სახით,

ასევე თვისებებით ძალიან ჰგავს მონათესავე ცილინდრული ენტანდროფრაგმის (საპელის) მერქანს, მაგრამ მსხვილი ფორების გამო მისი ტექსტურა უფრო იშვიათია, მერქანს ჩვეულებრივ არა აქვს კედრის სუნი, დამახასიათებელი საპელისათვის. დახლართული ჯავარიანი ბოჭკოები წარმოქმნიან მოხატულობას განიერი ზოლებით, ხშირად უფრო განიერს და არათანაბარს, ვიდრე ეს აქვს საპელის მერქანს. **სიმტკიცე** მშრალ მდგომარეობაში 660 კგ/მ<sup>3</sup>.

**შრობა:** მიმდინარეობს ზომიერად ნელა, ტენდენციებით – დეფორმაციისაკენ ხრახნული დაბრუცვის სახით და პირველადი ბზარების გადიდებისაკენ. ჩვეულებრივ შრობის დროს მერქნის ხარისხი მცირდება უმნიშვნელოდ.

**სიმტკიცე:** მექანიკური თვისებების მიხედვით სიბოს მერქანი ამერიკის წითელი მერქნის მსგავსია.

**მედეგობა:** მერქანი მედეგია.

**ტექნოლოგიური თვისებები:** მუშავდება კარგად, მაგრამ რამდენადმე აბლაგვებს იარაღის მჭრელ პირს. ჭრის კუთხის 15<sup>0</sup>-მდე შემცირებით შეიძლება რანდვის და პროფილირების დროს ჯავარიანი ბოჭკოების ანაგლევების შესუსტება. საკმაოდ კარგად ექვემდებარება საღებარებით ფერჭერას, კარგად იწებება და ფორების ავსების შემდეგ კარგად პრიალდება.

**გამოყენება:** ძვირფასი ავეჯის და სადურგლო წარმოებაში, სავაჭრო და საოფისე შენობების გაწყობისათვის, ფანერის წარმოებაში, შპონის დეკორატიული მოპირკეთებისათვის.

**სათრიმლავი (მთრიმლავი) ნივთიერება** – ამ სახელწოდების ქვეშ აერთიანებენ ერთობ სხვადასხვანაირ და შედგენილობის მიხედვით რთულ ხსნად ორგანულ ნივთიერებებს არო-მატული წყებიდან, განსაკუთრებით გავრცელებულია მცენარეულ სამყაროში. მუხა ყველაზე უფრო გავრცელებული მთრიმლავი მცენარეა.

მცენარეში (ქერქში, მერქანში, ფესვებში, ფოთლებში) სათრიმლავი ნივთიერებები წარმოადგენს ან როგორც მათი სიცოცხლისუნარიანობის ნორმალურ პროდუქტს, ან კი შეადგენს (პათოლოგიურ მთრიმლავ ნივთიერებას) მეტ-ნაკლებად ავადმყოფური კორმების მნიშვნელოვან ნაწილს, წარმოქმნილს მუხის ზოგიერთი სახეობის ფოთლებზე და სხვა ორგანოებზე და ნაკ-ვალევს მწერების ჩხვლეტისას.

**სინათლე** – არის ელექტრომაგნიტური გამოსხივება 0,4-0,8 მიკრომეტრამდეტალდის სიგრძით. ასეთი ტალღების წყაროებს წარმოადგენს ატომები და მოლეკულები, რომლებშიც ხდება ელექტრონების ენერგეტიკული მდგომარეობის ცვლილება.

**საგველა (საგველასი)** – ყვავილედის ერთ-ერთი ტიპი – მთავარი ღერძი იძლევა გვერდის ტოტებს, რომლებიც, თავის მხრივ, ტოტიანდებიან.

## ტ

**ტიტანის ფერადი პიგმენტი** – ტიტანის ახალი პროდუქტია, ხასიათდება დაფარვის მაღალი მაჩვენებელით, ატმოსფერომედეგობით, შუქმედეგობით, აქვს მდგრადი ფერი ღია-აგურის, მოყავისფრო-ყვითელის და ბეჟის ელფერით. არ შეიცავს ტოქსიკურ კომპონენტებს, შეუძლია ნაწილობრივ ან მთლიანად შეცვალოს ტიტანის დიოქსიდი შესაბამისი ფერების ზეთის საღებავებში და ემალებში, ან გამოყენებული იყოს დამოუკიდებლად როგორც პიგმენტ-შემვსები.

**ტიტანის დიოქსიდი (ტიტანის ნანოდიოქსიდის ჩათვლით)** – წამყვანი როლი თეთრი პიგმენტების ჯგუფში განპირობებულია მისი თვისებების მაღალი დონით, დამახასიათებელი ამ პროდუქტისათვის – დისპერსიონების უნარი, თბო და ქიმიური მედეგობა, გამათეთრებელის უნარი, ატმოსფერომედეგობა, გარდატექნის კოეფიციენტი და სხვა; გამოიყენება ლაქსალებავ მასალებში.

- ზეწმინდა ტიტანის ნანოდიოქსიდს აქვს უნიკალური ფოტოკატალიზატორის თვისება.

**ტიტანის დიოქსიდი** – თეთრი ფერის ნივთიერება, უხსნადი წყალში და მჟავებში. ტიტანის დიოქსიდი ყველაზე მოთხოვნადი თეთრი პიგმენტია ლაქსალებავწარმოებაში, იძლევა სხვადასხვანაირ ფერთა გამის მიღებას, ასევე აუმჯობესებს მათ თვისებებს. თავისი თვისებებით პიგმენტის და შემვსების სახით ტიტანის დიოქსიდი მნიშვნელოვნად აღემატება თუთის თეთრას, თუთის სულფიდს, ლითოპონს.

**ტიტანი** – ბუნებაში გავრცელებულია მინერალების სახით.

**ტრიანზინი** – პეტეროციკლური ნაერთი, რომლის სტრუქტურული ფუძე შეადგენს ექსტენ-რიანარომატულ ციკლს აზოტის სამი ატომით.

**ტუტე** – წყალში წსნადი ფუძე.

**ტოკსინი** – შხამიანი ნივთიერება, რომელიც წარმოიქმნება მიკროორგანიზმებით, ასევე ზოგიერთი ცხოველებით და მცენარეებით.

**ტექნოლოგია (ბერძ.)** – გარკვეული წესითა და თანმიმდევრობით განხორციელებული ოპერაციებისერთობლიობა, რომელთაგანაც შედგება მასალის, ნაკეთობის დამუშავების პროცესი; წარმოების წესის მეცნიერული აღწერა.

**ტრიბოდამუხტვა** – ორი მასალის ერთი მეორეზე ხახუნის დროს ელექტრომუხტის წარმოშობის პროცესი, ამასთან მათ მიერ შეძენილი მუხტი ტოლია აბსოლუტური მნიშვნელობით და საწინააღმდეგოა ნიშნით.

**ტექსტურა** (ლათ. **textura** – ქსოვილი, აგებულება, კავშირი) – ნივთიერების აგებულების თავისებურება, რომელიც განპირობებულია მისი შემადგენელი ნაწილების, ფენების განლაგებით.

**ტვიფრა** – გამოწევა, გამოსახულების, გამოხატულობის.

**ტურბულენტურობა** (ლათ. **turbulentus** – მძვინვარე, უწესრიგო) – წარმოიქმნება დამოუკიდებლად, როდესაც მეზობელი გარემოს არები გვერდი-გვერდითაა, ან ერთი შეიღწევა მეორეში წნევათა სხვაობის არსებობის დროს, ან სიმბიმის ძალების არსებობის დროს, ან როდესაც გარემოს არე გარსშემოდენილია შეუღწევადი ზედაპირით.

**ტერმინი მერქნის „ქვესანთი“** – ნიშნავს ფერის ჩაღრმავებას დაფარვის დადების დროს, რომელიც განსაკუთრებულად აღნიშნავს მერქნის ტექსტურას.

**ტინდალის კონუსი (ინგ. Tyndall effect)** – ოპტიკური ეფექტი სინათლის კონის გავლის დროს ოპტიკურ არაერთგვაროვან გარემოში. უმთავრესად შესამჩნევია ნათელი კონუსის სახით (ტინდალის კონუსი) ხილულ მუქ ფონზე.

დამახასიათებელია კოლოიდური ხსნარების სისტემებისათვის, რომელშიც ნაწილაკები და მათი გარშემოხვეულობა განსხვავდებიან გარდატეხის მაჩვენებლით.

**ტრიბოპროცესი (triboprocess)** – ხეხვის პროცესი.

**ტურნიკეტი** – სპეციალური ტრიალა მოწყობილობა.

**ტესტი (ინგ. test)** – მოსინჯვა, შემოწმება, გამოკვლევა.

**ტრიპლეტური** – არის მოლექულების მეტასტაბილური მდგომარეობა.

## ტექტონა

**ჰავრცელება:** ხარობს ინდოეთის, ბირმის, ჭაილანდის, სუმატრის და იავის ტერიტორიებზე.

**ფიზიკური თვისებები:** საშუალო სიმკვრივე –  $660 \text{ კგ/მ}^3$ ; სიმტკიცე ღუნვაზე  $85 \text{ H/მმ}^2$ ;

სიმტკიცე კუმშვაზე  $51 \text{ H/მმ}^2$ ; სიმტკიცის ზღვარი  $120 \text{ H/მმ}^2$ .

**თვისებები:** ტექტონას ღია ფერის ნაქურთენი შეიძლება იყოს სიგანით 2-3 სანტიმეტრამდე. გულიანი, ყვითელიდან მუქ ყავისფერამდე, ზოგჯერ მუქი მომწვანო-ყავისფერი ან შავი ზოლებით. მერქანში ეს ფერი წარმოიქმნება დეგიდროკტოლის და ტექტონინინის განსხვავებული კონცენტრაციით. ასეთი ზოლები ყველაზე უფრო ხშირად აქვს ბირმის წარმოშობის ტექტონას. ტექტონის განივ განაჭერში ნათლად ჩანს რგოლებიშვლიურის მსგავსი, რომლებიც შეიძლება იყოს რამდენიმე ერთი წლის განმავლობაში.

მერქნის ტექსტურა, როგორც წესი, სწორბოჭკოვანია, ჯავარიანობა იშვიათი. ცელულოზა შეადგენს მერქნის დახლოებით 43%, ლიგნინის შემცველობა – 30-39%. ტექტონის გულის პარენქიმის გარეგანი ნაწილი შეიცავს 5% კაუჩუკს. კაუჩუკის უჩვეულოდ მაღალი შემცველობა განაპირობებს მქრქალ ბზინვარებას, წებვად-ზეთიან თვისებებს, მედეგობას მუავებისადმი და მაღალ ცვეთამედეგობას. ტექტონას მერქნის გული ძალიან დღეგრძელია.

მერქანი ადვილადმუშავდება. მისი მახვილ-ალესილი მჭრელი ნაწიბურებით დამუშავების დროს მიიღება გლუვი ზედაპირები. საკმაოდ კარგად მუშავდება ფერმჭერებით ემორჩილება სახარატო დამუშავებას, ადვილად გამოიმუშავება შპონი.

**გამოიყენება:** ტექტონას მერქანი გამოიყენება გემთმშენებლობაში, ინტერიერების დეკორატიული გამოყვანისათვის, ავეჯის წარმოებაში, იატაკის დაფარვისათვის.

## უ

**უჯერი ხსნარი** – ხსნარი, რომელშიც აღებული ნივთიერება მოცემულ ტემპერატურაზე კიდევ შეიძლება გაიხსნას.

**უტილიზაცია** – გამოიყენება სარგებელით, რაიმე სახით გადამუშავება, გამოყენება.

**უემისიო ფილები** – პრინციპში არ არსებობს, რადგანაც ბუნებრივ პირობებში გაზრდილი ხე უკვე შეიცავს ფორმალდეპილს.

**ულტრაიისფერი გამოსხივება** – თვალით უხილავი ელექტრომაგნიტური გამოსხივება 400-დან 10 ნანომეტრამდე ტალღის სიგრძის დიაპაზონში. კლასიკური დამქრქალების საინტერესო ალტერნატივას წარმოადგენს ფიზიკური დამქრქალება ულტრაიისფერი გამოსხივებით.

- **ულტრაიისფერი დასხივება** – ულტრაიისფერი გამოსხივების გამოყენება სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნებისათვის.

**ულტრაფილტრაცია** – არის ბარომეტრანული პროცესი, რომლის დროს სითხე წნევის ქვეშ „ჩაიჭყლიტება“ ნახევრად შეღწევადი ტიხრის განსაზღვრული ზომის ნახვრეტებში (ფორებში) ზომებით 0,5 ნანომეტრიდან (nm) 0,05-0,1 მიკრო მეტრამდე ( $\mu$ ).

## ფ

**ფოტოინიციატორი** – ლაქსალებავ მასალაში რაციონალური გამყარების ფუნქციური დანამატი. ფოტოინიციირება (დაწყება) დამოკიდებულია განათების ინტენსიურობაზე და ტემპერატურაზე.

**ფაშარი(ფაშრისა)** – გამოფიტული, ფშვნადი.

**ფერისადიტიურისინთეზი** – ადამიანის მხედველობის თავისებური მოწყობილობა იძლევა თე-  
ორი ფერის მიღებას სპექტრული ფერების წითლის, მწვანის და ლურჯის წანაცვლებით.

**ფოკალური სიბრტყე** ფოკუსზე გამავალი მთავარი ოპტიკური ღერძის მართებული სიბრტყე.

**ფუძე** რთული ნივთიერება, რომელიც შედგება მეტალისა და ჰიდროქსილის ჯგუფისაგან.

**ფუქსინი** – ანილინის წითელი საღებავი.

**ფუნქცია** – მოვლენა, რომელიც დამოკიდებულია სხვაზე და იცვლება ამ სხვა მოვლენის  
ცვლილების შესაბამისად.

**ფაზა** – თერმოდინამიკური სისტემის ყველა პომოგენური ნაწილების ერთობლიობა, რომლებიც  
გარე ძალების ზემოქმედების არარსებობისას ფიზიკურად ერთგვაროვანი არიან.

**ფორმალშემცველი მწებავი ნივთიერება (ან შემკვრელი)** – გამოიყენება დახერხილი ხე-  
ტყიდან შეწებილი ნამზადების – შრეული შელაკის, მრავალშრიანი პარკეტის, დაწებებული  
ფიცრის, ჯვარედის, ხის მასივიდან ფილის დასამზადებლად.

**ფოტოსენიბილიზატორი** – ნაერთი, რომელიც აგზნებულ მდგომარეობაში გადასცემს  
შთანთქმულ ენერგიას სხვა მოლეკულებს (როგორც წესი ფოტოინციატორებს), ხოლო  
ისინი თავის მხრივ წარმოქმნიან შუალედურ რეაქციაუნარიან ნაერთს.

**ფოტონი** – ელექტრომაგნიტური ტალღა, რომლის სიგრძეს განსაზღვრავს გამოსხივების არე  
(ბერძ. ფოტოს - სინათლე). რაც უფრო მცირეა ფოტონის ტალღის სიგრძე, მით უფრო  
მაღალია მისი სიხშირე და შესაბამისად მეტია ენერგია.

- **ფოტონი** არის ელემენტარული ნაწილაკი.

**ფუტკრის ცვილი** – სამშენებლო მასალა ფუტკრის ფიჭისაგან, გამომუშავებული ფუტკრის  
მუცლის ჯირკვლებით.

**ფოტოეფექტი** – ელექტრული მოვლენა, რომელიც წარმოიქმნება ნივთიერების სინათლით გა-  
ნათების დროს, სახელდობრ: ნივთიერებიდან ელექტრონების გამოსვლა (ფოტოელექტრული  
ემისია), ელექტრომამოძრავებელი ძალის წარმოშობა, ელექტროგამტარობის ცვლილება.

**ფხვნილოვანი ლაქსალებავი მასალები** – სისტემები, რომლებიც ფუძეშრეზე დადების და  
შემოლხობის შემდეგ წარმოქმნიან ლაქსალებოვან დაფარვას.

**ფინიშ-ფირი** – თანამედროვე მაღალი ხარისხის მოსაპირკეთებელი მასალა, რომელზედაც აღ-  
ნიშნულია დეკორატიული დაფარვა სპეციალური ფისებით გაფლენთილი და ფინიშ-ლაქით  
გალაქული, რომელიც არ საჭიროებს დამატებით დამუშავებას. ასხვავებენ ფინიშ-ფირის ორ  
სახეს: პოსტიმპრეგატი და პრედიმპრეგატი.

**ფაქტურა** – (ლათ. *factura* – დამუშავება, აგებულება) – დამუშავების ხასიათი, რაც განსაზღვრავს რისიმე (მაგ. ქსოვილის, მინის, მერქნის) გარეგნულ სახეს.

**ფონი** – 1. ძირითადი ფერი, ტონი, რომელზედაც იხატება სურათი, ზედაპირი, მაგალითად, ქსოვილის, ხალიჩის, რომელზეც გამოყვანილია რაიმე სახე; 2. რისამე უკანა პლანი.

**ფითხი** – ლითონის გრძელი ფირფიტა სხვადასხვა დანიშნულების, მაგალითად საგოზის წასასმელად, საღებავის გასაქნელად და სხვა.

**ფორი (ბერძ.)** – ნივთიერების ნაწილაკებს შორის არსებული სიცარიელე, სვრეტი.

**ფორიანობა** – ფორების ქონა, ფორების სიხშირე.

**ფუნქციონალური ჯგუფი** – ატომი (ჰალოგენი) ან ატომთა ჯგუფი (OH, CHO, COOH, NH<sub>2</sub>), რომელიც განაპირობებს ამა თუ იმ კლასის ნაერთების თვისებებს.

**ფრონტის** – ავეჯში უწოდებენ ნაკეთობის დამთავრებას სხვადასხვა ფორმით სტილზე დამოკიდებულებით.

**ფერითი პალიტრა (ფერების პალიტრა)** – ფერების და ელფერების ფიქსირებული ანაწყობი (დიაპაზონი), რომელსაც ამა თუ იმ სახით აქვს ფიზიკური და ციფრული რეალიზაცია (ფერების ატლასი, სისტემური ფერითი პალიტრა).

**ფორმალდეპიდი** – ძლიერი გამაღიზიანებელი აირი მაღალი ტოქსიკურობით.

**ფოტოკატალიზი** – ქიმიური რეაქციის დაჩქარება, შეპირობებული კატალიზატორის და სინათლის ერთობლივი მოქმედებით.

**ფოტოლიზი (ბერძ. phus – სინათლე და lysis – დაშლა, გახრწნა, გამოყოფა)** – ნივთიერების მოლეკულების დაშლა, შთანთქმული სინათლის მოქმედების ქვეშ.

**ფისი** – სპეციალური სუნის მქონე წებოვანი წვენი, რომელსაც გამოყოფენ ჰაერზე გამყარებადი წიწვოვანი მცენარეები.

**ფარადეის ეფექტი** – ოპტიკურად არა აქტიური ნივთიერება მაგნიტური ველის ზემოქმედების ქვეშ იძენს სინათლის პოლარიზაციის სიბრტყის ბრუნვის უნარს, რომელიც ვრცელდება ველის მიმართულების გასწვრივ. ეფექტი აღმოჩენილია 1845 წელს.

## გ

**ქრომოფორები** – უჯერი ატომების ჯგუფი, რომელიც განსაზღვრავს ნაერთის ფერს.

**ქიმიური ბმა** – ატომთა შეკავშირება ელექტრონული ბუნების ურთიერთქმედების შედეგად.

**ქალალდის ხედრითი წონა**— ქალალდის წონა სტანდარტული პირობების დროს. ის შეჯამებულია ბოჭკოს, დამხმარე შემვსები ნივთიერების და წყლის წონისაგან.

**ქსილემა(ანუ მერქნი)** — მიწისზედა ძარღვიანი მცენარის ძირითადი წყალგამტარი ქსოვილი, ორიდან ერთ-ერთი მცენარის გამტარი ქსოვილის ქვეტიპი, თანაბრად ფლოემის-ლაგანთან (იხ. ნახ.37).

**ქრომატიზმი**—გარდამტები ოპტიკური გარემოს თვისება, რომელიც დაკავშირებულია ფერადი გამოსახულების და სხივების მიღებასთან და წარმოქმნასთან.

## ლ

**ლებვა (dyeing)** — საღებარით ზედაპირის ფერის შეცვლა (შეფერვა).

**ლრანტე** — ლრმული გზაზე, ამოგდებული თვალით.

**ლრმა ბეჭდვა** — პოლიგრაფიაში ბეჭდვის ხერხი საბეჭდი ფორმის გამოყენებით, რომელზედაც იბეჭდება ელემენტები.

## ყ

**ყნოსვა** — სუნის აღქმის და განსხვავების უნარი.

**ყვავილედი** — ყვავილების დაჯგუფებანი მცენარეზე (მაგალითად, მტევანი, თავთავი და მისთ.).

## შ

**შიდა ხახუნი (სიბლანტე)**— სითხის ან აირის შრეების პარალელური ფარდობითი გადანაცვლების დროს მათ შორის წარმოქმნილი ხახუნის ძალები. სიბლანტის მიზეზია მოძრაობის (იმპულსის) რაოდენობის გადატანა მოლექულების მოწესრიგებული მოძრაობით, რომლებიც გადადიან ერთი შრიდან მეორეში.

**შექცევადი** — განვითარების გარკვეული არის შემდეგ პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნების უნარი.

**შპონი:**

- სიტყვა „furmier“ ნასესხებია ფრანგულიდან „fournir“ მე-16 საუკუნეში და ნიშნავს პროცესს, რომლის დროს ხდება ნაკლებ ძვირფასი მერქნის დაფარვა ძვირფასი მერქნის სახეობის შრით.

დღეისათვის ცნება „შპონი“ ნორმირებულია და ნიშნავს თხელ ფურცელს, რომელიც გამოყოფა მორს ან მორის ნაწილს ახდით, რანდვით ან ხერხვით.

**შრობა** – ლაქსალებავი მსალის გადასვლა თხევადი მდგომარეობიდან მყარ მდგომარეობაში.

ზოგადად ლაქსალებავ ტექნიკაში: ფიზიკური შრობის ქვეშ იგულისხმება ქიმიური რეაქციის გარეშე გამხსნელების, ადიტივების და დამხმარე ნივთიერებების აორთქლება.

- გამყარების ქვეშ იგულისხმება ქიმიური რეაქციის შედეგად აფსკ წარმომქმნელის გაკერვა, ამასთან გაკერვა ნიშნავს 3D ბადის წარმოქმნას.

**შიტოვიკი** – თანაბარფრთიანი მწერების ოჯახი, რომელთა სხეული ზემოდან გადაფენილია ცვილის ფარით. შიტოვიკის სახეები ძალიან სხვადასხვანაირია, ისინი განსხვავდებიან ზომებით და შეფერილობით.

**შელაკი (პოლან. - schellak)** – ბუნებრივი ფისი, ექსტრაქცირებული ცრუფარიანი ოჯახის რიგი მოდგმის დედალი მწერებისაგან, რომლებიც პარაზიტობენ ინდოეთში და აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ქვეყნებში ზოგიერთ ტროპიკულ და სუბტროპიკულ ხეებზე.

- შელაკი კარგად ხსნადია ტუტეების ხსნარში და დაბალ ალიფატურ სპირტებში, სუსტად – ბენზოლში და თითქმის უხსნადია ბენზინში, ცხიმში და ზეთში. შელაკი გამოიყენება ლაქების, საიზოლაციო მასალის დასამზადებლად, ფოტოგრაფიაში.

**შპონირება** – დაფარვა ფურცლით თხელი ნატურალური ხისგან.

**შემვსები** – ნივთიერება, შემკვრელ მასაშიდანამატი, მაგრამ მასში ხსნადი.

**შაგრენი(ინგ. shagreen)** – საღებავის ზედაპირი არ არის გლუვი, მაგრამ ოდნავ როგორც ფორთოხლის ქერქი. „ფორთოხლის ქერქი“ შელებვის დეფექტია და, თავის შხრივ, შაგრენის გამოშხატველი. შაგრენის – „ფორთოხლის ქერქის“ მიღების ძირითადი პრინციპია წნევის დაკლება საღებავსაშეფერი, საქშენის გადიდება.

**შეღებვა (colouring)** – საღებავით ზედაპირის დაფარვა ან გაფლენთა.

**შტაპი** – მინერალების ჯგუფის სახელწოდება, რომელიც იშლება დარტყმის დროს განსაზღვრული მიმართულებით.

## B

**„ჩარჩო გარეკანში“** – ტერმინის ქვეშ იგულისხმება ე.წ. ფიჭისებრი ფილა HDF-ბაზაზე. ის მიეკუთვნება შემსუბუქებულ სამშენებლო მასალას. შემსუბუქებული მასალები – ეს იზოტროპული ან ანიზოტროპული მასალებია, რომელთა მოცულობითი სიმკვრივე ნაკლებია, ვიდრე

საწყისი ნედლეულის სიმკვრივე ან ეს არის ერთ ან ორ განზომლებაში გამტკიცებული მა-სალები, რომელთა სიმკვრივის ამაღლებას აღწევენ მათი მოცულობითი სიმკვრივის აუმაღლებლად.

### 3

**ცელულოზა** – პოლისაქარიდია. ცელულოზას მაკრომოლექულას აქვს წრფივი აღნაგობა და წარმოქმნის ბუნებრივ ბოჭკოს.

**ცენტრიდანული ძალა** – ძალაა, რომლითაც მოძრავი მატერიალური (ნივთიერი) წერტილი მოქმედებს სხვა სხეულზე (კავშირზე), ზღუდავს მის მოძრაობას და აიძულებს იმოძრაოს მრუდხაზოვნად.

**ციანი** – ნახშირბადის აზოტთან ნაერთი, შხამიანი უფერო აირი.

**ცვარი (ნამი)** – ატმოსფერული ტენი, რომელიც ილექტება წყლის პატარა წვეთებით გაცივების დროს.

**ცელულოზის ნიტრატი** – მიღების პროცესში წარმოქმნის ბურუსოვან ფიფქისებრ ნივთიერებას.

- **ცელულოზაპოლიმერია,** ის შედგება დაახლოებით 3000 მონომერული რგოლისაგან მოლექულური მასით დაახლოებით 5000.
- **ცელულოზა** – (ლათ. უჯრედი) მას ხშირად უჯრედისს უწოდებენ. იგი მცენარეული უჯრედების მთავარ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. უჯრედში ცელულოზა არ შედის სუფთა სახით. იგი ლიგნინთან (არომატული ხასიათის ორგანული ნივთიერება), ჰემი-ცელულოზასთან, ჰენტოზანებთან, ჰექტინურ ნივთიერებებთან (პოლიგალაქტურომჟავები) ერთად გვხვდება. ყველაზე უფრო სუფთა ცელულოზას წარმოადგენს ბამბის ბოჭკო, რო-მელიც 92-95% ცელულოზას შეიცავს. ცელულოზას შემცველობა მერქანში 40-60%-ს შეადგენს. ცელულოზას დამახასიათებელი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მცენარეში შემავალ სხვა ორგანულ ნივთიერებებთან შედარებით, იგი ყველაზე უფრო მტკიცეა. აქედან ნათელია უჯრედისის როლიც – იგი უჯრედის კედლების წარმოქმნას ემსახურება და მცენარეში „ჩონჩხს“ წარმოქმნის. ცელულოზა წყლის მოქმედებით არ ჯირჯვდება, არ იძლევა იოდთან რეაქციას (არ იფერება).
- **ცელულოზის მიკრომოლექულებს** აქვთ ხაზოვანი სტრუქტურა, მათი განლაგება უწესრიგოა, არ არიან ერთი მიმართულებით ორიენტირებულნი.

**ცვეთამედეგობა** – წინააღმდეგობა, მოხახუნე დეტალების გაცვეთისადმი.

**ცხელი შრობა** – ლაქსალებავი დაფარვის შრობა იძულებითი გახურებით.

## ძ

**ძაბვა (მექანიკური)** – შიდა ძალების საზომი, რომელიც სხეულში წარმოიქმნება გარე ზემოქმედების გავლენით (დატვირთვა, ტემპერატურის შეცვლა).

## წ

**წყალბადი (ლათ. Hidrogenium)** – უფერო აირი, ჰაერზე მსუბუქი, წყალში არ იხსნება, ჟანგბადში იწვის, გემო და სუნი არა აქვს, თხევადდება მეტად დაბალ ტემპერატურაზე.

**წყალბადის მაჩვენებელი (ლათ. pondusHydrogenli** – წყალბადის ძალა) – წყლიანი გარემოს ხარისხის საზომი, რომელიც ასახავს მის მუდმივობას ან ტუტეანობას და რაოდენობრივად გამოსახავს ხსნარში წყალბადის იონების კონცენტრაციას. ძალიან გაზავებულ ხსნარებში ის კონცენტრაციის ექვივალენტურია.

**წითელი ხე** – ხეების ზოგიერთი სახეების მერქანი ყავისფერი ტონალობით, ჩვეულებრივ მტკიცე, კარგად ექვემდებარება დამუშავებას, გამოიყენება ძვირფასი საღურგლო ნაკეთობებისათვის.

## წინსართები.

- **იზომერის სახელწოდებაში დეფისით გამოყოფილია ჩანაცვლებული რადიკალების რაოდენობა:** დი – ორი, ტრი – სამი, ტეტრა – ოთხი, პენტა – ხუთი; პროდ – წინა, წინეთი, მონო – ერთი, პოლი – ბევრი, მრავალი, პრე – ძალიან, მეტისმეტად, ბის – ორჯერ აღებული, ბი – ნიშნავს ორს;
- **ბიო –** სხვადასხვა სამეცნიერო ტერმინების რთული სიტყვის ნაწილი, აღნიშნავს კავშირს ორგანულ ცხოვრებასთან, ბიოლოგიასთან, მაგალითად, ბიოფიზიკა, ბიოქიმია, ბიოგრაფია;
- **ფოტო –** სიტყვის პირველი ნაწილი დაკავშირებული სინათლის მოვლენებთან, მაგალითად, ფოტოქიმია, ფოტოსფერო;
- **ერთეულების აღნიშვნა:**  
ნანო –  $10^{-9}\text{m}$ ; მიკრო –  $10^{-6}\mu\text{m}$ ; მილი –  $10^{-3}\text{m}$ ; სანტი –  $10^{-2}\text{c}$ ; დეცი –  $10^{-1}\text{d}$ ; დეკა –  $10\text{da}$ ; კილო –  $10^3\text{k}$ ; მეგა –  $10^6\text{m}$ ; გეგტო –  $10^2\text{h}$ ; გიგა –  $10^9\text{G}$ ; ტერა –  $10^{12}\text{T}$ ; პიკო –  $10^{-12}\text{p}$ ; ფემტო –  $10^{-15}\text{f}$ ; ატო –  $10^{-18}\text{a}$ .

## ჭ

**ჭერამი (Armeniaca vulgaris)** - ხეხილი ვარდისფერთა ოჯახისა, ისხამს მომრგვალო-ყვითელ ან მოწითალო-ყვითელ კურკიან ნაყოფს.

**ჭილი (Guncus)** - ტენიან ადგილებში გავრცელებული მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე.

## ბ

**ხსნარი** - ჰომოგენური სისტემა (მყარი, თხევადი ან აირადი), რომელიც შედგება ორი ან ორზე მეტი ქიმიურად სუფთა ნივთიერებისაგან და მათი ურთიერთქმედების შედეგად მიღებული პროდუქტისაგან.

**ხე** - ბუნებრივი ფორმანი კომპოზიციური მასალა.

**ხვედრითი წონა** - სხეულის წონის ფარდობა იმავე მოცულობის წყლის წონასთან  $4^{\circ}\text{C}$ .

**ხანგამძლე** - მტკიცე, გათვალისწინებული ხანგრძლივი დროით.

**ხისტი** - ხელის შეხებით მაგარი (მტკიცე), მკვრივი.

**ხსნადობა** - ნივთიერების უნარი გაიხსნას ამა თუ იმ გამხსნელში.

## ჰ

**ჰიბრიდული სისტემები** - მართვის სისტემების მათემატიკური მოდელები.

**ჰიდროფილური** - წყლის მოყვარული ნივთიერება, რომელიც ინტენსიურად ურთიერთქმედებს წყალთან.

**ჰიდროფობული** - წყლის მოძულე ნივთიერება, რომელიც სუსტად ურთიერთქმედებს წყალთან.

**ჰალოგენირება** - ორგანული ნაერთის მოლეკულაში ჰალოგენების (მარილწარმომქმნელი ჯგუფის ელემენტების) შეყვანა.

**ჰიდროლიზი** - ნივთიერების წყალთან ურთიერთქმედების რეაქცია, რომლის დროსაც ერთ-ერთი ნივთიერება მაინც მიიღება სუსტი ელექტროლიტის სახით.

**ჰიდროლიზი** - დაშლა ნივთიერების წყლის ზემოქმედებით ბუნებაში.

**ჰიდროფილურობა** (ბერძ. წყლის სიყვარული) – ნივთიერების წყალთან მოლეკულური ურთიერთქმედების ინტენსიურობის მახასიათებელი, წყლის შეწოვის კარგი უნარი, ზედაპირის დასველებადობა.

**ჰიდროფობულობა** (ბერძ. წყლის შიში) – მოლეკულის ფიზიკური თვისება, რომელიც „მისწრაფის“ თავიდან აიცილოს წყალთან კონტაქტი.

**ჰიგროსკოპულობა** (ბერძ. სყრც– ტენიანი და სკპევ – დაკვირვება) – ზოგიერთი ნივთიერების უნარი ჰაერიდან შთანთქოს წყლიანი ორთქლი ან გასცეს ტენი.

**ჰიბრიდი(ლათ. hibrida, hybrida – ნარევი, ნაჯერი)** – ორგანიზმი ან უჯრედი, გენეტიკურად განსხვავებული ფორმების გადაჯვარედინებითმიღებული.

**ჰიბრიდიზაცია** – სხვადასხვა ფორმისა და ენერგიის ატომური ორბიტალების შერწყმა და გათანაბრება ფორმით და ენერგიით.

**ჰეტეროგენული** – შედგენილობის მიხედვით არაერთგვაროვანი.

**ჰეტეროგენული სისტემა** – ორი ან რამდენიმე ფაზისაგან შედგენილი სისტემა. მაგალითად, წყალი და მის ზემოთ ორთქლი.

**ჰომოგენური** – ერთგვაროვანი თავისი შედგენილობით.

- **საწინააღმდეგო** – **ჰეტეროგენული** – ნაირგვაროვანი თავისი შედგენილობით ან წარმოშობით.

**ჰელიუმი** – ქიმიური ელემენტი, კეთილშობილი აირი – წყალბადის შემდეგ ყველაზე მსუბუქი.

**ჰეტეროციკლური კავშირები(ჰეტეროციკლები)** – ორგანული კავშირები, რომელიც შეიცავს ციკლებს, რომელთა შემადგენლობაშიც ნახშირბადთან ერთად შედის სხვა ელემენტების ატომებიც.

**ჰომოგენური თერმოდინამიკური სისტემა** – სისტემა, რომლის შიგნით არ არის გამყოფი ზედაპირი და განმაცალკევებელია სისტემის განსხვავებული თვისებების და შედგენილობის მქონე მიკროსკოპული ნაწილაკების, მაგალითად, აირების ნარევი, თხევადი და მყარი გამზსნელები, ასევე ყველანაირი ქიმიური ერთგვაროვანი სხეული, რომელიც იმყოფება მთლიანად რომელიმე ერთ აგრეგატულ მდგომარეობაში.

სისტემას, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ამ პირობებს, უწოდებენ **ჰეტეროგენურს**, მაგალითად დნობადი თოვლი, ნოტიო ორთქლი.


**ჰიდროლაქი** – წყალში ხსნადი ლაქი.

**ბმის ჰემოგელიტური გახლეჩა – სინათლის და სითბოს მოქმედების ქვეშ მიმდინარეობს  
მონომოლეკულურად.**


- ბმის გახლეჩას, რომლის დროს თითოეული ატომი საერთო წყვილიდან ღებულობს ერთ ელექტრონს, ეწოდება ჰომოლიტური(დამ. იხ. კოვალენტური ბმის – ჰემოლიტური გახლეჩა).
- თუ ბმის გახლეჩის დროს საერთო ელექტრონული წყვილი რჩება ერთ ატომთან, ასეთ გახლეჩას ეწოდება ჰეტეროლიტური.

**ჰიდროქსილი – OH – წყლის ნაშთი. რადიკალი, რომელსაც შეიცავს სპირტი.**


ფოტოები, ნახატები და  
ილუსტრაციები




ნახ. 1. უმისაყრდნობო საჯდომი (ავეჯი ძველ ქართულ ფრესკებში, მინიატურებში და ჭედურ ხელოვნებაში)




ნახ. 2. უმისაყრდნობო საჯდომი (ავეჯი ძველ ქართულ ფრესკებში, მინიატურებში და ჭედურ ხელოვნებაში)



ნახ. 3. უმისაყრდნობო საჯდომი (ავეჯი ძველ ქართულ ფრესკებში, მინიატურებში და ჭედურ ხელოვნებაში)




ნახ. 4. უმისაყრდნობო საჯდომი (ავეჯი ძველ ქართულ ფრესკებში, მინიატურებში და ჭედურ ხელოვნებაში)




ნახ. 5. უმისაყრდნობო საჯდომი (ავეჯი ძველ ქართულ ფრესკებში, მინიატურებში და ჭედურ ხელოვნებაში)




ნახ. 6. მისაყრდნობიანი საჯდომი (ავეჯი ძველ ქართულ ფრესკებში, მინიატურებში და ჭედურ ხელოვნებაში)




ნახ. 7. მისაყრდნობიანი საჯდომი (ავეჯი ძველ ქართულ ფრესკებში, მინიატურებში და ჭედურ ხელოვნებაში)




ნახ. 8. მისაყრდნობიანი საჯდომი (ავეჯი ძველ ქართულ ფრესკებში, მინიატურებში და ჭედურ ხელოვნებაში)




ნახ. 9. მისაყრდნობიანი საჯდომი (ავეჯი ძველ ქართულ ფრესკებში, მინიატურებში და ჭედურ ხელოვნებაში)





ნახ. 10. მისაყრდნობიანი საჯდომი (ავეჯი ძველ ქართულ ფრესკებში, მინიატურებში და ჭედურ ხელოვნებაში)




ნახ. 11. მისაყრდნობიანი საჯდომი (ავეჯი ძველ ქართულ ფრესკებში, მინიატურებში და ჭედურ ხელოვნებაში)




ნახ. 12. მისაყრდნობიანი საჯდომი (ავეჯი ძველ ქართულ ფრესკებში, მინიატურებში და ჭედურ ხელოვნებაში)




ნახ. 13. ნატი (ავეჯი ძველ ქართულ ფრესკებში, მინიატურებში და ჭედურ ხელოვნებაში)




ნახ. 14. საწერი მაგიდა პიუპიტრიანი (ავეჯი ძველ ქართულ ფრესკებში, მინიატურებში და ჭედურ ხელოვნებაში)




ნახ. 15. პიუპიტრიანი საწერი მაგიდა (ავეჯი ძველ ქართულ ფრესკებში, მინიატურებში და ჭედურ ხელოვნებაში)




ნახ. 16. პიუპიტრიანი სამუშაო კათედრა (ავეჯი ძველ ქართულ ფრესკებში, მინიატურებში და ჭედურ ხელოვნებაში)



ნახ. 17. კიდობანი (ავეჯი ძველ ქართულ ფრესკებში, მინიატურებში და ჭედურ ხელოვნებაში)




ნახ. 18. სონჩა (ავეჯი ძველ ქართულ ფრესკებში, მინიატურებში და ჭედურ ხელოვნებაში)




ნახ. 19. აგვანი



ნახ. 20. დაბალი სამფეხა სტამი – ჯორჯო



ნახ. 21. სკივრი



ნახ. 22. სქივრი



ნახ. 23. საგარდელი – მესტია



ნახ. 24. სავარძელი




ნახ. 25. სავარძელი




ნახ. 26. ფილა – გონიო




ნახ. 27. სკოვრი – ბებტია




ნახ. 28. სკივრი – მესტია




ნახ. 29. სავარძელი – კორინთა




ნახ. 30. სავარძელი – მესტია




ნახ. 31. დივანი



ნახ. 32. დივანი – ლარგვისი




ნახ. 33. საჭოლი – ჩირდილი



ნახ. 34. საგარდელი – მესტია



ნახ. 35. სჯივრი



ნამ. 36. ანალოდია (ანალოგია) - მესტია



## ქართული ხის ჭურჭელი



ქართული წნევლი ჭურჭელი





ქართული ხალხური საკრავები




თბილისელი “შუზიკანბები”




ქართული ხალხური საკრავები საბჭოთა დროინდელ საფოსტო მარკაზე, 1990 წელი






1. გულგული. 2. ულისებრი სხივები. 3. გული. 4. საკორპეშრე. 5. ლაფანის შრე. 6. ნაქურთენი. 7. კამბიუმი. 8. ჭლიური რგოლები.




1. განივი განახერხი. 2. გრძივი განახერხი. 3. თანგენციალური განახერხი.

ნახ. 37. მერქნის სტრუქტურა




მერქნის სიმტკიცე და ელასტიურობა განპირობებულია უჯრედების კედლების აგებულებით

ნახ. 38. მერქნის მიკროსტრუქტურა



ნახ. 39. ხვეული მერქნიანი




ნახ. 40.

ჰაერი

- \* ტემპერატურა  $T(t)$
- \* ტენიანობა  $F$
- \* ნაკადის სიჩქარე  $V$

საფარი ფირი

- \* ტემპერატურა  $T(t)$
- \* ფირის სისქე  $D$
- \* ლსმ შემადგენლობა




სუბტრატი

- \* ტემპერატურა  $T(t)$
- \* მერქნის ტენიანობა  $F$
- \* შეწოვის უნარი  $S(t)$


ნახ. 41. ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ შრობაზე და ლაქსალებავი სისტემის გამყარებაზე.

გამა-გამოსხივება უნ-გამოსხივება ინფრაწითელი გამოსხივება მოკლე ტალღები ულტრახმოვანი ტალღები




ნახ. 42

### სინათლე




დალუქული მასალა

ნახ. 43




68b. 44




68b. 45

საღებავის ერთმაგი  
დადება


ცისფერი ფერი




მეწამული ფერი



ყვითელი ფერი




შავი ფერი




საღებავის ორმაგი  
დადება


წითელი ფერი




ლურჯი ფერი




მწვანე ფერი



თეთრი ფერი



ნახ. 46.



სახ. 47. ვერთა კოორდინატები




სახ. 48.




68b. 49.




68b. 50.




ნახ. 51.



ნახ. 52.



ნახ. 53.




ნახ. 54. კედლის პანელი შიდა გამოყვანისათვის 3D ეფექტით



ნახ. 55. კედლის 3D პანელი შიდა გამოყვანისათვის ალუმინისაგან



ნახ. 56. კედლის 3D პანელი დამზადებული პოლივინილქლორიდისაგან



ნახ. 57. 3D პანელი მდფ-ის (MDF) ფილისაგან




ნახ. 58. 3D პანელი მერქანტოჭკოვანი ფილისაგან.




ნახ. 59. გედლის გამოყვანა 3D პანელებით მერქანბურბუშელოვანი ფილისაგან.







ნახ. 60. კედლის გამოყვანა 3D პანელებით ნატურალური ხისაგან.




ნახ. 61. თაბაშირის 3D პანელები



63b. 62.





3D პრინტერი




ნახ. 63



6a b. 64.




65b. 65



65b. 66.

## მასალის ხარჯის ანალიზის მიზანი

- (-) დააკვირდეთ წედლეული მასალის ხარჯს კომპანიაში
- (-) გადამუშავების პროცესში დანაკარგების იდენტიფიცირება და დემონსტრირება
- (-) გაარცვიეთ საიდან წარმოიქმნება ნარჩენები და ემისიები
- (-) სუსტი წერტილების იდენტიფიცირება და დემონსტრირება (არაეფუქტუანობა)
- (-) მასალის ხარჯის ბაზის შექმნა შეფასებისა და ოპტიმიზაციისთვის
- (-) გადაწყვეტილების მიღებისთვის მონაცემთა შექმნა
- (-) ნარჩენებისა და ემისიის მინიმიზაციისთვის ღონისძიებების პრიორიტეტების მიხედვით დალაგება



## მასალის ხარჯის გრაფიკი 2: სულთა წარმოების მეშვეობით გაუმჯობესებული წარმოების მაგალითები

მაგალითი ასახავს შეღებვის პროცესს დანაკარგებით (წითელი) პროდუქტის საბოლოო პრიალა გარსის მისაღებად (მწვანე). თავდაპირველი სიტუაცია (მარცხენა გრაფიკი) გვიჩვენებს დიდ დანაკარგებს, პროცესის ეფუქტუანობის დაბალი დონით (დაახლოებით 10 კგ ნედლეული იძლევა 1 კგ საბოლოო პროდუქტს = 10%). გაუმჯობესებულ პროცესი (მარჯვენა გრაფიკი), მხოლოდ 2.12 კგ არი საჭირო იმავე 1 კგ საბოლოო პროდუქტის მისაღებად. რიცხვები მარჯვენა ცხრილში ასახავს დანაწილებას..

## დაჭირხნული ჰაერი

დაჭირხნული ჰაერი ენერგიის ყველაზე ძვირადღირებული ფორმაა, მაგრამ საჭირო სისტემები ზორად ცუდადა მოვლილი. ასე რომ, წუ გაატანთ თქვენს ფულს ჰაერს!


დაჭირხნული ჰაერის სისტემის მახასიათებლები

- ① აზასითებს კომპლექსურობა და ბევრი ნაწილის ჭინა
  - ② ვირდება დიდი ძალის ხმევა მოსავლელად
  - ③ 10% გაუმნება გარდაუვალია
  - ④ „ზრდის“ ტენდენცია
  - ⑤ გაითვალისწინეთ, რომ 1 ბარით მომატება = 6% ელექტროენერგიას
- კარგი პრაქტიკა დაჭირხნული ჰაერის თვის**
- ⑥ გამოითვალისწინეთ კომპრესორი და საშრობი, რომელ არ გვირდებათ
  - ⑦ წნევა მინიმუმამდე შეამცირეთ შეამოწმეთ და შეაკეთეთ ის ადგილები, საიდანაც ერნავს
  - ⑧ გამოიყენეთ ცივი ჰაერი, როგორც კომპრესორის მასალა
  - ⑨ კარგი მოვლა და გამოწენა
  - ⑩ გამოიყენეთ ელექტროენული ინსტრუმენტები



მათვარი რეკომენდაციები

- ⑪ დაამონტაჟეთ ზარის სისტემა (არა მხოლოდ ერთი ზაზი)
- ⑫ მილსადენის სიგრძე მინიმუმამდე შეამცირეთ
- ⑬ წნევის განსხვავება კომპრესორსა და მომხმარებელის: 0.5 ბარი
- ⑭ შეარჩიეთ და აკონტროლეთ წნევის საჭირო დონე



ჰაერის გაუმნების ზარჯი გარონვის ხვრელის მიხედვით\*

- ⑮  $100 = 0.9 / \text{დღეში} = 317 \text{ €/წელიწადში}$
- ⑯  $300 = 8,7 \text{ €/დღეში} = 3,145 \text{ €/წელიწადში}$
- ⑰  $500 = 23,3 \text{ €/დღეში} = 8,515 \text{ €/წელიწადში}$
- ⑱  $1000 = 93 \text{ €/დღეში} = 33,900 \text{ €/წელიწადში}$

\* იმის გათვალისწინებით, რომ 1 კვ ღიასტრონოგრამა 0.9 ევრო დარს, რომელ გაფართოვა ზღვაზე 24/7, წელიწადში 365 დღე



## შემოკლებათა სია

1. **ლსმ** – ლაქსალებავი მასალები;
2. **2კ-პურ** – ორკომპონენტიანი პოლიურეთანული;
3. **ნც** – ნიტროცელულოზა;
4. **ლსს** – ლაქსალებავი სისტემები;
5. **2კ-პუ** – ორკომპონენტიანი პოლიურეთანული სისტემები;
6. **პე** – პოლიერული მასალები;
7. **უდ** – ულტრაიისფერი დასხივება/ულტრაიისფერი დასხივებით გამყარება;
8. **ეგ** – ელექტრონული გამოსხივება/ელექტრონული გამოსხივებით გამყარება;
9. **ჰვე** – ჰოლივინილქლორიდი.

## განმარტება

ბუნებრივად ჩამოყალიბებული მცენარის სახელწოდებაა – **სახეობა** (მაგალითად, რცხილა, ფიჭვი, მუხა და ა.შ.). მათ გააჩნიათ მდგრადობა. ადამიანის მიერ ზელოვნურად გამოყვანილი ნაირსახეობის სახელწოდებაა – **ჯიში** (ანტონოვკა, კეხურა, და ა.შ.). ჯიშებს მუდმივად სჭირდება შენარჩუნება, რომ არ დაემსგავსონ ველურ წინაპარს.

## დამატება

**გამუღლენთი (ანტისეპტიკი)** არის ბიოციდების შემცველი სითხე, რომელიც ზეში ღრმად აღწევს და იცავს მას სოკოების ზემოქმედებისაგან. იგი ასევე მწერსაწინააღმდეგო პრეპარატის ფუნქციასაც ასრულებს.

**სოკოები.** სოკოები დაიყოფა - თავისი ბუნებით სრულყოფილებად (ასკომიცეტები და ბაზიდიო-მიცეტები) და არასრულყოფილებად, ხოლო ხის მიმართ მიყენებული დაზიანებით ქრო-მოგენულებად და ხით მკვებავებად. სოკოების ზრდისა და გამრავლების ხელშემწყობი ფაქტორებია: ხის ტენიანობა, ტემპერატურა, ჟანგბადი, სინათლე, ნიადაგის ბუნება.

**ქრომოგენული სოკო** – იწვევს ხის ფერის შეცვლას ნაკეთობის მექანიკური მახასიათებლების შეუცვლელად. სოკო იკვებება უჯრედში არსებული მინარევი ნივთიერებებით (პირველადებიდან

შაქარი და სახამებელი) ისე, რომ არც კი ეხება უჯრედის კედლებს (მერქნის მყარ სტრუქტურას).

**ნით მკვებავი სოკო** – იწვევს ხის სრულ დაშლას (ლპობას), ქრომოგენული სოკოსაგან განსხვავებით იკვებება უჯრედის კედლების შემაღენელი ნივთიერებებით (ცელულოზა და ლიგნინი). ამგვარი ზემოქმედებით გამოწვეულ შედეგს ეწოდება ხის კარიესი (ლათ. caries—ლპობა). ნით მკვებავი სოკოები (განსაკუთრებით ბაზიდიომიცეტები, ასევე არასრულყოფილი სოკოები და ასკომიცეტები) იწვევენ ხის მექნიკური თვისებების სწრაფ შემცირებას, რაც დამტავ სტრუქტურაში მთავარი პრეროგატივაა. კარიესის გამომწვევი სოკოები გვხვდება და ჩნდება მათი ზემოქმედების საწყის ფაზაში ხის შეფერილობის შეცვლამდე, მექანიკური მედეგობის და წონის ჩამოყალიბებამდე.

**გავარდისფერება** – თეთრი კარიესის პირველი სტადია, დამახასიათებელია წიწვოვანი სახეობებისათვის.

**განაცისფერება** – თეთრი კარიესის პირველი სტადია, დამახასიათებელია ფართოფოთლოვანი სახეობებისათვის (მაგ. წიფელი).

**ყავისფერი კარიესი** – გამოწვეულია ბაზი ლიომიცეტებისაგან (მაგ. *Serpula lacrymans*, *Coniophora puteana*, *Poria vaporaria*, *Lentinus lepideus*), რომელთა სპორები გამოყოფენ ფერმენტებს, რაც შლის ცელულოზას (თეთრს), ხოლო ლიგნინი (მუქი) კი რჩება უცვლელი. ხე ყავისფერი შეფერილობის არამყარი კუბების ან პრიზმების ფორმით (კუბური კარიესი) იძარება.

**მწერები** – დაიყოფა ორ კატეგორიად:

**ხის ხოჭოები (Xilofagi)** – ხეს ანადგურებებნ და და ღია ფერის კედლებიან გვირაბებს ბურღავენ.

**სოკოს ხოჭოები (Xilomicofagi)** - ხეში სოკოებს ანადგურებენ და მუქი ფერის კედლებიან გვირაბებს ბურღავენ. ისინი არ არიან დამაზიანებლები, ვინაიდან მატლები არ ბურღავენ გრძელ გვირაბებს და ხის შრობის დროს იხოცებიან (*Xiloterus lineatus*, *Xiloterus domesticus*) ხეზე გაჩენილი მწერების განვითარების ციკლია – (ტერმიტების გარდა) მწერი თავისუფლად დებს კვერცხებს ხეში, რამდენიმე დღის შემდეგ კვერცხიდან ძირითადად თეთრი ფერის მატლი გამოდის მუქი ფერის კერატიანი ქვედა ყბით, რითიც ხიდან იკვებება. მწერის სახეობიდან და სხვადასხვა გარემო ფაქტორებიდან გამომდინარე მატლის ზრდის პერიოდი შეიძლება თვეებიდან წლებს შორის მერყეობდეს ამ პერიოდის განმავლობაში მატლი ხეში გრძელ გვირაბებს ბურღავს, იკვებება, ვითარდება და ბოლოს ზრდასრული მწერი ხდება. ხიდან გამოსვლისას ის დიაფრაგმას ხვრეტს, რაც მას გარემოსთან აშორებს (ჭიის პარკიდან გამოსასვლელი ხვრელი). ჩვეულებრივი რკილი (ან ხოჭო-რკილი), ხარაბუზები და ტერმიტები – საქართველოში ყველაზე გავრცელებული მწერება.

## ეს საყურადღებოა


2014-2016 წლებში ევროკავშირის საკონსერციუმო პროექტის RERAM-ის (ხის რესურსების და ენერგიების ეფექტური გამოყენება) ერთ-ერთი მონაწილე იყო საქართველო, რომლის ხელმძღვანელი პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეტყველთა ასოციაციის პრეზიდენტი ბატონი თემურაზ კანდელაკი გახლდათ. მისი ნებართვით ამ წიგნის ფოტოების და ილუსტრაციების ბოლოს დავურთეთ ლაქსალებავების და დაჭირხნული ჰაერის ეფექტურად გამოყენების საილუსტრაციო ინფორმაცია, რომლის გამოყენება დარწმუნებულები ვართ წარმოებას საგრძნობ ეკონომიკურ ეფექტს მისცემს.

## მს საინტერესოა

### მერქნის ქიმიური შედგენილობა

მერქნის თვისებები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ქიმიურ შედგენილობაზე. წიწვოვანი სახეობის მერქანი ლარიქსისაგან განსხვავდება ლიგნინის ცოტა მეტი შემცველობით და განსაკუთრებით ჰექსიზანით მხოლოდ წიწვოვანი სახეობის მერქნის ექსტრაქტოვანი ნივთიერების შედგენილობაში ჰემიცელულოზებს შორის ჭარბობს ფისოვანი მჟავეები. წლიური შრის უფრო ადრეულ ზონაში ცელულოზა ნაკლებია, ვიდრე საგვიანოში. ცელულოზა, ლიგნინი და ექსტრაქტოვანი ნივთიერებები წიწვოვანი სახეობის ნაქურთენში უფრო ნაკლებია, ვიდრე გულში. ზოგიერთ ლარიქსის სახეობის (იფანი, მუხა) გულში ცელულოზა უფრო მეტია, ვიდრე ნაქურთენში. ტოტების მერქანში ცელულოზა 3-10 პროცენტით უფრო ნაკლებია, ვიდრე ხის ტანში. ქერქი ქიმიური ელემენტების შედგენილობით მცირედ განსხვავდება მერქნისაგან, მაგრამ მინერალური ნივთიერებების რაოდენობა მასში მეტია, ვიდრე მერქანში. ქერქში ძირითად ორგანულ ნივთიერებების შორის თანაფარდობა აგრეთვე სხვაა, აქ მნიშვნელოვნად ნაკლებია ცელულოზა (განსაკუთრებით ქერქში).

## მერქანი



## ლიტერატურა

№№	საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა	ელექტრონული ბიბლიოთეკა <a href="http://www.nplg.gov.ge">www.nplg.gov.ge</a> PDF ფოლეჯის	უაგ
1	გ. ბერძნიშვილი, ნ. კენჭაძე, ზ. ჩიტიძე – ურ- თიერთშენაცვლებადობა და ტექნიკური გაზომვები წის დამუშავებაში. სახელმძღვანელო, წიგნი I; თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2003, 91 გვ.	5	674(075.8) +621.01 +62-182.8 +681 +620.1.08
2	გ. ბერძნიშვილი, ნ. კენჭაძე – ურ- თიერთშენაცვლებადობა და ტექნიკური გაზომვები წის დამუშავებაში. სახელმძღვანელო, წიგნი II; თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2003, 75 გვ.	6	674(075.8) +621.01 +62-182.8 +681 +620.1.08
3	გ. ბერძნიშვილი, ნ. კენჭაძე – ურ- თიერთშენაცვლებადობა და ტექნიკური გაზომვები წის დამუშავებაში. დამხმარე სახელმძღვანელო, ტესტები; თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2004, 63 გვ.	14	674(075.8) +621.01 +62-182.8 +681 +620.1.08 ბ-571
4	გ. ბერძნიშვილი, ნ. კენჭაძე – ავეჯის კონ- სტრუირების მეთოდოლოგია. დამხმარე სახ- ელმძღვანელო თვითგანათლებისათვის, თბილისი, 2005, 127 გვ.	7	684.016.5(075) ბ-571
5	გ. ბერძნიშვილი – წის დასამუშავებელი ჩარხები, სახელმძღვანელო, თბილისი, 2011, 226 გვ.	12	674.05(075.8)
6	გ. ბერძნიშვილი – წის დასამუშავებელი სადურგლო კომბინირებული ჩარხები, დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 2011, 40 გვ.	13	674.05(075.8)
7	გ. ბერძნიშვილი, მ.ტეფნაძე – ავეჯის კონსტრუირების მეთოდოლოგიის სისტემატიზაცია და სრულყოფა. დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 2011, 135 გვ.	9	684(075.8)
8	გ. ბერძნიშვილი – წის დასამუშავებელი ჩარხები, სასწავლო ელემენტები, თბილისი, 2010, 92 გვ.	8	674.05(075.8)
9	გ. ბერძნიშვილი – სიზუსტის ნორმები და ალტერნა- ტიული კონტროლი წის დამუშავებაში, სასწავლო ელემენტები, თბილისი, 2011, 78 გვ.	10	674.05(075.8)
10	გ. ბერძნიშვილი, მ. ტეფნაძე – წის დასამუშავებელი ჩარხები, ტესტები, თბილისი, 2011, 90 გვ.	11	674.05(076.3)
11	გ. ბერძნიშვილი, მ.ხოშტარია – ავეჯის მოპირკეთების და გამოყვანის მეთოდოლოგია. საქართველოს წის დამამუშავებელთა და ავეჯის მწარმოებელთა ასოცია- ცია, თბილისი, 2013, 146 გვ.	წიგნადი ფონდი	684.4 + 749

№№	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა	უაკ
1	გ. ბერძენიშვილი სიზუსტის ნორმები და ალტერნატიული კონტროლი ხის და- მუშავებაში, სასწავლო ელემენტები, თბილისი, 2011, 78 გვ.	674.4.2(02) 8
2	გ. ბერძენიშვილი ხის დასამუშავებელი სადურგლო კომბინირებული ჩარხები, დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 2011, 40 გვ.	621.903.6(02) 10
3	გ. ბერძენიშვილი, მ. ტეფნაძე – ხის დასამუშავებელი ჩარხები, ტესტები, თბილისი, 2011, 90 გვ.	621.903.6(075) 1
4	გ. ბერძენიშვილი – ხის დასამუშავებელი ჩარხები, სასწავლო ელემენტები, თბილისი, 2010, 92 გვ.	621.9.02(075) 1
5	გ. ბერძენიშვილი – ხის დასამუშავებელი ჩარხები, სახელმ- ძღვანელო, თბილისი, 2011, 226 გვ.	621.903.6(02) 11
6	გ. ბერძენიშვილი, მ.ტეფნაძე – ავეჯის კონსტრუირების მეთოდოლოგიის სისტემატიზაცია და სრულყოფა. დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 2011, 135 გვ.	684.5(02) 8
7	გ. ბერძენიშვილი, მ.ხოშტარია – ავეჯის მოპირკეთების და გამოყვანის მეთოდოლოგია, საქართველოს ხის დამამუშავე- ბელთა და ავეჯის მწარმოებელთა ასოციაცია, თბილისი, 2013, 146 გვ.	684.5(02) 9

1. ჯორჯ პიეტა, იურგენ კინე. მერქანი, დამუშავება და დეკორატიული გამოყვანა. მოსკოვი, 2008, 395 გვ.
2. მ. ხაზარაძე. ქართული ხალხური ხის ჭურჭელი (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). „მეცნიერება“, თბილისი, 1988.
3. ტ. ხერხეულიძე. ავეჯი ძველ ქართულ ფრესკებში, მინიატურებში და ჭედურ ხელოვნე-  
ბაში. ნიმუშების კრებული, აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის რედაქციით. თბილისი,  
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1941, 31, LIV  
ტაბულა.
4. ნ. ჩუბინაშვილი. შუასაუკუნეთა ქართული ხის ჩუქურთმა X-XI საუკუნეები, სახ-  
ელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1958, 115, 139 ცხრილი.
5. Michael Dresdner, “The New Wood Finishing Book” – 1999.
6. Bob Flexner, “Understanding Wood Finishing: How to Select and Apply the Right Finish” – 2010.
7. Fine Woodworking, “Best Finishing Techniques”- 2011. 240 pages.
8. თ. სარიშვილი. ავეჯის კონსტრუირება. თბილისი, 2015.

## სარჩევი

წინათქმა.....	5
მერქანი – ავეჯის წარმოების მნიშვნელოვანი მასალა, მისი უპირატესობები, ნაკლოვანებები, ავეჯის არჩევის არგუმენტები, ხეზე მომუშავე ხელოსნების შრომითი საქმიანობა, მოპირკეთების და გამოყვანის ამოცანები, დურვლის პროფესიული საქმიანობის თეორიული საჯუბლები, ძელი ქართული ავეჯი, ლაქსალებავი მასალების ხარჯის სტანდარტული ერთეული, ნანოტექნოლოგიის შესაძლებლობები ლაქსალებავი სისტემების დარგში, ზედაპირის შესაბამისი დამუშავების მიმართ მთავარი მოთხოვნები, ლაქსალებავი სისტემების გამოყენების მოკლე ისტორია	
პირველი კარი.....	11
თავი I. მერქანი და მერქნის მასალები .....	11
1.1. მერქნის მაკრო- და მიკრო-სტრუქტურები.....	11
ორი ცნება „ხე“ და „მერქანი“, მაკროსტრუქტურის განმარტება, მისი განხილვა სამირითად განახერხში, მირითადი ერთეულები, მიკროსტრუქტურული ქსოვილის წარმომქმნელი უჯრედები, ორგანული ნივთიერებების ჯვუჯები, ელემენტების პროცენტული შედგენილობა, მერქნის ელემენტარული ქიმიური შედგენილობა, თავისებურებები დამოკიდებული ქიმიურ შედგენილობაზე, ფორმვანი სტრუქტურა, ფოთლოვანი მერქნის ჭურჭლები (ძარღვები), მერქნის ფორმიანობის მნიშვნელობა	
1.2. მერქნის ფიზიკური და ტექნოლოგიური თვისებები.....	15
მერქნის შედგენილობა, დამახასიათებელი ანიზოტროპია, მოცულობითი სიმკვრივე, სამომხმარებლო თვისებები	
1.3. მერქნის აღნაგობის და თვისებების გავლენადამუშავების ტექნოლოგიაზე.....	16
დურვლის ნამზადებთან შეხების სიბრტყეები, მერქნის მასალების შერჩევის თავისებურებანი, დამუშავებაზე გავლენის მახასიათებლები – ჰიდროსკოპულობა, შეშრობა, გაჯირჯვება, მიკროსტრუქტურა, სიმტკიცე, სიმაგრე, წლიური რგოლები, ტექსტურა.	
რიცხვითი პროგრამული მართვის ცენტრები 3, 4 ან 5 სამართავი დერმებით, დასამუშავებელი მასალები, მინიფარიკის ONLINE პროგრამა, დამუშავების ოპერაციები, „ნეტინგის“ მეთოდი, დასამუშავებელი ცენტრების უპირატესობები	
1.4. მერქნის მახასიათებელი ტენის მიმართ.....	20
მერქნის ტენიანობის გავლენა, წყლის სორბციული თვისებები და კაპილარული შთანთქმა	

(ამბოლუტური მშრალი, ბოჭკოების გაჯერება, გაჯერება წყლით), წონასწორული ტენიანობა, მისი შეძლება	
<b>1.5. მერქნის გაჯირჯვება, შეშრობა და სიმაგრე.....</b>	<b>21</b>
შეშრობის და გაჯირჯვების სიდიდეების სამი მიმართულება, მერქნის ტექნოლოგიური სიმაგრე, მისი შერჩევის განსაკუთრებული მნიშვნელობა, ლაქსალებავი სისტემების მრობაზე და გამყარებაზე მომქმედი ფაქტორები	
<b>თავი II. მერქნის ქიმია და შედგენილობა.....</b>	<b>22</b>
<b>2.1. მერქნის შემადგენელი ნაწილები.....</b>	<b>22</b>
მერქნის ძირითადი შემადგენლობის—ლიგნინის, ჰემიცელულოზის, ცელულოზის ფუნქციები, ფერის შეცვლის და დანაფოტების მიზეზები, მერქნის სხვა შემადგენლების გავლენა შენახვაზე, თვისებებზე და ღირებულებაზე, არაორგანული კომპონენტები, ცხიმები, ექსტრაქტოვანი ნივთიერებები, ბუნებრივი ფისები, წყალბადის მაჩვენებელი pH, გარემოს გავლენა დაფარვაზე, მერქნის ნაკლოვანებები, მერქნის აქტიური მჟავიანობა, მერქნის დამცველი საშუალებები	
<b>2.2. მერქნის ქიმიური და თერმული მოდიფიკაცია.....</b>	<b>27</b>
მოდიფიკაცით ზოგიერთი თვისებების გაუმჯობესება, მერქნის დააცეტილირება, მოდიფიკაცია მელამინშემცველი ფისებით, თერმომერქნი, კომპოზიციური მასალა მერქნისაგან და პლასტიკისაგან (WPC), მისი შედგენილობა	
<b>2.3. წის სახეობები გამოყენებული დეკორატიული დამუშავებისათვის.....</b>	<b>29</b>
მერქნის მასალების ღირებულებები, ნაკლოვანებები, მერქნის სახეობები სადურგლო სამუშაოების მიხედვით, წის სახეობები წის ჭურჭლის და ქართული ხალხური საკრავების და-სამზადებლად, წის სახეობების— ძალის, მსხლის, ვაშლის, ნეკერჩალის მთის ბოკვის, შაქრი-ანი ნეკერჩალის, ჭადრის, არყის, რცხილის, წითელი წიფელის, მუხის, ცაცხვის, თხმელის, ფიჭვის, მექანიკური მახასიათებლები, სახარატო საქმიანობისათვის გამოსაღებობა, გამოყენების სფერო, მასალის შერჩევის გასათვალისწინებელი ფაქტორები	
<b>მეორე კარი. მოპირკეთება.....</b>	<b>35</b>
<b>თავი III. ფერი და მისი შემდგენები .....</b>	<b>35</b>
<b>3.1. სინათლის და ფერის ფიზიკური არსი.....</b>	<b>35</b>
სინათლის განსაზღვრა, მზის თეთრი ფერი, ფერების უწყვეტი ცვლის რიგი, ხილულისპექტრის სამი ზონა, სავნების ხილვა, აქრომატული და ქრომატული ფერები, ფერების ჯვეფები, სიკაშკაშის ერთეული, ადამიანზე ფერთა ზემოქმედება, თვალის მოწყობილობა, რეცეპტორები, რეცეპტორების ტიპები, ფერის და სინათლის ურთიერთქმედება, ფერის	

ცვლილება მზის სხივების ზემოქმედებით, ფერის უნარი დამძიმოს ან შეამსუბუქოს კონ- სტრუქციები, ავეჯის ფერის და დასამუშავებელი მასალების შერჩევის საფუძვლები	
<b>3.2. ფერის ადიტიური სინთეზი.....</b>	<b>38</b>
ფერის მიღების პროცესი, მიღების ხერხი, სინთეზის ორი ნაირსახეობა	
<b>3.3. ფერის სუბტრაქტული სინთეზი.....</b>	<b>39</b>
ფერის მიღების პროცესი, მიღების ხერხი, ძირითადი და დამატებითი ფერები, ფერადი მოდელი, ფერების მახასიათებლების რეგულირება, ოთხფერი მოდელი	
<b>3.4. ფერების შეფასება.....</b>	<b>40</b>
რიცხვითი სტანდარტების დამუშავების აუცილებლობა, მხედველობის სამფერი თეორია, ფერების კოორდინატები, კოლორიმეტრიის მეთოდები, სამგაზომილებიანი გაზომვა, ფერების ეტალონის სისტემები	
<b>3.5. ფერების სივრცე.....</b>	<b>42</b>
განათების საერთაშორისო კომისია CLE, დამოუკიდებელი კოლორიმეტრიული სისტემები, ადიტიური და სუბტრაქტული სინთეზების კოლორიმეტრიული სისტემები, ფერის სივრცის საერთაშორისო სტანდარტი, ინტერფეისის LCH მუშაობის წარმოდგენა, ფერების ტონების განსაზღვრა, ფერების შეფასება CLE2000, „ელიფსური აღწერა“, ბილბაიერის წესი	
<b>თავი IV. მოცულობითი ზედაპირის მოპირკეთება .....</b>	<b>44</b>
<b>4.1. მოპირკეთების 3D-ტექნოლოგიები.....</b>	<b>44</b>
გალაქვის და შელებვის ცნობილი მეთოდების ნაკლოვანებები, 3D-ტექნოლოგიის ოპერაციები, ტექნოლოგიის უპირტესობები, მარტივი ვაკუუმური მოწყობილობები, მემბრანული და უმეტ- ბრანო წნებები, სამგაზომილებიანი მემბრანული წნებები, წნებვის პროცესი სინქრონული დაწოლით	
<b>4.2. ტექნოლოგიები და მასალები 3D-პანელების დამზადებისათვის.....</b>	<b>48</b>
3D-პანელების უპირტესობები, დამზადების ეტაპები, ფინიშური დაფარვის მასალები, 3D- პანელების დასამზადებელი მასალები (ალუმინი, პლაივინილქლორიდი, ფილები, MDF, მერ- ქანბოჭკოვანი, მერქბურბუშელოვანი, ნატურალური ხე, თაბაშირი), ნაწიბურები 3D და ABS, ტრადიციული შპონის მიმართ ინოვაციური მიღვომა.	
<b>4.3. 3D და 2D პოლივინილქლორიდის ფირებიზედაპირის მოპირკეთებისათვის.....</b>	<b>52</b>
ფირები ნაკეთობის გადაკვრისათვის, კაშირებისათვის, ლამინირებისათვის, დეკორატიული პოლივინილქლორიდის ფირების ტიპები, კატეგორია, მასალა, ძირითადი ნაკეთობები, მოწყობილობა	
<b>4.4. 3D-ბეჭდვა მერქნის მასალების გამოყენებით.....</b>	<b>54</b>

სამგანზომილებიანი 3D-პრინტერები მასალებისათვის მერქნის ფუძეზე	
<b>4.5. ბეჭდვის 4D ტექნოლოგიები – საფუძველი, „პროგრამირებული ნივთიერების“</b>	
შექმნისათვის.....	<b>55</b>
პროგრამული მატერია, დამუშავების მიმართულება, ელემენტარული ელემენტები („კოკსელი“ და „პიკსელი“), ხისტი და რბილი კოკსელები, 4D-პრინტერის დინამიკური კომპონენტი, პროგრამირებული ნივთიერების მუშაობის პრინციპი, 3D-ბეჭდვის შესაძლებლობა, პროგრამირებული მასალების უპირატესობები, ატმოსფერომედიუმი 4D-ტექნოლოგია მესამე კარი	
გამოყვანა.....	<b>58</b>
თავი V. ლაქსალებავი დაფარვის სისტემები .....	<b>58</b>
5.1. შიდა დანიშნულების მერქნის მასალების შეღებვა.....	<b>58</b>
ლაქსალებავი მასალების ორი ტიპი, ჯგუფები, მასალებით შესასრულებელი პროცესები, პროცესის დანიშნულება, დაფარვის ხარისხზე მომწედი ფაქტორები, დამცავ-დეკორატიული შეღებვისათვის ლაქსალებავი მასალების შერჩევის მოთხოვნები, გამოყენებული მასალების ტიპებისაგანდამოკიდებულებით ლაქსალებავი დაფარვის თვისებების საფუძველზე სხვადასხვა დეკორატიული ეფექტების მიღების შესაძლებლობა, შესაღები ნაკეთობების დაყოფა ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, ანტისეპტიკი, საკალასე, ლარიქსის ნაკეთობების შეღებვა	
5.2. ბეიცები.....	<b>61</b>
მერქნის და ქსოვილის შეღებვის პროცესებისსიახლოვე და ურთნაირი ნედლეულის და მსგავსი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობები, ფერსაჭერის ამოცანა, თანამედროვე ბეიცების და სპუციალური ფერსაჭერების შესაძლებლობები, ბეიცების სამრეწველო ისტორია, საღებრები, მუკავური საღებრები (ანიონური), ლითონკომპლუქსური საღებრები, სუბსტანციური (პირდაპირი) საღებრები, პიგმენტები, გამსხნელები, აფსკრარმომებნელები, დანამატები, ბეიცების კლასიფიკაცია	
5.3. მირითადი მოთხოვნები ბეიცების რეცეპტურებისადმი.....	<b>64</b>
მოთხოვნების ნუსხა, ზედაპირული ეფექტების სახეები, რუსტიკის ეფექტი, ფერითი გადაწყვეტა (კოლორიტი), მერქნის ტიპი და ზედაპირის წინასწარი დამუშავება, დაფარვის-დადების ხერხი და ტექნოლოგიური პარამეტრები, დაფარვის დადების ტექნოლოგია	
5.4. მერქნისათვის სამრეწველო ბეიცების გამოყენება.....	<b>66</b>
ჩაძირვით შეღებისათვის, შესხურებისათვის წყალში ხსნადი ბეიცები ორგანული გამხსნელების შემცველობით	
თავი VI. ნიტროცელულოზური ლაქსალებავი მასალები.....	<b>68</b>

<b>6.1. ნიტროცელულოზური მასალების შედგენილობა.....</b>	<b>69</b>
ნიტროცელულოზა, გამხსნელები, პლასტიფიკატორები, აფსექტარმომქმნელები, პიგმენტები, შევსებები, ადიტივები, ნიტროცელულოზის მასალების რეცეპტურები, ნიტროცელულოზის მასალები-საგრუნტოები, ნიტროცელულოზის მნიშვნელოვანი თავისებურებები და გამოყენება თავი VII. მუავაგამყარებული ლაქსალებავი მასალები .....	75
<b>7.1. მუავაგამყარებული მასალების შედგენილობა.....</b>	<b>75</b>
აფსექტარმომქმნელები, ამინის ფისები, ალკიდის ფისები, ნიტროცელულოზა, გამამყარებლები, გამხსნელები, სხვა ინგრედიენტები, მუავაგამყარებული მასალების გამოყენების მაგალითები თავი VIII. ორკომპონენტიანი პოლიურეთანული სისტემები .....	78
<b>8.1. ორკომპონენტიანი პოლიურეთანული მასალების შედგენილობა.....</b>	<b>78</b>
აფსექტარმომქმნელები, პოლიეთერის ფისები, პოლიაკრილატის ფისები, ალკიდის ფისები, კომპოზიციური აფსექტარმომქმნელები, გამამყარებლები, გამხსნელები, პიგმენტები, შემცვებები და ადიტივები	
<b>8.2. ორკომპონენტიანი პოლიურეთანული მასალების გამოყენების ტექნოლოგიები.....</b>	<b>80</b>
მასალის სიცოცხლის უნარიანობა, გამოყენება, თვისებები, დადების მეთოდები, ლაქები, საგრუნტო, პიგმენტირებული მასალა	
<b>თავი IX. უჯერი პოლიეთერული მასალები .....</b>	<b>82</b>
<b>9.1. პოლიეთერული მასალების შემადგენლობა.....</b>	<b>82</b>
უჯერი პოლიეთერის ფისები, უჯერი პოლიეთერების ფისები პარაფინის დამატების საჭიროებით, პარაფინის უჯერი პოლიეთერები (პერიანი პოლიეთერები), მონო-მერები – აქტიური განმზავებლები, გამამყარებლები და დამჩქსრებლები, პოლიეთერული სისტემების სხვა შემადგენელი ნაწილები	
<b>9.2. პოლიეთერული მასალების დადება.....</b>	<b>85</b>
დადების მეთოდები, მერქნის იზოლირების საჭიროება, მაღალპერიანი ზედაპირების მიღება, პოლიეთერული მასალების გამოყენების ტექნოლოგიური რეკომენდაციები	
<b>თავი X. რადიაციით გამყარებული ლაქსალებავი მასალები .....</b>	<b>86</b>
<b>10.1. ულტრაინსფერი დასხივებით გამყარებული ლაქსალებავი მასალების შედგენილობა.....</b>	<b>90</b>
აფსექტარმომქმნელი, უჯერი პოლიეთერები, აკრილის აფსექტარმომქმნელი ეპოქსიაკრილატები, როული და მარტივი პოლიეთერული აკრილატები, ურეთანული აკრილატები, იზო-ციანატური აკრილატები Dual-Cure სქემის მიხედვით, პოლიმერიზირებული მონომერები, ფოტოინიციატორები, ფოტოინიციატორები ულტრაინსფერი დასხივებით გამყარებული სისტემებისათვის	

<b>10.2. მერქნისათვის პიგმენტები, შემვსებები და დამქრქალებლები ულტრაიისფერი</b>	
<b>დასხივებით გამყარებულ დაფარვაში.....</b>	<b>96</b>
პიგმენტები, შემვსებები, მმზინვარების დამქრქალება/შემცირება, ულტრაიისფერი დასხივებით გამყარებული მასალების პერის ხარისხის დამქრქალება/შემცირება, ექსიმერული ულტრაიისფერი დასხივება. ექსიმერული ულტრაიისფერი დასხივებით გამყარებული დაფარვის სისტემა, ადიტივი, ინპიბიტორი, სტაბილიზატორი	
<b>10.3. ულტრაიისფერი დასხივებით ინიცირებულირადიკალური პოლიმერიზაციის</b>	
<b>მექანიზმი.....</b>	<b>101</b>
რადიკალური პოლიმერიზაციის ინპიბირება ჰაერის უანგვით, გამჭვირვალე პლასტიკური აფ-სკის გამოყენება როგორც დამცავი მასალა, ფოტოინიციატორის მაღალი კონცენტრაცია, პარაფინის ცვილის დამატება, ულტრაიისფერი დასხივებით გამყარება ინერტული აირის ატ-მოსფეროში, მერქნის 3D სამგანზომილებიანი ნაკეთობები, ორმაგი ბმების კონვერსია და შეწებების ტემპერატურა ულტრაიისფერი დასხივებით გამყარების დროს	
<b>10.4. ულტრაიისფერი დასხივებით გამყარებული ლაქსალებავი მასალების</b>	
<b>დასაღები დანადგარები.....</b>	<b>106</b>
ავეჯის და კარების შეღებვა, ნაკეთობების დამუშავება ულტრაიისფერი დასხივებით გამყარებული ლაქებით, პიგმენტირებული ულტრაიისფერი დასხივებით გამყარებული დაფარვა, კალციის პროცესი შეხამებული არაპირდაპირ ღრმა ბეჭდვასთან ლამინატის იატაკისათვის, ავეჯის წარმოებაში არაპირდაპირი ბეჭდვის პროცესი, ულტრაიისფერი დასხივებით გამყარებული სისტემები ვაკუუმური დანადგარებისათვის, ერთშრიანი ულტრაიისფერი დასხივებით გამყარებული სისტემები, თრშრიანი ულტრაიისფერი დასხივებით გამყარებული სისტემები, ჰარკეტის სამრეწველო შეღებვა ულტრაიისფერი დასხივებით გამყარებული შედგენილობებით ვალციის მეთოდით, ულტრაიისფერი დასხივებით გამყარებული – პრაიმერები, საფითხები, საგრუნტოები კორუნდის დამატებით, საგრუნტოები კორუნდის დამატების გარეშე, სპეციალური საგრუნტოები, დამფარავი ლაქები, ანტიაბრაზიული ძღვრადობა კორუნდის გარეშე, კარ्बონის ძღვრადი დაფარვა, ულტრაიისფერი დახივებით გამყარებული ზეთები აღწარმოებული ნედლეულის ბაზაზე, სხვა ულტრაიისფერი დასხივებით გამყარებული პროდუქტები ჰარკეტის შეღებვისათვის, ჰარკეტის იატაკის ძღვრადობის შემოწმება გაცვეთისადმი, მეთოდი დაფუძნებული წონის დაკარგვაზე, გამოცდის კიზუალური მეთოდი	
<b>თავი XI. წყლის ლაქსალებავი მასალები.....</b>	<b>115</b>
<b>11.1. წყლის ლაქსალებავი მასალების შედგენილობა.....</b>	<b>116</b>

აფსერარმომქმნელები, პირველადი დისპერსია, ემულსიები, მეორადი დისპერსიები, პოლი-ურეთანული დისპერსიები, ულტრაიისფერი დასხივებით გამყარებული პოლიურეთანული დისპერსიები, სხვა პოლიმერული დისპერსიები, გამამყარებლები და აქტიური განმზავებლები, პოლიიზოციანატები, აზირიდინები, სილანები, აქტიური განმზავებლები ორკომპონენტიანი პოლიურეთანული მასალებისათვის, რეცეპტურის სხვა კომპონენტები

## 11.2. წყლის ლაქსალებავი დაფარვის სისტემები.....120

ერთკომპონენტიანი წყლის მასალები, ერთკომპონენტიანი წყლის არამკერავი განივი ქიმიური ბმების არწარმომქმნელი მასალები, ერთკომპონენტიანი წყლის თვითმკერავი განივი ქიმიური ბმების წარმომქმნელი მასალები, ულტრაიისფერი დასხივებით გამყარებული ერთკომპონენტიანი წყალში ხსნადი სისტემები, ორკომპონენტიანი პოლიურეთანული წყლის მასალები, მაღოზირებელი და ასარევი მოწყობილობები ორკომპონენტიან მასალებისათვის, მექანიკური მაღოზირებელი სისტემები, ელექტრონიკით მართვის მაღოზირებელი სისტემები, ულტრაიისფერი დასხივებით გამყარებული წყლის ორკომპონენტიანი პოლიურეთანული მასალები

## 11.3. წყლის ლაქსალებავი მასალების გამოყენება.....123

თავისებურებები, მაგარი მერქანბოჭკოვანი ფილების შეღებვა, სამზარეულოს ავჯის შეღებვა, სკამების შეღებვა, კიბის საფეხურების შეღებვა

## 11.4. ზეთები, ცვილები, ნატურალური ფისები.....130

### თავი XII. ფხვნილოვანი ლაქსალებავი მასალები.....133

ფხვნილოვანი შეღებვის და ტექნილოგიების განვითარება, ტექნილოგიური და ინკაციური უპირატესობები, ფხვნილოვანი ლაქსალებავი მასალებით შეღებილი ნაკეთობების პალიტრა, ფხვნილოვანი ტექნიკით ბაზრის სევმენტის დაკავების შესაძლებლობები, თერმორეაქტიული და თერმოპლასტიკური მასალები, დამახასიათებელი ფრაქციული შედგენილობა, ფხვნილოვანი ლაქსალებავი მასალებით დამუშვებების დროს საჭირო მოთხოვნების შესრულება

## 12.1. თერმოგამყარებული ფხვნილოვანი მასალები.....135

თერმოგამყარებული მასალების შედგენილობა, შემცხებები, ადიტივები, თერმოგამყარებული შედგენილობები აფსერარმომქმნელის ფუძეზე, აკრილის ფისები, ეპოქსიდები, გაჯერებული პოლიეთერული ფისები, დამინიანების ტემპერატურა, აფსერის წარმოქმნა

## 12.2. ულტრაიისფერი დასხივებით გამყარებული ფხვნილოვანი მასალები.....137

ლხობის და გამყარების პროცესების დაცალკევება, დევაზაციის და დასკდომის რეგულირება, ულტრაიისფერი დასხივებით გამყარებული დაფარვის ძირითადი კომპონენტები, ფოტოინიციატორები, მქრქალი და ტექსტურული ზედაპირების მიღების საშუალებები

## 12.3. მერქნის და მერქნული მასალების ზედაპირების მომზადება შეღებვისათვის.....138

ელექტროსტატიკური ფხვნილოვანი შეღებვისათვის ზედაპირული და მოცულობითი წინაღობა, გამყარების ტემპერატურა, წონასწორული ტენიანობა, აფსექს დაზიანების საფრთხე, ფხვნილოვანი მეთოდით შეღებვისათვის გამოსადევი მასალები, იზოტროპიული და პიდოვობული თვისებები, პაროს ტენიანობის გავლენა ელექტრულ თვისებებზე და აფსექტარმომქმნელის დევაზაფის პროცესზე, MDF-ხებსტრატის ვარგისიანობის ფაქტორები	
<b>12.4. მერქნის მასალების წინასწარი მომზადება.....</b>	<b>140</b>
დასადები ზედაპირის სიგლუვის აუცილებლობა, ე.წ. „ფორთოხლის ქერქის“ წარმოქმნის პირობები, ხეხვის პროცესის განსაკუთრებული მოთხოვნები, მაღალი ოპტიკური ფხვნილოვანი დაფარვის მიღება, თერმული გაუთოება, MDF-მასალის ელექტროგამტარობა, მისი ამაღლების მეთოდები, MDF-ფილების ახალი თაობა	
<b>12.5. ფხვნილოვანი დაფარვის დადება და გამყარება.....</b>	<b>142</b>
ფხვნილოვანი მასალის დადება ფხვნილის ნაწილაკების ელექტროსტატიკური დამუხტვით, დამუხტვის შექმნის ორი პროცესი, ფხვნილოვანი მასალების გადნობის და გამყარების ტექნილოგიები, ულტრაიისფერი დასხივებით გამყარებული ფხვნილოვანი შედგენილობების დადება, შეღებვის სტანდარტული პროცესი, ულტრაიისფერი დასხივებით გამყარებული ფხვნილოვანი ლაქსალებავი მასალების ფართო გავრცელების დამაბრკოლებელი ფაქტორები თავი XIII. გამოსაყვანი დეკორატიული ფირის შეღება.....	146
<b>13.1. დეკორატიული ფირისათვის ქაღალდის ფუძე.....</b>	<b>146</b>
დეკორატიული ქაღალდის გაყრენთა, იმპრევნატი, პრედიმპრევნატი	
<b>13.2. ლაქსალებავი მასალები ფირების გამოყვანისათვის.....</b>	<b>149</b>
ნიტროცელულოზის ლაქები, პოლიეთერული მასალები, მუკავამამყარებული ლაქსალებავი მასალები, ორკომპონენტიანი პოლიეთერული ლაქები, წყალში ხსნარი მასალები, ულტრაიისფერი დასხივებით/ელექტრონული გამოსხივებით გამყარებული მასალები	
<b>13.3. დეკორატიული ფირების ტვიფვრა.....</b>	<b>152</b>
შექანიკური ტვიფვრა, ფიზიკო-ქიმიური ტვიფვრა	
<b>თავი XIV. მერქნის და მერქნული მასალების მომზადება.....</b>	<b>153</b>
ხეხვა, სახეხი საშუალებები და მათი მატარებლები, ხეხვის პროცესები და სახეხი ავრეგატები, გაგლუვების პროცესი (შექანიკური, თერმული), გათეთრება	
<b>თავი XV. მერქანზე ლაქსალებავი მასალების დადების მეთოდები .....</b>	<b>158</b>
ჩაძირვა, გადავლება, დამუშავება დოლში, შესხურება, დასხმა, ვალცებით დადება, შეღებვა ვაკუუმის კამერაში, დანადვარების მოქმედების პრინციპი	
<b>თავი XVI. მერქნის ფერის ცვლილება და ნარჩენი ემისია .....</b>	<b>167</b>

მერქნის შეფერილობა, დამცავი საშუალებების შერჩევის კრიტერიუმები, შეღებილი ზედა- პირიდან ნარჩენი ემისიები, ახალი ავეჯის სუნის შედგენილობა, ნარჩენ ემისიაზე გავლენის ფაქტორები	
განმარტებითი ლექსიკონი.....	173
ფოტოები, ნახატები და ილუსტრაციები.....	229
დანართი.....	275
ლიტერატურა.....	281

პომპიუტერული უზრუნველყოფა- ირინა ლარიბიანისა (საქართველოს  
ტექნიკური უნივერსიტეტი)

პორტატიულ-რედაქტორი - **ლია მოსეშვილი** (გამოცემლის „საქართვე-  
ლოს გაცემა“)

**შიგნის გარეგანის დიზაინის ავტორი - დავით გვასალია**

(ამ შიგნის ავტორები ბატონ დავით გვასალიას დიდ მაღლობას  
ვუძღით გაფეული დახმარებისათვის)

**გამოცემლის:**

შპს „დანი“, ქ. თბილისი, აკ. ჭერეთლის გამზ. №112 (მობ. 599 789 003)

**შასი სახელშეკრულებო**